

რიტენატუნა და ხეროენება



1522
2008

N7

7/2008

მსგვრთხვ

ქეთი მატაბული

მთვლის
ღვრით თედორაბე

მთვლის
მასუშტი კოტეტიშვილი

თასრუშენი
შმოულ აბნონი

მრინდლოვი
ზურაბ ქაშიანიბე

ღოსამყურუს
მასტანბ ბურული





ქუთაისი



ბათუმი

ლიტერატურა და სეროენება



N7(31)

7/2008

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო სამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ქეთი მატაბელი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკვრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge

მადლობა ცნობილ
არაველ მამულიშილსა
და ქველმოქმედს
კობა ბურჯუაძეს
ჟურნალის მე-7 ნომრის
დაფინანსებისათვის

ს ა რ ნ ა ე ი

წილის, წიგნის

- 3 ვახუშტი უტყუტყვილი - ჩემი წუთისოდელი /მეშახევი/
8 დავით თედოხაძე - ექსები
10 ზაზა ქინქაძე - ცეცხლის (ა)სული
17 გიორგი მახაჩოზიძე - ექსები
19 ნიკოლოზ იფაფა - პატახა ადამიანი
32 თამაზ სანებლიძე - ექსები

ფრანსუაზური

- 34 ვახტანგ ბუჩუი - ხესეთის მხიდანბული

ოსური

- 40 შვედ აგნონი - ექიმი და მისი ნაცოლახი
/თახგმნა თამაზ დგვახედმა/

უბ მოქიჯი აძყო

- 50 მზა ამიხიძე - ახაველები

116 რუსეთის რუსეთის მსოფლიო

- 60 ტიცინ ტაბიძე - ტიცინ ტაბიძის
უცნობი ნაშრომები

საქართველო

- 65 ზუხაბ ქაფიანიძე - შვილიათსწლიანი

საქართველოს ბედაქრის

- 71 ელგუჯა ბეჩენიშვილი - „დილის ქვეყნის“ მგზავი
/ბენო ბედაქვილი/

საქართველო

- 77 ზუხაბ იოჯაშვილი - ნახმატება სუზონის
თანმდევი

მსოფლიო

- 81 ილია ზაუტაშვილი - ძველი თბილისის სიყვარული
/ქეთი მატაბელი/

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა!“


რადიელ ერისთავი

საქიანუდღესათი სპეციალად:

ქაზის ამირქანი, ზაქარია ზრუგაძე, ნანი ზრუგაძე,
მკვდრე ზრუგანიძე, ანაწა ზრუგაძე, მაყაღა ვინამანიძე,
ნათია ურუშაძე, ქანუკი ჩანჭიანი, თეიმურ ჩხეიძე,
თამარ ჩხეიძე, ვაჟა ერეკლე.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ვასილ ვასილაძე

ჩვენი ნათი სოფელი

(ნიგინი მთაწი)

(ვაგრაძელება)

მამოზის მადლი

ტატო ჩემი სიყვარულის შვილი იყო. ის დაიბადა 1959 წლის 8 თებერვალს, განთიადისას. მახსოვს, სამშობიარო სახლიდან კი არ მოვრბივარ, მოვფრინავ და ერთი სული მაქვს, ვინმეს ვახარო ეს ამბავი. უცებ ვხედავ, ზემელზე დგანან ნიკო სამადაშვილი და თამაზ ჩხენკელი. ამაზე უკეთეს ხალხს ვერც ვინატრებ. ძია ნიკო მამას ნასტუდენტარია, მისი მეგობარი და თავყვანისმცემელი, თამაზი კი ჩემი უფრო-

დასაწყისი იხ. №9, 10, 11, 12, 1, 2, 3, 4, 5 — 2007-2008

სი სულიერი ძმა. ფიქურ მივიჭერ მათთან და პირზე დაფენილი სულელური ღიმილი სიტყვის ამოთქმის საშუალებას არ მაძლევს.

— რა იყო, ბიჭო, როგორ ხარ? — მეკითხება ძია ნიკო.

— დღეს დილით მამა გავხდი — როგორღაც ვახერხებ სიტყვის ამოღერღვას.

— ქალია თუ ვახტანგი?

— ბიჭია, მაგრამ ვახტანგის დარქმევა არ მინდა.

— რათა, შე მუდრეგო? — შუბლშეჭმუხნილი ღიმილით მიტევს ძია ნიკო.

— არ მიყვარს, შვილიშვილებს პაპის სახელს რომ არქმევენ, მითუმეტეს, როცა ეს პაპა ცნობილი კაცია. მე მგონი, უკეთესია, ყველას თავ-თავისი სახელი ერქვას და თვითონ მისცეს ამ სახელს ნონა და ფასი. — ვცდილობ ჩემი აზრის დასაბუთებას, მაგრამ ძია ნიკოს სახის გამომეტყველებაზე ვგრძნობ, რომ ამაოდ.

— იცი, შვილო, რას გეტყვი, — იმპერატორული ტონით იწყებს ძია ნიკო, — შენ შენს შვილს ვახტანგი უნდა დაარქვა, იმან კიდევ თავის შვილს — ვახტანგი, იმანაც თავის შვილს — ისევ ვახტანგი და ასე შემდეგ. — გახსოვდეს, ვახტანგის სახელი კოტეტიშვილების გვარში არ უნდა მოიშალოს! — დაუსვა ძახილის ნიშანი ძია ნიკომ თავის მონილოვს და მე და თამაზს მოგვიფლო: — მომყვიით!

სადაც ახლა მეტროს სადგური „რუსთაველია“, რესტორანი „გემო“ იყო. ძია ნიკომ იქით აიღო გეზი. ჩავედი. რესტორანში ძია ნიკოს, როგორც შინაურს, ისე დახვდნენ. მოგვართვეს ძია ნიკოს საყვარელი ნელმი გამოყვანილი ღვინის ჭიქები (ჩაის ჭიქებს პრინციპულად უარყოფდა და ამ რესტორანში ეს იცოდნენ). დაისხა, ჩვენც აგვიფლო ჭიქები და სახეგანათებულმა წარმოთქვა:

— პატარა ვახტანგის მოვლინებას გაუმარჯოს სამზოვო, დიდი პაპის წყალი გადასხმოდეს, არ შეერცხვის მისი სახელი!

ასე შედგა ტატოს ნინასნარი ნათლობა. დაერქვა ვახტანგი, შინაურობაში კი ტატოს ვეცხადით. შემდეგ, დიდობისას, როდესაც ნიკოსეული ლექსები მასაც „ტანზე ჰქონდა გამონაყარი“, სიამაყით იტყობდა ხოლმე: — ჩემი პირველი ნათლია საქართველოს ერთი უნადდეს პოეტოვანი, ნიკო სამადაშვილი იყო.

პოეზიისადმი გენეტიკური სიყვარული ადრევე გაბრუნდა. ოთხი წლისამ ლამის მთლიანად იცოდა ალუდა ქეთელაური“ და ვაჟას ლექსები. სტუმრებთან თავის მოსაწონებლად სკამზე შეეყენებდით ხოლმე და არაჩვეულებრივი ცეცხლით ამბობდა: „ველ მოაწონებთ კალგ ყმახა, ლაც ალ უჯდება ჭყეპია!“

საქართველო
პარლამენტი
ეროვნული
აზილიოთიკა

და ისე იტყვევდა ხელს შუბლში, რომ წითელი ლაქა დააჯდებოდა ბოლმე. მსმენელნი კი თან იცინოდნენ, თან ერთმანეთს უჩვენებდნენ აბურმესულ მკლავებს.

ცეცქი იყო. თბილისის პირველი სკოლის ეზოში თამაშისას რამდენი ფანჯარაც ჩაიღუნებოდა, სულ თვითონ იბრალებდა და მე სკოლის მემუშედ მაქცია. სწავლთ თვის არ იკლავდა. არც მე ვაძალებდი, რადგან წიგნი უყვარდა და რაღა არ ჰქონდა წაკითხული. ერთხელ, თორმეტი წლისამ ვოლტერის ფილოსოფიურ მოთხრობებს დაავლო ხელი. მე შევეცინა აღმდეგე: — შვილო, შენთვის ეგ ჯერ ადრეა, ვერაფერს გაიგებ-მეთქი. არ დამიჯერა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა, ნამიკოთხა "კანდიდიდან" მართლაც მშვენიერი ადგილი და ნიშნისმოგებით მითხრა: — აი, თუ ვერ ვიგებო.

ერთხელ, სულ პატარამ განმცხვად: — მამი, მე პატარების ლექსები არ მომწონს, დიდებისა მირჩევნიაო. — აბა, რომელი-მეთქი. და მეტისმეტი გამოთქმით ჩამირაკრაკა ლადო ასათიანის ლექსებიდან ისეთი ადგილები, რომლებშიც ალიტერაციები ჭარბობდა: ერთი "მარდნალას" პირველი სტროფი და მეორე: "საით ნავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს რაშები, რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები." თან ამ ალიტერაციულ ბგერებს განსაკუთრებულ მახეილს უსვამდა.

რომ ნამოიხარდა, მთელი გალაკტიონი ზეპირად იცოდა. გამოქექავდა რომელიმე ნაკლებად ცნობილ სტროფს და ეშმაკური ღმილით მეტყვოდა: — აბა, ვისაო? თუ ვერ გამოვიცნობდი, თავს გააქენედა: — ეჰ, მამა, მამა, განათლებულმა ქართველმა კაცმა, და თანაც ფილოლოგმა, მე მგონი, გალაკტიონი უნდა იცოდესო.

ერთხელ, ყური მოჰკრა ჩემს ბავშვობაში ჩადენილ ერთ ოინს: მეცხრე კლასში მეოთხედის ბოლოს ფიზიკაში ორიანი მქონდა გამოსასწორებელი. მთელ მასალას რა მასწავლიდა. ავდექი და ბოილ-მარიოტის კანონი გავლექსე. მეორე დღეს, მასწავლებელმა რომ

გამიძახა, მითხრა: — კოტეტიშვილო, აბა რა იცი, თქვიო. — მე ამაყად გავედი დაფასთან და გამოთქმით ნაფუკთხე ჩემი "შედევი". მასწავლებელს გაეცინა: — ფიზიკაში სამი გეკუთვნის, ლექსის წერაში ხუთი. საშუალო არითმეტიკული ოთხიანი გამოდისო.

ტატომ, რასაკვირველია, ეს იდეა სიამოვნებით აიტაცა და მეათე კლასში ერთ-ერთი მეოთხედის ბოლოს მამისეული ხეცბი გამოიყენა, დაწერა დიდი ლექსი: ფიზიკა და მემოქმედება. გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ შვილმა მამას აჯობა.

ბავშვობიდანვე თავმოყვარე იყო და დამოუკიდებელი, თანაც უშუშარი. ერთხელ, კავთისხევეში, ჩვენს საგვარეულო სოფელში, ღამით მეტისმეტად დააგვიანდა შინ დაბრუნება. მამის შვიდი წლისა იყო. ნაველი საქებელად მოვიარე ციხის უბანი, ბარდაანთ უბანი, არსად არ არის. სიბნელეში სასაფლაოს მხრიდან ფეხის ხმა მომესმა. ყოველი შემთხვევისთვის შევძახე: — რომელი ხარ-მეთქი. — ტატო ვარ, მამა, აქეთ ვიყავი თხინვალანთ უბანში და ცოტა შემაგვიანდაო. — დიდვით მომიბოდიშე. მე გამეცინა: — ამ შუალამისას სასაფლაოსთან გავლისა მაინც არ გემშინამეთქი? — რისი უნდა მემშინოვს, განა პატარა ვარო?!

სადღე ნავილოდი, კვიცივით სულ თან დამყვებოდა თვაში თუ ბარში. ჯერ კიდევ სულ პატარას უეჭვ მოვლილი ჰქონდა წინა და უკანა ფშავი, პირაქეთ და პირიქით ხეფსურეთი, ხევი და მთოულეთ-გუდამაყარი. შუა აზიანში სტუდენტებს პრაქტიკაზე რომ წავიყვანდი, იქაც ამეკიდებოდა ბოლმე. ცხრა წლისა უკვე იყო ნამყოფი ბუხარა-სამარყანდა თუ ხივამი. ყოველგვარ სიძნელეს ვაჭკაცურად იტანდა და წაუნუნის მაგვარი რამ არასოდეს ნამოსკდენია.

სკოლა თექვსმეტი წლისამ დაამთავრა და უცებ გამოგვიცხვდა, კინოსარეჟისოროზე ვაბარებო. ვუთხარი, ლანირაკების რეჟისორობა არ გამიგია. ჯერ სადმე ჩააბარე, ცოდნა და გამოცდილება მიიღე და მერე რაც გინდა ის მოიმოქმედე. თანაც საიდან იცი, რომ რეჟისორობის ნიჭი გაქვს-მეთქი. არაო, შუგულა ჯოროზე. მე უეჭვ ერთი ნელია მოსამზადებელ კურსებზე დავდივარ თეატრალურ ინსტიტუტში ირაკლი კვირიკაძესთან და ის მეუბნება, შენგან რეჟისორი დადგებო. — იმან არ იცის მენი შვილი რომ ვარ, "ბუთიზუხას" მეძახის, ვერე მიცნობს. შენ რო მოხვალ და გაიგებს, ტუხავსო.

იმ საღამოსვე ჩავედი ირაკლის სანახავად. თეატრალური ინსტიტუტის წინ იდგნენ მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც. ირაკლის



მივსალმე, ტატოზე ვანიშნე და ვკითხე: ის ბიჭი როგორია-მეთქი. — რომელი? ბუთხუ-ნა? ძალიან მაგარია, მისგან კინორეჟისორი ნაღდად დადგება. შენ საიდან იცნობო? — შვილია-მეთქი.

მეტი რაღა გზა მქონდა, დაეთანხმე ტატოს არჩევანს. თანაც გამაფრთხილა: — მამა, გამოცდების პერიოდში თეატრალურ ინსტიტუტთან გაველიარ არ დაგინახო. ხომ არ გკონია, იმ მშობლებივით გავიხდი საქმეს, აბიტურიენტ შეივლებს პინგვინებივით რომ დაანონსიალებენ გამოცდელელებთან და საქმეებს უწყობენ. მე ისე წავაბარებ, ვერც გავიგებო.

ისე ავიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ის სიტყვები ახდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ატესტატის ნიშნებს დიდი ყურადღება ექცეოდა. რაც უნდა ცუდი მოწაფე ყოფილიყავ, ნიშნების საერთო არითმეტიკული "სამანახევარი" მაინც გამოგვივიდოდა. ტატომ როგორღაც ისე მოახერხა, რომ ის ნახევარიც არ მქონია, "სუფთა სამიანის" ატესტატით მიადგა თეატრალურ ინსტიტუტს, შემოქმედებით ხუთ ტურში ოცდახუთი ქულა დაავროვა და სხვა საგნებში "ერთიანებიც" რომ მივლენ და ჩაეთვალათ, მაინც უმაღლესი გამსვლელი ქულა ექნებოდა.

ელდარ შენგელაიას ჯგუფში ჩაირიცხა და მოუხდევდა იმისა, რომ თავისი შემოქმედებითი სიჯიუკით ხშირად ნერვებს უშლიდა, მის ერთ-ერთ უერთგულეს და უსაყვარლეს მოწაფედ იქცა.

სტუდენტობისას მისი პირველი საკურსო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი იყო "ნავაჯი", რომელიც კომუნისტურ გარემოში კრამოლად ყლურდა, ვინაიდან ფილმში ჩვენი საზოგადოების სოციალური უთანასწორობა ნაჩვენები იყო იმით, თუ ვინ რას ყრიდა სანაგვე ყუთში. ეს ყველაფერი კი მთავრდებოდა ასეთი შემზარავი სურათით: ნავაჯსაყრელის მხრწოლავ "მთებში" იქექებთან სამხედრო ნაწილიდან გამოპარული საბჭოთა ჯარისკაცები, პოულაობენ სივარეტის ნაწმვევებს და ხარბად აბოლებენ.

მომდევნო საკურსო ფილმი იყო "გვირი", რომელიც საკავშირო სტუდენტურ ფესტივალზე პრიზით დაჯილდოვდა, მაგრამ ჩვენმა ტელევიზიამ არ გაუშვა იდეური საექსპოზიის გამო.

იგივე ბედი ეწია მომდევნო ფილმსაც, რომელსაც "მატარებელი" ერქვა. სხვაგან წარმატება, სამშობლოში დუმლილი.

ტატოს ეს სულაც არ აღელვებდა და ერთი გოჯითაც არ გადაუხუჭევია თავისი გზიდან. ასე მივიდა იგი თავის ერთ-ერთ უმთავრეს




ფილმთან, რომელსაც "ანემია" დაარქვა. ეს იყო მაღალმთიანი სოფლის მიგდებული საბჭოთა სკოლის ფონზე წარმოჩენილი საბჭოთა კავშირის გროტესკული სახე. ეს ფილმიც, რომელშიც ბევრი შემოქმედებითი სიხალე იყო, კომუნისტური ოფიციალის მხრივ შეძლებისდაგვარად მიიჩქმალ-მიჩუმათდა.

ამის შემდეგ იწყება ტატოს ცხოვრების ახალი ეტაპი: ჯერ ავსტრიელი ქალი ითხოვა, უაღრესად საინტერესო პიროვნება, ნიჭიერი ფილოლოგი და პოეტი უტე აიზინჯერი და რამდენიმე წელი ვენაში იცხოვრა. ამასობაში მეუღლეს შესანიშნავად შეასწავლა ქართული სამეტყველო ენა და წერა-კითხვა. შემდეგ პოლანდიაში გადაინაცვლა, ქალაქ როტერდამში და ცხოვრების თანამგზავრად აირჩია თავისი კოლეგა ინეკე სმიტის, რომელიც ასევე "გააქართველა".

პოლანდიაში ტატო იქცა ცნობილ და აქტიურ კინომოღვაწედ. იღებდა ფილმებს როგორც რეჟისორი, მეგობარი კოლეგები კი თავიანთ ფილმებში იღებდნენ, როგორც მსახიობს. ამ ფილმებისა და თავისი ორიგინალური გარეგნობის გამო იმდენად პოპულარული გახდა, რომ როტერდამის ქუჩებში გამოსულს ბავშვების ზღუნი აედევნებოდა ხოლმე "ტატო! ტატო!"-ს ძახილით.

1989 წელს როტერდამის კინო-ფესტივალის დირექციამ მსოფლიოს თორმეტ რეჟისორს შეუკვეთა ფილმი ერთ თემაზე: "ქალაქური ცხოვრება". ყოველ რეჟისორს თავისი ქალაქის ოცდაათსაათიანი ცხოვრება უნდა გადაეღო მხატვრულად. მაშინდელი საბჭოთა კავშირიდან ეს პატივი ტატო კოტეტიშვილს ხვდა წილად და გადაიღო, მართლაც, შესანიშნავი ფილმი თბილისზე.

ქართულ თემას მიეძღვნა მისი მომდევნო ფილმიც, ასევე პოლანდიის ტელევიზიის დაკვეთით გადაღებული: "ვარდი, ია და ზამბახი" (1990წ.), რომელშიც ორიგინალურად არის ნაჩვენები სტალინის კულტის გროტესკული სახე დღევანდელ საქართველოში და საბჭოთა კავშირის წგრევა.



ჩვენს მშენებარე სახლთან მისულა და ჩაუღაპარაკია, ნეტა ამ სახლის დამთავრებას თუ მოვეცნობო.

დღილით მე გაეუარე მანქანით. ის ჰოლანდიელი კოლეგების გადაამღებ ჯგუფთან ერთად იყო გაჩერებული ფალიაშვილის ქუჩაზე. ყველანი სხვადასხვა მანქანებში ჩასხა, მე მამაჩემთან ჩავჯდებო და მთელი გზა აეროპორტამდე ქართულ და რუსულ ლექსებს კითხულობდა ჩემი ხმით.

— მამა, ნუ ხარ დაღონებული, ფილმს დავამონტაჟებ და მალე დავბრუნდები. ამასობაში სახლიც დამთავრდება და საბოლოოდ გადმოვსახლდები სამშობლოში. გამომეშვიდობა და გაფრინდა.

აეროპორტიდან ლექციებზე წავედი. შემდეგ სტუდენტური დღეების გამო გამართულ ჩვენი ინსტიტუტის კონცერტს დავესწარი, სახლში მობრუნებულს ჰოლანდიიდან დამირეკეს, ტატო ინფარქტით გარდაიცვალა. ეს მოხდა 1997 წლის 16 მაისს.

მთელი ცხოვრება დღემოს იმას ვთხოვდი, ჩემიანის სიკვდილს ნუღარ შემასწრებ, პირველი, დაე, მე ვიყო-მეთქი. არც ამაში გამიმართლა.

გუგა ჰოლანდიაში გაფრინდა გადმოსასვენებლად. ტატოს ევროპელმა მეგობრებმა თავი მოიყარეს როტერდამში და მოუწყეს დაუნიყვარი გამოსამშვიდობებელი საღამო. დაბეჭდეს სამასსოვრო ბუკლეტი ტატოს პორტრეტით, მისი ჩანახატებით და უღარესად თბილი, პოეტური ტექსტით (ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ჰოლანდიურ ენებზე). ავსტრიიდან გამოვზავნილ სამძიმრის წერილში უტე აიზინგერი წერდა: "გავიგე, როგორ გლოვობენ ტატოს თბილისში. მე ვფიქრობ, ისინი მხოლოდ ტატოს კი არა, საუკეთესო წლების თბილისსაც მისტირიან, რომელშიც ტატო მეფე იყო, ერთგვარი რენესანსული თავადი, რომელიც ყველას იმის მაგალითს აძლევდა, თუ როგორ შეიძლება შენი ოცნებები ყველასათვის ზეიმად აქციო".

ამ სიტყვებში ზუსტად არის გადმოცემული ტატოს ბუნება და ხასიათი. მასში სიცოცხლისა და შემოქმედების დაუმცხრალი შადრევანი ჩქეფდა და შეეძლო რუხი, უფერული ყოველდღიურობა ფერთა ზეიმად და დღესასწაულად ექცია. მან ერთი კი არა, ბევრი სიცოცხლით იცხოვრა, მაგრამ ვაი, რომ ბევრი ჩანაფიქრი განუზოროციელებელი დარჩა.

ტატო დაეკრძალეთ თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე. კარგა ხანს ცრემლი შექონდა გამშრალი და გოგლას ოლქსაღმთი ვიყავ ნაოხარ-ნამეხარი. "დანა კბილს არ მიხსნიდა". ბოლოს, როგორღაც ეს ლექსები დამენ-

ამის შემდეგ, მის მიერ გადაღებულ სამ-სამ წუთიან ფილმებს "სამყაროს აღსასრული" და "ყოფნა-არყოფნა" დიდი აღფრთოვანებით შეხედა ჰოლანდიის კინოკრიტიკა და უმაღლესი შეფასება მისცა.

ჰოლანდიის ტელევიზიის დაკვეთითვე დაიწყო მუშაობა ბოლო ფილმზე, რომელსაც სახელად "ნოსტალგია" შეურჩია. ეს იყო ავსტრიული მხატვრულ-დოკუმენტური სრულმეტრაჟიანი ფილმი ტატოსეული საქართველოს შესახებ, რომელიც მან ათი წლის წინ დატოვა და ამჟამად დაბრუნებულს სულ სხვა სურათი დახვდა: სამოქალაქო ომით ნაოხარი ქალაქი, აფეთქებული და ფერფლადქცეული მშობლიური სახლი, დანგრეული ოჯახები, აფხაზეთის ომში თუ თბილისის ქუჩებში დახოცილი მეგობრები, "ვილაცისტიმად" და "არავისტიზად" გახლეჩილი საქმეაჯყო და სხვა მრავალი...

ფილმის გადაღება თითქმის მთლიანად მოასწრო. რაღაც-რაღაცებს ჰოლანდიაში დაეუმატებ, დავამონტაჟებ და გაჩვენებთო. გამგზავრების წინა ღამეს გამოსათხოვარი საღამო მოგვიწყო თავისიანებს რესტორან "ამარკორდში", ფალიაშვილის ქუჩაზე. ოდნავ ნალღლიანი ჩანდა. ჩვეულებრივზე ნაკლები დაღია. ამის გამო შევაქე. მან კი ღიმილით მითხრა: — ნუხელ სასწრაფოს გამოვუძახებთ, გული მანუხებდაო. უშალამისა თავის უმცროს ძმას, გუგას სთხოვა: — ნამიყვანე მანქანით, თბილისს მინდა დავემშვიდობო.

რინა, რომელთაც სათაურის ქვეშ მივიანერე ჩემს დიდ ტატოს"-მეთქი. რასაკვირველია, ამ ჩემთვის უშიშმეს წუთებშიც გამოიქვეყნენ გულღვარძლიანი ცინიკოსები და ქირქილი დაიწყეს: - ვახუშტი თავის შვილს „დიდს“ ეძახისო. საცოდავებს ეკითხათ მაინც და ყველა აუხსნიდა, რომ ოჯახში მეორე ტატოც გვყავს - „პატარა“, გუგას პეილი, ჩემი ერთადერთი შვილიშვილი და, ჯვარი სწერია, აქ ეს „დიდი“ ეპითეტი კი არ გახლავთ, არამედ მხოლოდ განსაზღვრება, ასაკის მიმნიშვნელი. აი ეს ლექსებიც:

შინ დაბრუნება

ჩემს დიდ ტატოს

ახლად მივხედი, რომ ყოველი ჩვენგანი არის ძე შეცთომილი (ან, თუ გნებავთ, უძღები შვილი), რომელმაც ერთხელ მიატოვა თავისი სახლი (ეს სულ ერთია, რას დავარქმევთ იმ სახლს „არყოფნას“, თუ „მარადიულ და ქუმპარიტ ყოფიერებას“) და მას მოუნდა თვალსაწიერის გაღმა გაღწევა. სინამდვილეში გზა ძალიან მოკლე გამოდგა, თანაც უშიშრო, ვინაიდან რაც მას წინ და შორს ვგულებოდა, იგი აღმოჩნდა სწორედ უკან და ძლიერ ახლო. უცებ იქცა წინსვლა — უკუსვლად, ანუ შორეთში გამგზავრება — შინ დაბრუნება — ისევ სიკვდილში, მარადიულ აქარყოფნაში.

მივხედეთ ცხოვრების ნებიერნი, საით მივდივართ. ნუთუ არასდროს შეგვაპრავიათ ჭია ეჭვისა, თუ რა სიღრმეებს იტყვს სიტყვა, შრეებს და ქანებს? ავიღოთ თუნდაც წინაპარი, რას ნიშნავს იგი? შენ თუკი უკან მოიტოვე, წინ რატომღა? ან სიტყვა უნინ — უფრო ნინას რატომ გულისხმობს? ანდა წინანდელს უკანასკნელს რატომ არ ვარქმევით? აი, ხომ ხედავ, წინ და უკან რა გვაქვს, არ ვიცით და ასე ვცხოვრობთ დროისა და სივრცის გარეშე.

ეს შორს ნაგვიყვანს. გამახსენეთ, რაზე შევიწერდით? პირ, რომ ცხოვრება დაბრუნება ყოფილა მხოლოდ პირველსაწყისში. ნოსტალგია ქვეცნობიერი. ზოგში ეს უფრო ძლიერ არის გამოხატული, ვეღარ ეტყვა ერთ ადგილას, თავს ვერ იოკებს და გარბის სადღაც. ხალხს პეონია, რომ ამოძრავებს მას ცისარტყელის ქვეშ გაძროშის უაზრო ჟინი. სინამდვილეში მის სისხლს სხვა რამ აფორიაქებს — უფრო წინარემობილური სისხლის ყიფილი!

აი, ეს არის „ოღისეა“ ჩვენი ცხოვრების, რომელიც თურმე ბევრად უფრო მოკლე აღმოჩნდა, ვიდრე ჰომეროსს ათქმევინა. და კინო-ფირი, რომელსაც თურმე „ნოსტალგია არარსებულზე“ უნდა რქმეოდა, შესაძლოა, რომ უცებ განაშლეს მანამდე, სანამ „დასასრულ“ დაიწერება.

თუკი ცხოვრება დაბრუნება ყოფილა მხოლოდ პირველსაწყისში, ამას სიკვდილს რატომღა ვარქმევით? რატომღა სისმის უსასრულო მოთქმა-გოდება, პირისხოკვა და თავშეცემა, ვლოვა-ტირილი, საფლავის ლოდვეშ ჩაძახილი, სადაც არ არის ის, ვისაც გავიხრით, იქ ხომ მხოლოდ სხეული გდია, იმისი სულის სამოსელი გამოწვეული. თავად სული კი დაუბრუნდა მშობლიურ სივრცეს.

შენყვედეს ტირილი! დაიწუროს ცერმლის მტევნები! გულის ნაუფრი კეილიშობლ ღვინოდ დაღვინდეს! გადალიცლიცდეს მოთმინების ყველა ფილა! შევცვამ სიკვდილის საცართანოს და ვაღმობიდილი მოვდივარ, შვილო!


მარიამობა, 1997 წელი.

შვილის აჩრდილი

მე სიგარეტი ამეკრძალა. ჩემიანები მითვალვალევენ გამუდმებით, სადმე ქურდულად რომ არ ნამძლიოს უცებ სულმა. მაინც ვახერხებ დიდი წვალეებით. გამოვალუბ უცებ ფანჯარას, თავს გავყოფ, ეურტყამ ორ-სამ წაფასს გაუვაციცებით და უტოდველი იერ-სახით ევალაე ვუბრუნდები სანერ მავიდას, უფრო სწორედ კი ჩემს კომპიუტერს და კვლავ განვიგრძობ ორმაგ თამაშს, ჩემებს ვაჩვენებ თითქოს ვმუშაობ, ნამდვილად კი ვეთამაშები ჩემს მხსნულ კომპიუტერს, ჟინიანად, ავადმყოფური თავდავინყებით, აბსოლუტურ გაოგნებამდე, რათა როგორმე ავირიდო ავ ექივრებს თავი, აიღარ ვიფიქრო არაფერზე და ვინაიდან არ შემძლია თავის მოკვლა, როგორმე ასე გაევაგლაბო ჩემი წილი ნუთისოფელი. არ მონიოში! თითქოს ჰქონდეს რაიმე აზრი სალ-სალამითი კაცის სიკვდილს სულთ საუფლოში! მეუღლემ მითხრა: - იცი, ნუხელ ტატო მესიზმრა, შენუხებულმა შემომჩივლა, მამას უთხარო, ფანჯრიდან ცხვირში ნუ მახოლებს, ნუ მანუხებსო. მე გამეხარადა. საოცარი შეება ვიგრძენი. მამასადამე, შენი სული ამ არის შვილო, გარს უვლის ჩვენს სახლს ყოველდამე, შიგ იჭირტება და მე როდესაც ვაღებ სარკმელს ჩემი ქურდული ნაფასითათვის, თურმე მამინ მე შენ გეხები ქტეულს ნიაგად, დამის სუნთქვად, ზეთა შრიალად. ეს რომ გავიგო, მოუესმორე სარკმელში შევას და შიგ ცხვირ-პირში გაფუილდებ მხრჩორლავ სიგარეტს. რა მოხდა, შვილო, უხედური მამის გულისთვის უნდა გაუძლო, მას ხომ სხვა გზა არ დარჩენია შენთან შეხედრის და მფლუარე მასალათისა. ახლაც სარკმელი გამოვალე, გამოვყავ თავი, შენ შეგხევ და დამიარე ტანში ჟრუანტლად.

პრინცმა ჰამლეტმა რა იცოდა, რომ უარესი ტანუვაა, როცა მამა ელის აჩრდილს შვილისას! 6 დეკემბერი, 1997 წელი. წყნეთი.

გაგრძელება იქნება



დავით თეგორაძე

შენს გულს შამოვავებელი

თვალი ცრემლით თუ აივსო...
სიხარულის ცრემლებით,
ბრალი შენ გაქვს, ქუთაისო,
შენს გულს შემოვევლები.
ჩემი ძმები მინათებენ,
იმათი მზე არ ჩავა...
მიმასპინძლებს ქუთათურად
დენდი თემურ ლანჩავა.
ძმობის მირონს ნაცვებებს გულით,
სიყვარულით შეგროვავს,
საქმის კაცი, სიტყვის კაცი,
თავბერიძე ელგუჯა!
შვენის ქალაქს ამყოლაძე,
შვენის ებანოიძე,
ჯეირანი გულგამლილი
ჩემთვის ნახატს მოიძევს;
მისახსოვრებს პეიზაჟებს
სულის მოსაბრუნებლად...
რომ ბათუმში მათ მხნედ დავხედე,
რომ დავბრუნდე უვნებლად.

რომ ბათუმშიც სულ მაისის
სუნთქვა მიმოიღვაროს,
სულმა იცის, ქუთაისმა
როგორ მინდა იხაროს.

ზიარების მისალებად აქ მოდიან

ქუთაისი პოეზიის ქალაქია,
პოეტების მექაა და მედინა,
მის კარიბჭეს, მგოსნებისთვის
მარად ღიას,
სიყვარული ფინანდაზად ეფინა.

ქუთაისი სიტყვის,
სიბრძნის წალკოტია,
რითმითა და მეტაფორით რწყავენ,
ზიარების მისალებად აქ მოდიან,
მერე ლექსით საქართველოს რთავენ.

აქ ყველაფერს სხვა მაღლი და
სხვა ხიბლი აქვს,
მათი ხედვით ვერ გაძლება თვალი,
სხვანაირად იკითხება აქ ბიბლია,
სხვანაირად აღიქმება ქალიც...

...

გენო კალანდიას

ცალი წარბი მოღუშვია,
თვალეებს უღლის ელდა,
მისი გული სოხუშია და —
ვერ გათბილისელდა...

დაგინახავს, გალადდება,
უკუიყრის სევდას,
ველარ განუწურაქდა და —
ვერ გათბილისელდა.

მეგობრობა გზად და ხიდად —
სულ ეს სიბრძნე სდევდა,
ფაზალი კოლხია და —
ვერ გათბილისელდა.

ღმერთო, ისევ შავაპართა

ჯანო ჯანელიძეს

ღმერთო, ქართველს ჯანი მიეც,
დაულოცე ჯანი...
სიყვარულში ტოლს არ უდებს
ლაზს და მეგრელს წანი.

ტრავმაზონში სუფრას გაშლის,
სამსუნამდე განვდებთ,
დილაზედ რომ აჯვალდნო,
ერთხელ არ გაბრაზდება.

ძღაბი თოლებს შემოგავლებს,
ცისფერ თოლებს, მალულად,
ამოხეთქავს მარგალიტი
მეგრელ-ლაზურ-ქანურად.

ეს ძველების სიმღერაა,
რომ არ შემოულამდეს,
ღმერთო, ისევ შეგვაერთე,
ისევ შეგვაძულაბე.

პვილიპვილს

დათუნას

წყალს მასმევს უკვდავებისას,
ფიალებით და კოკებით...
ამ სასწაულის შემყურე,
სად წავალ, როგორ მოვეკედები!

დღე ვაშა თამაშ-თამაშით,
შინ დაღლილები მივედით,
ის ჩემი ვადამრჩენია,
მავსებს ხალისით, იმედით.

გული სულ მისკენ მიმინევს,
ვერსად ვძლებ, სახლში რომ მიცდის,
მადლობა უფალს ამგვარი
სიხარულების მოგერისთვის.

გარდაცვალების დღეა
სულზე უტკბესი მამის,
გული ნუხილის ტყვეა,
სული საესეა შხამით.

ვერც წლებმა უსალბუნა
მამის დახარჯვის ტკივილს,
სევდა-კაემის ბუნაგს
შევიხიზნე და ვტირი.

თვალეებით მთხოვდა ექიმს,
თვალეებით მთხოვდა წამალს,
ჩემი გულადი მამა,
ჩემი ამაყი მამა,
ჩემი გულუხვი მამა.

ახლა საფლავთან ვდგავარ
ცრემლებით სავსე სურა
და ვეფერები წყნარად
გრანიტზე ნახატ სურათს.

მომავლისთვის, წინაპრისთვის

ზურაბ ხაბაძეს

რას ველოდებით,
რას მოგვიტანს ყურება სულ წინ...
მშვიერი მტაცებელია,
მაძღარი — ძუნწი.

მე კალამს ვლოკავ,
შენ გავჩრია კბილებში ფუნჯი,
მანაც ვამაყობთ ჩვენი მოდგმით,
ჩვენი საუნჯით.

რაკი სამშობლო დედინაცვლობს,
გახდა ყრუ-მუნჯი,
უნდა ვიხაროთ ყვავილებით,
ზეცის სილურჯით.

ვენროთ და ვხატოთ
მომავლისთვის, წინაპრისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება, იმ ბიჭისთვის
და იმ ქალისთვის...
ვენროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის.


ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და მე,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ —
ჩემთან ივლიან ჩემი და-ძმები.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და ეს ზამთარი იქნება თბილი,
ვივაზირებთ და ვიმუსაიფებთ
საღამოობით დედა და შვილი.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა,
ჩემი და-ძმების შუქით გამთბარო,
და მე,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ —
მიახლოვდება ტკბილი ზამთარი.

მსურს თავიდან ამოვიგდო
ის აზრი და ეს ოცნება...
მაგრამ გული,
გული მიგრძნობს —
მე ის შემომეკოცნება.



გაგა

ქინკლაძე

საყხლის (ა)სული

ნარსული ხსოვნა, ანმყო ლტოლვა, მომავალი იმედია, ყველა ერთად ცდომილება და ვგონებ, ესაა ჭეშმარიტება, — მარადიული მეტამორფოზების მისტიკრა.

რამდენიმე წლის წინ დაებრუნდი დედაქალაქიდან და სოფლის მშვიდ, მაგრამ მოსაწყენ ცხოვრებას აუყვები. დილით მივდიოდი რაიონში მშენებლობაზე, სადაც იწყებოდა ვმუშაობდი, საღამოს ოჯახში წავიხელსაქმებდი ან მეზობლებში გადავიდოდი. ცოლი ორიოდე წლის წინ შევირთე, ისიც იმიტომ, რომ ოცდაათს მიუახლოვდი და მოხუცი დედის ხეუნას, უმეილიშვილოდ ნუ მომკლავო, ვერ აუყვდი. მედიკოლაში იყო, კარგი მეოჯახეც გამოდგა, მაგრამ როგორც ჩვენში ხშირად ხდება, ჯერ შვილების დედა იყო, შემდეგ — ცოლი, ხოლო ოცნების დედაფალი... ასეთი რამ, კარგა ხანია, სიყმანეის ფერფლში ჩანავლულიყო.

ჩემი მეგობარი თემური მამჩნევდა მოწყენილობას და გულის გადასაყოლებლად ხშირად დაფყავდი სანადიროდ. თრიახავით მოქნილი და დაუღლეელი იყო, ხვითქი გადამდიოდა, როცა ამიყოლებდა და ძანძახებში, ეკალ-ბარდებში მითქარუნობდა. ზოგჯერ ფიქრები გამიტაცებდა და ველარ ვუბამდი მხარს. მეგონა, ასე, მონოტორულად, გაგრძელებოდა მთელი ცხოვრება, მაგრამ...

იანვრისთვის უჩვეულოდ წყნარი იყო იმ დილას ტბა, რალაც აუხსნელად, შემაშფოთებლად ლამაზი და იდუმალი ფერები ერთგვარი ირგვლივ. კატარლში ვიჯექით და გადაფრენას ველოდებოდით. ძაღლები ცქმუტავდნენ, ჭანჭრობებისკენ იწვედნენ. თემურმა ძრავა ჩართო და კიროს ჩავეჭიდე.

— როგორი გამჭვირვალეა შავრი! — ბახმაროს მთებისკენ გამახედა.

გაქვავებულ ღრუბლებს ჰგავდნენ თეთრი მწვერვალები.

— ცივა. ნუხელ ჰორიზონტიც წითელი იყო, ეტყობა, ქარი დაუბერავს.

თხელი წყლიდან გასვლისას ნავმა სიჩქარეს უმატა. თოფი დავტენე. კუდმოქიცინე სეტერი შეჩქევიფდა, ნავის ძვიდეს მიადგა და ტბას გახედა. მალე გაეინაპირეთ და ჭილის ბუჩქებში ჩავსაფრდით.

— ჩაიშუხლე! მთელი ტანი გიჩანს! — მირჩია მეგობარმა.

გადავწეე ჭილის ბუჩქი და ჩამოვჯექი, სიგარეტს მოვუკიდე.

— რას მოლუშულხარ?

— საიდან მოიტანე?

— კარგი ერთი! რაც დრო გადის, სულ უფრო გეჟანგება ხასიათი. ზოგჯერ სუფრაზე ისე გაშუშდები, სანამ ხელს არ წაკერავთ, აღარავინ გახსოვს. ფული შენ არ გაკლია, გარეგნობა, სამსახური, ქალებიც გწყალობენ და უფროსებიც. რა გინდა მაინც, რომ ვერ გავიგე?

— გინდა თქვა, რომ სათბურს ჰგავს ჩემი წუთისოფელი?

— ამდენმა ხეტიალმა ხომ არ დააკარგინა შენს გულს ავ-კარგის გარჩევის უნარი? არ გენყინოს კი ეს შეკითხვა.

— რას გულისხმობ?

— მედია დიდებული მანდილოსანია, ანგელოზივით შვილები გაგჩინა, ჰოდა შეიღირსე.

— ცოლ-შვილის სიყვარული ის ჯილდოა, რომელსაც მანამ ფლობ, სანამ დასახურება შეგიძლია.

— ნუ ფილოსოფოსობ, ბედნიერი კაცი ხარ!

„ჰმ, რა კარგია, სხვა რომ გიმტკიცებს, გინდა თუ არა, ბედნიერი ხარო.“

— გურამ, ძმაო, რა ვქნა, დაბრუნდი იმ შენს ქალაქში, თუ ასე გენატრება.

— არა, თემურ, ქალაქი არაფერ შუაშია.

— შენ რაღა დაგემართა? — ძალს გაუსყურა, რომელიც ტოკავდა, წრეს ურტყამდა და ცას აპყურებდა. — ე, ბიჭო, მოდიან! — და თოფი ნაჩქარევად დაატყეა.

მეც სწრაფად, შაიპარად ვისროლე და იხევის გუნდმა უვნებლად ჩაიხშოლა. საოცარია ნადირობა, უცებ ყველაფერი გადაგვაფიწყდა და თვლებით ვცხრილავდით ცას, რომ ფრინველები აღარ გამოგვაპროვდნენ.

ორი წერტილი გამოჩნდა შენითლებულ ცაზე, თანდათან გაიზარდა, მოახლოვდნენ. ახლა კი მშვიდად მოვარგე სამიზნე. თითქმის ერთდროულად დაიჭექეს თოფებმა. ერთი იხეი ნაპირთან ჩაეარდა წყალში, მეორე კი, დაჭრილი, ლელიანში ჩაფარდატადა. ძალღებოც გავენთენ.

სულ ეს იყო, შუადღემდე ვერც ნაბულის იხეს ნაეაწყდით და ვერც გადამფრენს, შემდეგ კი საეტყოდ მოქურუშებულმა ცამ და საინდანლაც ცოფიანივით გამოვინდინა ზენა ქარმა შეგვაფიქრინა, ნამოწვიმა კიდევც.

— ასეთი, უეცარი, უიფმატი წვიმა არ მახსოვს მე, აჰა, გამსხვილდა კიდევ! ვიჩქაროთ! — გამოძახა მაკაცმა.

სანამ კატარა გავმართეთ, ქარმა წყალი აქორრა, მალეც აიყალყა ზვირთები. შუაგულს რომ მივალნიეთ, ბიძგებმა შეგვარყია და ნაემა გვერდის ქნევა დაიწყო. დაფეთდით, განაპირება იყო საჭირო, მაგრამ გვერდიდან რომ დაჯახებოდა ტალღა, ჩვენი გობივით კატარა იმ წამსვე გადატრიალდებოდა. ჩექმებით და ტანსაცმლით ცურვასაც ვერ შევძლებდით, სიცვიც მოგვთოშავდა. სხვა გზა არ იყო, ნავის წვერი ქარის საპირისპიროდ უნდა გვჭეროდა.

მხდალი არა ვარ, მაგრამ ბიჭი იყავი და ნუ შემინდებოდი: დუღდა ტბის ამღვრული წყალი და ქაფმორეული, დახვეული ტალღები ხან აქედან აგვლოკავდნენ, ხან იქიდან. მარწუხებივით ჩაგვეჭიდა ხელები ნავის კიდევებზე, — შემდეგ კარგა ხანს მტკიოდა თითები — და გულგადაღვულნი ვიყურებოდით წინ იმ პატარა, წყლიდან ოდნავ ამოზიდული კუნძულსკენ, რომელიც ნაპირიდან ოთხასიოდე მეტრზე გვეგულებოდა და საითკენაც მიგვაქენლავებდა ბუმბულივით ამჩატებულ კატარლა.

შეგვიცოდა გამჩენმა და მივალნიეთ იმ,

თითქმის მოდრეიფე, მიწის ნაჭერს, გადაეღლით ხმელეთზე და ამოვისუნთქეთ.

თურმე, ჯერ სად ხარ...

— ნავი! — იყვირა თემურმა.

სულზე მივუსწარით, კინაღამ მოგვტაცა ტბამ, ამოვართეთ ნაპირზე, ძრავა მოგხსენით, გადავებრუნეთ. ჩვენი ჭურცი და სანოლიც ის უნდა ყოფილიყო, სანამ აქ გვეწერა დარჩენა. ქარბორიას შეხვედბი მოპქონდა და ნელ-ნელა ყინვამ ძვალ-ბორცის ღრღნა დაიწყო. შევძვერით ნავის ქვეშ. იმ წამსვე გვეტაკა მიწის სუსხი, მაგრამ მაინც იქ სჯობდა. მობუზული ძაღლები კატარლასთან ინგნენ.

სალამომდე, ვინ იცის, რამდენჯერ გამოვძვერეთ ნავიდან, გვირბუნდით, გაეხურდებოდი და ისევ შივ შევებრუნდებოდით. ქარი მატულობდა.

— ის მაინც იცოდნენ, ცოცხლები რომ ვართ. — თქვა გამწარებულმა თემურმა.

ნარმოვადგინე, რა ფორიაქი იქნებოდა ჩვესს ოჯახებში.

ნაპირისკენ გავიხედეთ. არავინ ჩანდა. რამდენჯერმე დავცალეთ თოფები, — ღმერთმა უწყის, სად ნადიო სროლის ხმა გრიგალმა. თუხითუხებდა და ბორგავდა ტბა.

დალამდა. სიცვიე მატულობდა. რაც კი ჩერები, ხის ნივთები მოგვეპოვებოდა, ბენზინი მოვასხით და ცეცხლი ნავუკიდეთ, ზურგჩანთებიც შევეკეთეთ ალს. ნავი გაიკვამლა, სუნთქევა აღარ შეიძლებოდა. გარეთ გამოვედით, სუსხი დაგვეძვერა. რა გვექნა, აღარ ვიცოდით.

თემურმა მოიფიქრა, დავცადადოთ, მეტალი გახურდება, მერე კვამლი გარეთ გამოვუშვათ და შივ შევძვერეთო. იქამდე კი შლეგიანბივით დავებოდი კუნძულზე.

სითბო რამდენიმე საათს გვეყო, შემდეგ კი სხვა რა გზა იყო, ჩათვლენის შუალედებში ეტკეპნიდით იქაურობას. როცა დაგვათენდა, ღდინგაცლილები ნავზე დაეჯგჳქოდ და ნაპირს მივაჩერდით. ვილაც როგორ არ გამოჩნდებდა, ასე ხომ არ დაგვეყრიან-მეთქი, ეფიქრობდი.

უცებ რამდენიმე სილუეტი გავარჩიეთ, ხელს გვიქნევდნენ. ავცვივდით კატარლაზე და იგივე გავიმეორეთ. მადლობა ღმერთს, ის მაინც ეცოდივებათ, ცოცხლები რომ ვართ, თუმცა კი, ვერაფრით მოგვეხმარებოდა. ვერტმფრენზე დიქრიც ზედმეტი იყო, ფოთოლივით წაიღებდა გრიგალი. უნდა დავლოდებოდით, სანამ ქარი დაიკლებდა და კლიანი კატარლით მოგვეშველებოდნენ.

შიმშილმა და უძილობამაც მიგვახავათა. ვახევდე და... თემურს თავი ჩაუქინდრია,

ახე...

ეყვინთება. ძილში, ასეთ დროს, ფილტვების ანთება მაინც ზედ გაქვს, თუ სიკვდილს გადაურჩი. მივეარდი, ნამოვაცყენე, სახე მოვუსროსე და ვაიძულე, ვრბინა.

— ლამენათევი ვარ, ნამთვრალევი, ნადირობის შემდეგ ვაპირებდი დასვენებას.

ნაპირზე ხალხმა იმატა, მშველელი კი არსად ჩანდა, — ვინ განირაგდა თავს ასეთ ჯოჯოხეთში?

ის დღეც დავიღამეთ და დილაშე რალაც სასნაულოთ გადავირჩინეთ თავი.

სულ მთლად გაცოფდა სტიქია.

თეზური ნავის ქვემოდან არ გამოდიოდა. შევიხედე. მინაზე ინვა თვალდახუჭული. გულში, თითქოს, გულში გამისრიალდა, მოვერიე თავს და შევაჯანჯღარე.

თურმე, უძინა იმ დღეც ცვილს. ახლა კი გულიანად გავულანუნე სილა და ნამოვაცყენე. უცებ ნაპირისკენ გაიწია და აყვირდა:

— გვიშველეთ! სეირს უყურებთ? მე თქვენნი!.. — მერე ჩაიჩოქა და მუშტები ჩასცხო მინას.

ესლა მაკლდა. ნამოვაცყენე, დავამშვიდე, ცოტაც მოვიტომინოთ, ქარი ჩადგება და მოგვეხმარებიან-მეთქი. გამოერკვა, შერცხვა, ეს რეები მემართებაო და მოყვა უთავბოლო სიარულს.

თითქოს გამდნარი ტყვია ჩამასხეს ყელში, საშინელი სიმწვავე ვიგრძენი, — უზომოდ ვსვი ტბის მლაშე წყალი, მოქცევისას ზღვისგან გემოშეცვლილი. მთლად გადამერია მშინი კუჭი.

"კიდევ ერთ ღამეს თუ გავძლებთ. მერე?..."

— ფიქრი რომ გამენწყობა, ნაპირს გავხედე.

ხალხი იდგა და გვიყურებდა. საღამოვდებოდა. ქარი არ ცხრებოდა. ასე, ყველას თვალ-

ნინ ვიწირებოდი.

მანამ ვიყავი ერთ ადგილზე გაშეშებული, სანამ სხეულზე ყინვის საღტეების შემოჭდომა ვიგრძენი. არაქათი აღარ მქონდა, მაინც დავატანე თავს ძალა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ნაიბორძიკე და დავეცი. ნამოვდეკი, ნავთან მივალსახადი და ჩამოვდეკი. სახე ამენვა, ხელი მოვისრა, სუსხით გამომშრალი კანი დამსკდომოდა. არაყი ვინატრე. ერთხელ კიდევ უიმედოდ გავიხედე ნაპირისკენ და სახტად დაერჩი.

პატარა, ქარვისფერი ღრუბლის ქულა მოირწოდა ზვირთებში, რამდენჯერმე კარგა ხნით გაუჩინარდა, მერე კვლავ გამოჩნდა. ასე, ხან დაიმალებოდა, ხან წყალზე აიწეოდა და გვიახლოვდებოდა ვიღაც... ქალი.

ჯერ მოჩვენება მეგონა, მაგრამ როცა ტალღებიდან ამოიმართა უზადო სხეული, ხორ-

ბლისფერი თმები რომ ნელზე რამოქცოდა, გავანებულმა თემურს გავხედე.

არც ის იყო კარგ დღეში.

მერე და რა ქალი იყო.

ზებუნებრიობა მე ისევე მნამს, როგორც ჩემს სეტერს, მაგრამ ერთი პირობა ვიფიქრე, ალია-მეთქი.

ის მოუახლოვდა ნაპირს, ერთი კი ნაიბორძიკა და ხმელეთზე შემოდგა ფეხი. ღრმად სუნთქავდა, მოდიოდა და ილიმებოდა.

— რაო, მამაკაცებო, გავიჭირდათ?

ცოტა ხანს, დონიჯუმოყრილი, სუნთქავს იურვებდა, შემდეგ ნელზე ზონარი შეიხსნა, ჩაიჩოქა, ერთმანეთზე გადაცმული ცელოფნის პარკები გახსნა და პურ-ძებეთან ერთად არყიანი სათურა ამოიღო.

— როგორმე გაიტანეთ თავი, ქარი მალე ჩადგებაო, ამბობენ, — შემდეგ ცოტაოდენი სითხე ხელეზე დაისხა და წვივის ზედა კუნთები დაიხილა, ალბათ, ძარღვის გასკვნის ემინოდა.

— როგორ უძლებთ ამ სიცივეს? — ამოეთქი, როგორც იქნა.

— სტუდენტობისას, რუსეთში, "მორყებთან" ვემგობობდი.

— რომ... ველარ ვასცუროთ? — უხერხული შეკითხვა გამომივიდა, თუმცა, მიზეზი მასზე წუხილი იყო.

— რას ამბობ? — შენობით მომმართა, — ყველაზე უფრო დღეს მინდა სიცოცხლე! — ტბისკენ წავიდა.

— ვინ ხართ? — დაადევნა თემურმა. ეს კი მეტისმეტი იყო, გაითოშა ქალი, შეყოვნდა, რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— მომნახავთ! — მოგვაძახა და სანამ ზვირთებს მისცემდა თავს, ერთი კი გამომხედა.

არასდროს მინახავს ისეთი მოცურავე, ნაფოტივით მიძყვებოდა ტალღებს და ნელ-ნელა გემორდებოდა. შუა გზაში დიდმა ტალღამ გადაფარა, გული მომენწრა, ის იყო, მისი დახარბობა დავიფერე, რომ მომპირებთ კოკორინასავით ამოყვინთა და ცურვა გა-ნაგრო. ნაპირთან მიახლოებისას, ეტყობა, ძალზე დაიქანცა, წინ ველარ მიიწედა, უკუმცემი ტალღებისგან ერთ ადგილზე ირწეოდა. კიდევ კარგი, დროზე მიანვდინეს ბანარი და განაბარეს.

იმ ხემსმა და არაყმა ერთი დღე-ღამე გავეიტანა. ვინ იცის, რა შეიძლება მომხდარიყო ამ დროში? ხემსმა და არაყმა, ვთქვი? — არა, უფრო იმ ფერიის კვლავ ნახვის სურვილმა გაგვამაგრა. შემდეგ, როგორც იქნა, ქარმა

დაიკლო და მეზობლებმა კილიანი კატარღით სამწვიდობოზე გადაგვიყვანეს.

მეორე დღესვე მანქანა რაიონში გავაქანე. გავიგე, სასტუმროში ცხოვრობდა. კარებზე დავაკაკუნე, არავინ გამომახსუხებია. კარი ღია აღმოჩნდა. შევედი.

იგი ფანჯარასთან იდგა. ნელა შემოტრიალდა, ეტყობოდა, თავდაც ლელავდა.

ნადირობისას ან მოგზაურობისას მზიან დღეს კლდოვან, ხავსიან ღრანტეს არ აყოლილხართ? ხდება, უცებ ღრუბელი გადაივილის ცაზე და ირგვლივ გულის დამამძიმებელი ბინდი ჩამოწვება, — ის ღრანტე-ხეობა, თითქოს, ეშმაკეულ გვირაბს დაემსგავსება. უყმურ ხასიათზე დგები, გგონია, სულშიც ჩაგვლვარა ის ფერი. შემდეგ ღრუბელი გადაივლის, მზე გამოვა და ყველაფერი განათდება. ასეთი განცდა დამეუფლა, როცა მის თვალებს გადავანყადი.

იღიმებოდა. დამაზნა მისმა ღიმილმა. არსად მინახავს ისეთი ანკარა თვალები, სულის ფსკერიც კი მოუჩანდა, მცირედი ფიქრი თუ განცდა ეხატებოდა შივ, მეღაბქოლიურიც იყო და მხიარულიც, მიმნდობიც და გამოცდილიც. რაც მთავარია, ზოგჯერ რამდენიმე განწყობა ერთბაშად აულოვლივდებოდა იმ სიცილფრეში. მოდი და ნუ გაგაოცებდა ასეთი კალეიდოსკოპი.

გრძელი, ზღვისფერი კაბა ეცვა. შეეყურებდი, ვერ ვამეგო, სრულიად უცხო სთვის რად განირა თავი. არ მახსოვს, რა ვუთხარი, ალბათ, ვემადლიერებოდი.

დაიმკლავა, თვალებში სინაზე ჩაელვარა, შეტრიალდა, ფარდის იქით დადგა და ფანჯარაში გაიხედა.

ბინდებოდა. დუმილი გაგრძელდა. სიგარეტს მოუწყვიდე. ეინც რა უნდა თქვას, დიდებული რამაა ზოგჯერ ცისფერი კვამლი — ინდიელების შურისძიება თეთრკანიანებზე.

ის ოდნავ შეირბა და თქვა: — ამ წუთს თქვენსეტი ნელი ველოდი. — ???

შემოტრიალდა, ფარდას გამოცდა, გაელიბა.

— ვინ ხარ?
— თავად ვინ ხარ, იცი? შენ ის ბიჭი ხარ, მეთექვსმეტი, ყოჩი ბიჭი, რომელიც ვერც კი ამჩნევდა, თუ როგორ უყვარდა მესუთეკლასელ გოგონას. რამდენჯერ დამსიზმრებია. ერთხელ ისიც მითხარი, მალე შევხვდებითო. აი, ეს დღევც დადგა, ოღონდ ცოტა "შებერებულხარ".

— მე კი მეგონა, ჩვენი დრო ზღაპრების სასაფლაო იყო. — მიუუახლოვდი.

დლით, როცა გამეღვიძა, აბაზანიდან შაპის ხმა მომესმა. ხელები თავვეკვე შემოვიწყე და წინა დღის ფიქრი განვავრძე: „ვინ არის? საიდან მოვიდა? რატომ?“ მთელი ბავშვობა გადავქექე, მაგრამ ის იქ ვერ აღმოვაჩინე.

წყლის შხრიალი შეწყდა. მალეც გამოვიდა, ხალხის ეცვა, საწოლზე ჩამომიჯდა, დამაცქერდა.

— ვინ ხარ? — ისევ ვკითხე.
— ბედნიერი ვარ. — ჩამეხუტა.

იმ დღეებში ვერც ვიქროლე მანქანით, ზღვაზეც ვიყავით, მთაშიც. ქალაქში ვასვლას პირველ ხანებში ვერიდებოდი, შემდეგ არც ამას დავგიდევდით. ოჯახი ერთი კვირის თავზე ვამახსენდა. გამახსენდა თუ არა, თითქოს, რაღაც, უხილავი ხმა ჩაცემო, შემომხედა, ჩამაკვირდა და მკითხა:

— დღეს შინ ნახვალ?
— ჩემებს ვეტყვი, ბევრი საქმე გამომიჩნდა-მეთქი და დავბრუნდები.

გრძელი, ლამაზი თითებით თმა გადაინია, — მენამულ საღებავში ამონებულ ყალმებს მიუგავდა თითები.

— მაგ "საქმეებს" მოგიწონებენ? არაფერი ვთქვი.

— ნაღი, არ ვიჭყვიანებ...
ესეც ქალური ირონია.

— ის კორკი ვამიანია. — ვიგრძენი, რომ ახლა ეს არ უნდა მეთქვა.

— ეჭვიც არ მეპარება, რახან შენი ცოლია. — ნაღელიანად გახედა დარბაზს, — როცა ნავალ, ალბათ, შენც შეგიყვარდები.

მისი ნასელა ვერ წარმომეღვიძა.

— სად გექარება?
— მიწადა გავასწრო შენს სიყვარულს.

— ჯერ ერთი, უკვე დაგავიანდა, მეორეც, ვერ გავიგე, რატომ უნდა გაასწრო?

— დიდი შეცდომაა, როცა იმაზე ფიქრობენ დამჯახებას, ვინც უყვართ.

— ???

— ხვალ თუ ზეგ, თუნდაც მასზეგ, ორივე დავბერდებით... ამ დღეებსაც ბოლო მოუღება, თუ არ გადავარჩენთ. — ხუმრობითაც თქვა და სევდიოდა.

— იქნებ, პირიქით, ეს დღეები გაანათებენ სიბერეს?

— არ მიყვარს მკედრის მზე.

— უცნაური ხარ.

მანქანაში ჩასხდომისას ხელი მკლავზე ნამელო და შემაძახა:

— შეხედე!
გავყევი მის თვალებს. დიდი, თეთრი ბუშტი აღიოდა ლაყვარდში, ზედ გამობმული შავი საგანი აქეთ-იქით ირნეოდა, თითქოს,

ხელს უქნევდა დედამიწას. ნელ-ნელა ქრებოდა ცისფერ უსასრულობაში თეთრი წერტილი.

— რა ლამაზად იკარგება! — თქვა ალტაცებულმა. — ღმერთო, რა ლამაზად იკარგება! ნეტავ, ასე შეიძლება!

იმ ლამითაც მასთან დაერჩი, არავისთან განმაცდია მსგავსი რამ, — ღრუბელს ჰგავდა, თითქოს, მეშვიდე ცაზე დავირწოდი, თან ფარული შიში მიპყრობდა, არ გაიფანტოს, არ დამეკარგოს-მეთქი.

სალამოს აიწინიდან ზღვას გახედა და თქვა:

— მოდი, ზღვისა და რიონის შესართავთან მივიდეთ, შუქურა და დიადი მეოთხე ვნახოთ.

— დიადი მეოთხე?

— აბა, მიმოხედე, ვინ ავსებს ჩვენს თვალბილულ სამყაროს?

— წყალი, მინა, პაერი. მეოთხე კი, უსათუოდ, ცეცხლია, — მზება.

— სწორედ, ნახე, რა ლამაზი დიასი ახლოვდება!

როცა პლაჟზე მივიდით, საოცრად დიდი, ალტკინებული, ლაჟვარდში ნაორგივივი მზე უახლოვდებოდა დასალიერს. როცა დეა, მგონი, პირველად ვთქვი მისი სახელი, ზღვის პირას დადგა და ტალღებმა ვნებით ალოკეს, როცა მისი ნელამდე ჩამოქცეული თმები და თავბრუდამხვევი სხეული შეერთო ნაპირამდე ხელეზგამონვდილ, მოლოვივე მნათობს, შემშურდა, ძალიან შემშურდა იმ მეოთხისა, ვისკენაც კარგა ხანს მდუმარედ იყურებოდა.

თავი დავხარე, ნაპირთან მოციმციმე სხივებიც, თითქოს, ეცეცქებოდნენ. იგი უცებ მობრუნდა, გამიღიმა:

— ნუ ეჭვიანობ... მუდამ გამიბრბის ეგ მზე-ჭაბუკი... ალბათ, ერთხელ, ოდესღაც...

— დაასრულე!

— ისეთი არაფერია. მინდოდა, მეთქვა, რომ ადრე თუ გვიან, ყველა შევუერთდებით დიდი ოთხეულიდან რომელიმეს.

— ვხვდები, რომელსაც აირჩევ.

— ამჟამად შენ ყველას აღემატები! — და კისერზე შემომხვია.

თუნდაც ამ წამებისთვის ღირდა ქვეყნად გაჩენა, არა, მკითხველო?

უცებ შორიხლოს მდგარ, პატარა ეკლესიიდან მოწვდენილმა ხმამ შეაკროთ.

— შეილო ჩემო, შედი საყდარში, ილოცე და გაგცელება ცთუნება! — ეუბნებოდა ქარმაგი მღვდელი ახალგაზრდა მორჩილს, რომელიც ტაძრის კარებთან გამშებულყოფი და ალტაცებული შესცქეროდა დეას.

მამა გიორგი მეზობელი იყო, როცა შემიცნო, მომესალმა, გვერდზე გამიხმო და მითხრა:

— გურამ, შენები შემფოთებულნი არიან. სიყვარული ღვთის ნებაა, მითუმეტეს მომხიბვლელი მანდილოსნისა, მაგრამ ნურც წმინდა ფჯრისწერის მადლსა და მოვალეობას დაივიწყებ! — გვერდზე გაიხედა, — შეილო ჩემო, რა გითხარი მე შენ?

მორჩილი უხალისოდ შებრუნდა ეკლესიაში.

— იცი, რა მითხრა წელან ამ ყმანვილმა? — მამაო, თვით უფალმა ფჯარცმიდან წამით ამ ქალს მწყალობლად გაუღიმაო... გესმის? ამისგან მღვდელი გამოვა? შენ კი, შეილო ჩემო, დროზე მოვე გონს! სძლიე ეშმაკს და ცთუნებას! — პირფვარი გადამწერა და გამცილდა.

ძაძებიანი, შეთავსაფრიანი დედაბერი ძველი, მონჯღრეული, ბამბუკის წენელებისგან შეკრული ცოცხით გვიდა ეზოს. რატომღაც დეა მას მისწერებოდა გამტკნარებული სახით.

სასტუმროში ავიყვანე და შეხვედრა მერე დღისთვის აღვუთქვი. კარებთან გამოთხოვებისას ისე შემომხედა, სისხლი გამყვინა. უვარვარებდა თვალები, სიყვარულის კოცონი ენთო შიგ, მაგრამ მომეჩვენა, რომ რაღაც უფსკრულისეულიც იმანდებოდა. ასეთი თვალენი მაშინ აქვთ, როცა სიკვდილზე ან გარდაუვალ ბედისწერაზე ფიქრობენ.

ამჯერად თვალი თვალში გაფუყარე და ვკითხე:

— რა ხდება?

შეტბა.

— არაფერი... მშვიდობით!

— ნახვამდის!

— ჰო, ჰო!... — მომვარდა, მაკოცა და მკვეთრად შებრუნდა ოთახში.

ტანი მიგრძნობდა, რომ კარებთან იდგა. კიბეზე დავეშვი აფორიაქებული.

შინ ცალკე ცოლის მრავლის მთქმელმა დუმილმა, დედანქმის ვიწვიშმა, ბავშვების უცნაურმა სერიოზულობამ და ცალკე საფიქრალმა ნერვები დამიძაბა, ადრე მივაშურე სანოლს. არ დამეძინა. წინათგრძნობა დამეუფლა, რომ ვეღარ ვნახავდი დეას.

ასეც მოხდა. აღმინისტრატორისგან შევიტყვე, რომ ჩვენი განმორებიდან რამდენიმე საათში ნასულა. წერილი დაუტოვებია:

“გურამ, ძვირფასო, მამაკაცებს გგონიათ, რომ თქვენთვის სილამაზე ძალაუფლებბაა, ჩვენთვის კი მხოლოდ მოვალეობა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობთ მანამ, ვიდრე გუ-

ლი იგრძნობდეს სიყვარულის სინათლეს და მშვენიერებას. ვაი, რომ იშვიათია ნამდვილი სიყვარული! ან, თუ არის, გვიან მოდის ხშირად.

მწამდი. მწამდა, რომ ღირსი ვიყავი ბედნიერების. გექებდი — გექებდი ისე, რომ არ მინდოდა, შეგხედროდი. თუ მაინც გადაგყურებოდი, ერთხელ უნდა შემეხედა და გაცლოდი, — უცნაურად მეშინოდა ჩემი სიყვარულის. ნადირობისას ხიფათს რომ არ გადაყროდი, არც დაგენახებოდი. რამდენიმე დღე ვიყავი რაიონში, შორიდან გადავხედი თვალს. ნეტავ იმ დღეებს და, რა თქმა უნდა, — ნეტავ შემდგომ, საოცარ კვირას!

ახლა სხვაგვარად ვფიქრობ... იცოდე, შვილი მეყოლება შენგან, საოცნებო მამაკაცისგან. შენს ოჯახურ მყუდროებას შვიდი დღე ნავართვი, — ესაა პირველი და უკანასკნელი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, როცა დანაშაულმა (შენი მეუღლისადმი!) ბედნიერი გამხადა. ღმერთს ვთხოვ, მამატიოს. განშორებისას ჩემმა თვალებმა შეგაშფოთა. უცნაურია, იმ წუთს იმას ვფიქრობდი, გურამთან განშორებას, იქნებ, სიკვდილი სჯობდეს-მეთქი. მერე გავუწყერი თავს. განა იმიტომ უყვართ ვინმე, რომ სხვა ყველაფერი შეიძულონ ამ საოცარ სამყაროში? მიყვარხარ! და ყველაფერი ასევე მეტად მიყვარს, ვიდრე ოდესმე მყვარებია.

კიდევ მინდა რაღაც გითხრა და ესეც მთავარია... არ მეტეხო! მშვიდობით!

გარეთ გამოვიდი. უდაბური მეჩვენა ქვეყნიერება. ცას ავხედე, — იქ ღრუბლის ქულაც არ ჩანდა, მითუმეტეს, არავითარი თეთრი ბუშტი.

არვიცოდი, რა მექნა და არც დღეს ვიცი, ოდესმე, რომელიღაც ცხოვრებაში ან სამყაროში, თუ შევხვდები მას კვლავ. რამდენიმე დღის შემდეგ ისიც გავიგე, რომ ნასვლისას თავისი მშვენიერი დალალები მოუკვცევავს, ეკლესიაში დედაბრისთვის მიუტანია და შეევედრებია, სანამ გაძლებს, ამით შეკარით ცოცხი, ამით დაგავეთო.

მთელი შემდგომი ცხოვრება ლამაზი სიზმრიდან უეცარ გამოვლიძებას ჰგავდა და დღესაც არ ვიცი, სიზმარი უფრო რეალობაა თუ რეალობა უფრო სიზმარია. თუმცა, მისი პოვნის იმედს მაინც არ ვკარგავდი. ამასობაში თვრამეტი წელი გავიდა.

ერთ დღესაც იგი თავად გამომეცხადა.

— ღმერთო!.. ნუთუ შენ ხარ? სად, სად იყავი ამდენი ხანი? რატომ დამეკარგე ასე შეუბრალებლად? ღმერთო! შენ გენაცვალე! ან!

არსად გაგიშვებ! — და გიყვით მოვეხვიე. მგონი, რაღაც ვატკინე, ჩუმად დაიკვნესა. შემერთალმა ხელი ვუშვი და მხოლოდ ახლა დავაკვირდი კარგად.

- მომტკვეთ... მაგრამ მე ის არ ვარ.
- აბა?
- მისი და... თქვენი შვილი ვარ.
- !!!

სულ დაეკარგე თავგზა. აღარც ცოლ-შვილი მინდა, აღარც სამსახური, ნათესაები, მეგობრები, არავინ! არავინ! თვით ეს ახლად მოვლენილი, სასწაულებრივი ალიკვალი ჩემი საოცნებო ქალისა, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი ამდენი ხნის უნახავი ქალიშვილი ვერას გახდა საიმისოდ, რომ ვადამეფიქრებინა დედამისის ნახვა. როგორც იქნა, ტელეფონის ნომერი გამოვძალ — გამოვავედრე და მასთან დავერეკე.

ჩემი ხმის გაგონებაზე დიდანას დუმდა, აშკარად შორს დაიჭირა ტელეფონი, შემდეგ, როგორც ჩანს, თავი გაიმაგრა და მითხრა:

— ხმითაც შებერებულხარ... რა საშინელებაა ნუთისოფელი!.. ნუთუ არ გახსოვს, რაც გითხარი ოდესლაც? — არ გაბედო ჩემი ნახვა!

— ვერა! ისიც მეყოფა, მთელი ცხოვრება რომ დაეკარგე! ამ დღეებში შენთან მოვეფრინავთ მე და ჩვენი ქალიშვილი!

ყურბოში სუსტი მკვიცილა გავიგონე: — ღმერთო, ახლა კი სამუდამოდ მშვიდობით! — გამყინავი ხმა გაქრა.

მოხდა ის, რასაც არც მე ველოდი, არც ჩვენი ქალიშვილი და არც არავინ. ის ისევე გაქრა ხმელთაშუა ზღვის ლამაზი კუნძულისად, როგორც ახალგაზრდობაში — კოლხეთიდან. კიდევ კარგი, იმ დღეს შვილი სასტუმროში დავტოვე და პირველად მე გავიგე ის ამბავი.

როცა ახლად ჩამქრალი, ცნობილი ვულკანის კრატერისკენ გავემართე (ველავ წერილი დამიტოვა, შეუბრალებლად!), იქ, მთის შუა წელზე, ვულკანოლოგები შემხვდნენ. ჩემს დანახვაზე მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

ერთი მათგანი, შუა ხნის მამაკაცი, მომიახლოვდა, მომესალმა და გვერდზე გამიხმო, ნისლ-ორთქლიან კრატერს შეხედა.

— თეთრ ვუალთან მანდილოსანს ჰგავს, არა?

— ასეა.

— თან გულში ფარულად საშინელი, დიადი ცეცხლი უფიჭვიზებს...

— კარგი შედარებაა. — ამ გამოთქმებმა მცირე იმედი გამიღვივეს, იქნებ, დეა, სუ-

ლაც, სადმე, ახლო-მახლოა-მეთქი... ახლო-მახლო, მართლაც, ყოფილა.

— ისიც ასეთი იყო.

— ვინ?

— ვისაც თქვენ ეძებთ. — დაკვირვებით შემომხედა. — ჰო, ასეა. ოცი წელი არ იქნება, ჩვენს კუნძულზე რაც გამოჩნდა. ლეგენდად დადიოდა მისი სილამაზე, კდემა, მიუკარებლობა და რაღაც საიდუმლო. ერთადერთი ქალიშვილი იყო მისი სიხარული და სათაყვანო არსება. იმ დღეს მოპირდაპირე ბორცვზე ქოჯრები ვიმზირებოდი და უცებ იგი დავინახე. თეთრ კაბაში, თეთრი მოსასხამით ადიოდა კრატერისკენ... საირაულშივე ეტყობოდა, რაღაც საშინელი გადაწყვეტილება მიელო.

— ღმერთო! — თავი ხელებში ჩაერგე და ჩავიჩოქე, იმიტომ კი არა მხოლოდ, რომ მუხლები მომეკეცა, უფრო იმიტომ, — მთელი არსებით შევიგრძენი, თუ რა ბედნიერება იქნებოდა ახლა ჩემთვისაც ლავაში ჩანთქმა.

— მომიტყევე, უცებ მოგახალეთ, მგონი.

— განაგრძეთ, თუ შეიძლება.

— ვერაფერი გავანყვე, თუმცა, ხმის ჩახლქამდე ვყვიროდი. შორს ვიყავი, იქნებ, არც ესმოდა ჩემი ხმა. ის ნელა მიუახლოვდა კრატერს... მანდელი მოიხსნა, ნიავს მალა ააყოლა... ერთხანს უყურა... შემდეგ კი მოწყვეტით გადაეშვა. ალბათ, ცოცხალმა ლავამდე ვერც მიაღწია. თეთრი ორთქლი ამოვიდა, მომეჩვენა, რომ ჯერ ადამიანის ფორმა მიიღო, მერე სფეროს დაემსგავსა, ნელა, რწვეით აინია, თითქოს ხელის ქწვეით გვემშვიდებოდა. ვულკანოლოგი რომ არ ვიყო, ვიფიქრებდი, სული იყო-მეთქი, მაგრამ... თუმცა, ვინ იცის? იქნებ?... ნეტავ რატომ ჩაიღინა ეს?

როცა დედამისის აღსასრულის შესახებ გაიგო, ჩემი ახლად აღმოჩენილი შვილი ჯერ გულში ჩამეკრო და აქვითინდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა ოღწავ დამშვიდდა, გამინაპირდა, თითქოს, მიფრთხოდა კიდევ. პარაკლისიდან მესამე დღეს გავუბედე:

— შვილო!

ამ სიტყვის გავონებაზე შეცბა, მანიშნა, აღარაფერი თქვაო. კარგა ხანს დუმდა. შემდეგ, ეტყობა, გადაწყვეტილება მიიღო და დაბალი, მტკიცე ხმით ამოთქვა:

— ალბათ, მეტყვი, რომ იქ, საქართველოში, და-ძმები მყავს, რომ მშვენიერია ის მხარე, სადაც თქვენ ერთმანეთს შეხედით და ასე შემდეგ, არა?

— ჰო, გენაცვალე, იქ ყველა შენიანია, შეგიტკობენ, შემოგველებიან.

— მე ხომ დეას შვილი ვარ. დაგავინყდა, რა

ქნა თქვენი სიყვარულის უკვდავებისათვის?

— შენ უნდა გააგრძელო მისი მოდგმა, შენ მაინც უნდა დაბრუნდე სამშობლოში და იბედნიერო, შვილო. თუ რამ შეეცოდე... არ ვიცი, რაში მიმიძღვის ბრალი, მაგრამ თუ რამ შეეცოდე, შემინდე! შევეცდები, გამოვასწორო, დამრთე ნება, ვიზრუნო შენზე.

— ამას თავად მოვახერხებთ მე და ის, ვინც ჩემი საბედო იქნება. ამისთვის მთელი ცხოვრება უნდა ემზადო, ლეთის ჯილდოსავით მიიღო და არა... — შემომხედა, შეყვანდა.

— ბოლომდე თქვი, იქნებ, ახლა მაინც გავიგო, ვინ იყო ის საოცარი ქალი.

— ნუთუ ვერ ხედე?

— თუ ღმერთი გნამს, მითხარი, შვილო!

— შენ ბედი მოატყუე. უფრო სწორად, ბედი დაასახიწრე, როცა ის ქალი შერთე, ვინც დღეს შენი ცოლია.

— ეს როგორ?

— ნუთუ, როცა გირიგებდნენ, გულმა არ გითხრა, რომ ის საბედო არ იყო, რომ არ გიყვარდა?

— კი, ასე იყო, მაგრამ დედაჩემის თხოვნას ვეცი პატივი, თანაც, მაშინ არც არავინ მიყვარდა, დეაც ჯერ არ გამოჩენილიყო.

— სწორედ ეგაა ბედის დასახიწრება. ამიტომაც ვეღარ დარჩა დედაჩემი შენთან, ამიტომაც გადმოიკარგა შორს, თუმცა, არც აქ დააყენე. უფრო სწორად, ორივემ არ დავაყენეთ. მე რომ არ გამოგჩენილიყავ, ალბათ, არაფერს აუტეხდა თავს... ღმერთო, ამას ვინ იფიქრებდა? — და ატირდა.

მკერდში ჩავიკარი ჩემი საოცარი სიყვარულის ნაყოფი და აღარაფერი მითქვამს.

რატომღაც ცაში ახედვა მომინდა.

იქ დიდი, თეთრი ბუმბუტი მალა მიიწვედა, მასზე გამობმული საგანი აქეთ-იქით ირწეოდა.

ჩემი ერთადერთი მიზანი იმ ნუთებში ის იყო, რომ შვილს იგი არ დაეხახა.



მასხოვს როცა შემეფეთე,
იყავ მხოლოდ ცხრამეტისა,
შენგან ერთი ტკვილი სიტყვაც,
არ იყო და არ მეღირსა.

ო, რა ნელა გადიოდა,
წლები ჩემი წამებისა,
გავიგე რომ სხვა გიყვარდა
მშურდა შენი დამწველისა.

სხვა მოგწონდა, სხვას გაპყვიე
ბედი იყო განგებისა.
დიდხანს მასთანაც არ დარჩი,
სმა უყვარსო სასამელისა.

ახლა ქურაში შემომხვდი
თქმა ინებე სათქმელისა,
თან მილიმი, თან მიყვები,
იმ მთისას და ამ მთებისას.

თურმე ახლა გდომებვიარ
წლების მერე აშდენისა.
ამბობ არ დაიკარგება,
გზა სანთებელ-საკმეველისა.

მე კი უკვე აღარა მწამს,
მაგ ლამაზი თვალებისა.
ვიზიარებ მწუხარებას,
თქვენი გარდაცვალებისას.

კოორდირებული მასწავლებელი

26015

სეტყვა მოვიდა ძვა დახვდა

მთა არ მიდის მუჰამედთან,
არც რა მოხდა ისეთი,
ეტყობა რომ მთას წამდვილად,
აქვს რაიმე მიზეზი.

ახლა ვნახოთ მუჰამედი,
არც შიში აქვს, არც რიდი,
მთა არ მიდის მუჰამედთან,
მუჰამედიც არ მიდის.

ერი, ბერი ეჩიჩინა,
ვაპ, ყოფილხარ შენ ვინა?
პრინციპი და სიჯიუტე,
ვერვინ შევაცვლევინა.

მერე, როცა დაილალა,
სახლში უქმად ჯდომითა,
მზად იყო რომ დაეღაშქრა,
ცხრა რა არის, ოცი მთა.

და კვლავ რჩება ყველაფერი,
ამოუხსნელ რებუსად,
მუჰამედი მიდის მაგრამ,
მიდის შეყვარებულთან.

მაცდური სარკე

მტკნარი ფოთლები სიყვითლეს იფერებენ,
მიზეზს ნოემბერი არკვევს,
საკმაო დრო არის კიდევ სიბერემდე,
აღბათ, დაიბრიცა სარკე.
თორემ ასე რიგად შუბლი დასერილი
წამდვილად, ადრეა იცი,
როგორ გაცრეცილა იმ კაცის წერილი,
როგორ გატეხილა ფიცი!
შენ სულ სხვა სიტბოს და მწვერვლებს
ეძებდი,

თუმც ვერ პოულობდი საბაბს,
რა უყოთ, მერე თუ მის გვერდით ვერ
სძლებდი,

რა შენი ბრალია აბა?!
როდესაც მიხვდი რომ სასტიკად სცდებოდი,
და თურმე გიყვარდა ძლიერ,
მანაც გეუცხოვა სიტყვები შენდობის
ამპარტავნობას ვერ სძლიე.
ეპ, ის დრო იყოს ისევ მოილხენდი,
დღეს სულს თუ უბრაავ ლადავს,

საქართველო
პარლამენტი
პროექტი
ანალიზი

ახლაც კი იჭმევა ქადა ორი ხელით, გული აღარ გულობს, მადამ. იმ ალტაცებთაც აღარ გიხარია და როგორც ძველ ნაცნობს ხვდები, გრძნობ, რომ ჟრუანტული უკვე მიმცხრალია, ტვირთით დაღლილია მხრები. ნითლად აღაფლავებს ფრჩხილებს მანიკური და შოგონებებში გითრევს, სულში ჩაგისახლდა შიშ პანიკური, არვინ დაგიკოცნის თითებს. გზები მოფენილი ყოფილა ნარ-ეკლით სარკის წინ ნაოჭებს არკვევ, პო, არ გეკადრება შენ ეს ანარეკლი, ალბათ, დაიბრიცა სარკე.

ხან გულწრფელია, ხან მატყუარა, ხან ფხიზელია და ხან მთერალია რა შუაშია გინდა თუ არა?! მოვა უთუოდ, გარდუვალა. არაფერს გკითხავს რა ხარ, ვინა ხარ, რას ნარმოადგენ, რა შეგიძლია, ის დაგანახვებს, რაც არ გინახავს და გაგრძნობინებს, რაც არ გიგრძენია. სულერთი არის სქესიც, ასაკიც, ფარჩა გიმოსავს ტანს თუ ძონძები, მეფე იქნები, ყმა თუ გლახაკი, ვერსად წაუხვალ მაინც მოგძებნის. უაზრობაა მასთან ჭიდილი, მოგინებს ყველა ცოდვის გამხელა, ის თავად მოვა, როგორც სიკვდილი, მას სიყვარული მჭვია სახელად.

ღამის ფრენოლოგია


„მე მაინც უნდა აფრინდე“. **მირის ფრენიანი**

პანანკინტელა არის სამყარო, უფრო პატარა ჩვენი ორბიტა, ეს პიპოთეზა რომ გვაგმართლო, მაქვს საკუთარი ფრენოლოგია. ციმციმებს ზეცა, როგორც ვაგზალი ვილაც რომ იტყვის ვრცელი, უძირო, სულ არ მჭირდება მცირე საგზალი, რომ დედამინას შემოვუფრინო. ოცნებით რომ ლაჭვარდებს იპყრობ, მოგრიდებია ნეტავ გული რისი, თუ აფრენაა, აფრენა იყოს, ნუ გეშინია დედამინის მიზიდულობის.

იგი ცხოვრობდა დიდი ხნის წინათ, შენ არც კი იცი, ვინ იყო მორზე, და გიკაუნებს კარებზე წვიმა, გელოდებიან გამოდი დროზე. წვიმას ბავშვითი ფერება უყვარს, შევუშვერ მეშვებს და იმით დაველევ, ის რალაც ტაქტით მინაზე უკრავს, და თან საოცარ სინაზეს ავლენს. რად ვერ გეზულობ ამ მარტივ ანბანს, რატომ მეჭვებს ქარზე და თოვლზე, ცოტა ხნის შემდეგ რომლებიც, ალბათ, შენი სახლის წინ უჩემოდ მოვლენ. გაივლის კიდეც სულ მცირე დრო და შევუერთდები უხილავ ლანდებს, მე წვიმის დიდი იმედი მქონდა, და საიდუმლოც იმიტომ ვანდე. არა, ვერ ვიტყვი, რომ მრჩება ვალში, რაც შეუძლია ნამდვილად ცდილობს, თუმც ყოველივე ეყრება ნყალში, საბრალოც არის და სასაცილოც. ალბათ, შენც ფიქრობ არა ღირს იმად, გახვიდე გარეთ ამ თავსხმის ფონზე. მე მოვიგზავნე სარკმელთან წვიმა და გიკაუნებს გამოდი დროზე.

უკმაყოფილება

ეს ცხოვრება ასე მესმის ძმობილო, შეიძლება მე სხვა ქარი მიქროდეს, კაცი უნდა იყოს უკმაყოფილო და დასაპყრობ მწვერვალზე ფიქრობდეს. თორემ მუდამ თუ მიპყვები დინებას, დამდორდები, დადუნდები, დაცხრები, ნურაფერი მერე ნუ გენყინება, თუ საკუთარ დარდებს შეენარცხები. აბა, ერთი გადახედე ლეგენდებს, რანი იყვნენ ჩვენი მამა-პაპანი, ვერაფერს ვერ დააჯერებ რეგენის დღეს, ტყუილია მათთან ნიო ჭაპანი. სადღა არის ძველი ცემა პატივის და გვიყრიან ხშირად ნყალში იმედებს, მავანისგან გვესმის სიტყვა მარტივი პატივი გსურთ? კი, ბატონო, ინებეთ! მოუფრთხილდით ამ ხედებს და იმ ხედებს, შეხე, ნისლი თრიალეთზე მიბოზლავს, თუკი მამულს დროულად არ მიხედვ. ამ ადგილებს ხვალ სხვა შემოიღობავს. ვადლეგრძელებ ჩემს საყვარელ სამშობლოს და ერთ რამეს ვიტყვი დაუფარავად, ღმერთმა ნუ ქნას, კმაყოფილი მამყოფოს, კიდეც კარგი კმაყოფილი არა ვარ.



ნიკლოზ
რუყაძე

ვახტანგ
ჯაფარიანი

პირველი ნაწილი

სადარბაზოდან ქუჩაში შურდულივით გა-
მოვარდნილ პატარა ადამიანს თავის შეკავება
რომ ვერ მოეხერხებინა, გემივით შეცურდე-
ბოდა წვიმის წყლის უზარმაზარ გუბებში. ნეს-
ტისა და დილის მსუბუქი სუსხით გაჟღერებული
დედამინა ზანტად იშუმებდა წუხანდელი ავ-
დრისგან მიყენებულ ჭრილობებს უკვე ძალაგა-
მოცლილ ღრუბლებს შორის ხასხასა სვეტებად
გამოდნული მზის სხივებით. რალაცნაირად
მდორედ, აუჩქარებლად, თითქოს ეზარებო,

დასაწყისი იხ. №6-2008

ისე იდგიძება არეშარე. სიზანტე ყველაზე მე-
ტად ადამიანებს ეტყობოდათ, ძილისა და უა-
მინდობისგან რომ მოთენთილიყვნენ. თუმცა
ქუჩები მაინც შესამჩნევად ავებულიყო მათი
ფუსფუსითა და ჟრიაბულით — ვინ სამსახურ-
ში მიიქაროდა, ვინ სასწავლებლად, ვინ — სად
და ვინ — სად... და მათ შორის, როგორც ყველა
სხვა იქაურობის სრულყოფილებიანი მკვიდრი,
ჩვენი გმირიც ჩართულიყო ქვეყნის ამ ერთიან
სუნთქვაში. მხნედ დაბიჯებდა ქალაქის იმ ქუ-
ჩებში, სადაც ხალხმრავლობა იგრძნობოდა და
ადამიანებთან დამეგობრების სურვილი სულ
უფრო და უფრო უძლიერდებოდა, — შეგელო
პირველივე შემხვედრი გაეჩერებინა, დამეგობ-
რებოდა! ოღონდ არ ჩქარობდა, მთლად ასე,
ნაუცბადევადაც აღარ უნდოდა მასსა და სამ-
ყაროს შორის აღმართული კედელი დამსხვრე-
ულიყო. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ
ეპარებოდა, მაგრამ რადგან ეს დღე მისთვის
ძალზე მნიშვნელოვანი იყო, აღარ ემეტებოდა
ასე უბრალოდ, ერთი ხელის მოხმით ამოსანუ-
რად. ამ ყოყმანსაც თავისებური ხიბლი ჰქონდა.
ეგვიც არ იცოს, ერთხელ და სამუდამოდ გამოე-
მუშავებინა ჩვევად სიფიქრე, თავდაჭერა, რომ
იტყვიან, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა.

მერე და მერე, რა თქმა უნდა, თამაზად მოუ-
წევდა ადამიანებთან მისვლა, კეთილი ზრახვე-
ბით მათ სულში შეჭრა, მათი გათბობა, ვალეი-
ძება, ოღონდ თავდაპირველად საამისოდ უნდა
გამოერჩია ადამიანები. მართალია, ყველა უყ-
ვარდა, ყველასთვის გული ჰქონდა ღია, მაგრამ
ახქარება მაინც არ არგებდა. დასაწყისისთვის
ნაცნობ ადამიანებთან უნდა ეცადა ბედი. დარ-
წმუნებული იყო, ასეთებს მრავლად გადააწყდე-
ბოდა ამ ქუჩებში — ყოველთვის, როცა შინიდან
გამოდიოდა, ეჩვენებოდა, რომ ღამის ყოველ
ნაბიჯზე ნაცნობებს აწყდებოდა. გამგელეებს
სახეზე არ უყურებდა, ჩვევად ჰქონდა მათთვის
თვალის არიდება. უბრალოდ, ინტუიცია კარ-
ნახობდა, რომ ისინი ყოველ კუთხე-კუჩქულში
მიმოვანტულიყვნენ — ელოდებოდნენ, როდის
მოიცლიდა მათთვის, ყურადღებას მიაქცევდა,
მიესალმებოდა!

...ისე, რაც მართალია, მართალია, დიდი და-
ნაშაული მიუძღოდა ჩვენს გმირს ნაცნობთა
წინაშე ამ ერთთავად თავიქაჩინდრული სიარუ-
ლით, სახის არიდებით! ეს რომ გაახსენდებოდა,
ფრუანტელი უვლიდა, ცდილობდა, სხვა რამე-
ზე გადაეტანა ფიქრი, მაგრამ ვერ ახერხებდა,
ვერც თავს ინუტყებებდა. მერე რა, რომ მხარედ
განიცდიოდა თავის საქციელს, რომ თავისივე
ნება-სურვილის გარეშე სწადიოდა ამას? ერ-
თხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ ყოველთვის
ხომ არ ეპატიება? ეს აღარ ჰგავს შემთხვევი-
ლობას! ვერ გაუგებენ — მუბლზე ხომ არაფერი

განერია! ხალხი პირდაპირობას არის ჩვეული... პირდაპირობას, რომელიც ხშირად ზედაპირულობაში გადადის. ეჰ, ამის წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებ! ისე, სხვა რას ვერაოდა, თვითონ იყო უცნაური... მაგრამ, სადაც, ცოტათი, ლამის თავის თავსაც რომ უშლავედა, ისე, მაინც მსყდებოდა გული: პირველად იმაზე, ასეთ უცნაურ ადამიანად რომ განადა ქვეყანაზე, და მერე ადამიანებზეც. ძნელიცაა და არც არის ძნელი, ვაუთო ადამიანს, თუნდაც ისეთ უცნაურს, როგორიც თვითონაა! თავისი უცნაური, ყოველად უმართავი საქციელით სახელს იტყვდა ნაცნობებში და მათაც უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა. მაგრამ რა ქნას, ასეთი გააკინა ღმერთმა. ოდნავ გულისყურით თუ დააკვირდებიან ადამიანები, მიხედვებიან, რომ განზრახ არ სწადის ამას! ცოცხად არ უნდა ჩაუთვალონ, სიტბოს გამოჩენა რომ უჭირს! განა არ ავლენს, ვერ ავლენს! არ ძალუძს! არ ეხერხება! ბოლოს და ბოლოს, ყველა თავისებურია!

ყოველთვის და რაც მთავარია, დიდხანს არ უგრძობლდებოდა ჩვენს გმირს ეს პრეტენზიოზუპარული განწყობა. სხვაგვარად ფიქრს შაშინიწყებდა, როდესაც ვრძობდა, რომ ზღვარს ეს-ეს არის გადავიდოდა და ამ დროს ნაცვლად იმისა, რომელიმე გზაჯვარედინზე დაემგარიყო და მთელი ძალით ამოეღრიალებინა გულისწანებები, სადაც ვარბოდა, იმალებოდა და ჯავრს საკუთარ თავზე იყრიდა. ახიაო ჩემზე, გაიძახოდა და ყველაფერს თავის პრეტენზიულობას მიანერდა, რისი უფლებაც, მისთვის რომ გეკითხობა, ადამიანს არ უნდა ჰქონოდა — მით უმეტეს, ისეთ უხვიროს, როგორიც თვითონ იყო! ეს ტანჯვა-ვაება იმით სრულდებოდა, რომ დღის მიწურულს განმარტოვდებოდა თავის პატარა ოთახში, საწოლზე მიეგდებოდა, თავზე ბალიშს დაემხოდა და იყო ასე გატრუნული, თვალცრემლიანი...

ფიქრებში ჩაძირული ერთ ადგილას შედგა. კარგა ხანს იგდა გაუნძრევლად. ბოლოს როგორც იქნა, გამოერკვა და ამღვრეული თვალებით ირგვლივ მიმოიხედა. ქუჩა კვლავ ძველებური ცხოვრებით ცხოვრობდა, ხალხი თავისთვის მიმოდოდა. პრაზი მოერია — ვინ იცის, რამდენმა ნაცნობმა ჩამოხრა და მე კი ისე მთელი ავარიდყო. რა თქმა უნდა, ეს ვარაუდი იყო და ასე ალაღებდზე ვერავის დაედევნებოდა უკან, მაგრამ თავი კი მკაცრად გაიფრთხილა: ფიქრებს ნუ აჰყოლიხარ, გულისყური გამოიჩინეო და გზა განავრძო. დიდხანს იარა, ერთი გრძელი ქუჩა და კიდევ რამდენიმე მისახვევ-მოსახვევი უკან მოიტოვა. მზად იყო, ასი ამდენიც გაევიო, მაგრამ ერთმა უცნაურმა გარემოებამ შეაცბუნა: მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება აღარ ვაჰფანტვია და ხალხის ტალღაც არ მეთხლებოდა, გამველეღ-გამომვლეღში ვერც ერთი ნაცნობი ვერ აღმოაჩინა. შედგა და თავისდა უნებურად ფიქრს მისცა თავი, უნდოდა,

ვარკვეულიყო, რა ხდებოდა. ერთი პირობა, ეს შემთხვევითობას მიანერა, მაგრამ იმდენად იყო დარწმუნებული, გუშანი არ ატყუებდა, შემთხვევითობა მალევე გამოჩნდა. ახლა ექვი შეუწნდა: ნუთუ ემალებიან? სამაგიეროს უხდიან — ახლა თვითონ არიდეგენ თვალს... ოჰ, არა, ამის გაფიქრებაც კი ზარანდა! არადა, სინამდვილეს ჰგავდა... პატარა ადამიანს ავისმომასწავებელი წინათგრძნობა უხუთავდა სულს, გონებას უღრღნიდა. სასწრაფოდ რამე უნდა ელენა, რაიმე სანუგეშო მოეფიქრებინა, თორემ მერე და მერე მთლად გადაეურებოდა გადარჩენის იმედი! გამწარებით დასწერებოდა ქვეფენილს, ისე ხვრეტდა მზერით, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს რამე. ქვეფენილი, რა თქმა უნდა, არაფერ შუაში იყო. თუმცა ბოლო წამს, ჩვენს გმირს მთლად გათავებული რომ ეგონა საქმე, თითქოს ქვამ უკარნახაო, ერთმა პარმა გაუნათა გონება: იქნებ ისინი, ნაცნობები, არც არასდროს ყოფილან ქუჩებში ასე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიმოფანტულნი? ჰო, ჰო, ნამდვილად ენეფილებოდა მათი სიახლოვე — სიარულის დროს თავი ხომ ერთთავად მინამი ჰქონდა ჩარგული ბოლოს და ბოლოს, სად უკავდა იმდენი ნაცნობი, ყოველ კუთხე-კუნჭულში რომ შექუთუთებოდნენ? რანამ ეს გაიაზრა, გულზე მიეშვა. ისე ამოისუნთქა, გეგონებოდათ, მთელი ცხოვრება ფლტვებში პაერი უგროვებია და ახლად უშვებია.

გზა განავრძო. არ იცოდა, რამდენ ხანს დაეხეტებოდა უგზო-უკვლოდ, ისევ აერია დროის შეგრძნება, მაგრამ მაინც მოუწია გამოკვეევა: ქუჩის უზარმაზარმა საათმა ჩამოჰკრა და, ცოტა არ იყოს, დაფრთხოჩენი გმირი. მოერვენა, რომ განა მარტო იგი, მთელი ქალაქი გამოარკვია დროის ამ მექანიზმმა. საათი საწუშაო დროის დადგომასა თუ ვერ ისევ მოახლოებას იუნწყებოდა — პატარა ადამიანს არ დანიტრეესებულა ამით, არც შეჩერებულა, ოდნავ შეანელა ნაბიჯი. ახლა უფრო დაფინებით დააკვირდა არემარეს და მოეჩვენა, რომ ხალხის მასამ შეთხელება იწყო — სკოლის მოწაფეებიც აღარსად ჩანდნენ... სწორედ ამ დროს, თითქოს განგებო, რომელიღაც მიყრუებულ ჩიხში შებორილდა, სადაც ქვის ვალავნების, გამოზურული ჭიჭიერებისა და ერთი გაქუცული ძაღლის მრეცხი ვერავის და ევრაფერს გადაახყდა. შედგა და უაზროდ დააცვრდა ძაღლს. სურვილი აღედგა, ძაღლისთვის რაღაც თბილი ეთქვა, იქნებ მოფერებოდა კიდევ, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, — ახლა არ ჰქონდა მისი დრო, სხვა რამ უფრო სერიოზული ანუხება — მთელი გულისყურით ხომ სხვაგან, სულ სხეულში იყო! ნალეღიანად მოსწვევტა ძაღლს მზერა და იმ მხარეს გაიხედა, საიდანაც ჩიხში აღმოჩნდა. იქ, მთავარ ქუჩაზე ვერ კიდევ ტალღად მიედინებოდა ხალხი.

ნაცნობის პოვნის იმედი საბოლოოდ გადაუნრული ჰქონდა. ყველაფერს რომ თავი დავანე-

ბოთ, დრო აღარ ითმენდა — უჩვენებოდა, საცაა ქუჩები დაცარიელებდნენ და ადამიანებთან დამეგობრების მძაფრმა სურვილმა ერთი ახალი და თუმცა მაინც ძველი გადასწყვეტილება მიიღებინა: ყოველი ნაცნობი, რაღა თქმა უნდა, სახელდაც უცნობი იყო და მანაც უცნობების საძებნელად გასწვია. დიან, სწორედ უცნობების, რადგან მართალია, ისინი ვარემო მრავლად ირეოდნენ, მაგრამ მაინც საძებარი იყვნენ და აი, რატომ: ყველა ადამიანი თავისებურია და ერთმანეთისაგან განსხვავებული. ეჭვი არ არის, ყველა ერთნაირად ვერ აღიქვამდა და გაიგებდა მისგან შეთავაზებულ მეგობრობას. ეს უფრო კარგად, იოლად გამოუვიდოდა ვის, ვის — ძნელად. შესაძლოა, ზოგიერთი დაბნეულიყო კიდევ, რადგან უჩვეულოა გულის გადახსნა, მით უმეტეს, უცნობისაგან. თუმცა ამის საწინააღმდეგოდ პატარა ადამიანი რამეს მოიფიქრებდა, მაგრამ ახლა, რადგან პირველად იწყებდა ყველაფერს, განსაკუთრებული ადამიანები უნდა გამოერჩია. ისეთები, ვისაც შაერთი უსაჭიროებათ ადამიანების თანადგომა, ერთგულება, მართლია, შუბლზე არავის აწერია, რა უჭირს, რა სჭირდება, მაგრამ პატარა ადამიანი უცბად მიხედვით ყველაფერს, გული უფარისებოდა ამას.

სწრაფად მოსწყდა ადგილს, ფეხებში გაქუცული ძაღლი აებლანდა, მასთან რომ მიცუცქებულყო და კუდას უქიციებდა. კინალამ ნაიქცა, ძაღლსაც ეტკინა რაღაც, დაინკუტუნა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია პატარა ადამიანს. ქუჩაზე გამოვიდა, გაიხილა-გამოხიდა და ხალხის ნაკადისკენ წავიდა, მასში გაითქეფა. სათითაოდ ყველა გამეღვლა ამონებდა, ზოგიერთს აჩერებდა კიდევ, თითქოს მათში პოულობდა იმას, რასაც ეძებდა, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესის, ანუ უფრო უმწესო პოვნის იმედით სულ წინ და წინ მიიწეფდა. ასე წუნაობაში გაიარა გოგონა ქუჩა. ახლა სხვა ქუჩაზე გადავიდა, იქიდან კიდევ სხვაზე, კიდევ, კიდევ და ბოლოს, ასე ფუჭად წანწალში ერთი ადგილი ეცნაურა: განირი ქუჩა, ზემოდან გადმოიმდგარი ქუჩის უზარმაზრი საათი, იქვე მიყრუებული ჩიხი და ის ძაღლი, ნელან ჩიხში შესულს რომ მიეცება — ესე იგი წრეებს არტყამდა. წესით, ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, თუნდაც სულ ერთ ალგას რომ მდგარიყო, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა — ქუჩაში სახეები ხომ თავისთავად იცვლებიან, მაგრამ რატომღაც, თუთონაც რომ ვერ ვააცნობიერა რატომ, მაინც ეფუნაურა ეს გარემოება. სცადა, მთელი გულისყურით ჩაღრმავებოდა არსებულ სიტუაციას და ორიოდ წაუღო დაწინაურებული იყო, რომ იმავ ადგილზე მისი აღმოჩენა არა შემთხვევითობა, არამედ ზებუნებრივი ძალების მიერ დაშვებული მოვლენა იყო. ეჭვი აღარ ეპარებოდა იმაშიც, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა იდგა, რაღაც მნიშვნელოვანი რამ მოხდებოდა — ვინ იცის,

იქნებ ეპოვა კიდევ ის, ვისაც ეძებდა. პოდა, მისკენ მომავალ ხალხის ტალღას მზერით დააცხრა. იმდენად აღზნებულიყო, შესაძლოა, ნებისმიერ გამეღვლეო ამოცნებო მისთვის საჭირო ადამიანი. და აი, აღმოაჩინა კიდევ: ეს იყო ვიღაც სიმბათური ახალგაზრდა, ასე მისი ასაკისა ან ცოტა უფროსი. არეულად მათბავდა, ხან სხვებს ეტლანდებოდა ფეხებში, ხან თვითონ ულობავდნენ გზას. ჩქარობდა, თან შენუხებულნი ჩანდა. აი, ვიღაცა ძლიერ გაკაპო მხარი, ლამის ნააქცია, მაგრამ მას არც კი შეუძინებია, თითქოს არაფერიო, ისე გააგრძელა გზა. რაც უფრო უახლოვდებოდა ჩვენს გზისს, მით მეტად გარკვევით ეკითხებოდა სახეზე წუნისი. ამას პატარა ადამიანს ვერ გამოაპარებდი, გუმანი არასოდეს ატყუებდა, მაშინვე ვრძინებდა სხვის სიტყვებს. გულისგულში კმაყოფილიც კი იყო, ასეთ ვინმეს რომ წააწყდა და ერთბაშად შეემინდა, ეს ეგოსტიზმად არ ჩამეთვალისო, მაგრამ თავი დაიშვიდა — რაც მეტად წყალნაღებულა ადამიანი, ხომ მით უფრო დიდია მისი გადარჩენის ალბათობა!

აგერ, საცაა გაუსწორდებიან ერთმანეთს — თითქმის დროიყო გამოლაპარაკებისა და გამოვლაპარაკებოდა კიდევ! მაგრამ... ეს რა არის?! რაღაც უშლის ხელს, აბრკოლებს... ვითომ ერიდება? ვერ ბედავს? ასეც რომ იყოს, მით უფრო უნდა მოერიოს საკუთარ თავს! დრო ისე არ ითმენს! უკვე იმდენად ახლოს არიან ერთმანეთს, რომ პატარა ადამიანს ევლარც განუსაზღვრება, რამდენი ნაბიჯი დარჩა მათ შორის — იქნებ ორი ან ერთი, ან სულაც აღარაფერი... არა, სულაც აღარაფერი არ შეიძლება იყოს, რადგან ჩვენი გზირი მის სახეს ვერ ისე ხედავს — ოჰ, რა წამის მეთედებში ასწრებს პატარა ადამიანი ყოველივე ამის გააზრებას. ამ დროს, მგონი, ბარბაცებს კიდევ — ოღონდ ბარბაცი არაა სათვალავში ჩასაგდები. წერილმანებზე ყურადღების მასამხვილებლად არა ხანაა მთავარია, არ ნაიქცეს... ოჰ, ჯანდაბა, ისევ წერილმანებზე ფიქრობს!

ნამიჯ და, ასცდებიან ერთმანეთს... წუთუ ვერ გამოვლაპარაკება მას ჩვენი გზირი? რაო, "წუთუზა" ნამიქე! პატარა ადამიანს ამ გადამწყვეტ ნაბიჯში მერყობამ ბრახე მოჰკვარა, მაგრამ რა დროს ბრახის დროა! უეჭველად გამოვლაპარაკება და მორჩა! გამოვლაპარაკება და სირბილიც გაჰყვება უკან — მასაც ხომ შეუძლია, სირბილზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩქარი სიარული მაინც — თანაც, უეჭველია, უცნობზე ჩქარი... ეგებ სწორედ მისმა სიჩქარემ გადაწყვიტოს უცნობის ბედ-ილალი... და გადაწყვეტს კიდევ — პატარა ადამიანს სჯერა ამის! იგი თანახმაა, უცნობს ნებისმიერ საქმეში გაუწიოს დახმარება — რა თქმა უნდა, უცნობი უკეთურს არაფერს მოითხოვს მისგან, არ მოითხოვს, რადგან კარგი ადამიანი ჩანს — უკეთურს არ ეხერხება წუხილი... ოჰ, ისევ სისულე-

ლევებზე ფიქრობს! რა დროს ექვიანობაა! საცაა მხარს აუქცევინ ერთმანეთს... დრო არ ითმენს!
და ამ დროს, თითქოს მეზი გავარდარო... ან შე-
საძლოა, არც არაფერი გავარდინლა და ეს მხო-
ლოდ მოეწევა პატარა ადამიანს, მაგრამ ერთი
რამ ცხადი იყო: თავს ველარ აკონტროლებდა,
გონება გაეყინა. რამდენიმე წამს ასე იყო, რაც
მისთვის, ალბათ, საუკუნეს უდრდა. მერე და მე-
რე ამ კომპარტიდან ნელ-ნელა იწყა გამორკვევა
— გონება გაეხსნა, აზრი მიიჭრება, მაგრამ ვაი,
რომ ამით უარესი დაემართა — რას ხედავს: მთე-
ლი ტანით თრთის, მარჯვნივ ხელით უცნობს
ქურთოკში ჩაფრენია და მარცხენა მთლილი
ნისქელის ფრთხაგით აქნებს, თან ლამის ყვი-
რის და რას, ესეც ვერ გაურჩევია. სირცხვილის-
გან მთლად ოვლში განურჩევია ერჩივია, მინა
გასკდომოდა. გველნაკენივით გაუშვა უცნობს
ხელი, მაგრამ ეს უფრო ინსტინქტურად მომოქ-
მედა, ვიდრე გონებით. აზროვნების უნარი რომ
დაუბრუნდა, გონებამ დაუნდობლად მოსთხო-
ვა, უცნობისათვის რაიმე გონიერული ეთქვა,
თავი ემართლებინა, ბოლოს და ბოლოს, მიე-
ბოდიშებინა მაინც, თორემ დამეგობრებას ვინ-
ლა ჩიოდა! ჰო, ბოდიში მაინც მოეხადა, მაგრამ
ახლა ის ექვცა თავსატეხად, რით დაეყო. ცარი-
ლი ბოდიში საკმარისი არ იქნებოდა, — თუ ეს-
მოდა რასაც სწადიოდა, საბოდიშოდ რატომღა
იხიდა საქმენ? და რადგან მაინც სწადის, მამ,
ჩადენის მიზეზიც უნდა განემარტა. მიზეზი კი
თავისთავად ერთი იყო: გულწრფელობა, სურვი-
ლი მეგობრის შექმნისა! თითქოს ამის ახსნა არ-
ცთუ ძნელი იყო, მაგრამ პატარა ადამიანი სულ
სხვა პრობლემას გადააწყდა — განმარტება მე-
გობრობის შეთავაზება გამოვიდოდა და სად გა-
ვინილა ადამიანს ერთდროულად მეგობრობაც
შესთავაზო და შეურაცხყოფაც მიეყენო? არ
გკითხავს, თუკი კითილი ზრახვებით მოდიხარ,
ტანსაცმელს რაღას მახვეო. იქნებ უცნობს მისი
ასეთი დაუღაგებელი, გაუწონასწორებელი საქ-
ცილის გამო შემოიღოდაც შეერაცხა.

ვითომ სიტუაციის გამოსასწორებლად რა-
ღაც ნაოლულლულა. რას ითხოვდა ამ კაცისგან,
თვითონაც ვერ გაერკევა, სიტყვებით უფრო ინ-
სტინქტურად, აზრის დაუტანებლად ნამოხრო-
ლა — მგონი, საათზე ჰკითხა რაღაც.

უცნობს გამომეტყველება შეეცვალა. სადღა
იყო ის სულიერი ტკივილით შეძრული კაცი,
სხვა პრობლემად რომ ამოიცირო მასში პატარა
ადამიანი. ყველაზე მეტად მისმა თვალბემა
დააფრთხო ჩვენი გმირი, — ამკარად ბოროტად
უვლავდა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. მიხვდა,
თავისი ქცევით მეტად და მეტად ამძიმებდა
მდგომარეობას. ახლა ყველაფერი ბუნებ
და — ცოტაც და, იქნებ უმეურადაც გაელანძლა
უცნობს... თუმცა ჯერჯერობით თავს იკავებ-
და, მხოლოდ თვალთ ზომივდა ჩვენს გმირს.
უეცრად მზერა მოსწყვიტა და ცივად გაიხედა
განზე, იქით, საიდანაც ქუჩის დიდი საათი გად-

მოჰყურებდა, პატარა ადამიანისაკენ სახემოუ-
რუნებლად ნაიბუტბუტა რომელი საათი იყო და
ნასასვლელად ნაბიჯი გადადგა.

პატარა ადამიანს სიტყვით აუწერელი რამ
დაემართა: ის მიდის! აი, ნამიჯ და გაშორდება!
განწყენებული მისის — მისგან განაწყენებუ-
ლი... ვერ დაუშვებს ამას! და ამ დროს მისი კონ-
ფუსიონი მოძრაობა და ყრუ ხრიალად აღმოჩნ-
თხული, ყელში გაჩხერილი სიტყვა უცნობს
აჩერებს. აჩერებს, მაგრამ სახეზე აღბეჭდილი
მრისხანება უფრო უმძაფრდება. ეს მრისხანება
ლურსმანივით ესობა პატარა ადამიანს თვალე-
ში, მაგრამ იძულებულია, აიტანოს... უცნობის
რისხვა, ერთი მხრივ, სამართლიანია: ვინ იცის,
რა ოქრის ფასად ღირებულ დროს ართმევს?! და
საერთოდ, ის ერთი მხრივ კი არა, ყოველმხრივ
მართალია — ჩვენს გმირს ერთი ნამით არ უც-
და მისი გამტყუნება. უბრალოდ, ისეც მისთვის
უნდოდა კარგი: დროს ართმევდა, მაგრამ სანაც-
ვლოდ ათჯერ და ასჯერ აუნაზღაურებდა დანა-
კარგს, აუნაზღაურებდა მხარში ამოღვობას,
ჭირის გაზიარებას — რაც უცნობმა, რა თქმა
უნდა, ჯერ არ იცოდა და ეს იყო სწორედ პრობ-
ლემა. არ ცოდნა არცოდნა, ამბობენ. თუნდაც
მარტო ამის გამო უნდა შეევაგებინა იგი პატარა
ადამიანს, როგორმე უნდა აეხსნა მისთვის ყვე-
ლაფერი — ამის საფასურად ღირდა იმ რამდენ-
იმე ძვირფასი ნუთის დაკარგვა, შემდეგ კი ერ-
თად გაუღვებოდნენ გზას! და განა უბრალოდ
გაუღვებოდნენ, სირბილით გაუყვებოდნენ —
ორი მეგობარი!

მაგრამ ენა რომ ბემის? არა! არა და არა! გულ-
ში ლამის ყვირილით უარყოფდა ამას. ყველაფერს
დასძლევს! აი, იმზადება კიდევ... უკვე მზადაა.
ყოველი სიტყვა, რომელიც უნდა ნარმოთქვას,
აწილილი აქვს... მაგრამ რა ხდება? უცნობმა
ისევე გაიანთა ნასასვლელად. ოღონდ ახლა მრ ნა-
სულიყო, სულ რამდენიმე წამი ესაჭიროებოდა
პატარა ადამიანს მასთან გასატარებლად —
სათქმელის დანყება იყო მთავარი... მერე უცნო-
ბი მოღებოდა და მიენდობოდა მას. ქურთოკ-
ში, რა თქმა უნდა, ველარ ჩააფრინდებოდა, სხვა
რამე ხერხი უნდა ელონა. და აი, უცნობ, თვითონ
დაც რომ არ მოელოდა, ისეთი მოხერხებულობა
გამოიჩინა უცნობის კიდევ მცირე ხნით შესაკა-
ვებლად — არც მეტი, არც ნაკლები, უცნობს
სიგარეტი სთხოვა. ეს იყო ის ელემენტარული
საბაბი, რითაც თვითონაც ბევრჯერ გაუჩერე-
ბით მუქაში. პატარა ადამიანი პატარა გამარ-
ჯება მოიპოვა. უცნობი მისი სიგარეტით გამას-
პინძლებას რამდენიმე წამს მოუნდებდა — (თუკი
საერთოდ ენევა სიგარეტი) — ამ დროში უნდა
ჩატულებული ჩვენი გმირი.

აი, ერთმა ნამმა უკვე ჩაიქროლა... რამდენი-
მე ჯერ კიდევ მარაგში აქვს. სანამ უცნობი ვი-
დიან სიგარეტის კოლოფს ამოიღებს, სანამ
კოლოფიდან ჩვენი გმირი აართოლებული თი-
თებით ერთ-ერთს ამოაძერწენს... ოპ, ეს დროის

უზარმაზარი მარაგია! უზარმაზარია, რადგან პატარა ადამიანის ვარაუდით, მთავარი სათქმელის დაწყებაა. თანაც, დრო პატარა ადამიანს შეეძლო კიდევ რამდენადმე გაეჭიანურებინა, თუკი ოდნავ მაინც შეაყოვნებდა ხელის მოძრაობას კოლოფიდან ღერის ამოძვრებისას. და ამირებს კიდევ, ასე მოიტყცეს, მაგრამ სიგარეტის კოლოფი ჯერ არც კი გამოჩნდებოდა ხელი უკვე თავისთავად გაურბის მისკენ, აღარ ემორჩილება, მისგან დამოუკიდებლად მოქმედებს! არა უშავს, ესეც არაფერია — დრო ისევ საკმარისად აქვს; რატომღაც მტკიცედ წაშნა თავისი გამარჯვებისა!

და აი, იგი არ შემეცდარა — საცაა სიგარეტის კოლოფსაც ამოიღებს უცნობი და... — იცით... — მორცხვად წამოიწყოს...

თუმცა ღელავდა, აფორიაქებული იყო, მაგრამ ცდილობდა, არ გაემტვლეებინა და თავს ინუგეშებდა — ახლა ყველაფერი თავისთავად წარიშვრებოდა

და უნდა წარმართულიყო კიდევ, რომ... უცნობმა კოლოფის ნაცვლად უბიძგა ერთი ღერი სიგარეტი ამოაძვინა, ჩასწარა გაბნევილი ხელში და თვალის დახამამებაში გაუსხლტა! ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა პატარა ადამიანისათვის, რომ ხეირიანად ვერც მიხვდა, რა მოხდა. გონება ისევ აერია, სიტყვა ყელში გაეჭიბრა. აზრი მასწრად მოიკრინა, როდესაც უცნობი საკმარ მანძილზე გასცილებოდა. ეს იყო კატასტროფა! საბრძოლველ სისხლი თავში აუვარდა, ლამის თავის ქალა აეხადა...

ჯერ კიდევ კარგად ილანდებოდა უცნობის სილუეტით, რომ იგი უეცრად შედგა, ვიღაც გოგოს მივსალმა, გადაეხვია და გადაკოცნა კიდევ! ამ სცენარე პატარა ადამიანს ყველაზე აბსურდულად თავივლი ეჩვენა, უცნობმა რომ გოგოს მიართვა და რომელიც მის ხელში აქამდე რატომღაც ვერ შეაჭმინა — უცნობი თურმე თავის სატრფოსთან მიიჩქაროდა, თვითონ კი...

თავი ისე გააქნია, თითქოს ყურებიდან რაღაცის გამობერტყვას ლამობსო. მერე იქვე, ტროტუარზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და გაიტრუნა. ხედებოდა, უნდა ამდგარიყო და გასცლიდა იქაურობას, მაგრამ ვერც ამას ატეებდა... პატარა ადამიანი ძალიან დაილაღა.

კარგა ხნის შემდეგ წამოგდა, მუსხლებში სისუსტე იგრძნო და ხეს მიეყრდნო. ქუჩას უაზროდ მიამატრუნდა. ხელი მექანიკურად წაიღო თავის მოსაქუქად. მოიქუქა კიდევ, მაგრამ ხელი მაინც ჰაერში გაუშეშდა — უცნობის სიგარეტი თითებში გასჩხეროდა. უსიამოდ შეიჭმუნხა, გადაწყვიტა, გადაეგრო, მით უმეტეს, რომ პატარა ადამიანი სიგარეტს არ ენდობა. შორიახლო წავლის ურნა დაინახა და ლასლასით გასწია მისკენ — ერთი ნაბიჯი გადაადგა, ორი, სამი... და სანამ ურნამდე მიადგა, ღერი გადასაგდებად დაეხანა. ერთმა ნათელმა აზრმა გამოუკეთა ვუწინა: თვითონ თუ არ ენევა, სხვას გაუმასპინძლებდა,

ეინმე სთხოვს და გაუმასპინძლებდა! რატომ უნდა გადაადგოს? ადრეც რამდენჯერ უთხოვიათ... ისიც ვაახსენდა პატარა ადამიანს, რომ სიგარეტი უცნობთა გასამასპინძლებლად ხშირად საგანგებოდაც უყვია.

ერთხელ ვიღაც გამგელეს ერთი ღერის ნაცვლად ექვსი გაატანა... მოკლედ, ჩვენი გვირი სასიამოვნო მოგონებებში ჩაიძირა. ახლახან თავს გადახდენილი სცენა ნელ-ნელა გაიცრია, დაილია, მართალია, დავიწყებას არ მისცემია, მაგრამ აღარც ხელი შეუშლია პატარა ადამიანის გამოცოცხლებისათვის. მცირე ხნის შემდეგ ჩვენი გვირი ოცნებით ისევ მეცხრე ცაზე აღმოჩნდა. ბევრი არ უფიქრია, გადაწყვიტა, მეგობრები უცნობებში კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ნაცნობებში ეძებნა მერე რა, რომ ასეთი ადამიანები ქუჩაში ვერ აღმოაჩინა? უნდა ნასულეყო იქ, სადაც ნაცნობთა მთელი არმია ელოდებოდა! ასეთი ადგილი კი მისი სამსახური იყო!

აქამდე როგორ არ მოუვიდა ეს აზრად — მაშინ, წამსახურისაკენ იმ ერთი არცთუ სხვებთან საგან განსხვავებულად, მოზრდილ დაწველებებისაკენ, რომელშიაც ჩვენს გვირს ყველაზე დაბალი, არასაბასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა — ის დამხმარე მუშა იყო. სართულიდან სართულზე, ოთახიდან ოთახში, კიდევ ორ თავისნიარ მუშასთან ერთად უნდა გადაეზოდა ხან საწერი მაგიდა, ხან — ნივთების კარადა, ხან — რა და ხანაც — რა. ზოგჯერ კედლებზე ნახატებსაც უკიდებდნენ...

ავტობუსის გაჩერებაზე ადამიანების პატარა, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვუფს მოყვარა თავი. მართალია, მათში ორი ხანში შესული, თითქოს მოღუშული ადამიანიც უნდა, მაგრამ დანარჩენები, ორი ბიჭი და ერთიც მათსავე ბიჭურად ჩაცმული ეკვლავი გოგო იქაურობას იკლებდნენ. ამ სრულიად ჩვეულებრივ, მაგრამ რაღაცით მაინც მოულოდნელ ატმოსფეროში აღმოჩენილი ჯერ კიდევ საკმაოდ აღელვებულ პატარა ადამიანს პირველი წამიდანვე, თვითონაც რომ ვერ ახსნა რატომ, მოეჩვენა, თითქოს მხიარულ ადამიანთაგან რომელიმე გამოელაპარაკებოდა, დაუკითხავად შეიჭრებოდა მის სულეირ სიმყუდროვეში, რაც იმპაზინდელ მის შინაგან მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ძალზე სახიფათო აღმოჩნდებოდა ჩვენი გვირისთვის — უცნობთან თავს გადახდენილი სამარცხვინო შემთხვევის შემდეგ, ალბათ, კარგა ხანს ვეღარ მოახერხებდა, ვეღარ გაბედავდა უცხო ადამიანებთან ურთიერთობას. ამიტომაც საკარაულო თავდასხმისაგან თავის დაცვა გადაწყვიტა — ვითომ პერანგის მოწვასიგება დაიწყა. შინაგან პროტესტთან ერთად დამფრთხალიც ჩანდა ჩვენი გვირი. თუმცა ამაში გამოტყდომი ძალზე ეძინებოდა. ამიტომ წინა პლანზე ისევ იმ შინაგან პროტესტის გადმოქრევის ცდილობდა. ახლა პროტესტი საუკეთესო საშუალება იყო „თავდამსხმელთა“ ღირსე-

ულად მოსაგერებლად. პატარა ადამიანი თავს იგულღიანებდა — აბა, ერთი გაბედონ და გამო-მელაპარაკონო და თვითონაც ვეღარ შეამჩნია ისე, ლამის მუშტების მოღერებავ გადავიდა. დაასლოებით ერთ ნუთს დაჰყო ამგვარ "მეინ-ვარებაში", მერე კი მოღბა, არც ასე შეიძლებაო და ცოტა ტონი შეარქობა: უბრალოდ, სჯობია, რომ არ გამოემელაპარაკონო, თორემ ისე, გა-მოლაპარაკებასაც ყოჩაღად დაუხვდებიო! და იქნებ დახვედროდა კიდევ? ასე იყო თუ ისე, პატარა ადამიანისთვის უკვე გაუსაძლისი გამ-ხდარიყო ამგვარი ყოფა. ყველასაგან წარგმე-ცევით მდგომს მზერა წამდაუნუნ იქითკენ გა-ურბობდა, საიდანაც კარგა ხნის დაგვიანებულ ავტობუსი უნდა გამოჩნებილიყო, ის ავტობუსი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, წერტილს დაუს-ვამდა მის ტანჯევას. ხან ბოლოთას სცემდა, ხან ერთ ადგილს მოუთმენლად ტყეპნიდა, ავტო-ბუსი კი არა და არ ჩანდა. ისევ წამოეპარა ში-ში, — ვაითუ, მაინც გამოემელაპარაკოს ვინმეო. განსაკუთრებით ის ბიჭურად ჩაცმული და თმა-შქერეჭილი გოგო აღრთობდა. ისევ აიძარგა, თუმცა მუშტის მოღერებამდე არც დაშვრად მისულა. გულში კი იქადებოდა, აბა, ერთი, გა-მომელაპარაკონო. არავისიც არ ერიოდა და არც არასოდეს მოერიოდა! ან რატომ უნდა მოერიდოს, არავისთვის არაფერი დაუშავებია! ჭკობაზე რამეს, ზრდილობიანად გასცემს პა-სუსსს! აი, თუნდაც იმ გოგოს! ვინც უნდა იყოს, საკადრის პასუსს გასცემს! თუკი რამეს უდიე-რად ეტყვიან, თვალგმზავ დაუბრიალებს... დი-ხხაც, ასე იქნება და პატარა ადამიანი თვალებს მართლაც აბრიალებს. მართალია, გაჩერებაზე ყოფთავან ზურგმეტყველები დგას და მის გავე-ბას ვერავინ ამჩნევს, მაგრამ თუ საჭირო იქნე-ბა, ნებისმიერს შეხედავს მრისხანედ — თვით იმ ქაჯ გოგოსაც კი, შორიახლო რომ დამდგარა! რატომ იმ გოგოს? რატომ და იმიტომ! ეგერეა სა-ჭირო!

პატარა ადამიანი მიბრუნდა და იმ «ქაჯ გო-გოს» მრისხანედ შეაჩერდა... და რომ ელოდა, ალბათ, გოგო შიშით მინაში ჩაძვრებო, მისდა გასაოცრად არაფერი მომხდარა. იმ გოგოს ჩვე-ნი გმირის მზერა თითქოს არც კი შეუქმნევია. არა, როგორ არ შეამჩნია, ძალიანაც კარგად შე-ამჩნია, დაასკვნა პატარა ადამიანმა, მაგრამ თა-ვი ისე დაიჭირა, ვითომ არ დაუხახახეს... ხო, ხო, ხო, რა ოხერია! ოხერია? არა, ოხერი რატომბა და უტეხ პატარა ადამიანს ამ ყანაზელი ქალზე წარმოდგენა სრულიად შეუცვალა: ის ხომ მშვე-ნიერი ქმნილება იყო! აქამდე როგორ ვერ შეამ-ჩნია! სახეზე აღმურმა გადაღურბინა, ძარღვებუ-მი სასიამოვნოდ აღქმობდა სისხლი. მერე ერთბაშად დაფრთხა, თვალზე მძრს დახარა, გაშეშდა. ავტობუსს რომ ელოდებოდა, აღარც ახსოვდა. დაუოკებელი სურვილი კლავდა — კი-დევე ერთხელ შეეველო თვალი ქალიშვილისთვის. უნდა შეხებოდა, ოღონდ განა ნელანდელივით გა-

მომწვევად, არა, ისე, ფარულად — ახლა ასეთი მზერა იყო საჭირო... და აი, გააპარა კიდევ თვა-ლი მშვენიერი ქმნილებისაკენ. დაჩრმუნებული იყო, მის მზერას ამჯერადაც ვერ დაიჭერდა.

გოგო მართლაც ძალიან ლამაზი იყო. მინაზე არ იდგა, თითქოს სივრცის ბევრად უფრო დიდ ნაწილში განთავსებულიყო. ამ დიდმა სივრცემ შთანთქა პატარა ადამიანი, შიგ მოიქცია. ასეთი განცდა იმეათადა დაუფლებია ჩვენს გმირს. ეს ძალზე ფაქიზი დაამავედროს სახეთათო გრძნო-ბა იყო. იცოდა, არაფრით არ უნდა გაეცა თავი. ამიტომ ხან ქუჩას გახვედოდა ყასილიდ, ხან ცას ასხედავდა და დროდადრო ქალიშვილისკენ გა-ვრებდა მზერას.

როგორც იქნა, ავტობუსიც გამოჩნდა. მიძი-მედ, გრუხუნნი და აოდედა გაჩერებას. პატარა ადამიანი მიხვდა, ქალიშვილი და მისი მეგობრე-ბი არ აპირებდნენ ავტობუსში ასვლას — ეს კი ქალიშვილთან განშორებას ნიშნავდა.

მახ პატარა ადამიანს შეგებო მომგვარა და თან გულიც დასწყვიტა. თუმცა ეს რეალობა იყო, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდა-რიყო. კიდევ ერთხელ გახვდა გოგოს და... მის თვალებს შეევეთა. დაჭინებოთა და იდეული მზერით მისჩერებოდა გოგო ჩვენს გმირს. ამ მზერამ დაარწმუნა პატარა ადამიანი, რომ ქა-ლიშვილს შეუქმნევული არ დაჩნებია იგი. პატა-რა ადამიანი თითქოს ნაწილაკებად დაიშალა და პაერში გაიფანტა. ერთადერთი, რაც მისგან დარჩა, თვალეტი იყო. განა არ აარიდა, ვეღარ აარიდა გოგოს და იდგა ასე. თითქოს თვალე-ბით დუელი გაემართათ — პატარა ადამიანი და ცეცხლივით გოგო... ცეცხლივით გოგო და პატა-რა ადამიანი! ეს რამდენიმე წამს გაგრძელდა და შემდეგ მოხდა ყოველად მოულოდენელი რამ: რა-ოდენ დაუფერებელიც უნდა იყოს, გოგო დამარ-ცხდა მან თვალეტი დახარა — აშკარად არ უნ-დოდა ეს და მაინც დახარა. პატარა ადამიანმა გაიმარჯვა. ის ბევრად აღემატებოდა იმდენან-დეულ, სადარბაზოში მეზობელთან მოპოვებულ გამარჯვებას. და გახალისდა პატარა ადამიანი — ცხოვრება ახლიდან დაიწყო!

რამდენიმე წამში ჩვენი გმირი თვალს მიეფა-რა...

...ოღორილორ ასფალტთან გზაზე მიჯაყვავ-ყვებდა ავტობუსი. სალონი ტევა არ იყო, გან-წარავაჭირდა. უკანა ბაქნის შუაგულში, საფა-გამად საკმაოდ მოუხერხებელ ადგილზე მოხვედ-რილი პატარა ადამიანი ვერც ერთ სახელურს ვერ ეჭიდებოდა და წამდაუნუნ ამწყდებოდა მგზავრებას. ერთადერთი, რითიც თავს იმაჯ-რებდა, ავტობუსის ჭერზე მიხრახნილი ციცქნა ჭანჭიკი იყო, თითის ნვერებით რომ ებლაუჭებო-და. ასე ცდილობდა თავის შემაგრებას — ცდი-ლობდა, როგორც ნიკონალეული ცდილობს ხავსზე მოჭიდებას. თუმცა ახლა ნიალნალებუ-ლი სრულიად არ ეთქმობდა. თქვენ მაშინ გენა-ხათ, როდესაც ავტობუსში სახელურზე ორივე

ხელით ჩაჭიდებული ვინმეს მხარს გაჰკრავდა და შენუხებული საკუთარი სხეულის შეკუმშვას ლამობდა, მაგრამ ეს ნარსულში იყო, თუნდაც გუმინ. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. ახლა ყოველი უნეტური შენარცხება თანამგზავრებთან სიაშოვნებასაც კი გვრიდა პატარა ადამიანს. პედინერი იყო — არავის სწყინდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს ავტობუსია და თავის ნებაზე აჯანჯლარებს ხალხს!

ავტობუსი კი მიდიოდა, უკან რჩებოდა ვარერები, სადაც მგზავრთა ნაწილს ტოვებდა და მათ სანაცვლოდ ახალს კრებდა. პატარა ადამიანს წინ კიდევ საკმაო გზა ედო და მით უფრო გრძელი ეჩვენებოდა, რაც მეტს ფიქრობდა მის სწრაფად გავლაზე. ერთი სული ჰქონდა, სამსახურში მისულიყო, სადაც მისივე ღრმა რწმენით, დიდი საქმეები ელოდებოდა და მოუსვენრად ცქქუტავდა. თუმცა ეს არ აწუხებდა. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ის რად ღირდა, რომ თავს ავტობუსში მყოფთა ტოლად და სწორად თვლიდა. საცაა მისი სამსახურის შენობაც გამაზნებოდა, მაგრამ უეცრად ვიღაცამ მხარზე ხელი გაჰკრა. პატარა ადამიანი შეკრთა. ხელის ჩამოკეთსა საკმაოდ მოურიდებელი იყო, შემეშვევდას არ ჰგავდა და იმდენი მიხვდა, რომ ზურგს უკან მდგომამ იმ ვიღაცამ ამ ზღვა ხალხში სწორედ ის გამოარჩია. ნეტავ ვინ იყო ან რა საქმე უნდა ჰქონოდა პატარა ადამიანთან? პატარა ადამიანი არა იმდენად ავისმომასწავლებელია წინათგარძნობამ შეიპყრო, რამდენადაც ამ შემთხვევის მოლოდინი ჰქონდა ადამიანი თავგანს. გამოდის, მაინც მოუნდება ვიღაც უცნობთან ურთიერთობა. როგორღაც მოახერხა და თავი მიაბრუნა. ძალიან ბუნდოვნად, მაგრამ დაბოლოებით მაინც წარმოადგინილ ყველა ჩვენს გმირს, როგორი გარეგნობისა იქნებოდა ის უცნობი: მალალი, თუმცა, შესაძლოა, დაბალიც ან საშუალო სიმაღლისა, ოღონდ აუცილებლად უხეში — ძალზე უხეში! ქალი თუ კაცი? კაცი! მაგრამ იქნებ ქალიც იყო — საშუალო ხნისა, კოტიტა თითებით... ერთი რამ იყო ცხადი — როგორიც უნდა ყოფილიყო უცნობი, პატარა ადამიანი მაინც მხნედ უნდა დახვედროდა.

და აი, მიბრუნდა, მიბრუნდა და... ხელთ ერთი ჩია მოხუცი ქალი შერჩა — ქალი ფულს აწვდიდა სამგზავრო ბილეთის ასაღებად. რაც მართალია, მართალია, გაიხარა პატარა ადამიანმა. სიაშოვნებით გამოარჩევა მოხუცს ფული და ვიღაც შუახნის ტანმალალ მამაკაცს ყოველგვარი მორიდების გარეშე გადაიანდა, თუ არ შენუხდებით, ერთი ბილეთი გადმოიწაფეთო! შერე ისევ მოხუცს მიუბრუნდა და თითქოს მისი დამშვიდებდა სურსო, ღმილით მოახსენა, ახლავე გადმოგვცემენო. სანამ ბილეთს მოხუცს ჩააბარებდა, ფიქრით ნარსულს გადასწვდა. ო, რომ იცოდეთ, როგორ უჭირდა ადრე ჩვენს გმირს ამის გაკეთება. ერთდებოდა რაღაცის, თვითონაც არ იცოდა, რისი. წვალბობდა, ბილეთის

თის ასაღებად გამზადებულ მონეტას ხელით უმონწყალოდ ქულებდა. ერთხელ წითელსამკლავრიანმა კაცმა დააჯარიმა კიდევ უბილეთოდ მგზავრობისათვის. აი, მაშინ კი მართლაც შავი დღე დადგა სანყალს. სულ ჭირის ოფლში გაიწურა...

ამასობაში ბილეთიც გადმოიწაფა და მიტარა ადამიანი რეალობას დაუბრუნდა. თავი იმით გაიმხნა, რომ ის დღეები ნარსულს ჩაბარდა. ახლა სულ სხვა ადამიანი იყო — ლდი, თავისუფალი. მხრებში გაიშალა და მამაკაცს, რომელმაც ბილეთი მიანოდა, თავაზიანად მადლობა გადაუხადა. თავიც კი დაუკრა. სხვათა შორის, არც თვითონ დაუტოვებიათ დაუწყვილოდებოდა — ქალი კეთილი და მადლიერი აღმოჩნდა. ყველა კეთილმა იცის სიკეთის ფასი! ჩვენს გმირსაც უნდა აეღო ბილეთი, მაგრამ რა ქნას, სალაროზე ხელი არ მიუწვდება. მერე და რა? ფულს თვითონაც გადაიწოდებს და ბილეთს აუღლებს! ასეც მოიქცა: აღარ მორიდებია იმ მამაკაცის ხელმეორედ შეწუხებას და მანაც უწყნარად და მშვიდად კიდევ ერთი ბილეთი გადმოიწაფა. პატარა ადამიანი იმდენად გახარებული იყო, რომ კინაღამ გამოეპარა თავისი გაჩერება. აქედან ახლოს, ქუჩის მეორე მხარეს იყო მისი სამსახური, რამდენიმე სართულიანი, ძველებური სტილის უსახო შენობა.

მამ, ასე, ჩვენმა გმირმა სამსახურს მშვიდობიანად მიაღწია. ავტობუსიდანაც ჩავიდა, მაგრამ უეცრად სითამამე სადღაც გაუქრა. ნაცვლად იმისა, ქუჩა გადაეჭრა და სამსახურის ზღურბლს მიღმა გადაედგა ფეხი, შეყოვნება არჩია. მზერაც, დანესებულებას ნაცვლად მიძინებდა დაძლევ ავტობუსს გაეყოლა. კარგა ხანს მისჩერებოდა, სანამ მთლიანად არ დაეკარგა თვალბილეთი. ძნელი სათქმელია, სამსახურში მისვლა ენელებოდა თუ სევედას ჰგვრიდა ავტობუსთან ახლახან განცდილი სასიამოვნო გრძობისთან განსორება. რაც უფრო დიდხანს იდგა, მით მეტად მალალი კედელი იმართებოდა თითქოს მასსა და მის სამსახურს შორის. თვალწინ წარმოუდგა იქაური პირქუში კედლები, ერთი და იმავე თანამშრომლებით გამოქვილი ოთახები, დერეფნები და კიბეც კი. უაზრო, არაფრისმთქმელი საუბრები, მოთქმვა-მოთქმვა, სიცილე-კისკისი, ხანდახან ჩხუბი და კივილი, სიგარეტის ბოლი, უზომო რაოდენობით ყავა და ხანდახან სასმელიც... არა, არ იყო პატარა ადამიანი ამისათვის მზად! ეგონა, რომ იყო, სინამდვილეში კი არ ყოფილა. რაოდენ ძნელი იყო ამ მწარე სინამდვილის აღიარება და მასთან შეგუება! პატარა ადამიანმა იცოდა, რომ როგორც, თუნდა სიკვდილის ფასად, გონებიდან უნდა გაეძევიან ეს სინამდვილე, მიეჭმალა მიჭმალა თუნდ ერთი წუთით, თუ ერთი წუთით არა, ერთი წამით მაინც იცოდა, მხოლოდ იცოდა და გაკეთებით კი ვერა-

ფერს აკეთებდა. ყველაფერს კი მიზუნად მისი სულიერი სისუსტე ედო, ყოვლად გაუმართლებელი, საფუძველს მოკლებული გრძნობა — უძლეურების თვითშთაგონება!

თვალს მომდგარი ცრემლი ძლივს შეიკავა პატარა ადამიანმა. უკვე მზად იყო, შეპტუებოდა თავის უმწიფობას და დამარცხებულს მოეკურცხლა, მაგრამ რალაც ჯერ კიდევ არ ამტკიცდა ამის გაკეთების უფლებას. სადაღაც, ცოტათი, კიდევ შემორჩენოდა იმედის ნაპერწკალი. არა, პატარა ადამიანი არ უნდა დამარცხებულიყო იმ დღეს! დასამარცხებელი არც არაფერი სჭირდა! არ შეიძლება დამარცხდეს ადამიანი, ვინც არ ცდილობს, სხვისი დამარცხების ხარჯზე მოიპოვოს საკუთარი გამარჯვება! სიმშვენიე, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი სიმშვენიე უნდა მოეპოვებინა პატარა ადამიანს. ბოლოს და ბოლოს, ასე ერთბაშად არ უნდა ეცადა ცხოვრების შეცვლა. შეცვლით უნდა შეეცვალა, მაგრამ ნელა, მშვიდად, თანდათან. მთავარი იყო, იმედის ამ ნაპერწკალს დაპყობოდა ჩვენი გმირი. იმედით ერთად მართო აღარ იქნებოდა — პატარა ადამიანი და იმედი... იმედი და პატარა ადამიანი — აი, უკვე ორნი არიან და გაიმარჯვებენ კიდევ. და პატარა ადამიანი სამსახურისაკენ მიბრუნდა. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი — ამით იმედის ნაპერწკალი გააღვივა, როგორც ნაკვეთჩხალს აღვივებს სულის შეტერვით ადამიანი და ადვილს მოსწყდა. გზა ისე გადაჭრა, აქეთ-იქით არც გაუხედავს... კიდევ კარგი, გზა მანქანებისაგან დაცლილი იყო.

პატარა ადამიანი სამსახურის მაღალთაღიანი შესასვლელისაკენ გაემართა. ნაბიჯის მწყობრ თანამიმდევრობას, გეგონებთ, ჯარშიაო, ხელების ქნევას აყოლებდა. ყველაფერი ნიასნარ პქონდა გამომოშობი, მაგრამ მძიმე კართან, თავისდა უნებურად, მაინც შედგა. მიიწყურადღებდა შესასვლელში დამონტაჟებულმა ელექტროსაათმა მიიპყრო, რომელმაც საყვედური სტკიცვა სამსახურში ჩვევად ქცეული ადგიანებისათვის. პატარა ადამიანს გააფრფოლა: ამ დღეს მაინც გამოცხადებულიყო სამსახურში თავის დროზე. სამსუხაროდ, ეს დღეც უნდა დღეისთვის ჩვეულებრივად დასწყოს... არა, უკვე გმირი არც სხვა დღეებში აგვიანებდა განზრახ სამსახურში მისვლას. უზრალოდ, დავვიანებოდა მისდა უნებურად დასჩემდა. დილით, ადრე, საინდა თანამშრომლები თავიანთ ადგილს იპოვიან და საქმეში ჩაერთვებიან, დიდი არეულობაა — ყველა ფაციფუცობს, მიდი-მოდიან, ერთმანეთს რალაცებს ეკითხებიან და უყვებიან. კაცის იფიქრებს, წლობით არ უნახავთ ერთმანეთით — ყველას ყველასთვის სცალია! ასეთ სიტუაციებში თავს ვალდებულად გრძნობდა, თვითონაც სხეულებით დაეჭირა თავი, შეერთებოდა

მით გუნდს, ჩართულიყო საერთო საუბარში თუ ფაციფუცში. ჩართულიყო თუნდაც იმისთვის, რომ ერთბაშად დღემდე ერთცხვირად დაეყვებოდა, რომ ამით არა მარტო საკუთარ თავს, სხვებსაც აგებდა უხერხულ მდგომარეობაში. ამიტომ სულ მოუსვენრად იყო, ადგილს ვერ პოულობდა, ეჭვინებოდა, რომ ისე არ უნდა მდგომარეობ, როგორც იდგა, მაგრამ არც პოზის გამოცვლა აგებდა საქმეს და სულ ებნებოდა თავგზა! ამ გარემოებას ისიც ამძაფრებდა, რომ ერთ ალაგას მიჩენილი სამუშაო კუთხე არ პქონდა, სადაც განმარტოებას, დამშვიდებას მოახერხებდა. ვინელა დანესებულებაში ხან რომელ სართულზე უნდებოდა ასვლა და სხვადასხვა სახის ცქერა და ხანაც რომელზე. ძლიერ უჭირდა ამითომაც აიფარა დავაიანება ფარად. რა თქმა უნდა, ეს დიდი ვერაფერი შეება იყო, მაგრამ საიმძროოდ, როცა სამსახურში მივიდოდა, თანამშრომლები თავიანთ მაგნიტებს უსხდნენ და მისთვის აღნაგვის ეცვალა. სამავიეროდ, დაწესებულების ხელმძღვანელობა საყვედურებით დაუსარებლად აჯილდოებდა...

საათზე მიშტერებულს ერთი უსიამოვნო დღე გაახსენდა. გაახსენდა არცთუ შორი წარსულის ის დღე, რომელიც რალაცით ჰგავდა დღევანდელს. მაშინაც დილა იყო. პატარა ადამიანმა სამსახურს ადრიანად მიაშურა. უნდაო, ყველასთვის დაესწრო მისვლა და თანამშრომლებს საესებით გამოცვლილი, ახალ ადამიანად გარდაქმნილი დახედავდა. სამსუხაროდ, დრო ვერ გამოშობა — იმდენად ადრიანად მივიდა, რომ დარაჯი ჯერ ისევ მძინარე დაუხედა და კარზე კაკუნით ძლივს გააღვიძა. წარმოიდგინეთ, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ჩვენი გმირი, როდესაც კართან წამძინარევი, ღამისსაცვლიანი, ხანში შესული, სქელ-სქელი მამაკაცი მობაჯუბაჯდა. გმირი, ნუხანდელი ნაბახუსევიც იყო და მორგევივით გასივებლო, გაუპარსავი უნდა ისე მიაბჯუბა პატარა ადამიანს სახეზე, ცოტა არ იყოს, შეაშინა კიდევ. თითქოს სისხლის სამართლის დამნაშავე ყოფილიყო, ისე დახარა თავი. ერთხანს იდგა თავდახრილი და მერე უცებ თავი ასწია და სიტყვების კორიანტელი დააყენა. თავის მართლებას მოჰყვა — სცადა, განემარტა დარაჯისათვის მისვლის მიზეზი, რას გრძნობდა, რას განცდიდა. ზოგი ისეთი რაბაც უთხრა, სხვა ნებისმიერ სიტუაციაში დაირცხვენდა ამაზე ლაპარაკს. გვიანდა მიხვდა, რას სწადიოდა. ენა ჩაივლო, მაგრამ... დარაჯმა ერთი გააქინა თავი — ვინ ხარ, ან რაიცი მიყვარს-მოყვებიო და კარი მიუხედაუნდა.

მოკლედ, ასე უიღბლოდ დანიშნოს ის დღე. თუმცა შეიძლება უფრო უარესადაც წარმართულიყო. პატარა ადამიანს სასულე მოედ ისლა დარჩენოდა, რომ დარაჯმა ვერ იცნო იგი და ვერც ვერაფერი გაიგო მისი ნათქვამისაგან. რომ ეცნო პატარა ადამიანი, მით უარესი, რადგან როგორც ვითხარით, უამრავი სისულელე ნამო-

როში. დანესებულების კარს მიმდებ ვასცილდა პატარა ადამიანი. ახლა დრო უნდა გაეყვანა და შემდეგ თავისი დიდი მიზნის მისაღწევად თავი-დაეცა ბედი — ეს თეორიულად. პრაქტიკულად კი აღარც იცოდა, რას მოიმოქმედებდა. გაიარ-გამოიარა — არემარე მოათვლიერა და იქვე, თავისი სამსახურის მახლობლად მდებარე პატარა სკვერს შეაფარა თავი. მყუდრო ალაგას მდგომი გრძელი მერხი იპოვა, ჩამოჯდა და კვლავ ფიქრს მისცა თავი. თავიდან იფიქრა, გავიქციე, სამუდამოდ მივატოვებ სამსახურს, მაგრამ ასე არ მოქცეულა. კარგა ხანს დაჰყო სკვერში — იქ გამეფებულ სიმყუდროვეს ვერ შეეღიბა. მერე თანდათან მოღობა, დაშვიდდა — ეს სიმყუდროვის დამახასიათებელი იყო. უცებ გადინა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი — იქნებ საერთო ენა გამოენახა თანამშრომლებთან. იმწლებს ამის თავი ამკარად არ ჰქონდა, მაგრამ იმედმა — ოდნე მოვციანებით ძალის გამოინახვისამ, როგორღაც გაამხნევა და... და დაინყო უქები, საყოთარი უძღურებით გავლენილი წლები გაუნტყა. ბოლოს, როდესაც სამსახურში დაბრუნება-ვერდაბრუნებით დაქანცულმა შეძლო სიმყუდროვის მიტოვება და დანესებულების ცენტრალურ მესასვლელს ხელახლა მიუახლოვდა, ბოროტმა საათმა, როგორც ეს ამ დილით მოხდა, საყვედური მიახალა სამსახურში დაგვიანებისათვის. დაიბნა პატარა ადამიანი, ვერ წარმოადგინა, სკვერში გატარებული დრო თუ ასე გაინელბოდა...

...საათთან დაკავშირებული მოგონებების ამოწურვის შემდეგადა გამოერკვა პატარა ადამიანი. ზანტად შეირხა, ფეხები აპატრად დაძძიმებოდა — მისი ოპტიმიზმი კვლავ უკეიმი-ნაპატივად გადაბრლინდა. როგორ მოიქცეს, რა გავიქვითოს? უკან დაბრუნდეს? ამ უფლებად ყოფას სიცოცხლის ბოლომდე შეეგოს? არა, ეს სიკვდილზე უარესი იქნებოდა მისთვის! წინ წასვლაა საჭირო. წინ წასვლა კი, ვერჯერობით, არ შეუძლია, მაგრამ რატომ არ შეუძლია? უნდა შეძლო(!), გუნებაში ითხოვს თავისი თავისგან. მას შესწევს საყოთარ თავზე გამარჯვების უნარი! უბრალოდ, გამხნევება სჭირდება. სჭირდება და ისიც კი იცის, როგორ უნდა გაიმხნეოს თავი: იხსენებს იმ შემთხვევებს, სადაც მან ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია — სულ ცოტა ხნის წინანდელი გამარჯვება მეზობელთან სადარბაზოში, ცეცხლივით გოგოს დამარცხება ავტობუსის გაჩერებაზე! ნუთუ კიდევ არის რაიმე საჭირო?! მაგრამ საპირისპირო რამეებიც რომ ახსენდება? თუნდაც ის, სამსახურში დაგვიანებისათვის საყვედურებით რომ აავტებენ? მერე რა! გავუძღვებო საყვედურებს, გულში ასე ააბობს! ძალას იკრებს და შედის დანესებულებაში... დანესებულებაში? დანესებულებაში კი არა, გველემამიან ციხეში! აი, ცეცხლოვან კიბეს ზედა სართულებისაკენ მიუყვება — ზეით არის ამ დიდი ბუნავის მთავარი ბირ-

თვი. კიბეზე, ზედა სართულის პაქიდან, მკაფიოდ ესმის ადამიანთა, ანუ გველემამთა მოურიდებლად მხიარული ხმები — მათში ახალგაზრდა ქალიც, დედალი გველემამაც ურევია! კიბე ზანხარებს, ისე ზანხარებს, რომ პატარა ადამიანი ლამის ნააქციოს, მაგრამ მაინც წინ მიდის, მიდის! მხოლოდ თვალს არდებებს ყველაფერს — თითქოს თავისივე თვალის არიდება დაალწევინებს თავს იმ განსაკუდრულსაგან, რომლისკენაც თავად მიისწრაფვის.

არა, წინათ სამსახურში ყოფნისას ასეთი რამ არასოდეს დამართნია პატარა ადამიანს, არასდროს დაძაბულა ასე ძლიერ, ასე ქაოსურად არ დამძიმებულა ემოციებით. რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ეს? ამ დილით თავისი მუდმივი, უჩვეულო სულიერი პატიმრობის შემდეგ თითქოს თავისუფლება მიეჩნება, მაგრამ რა შეემატა ამით? ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ საბედისწერო გამოცანა? ჯერ კიდევ წინა დღით, იმის წინ და საერთოდ, ოდრე, ძლიერ ნვალობდა, იტანჯებოდა, მაგრამ თავის ყოფას როგორღაც შეგუებული შეგნის მაინც მოულობდა მყუდრო თავმუსაფარში. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარად შემოუბრუნდა — გული აღარც სიმყუდროვეში უფებოდა და აღარც ხმაურში, ხალხში, იქ, სადაც ასე თავდავიწყებით მიიღვტრავდა. შეცდომას შეცდომაზე უშვებდა პატარა ადამიანი. წარმოადგინეთ, სამსახურში მისვლისთანავე წინანდებულად აღარ მოუყვამია ის ორი თანამშრომელი, აქ მისებრ დამხმარე მუშებად რომ ირცხებოდნენ და რომლებთანაც კარგა ხნის, ფაქტობრივად, იძულებითი მხარდახმარე მუშაობის გამო, საერთო ენის მსგავსი რამ გამოენახა. დიხს, მათი, ამ ორი ბიჭის (არ იქნება განზვიადებული თუ ვიტყვით, მფარველთა), მფარველთა შოვნა აზრადაც არ მოსვლია პატარა ადამიანს. ახლა ის ერთდროულად მიინება ყველასაკენ და ამ ყველაში, რა თქმა უნდა, ის ორი ახალგაზრდაც იგულისხმებოდა. ყველასაკენ ერთდროულად სწრაფვა კი ვერასტუმრად ვერ ხერხდებოდა, ხმაურსა და სიმყუდროვეს შორის პაერში უცნაურად გამოკიდებული პატარა ადამიანი ერთი-ათად გაუცხოებულიყო ყველას მიმართ.

საფებურებმა ელვის სისწრაფით აიყვანეს შუბლის მორე სართულზე, სადაც თვალთ შეავლო რამდენიმე კაცისა და ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალისაგან შემდგარ საქმიან ფაფუს — გველემამთა თავყრილობას(!), რომელთა ხმა-დევ ვერ კიდევ პირველი სართულის პაქანზე შეაქრო და ერთიანად ამაღა ჩვენი გმირი. კიდევ კარგი, ამ ფაფუსში არც ერთი ისეთი ნაცნობი არ აღმოჩნდა, რომელიც ყურადღებას მიაქცევდა მას, მისასაღმებლად მისკენ თავის მიბრუნებით შენუხდებოდა. თუმცა საქმეს ეს მცირედი შეღავათი ვერას შეელოდა. სიტუაცია მეტად და მეტად იძაბებოდა! პატარა ადამიანი გრძობდა, რომ სასწრაფოდ რაიმე უნდა ელო-

ნა. ბოლოს და ბოლოს, თუკი ჯერ ისევ არ შესწევდა თავისდა სასიკეთოდ რაიმეს შეცვლის უნარი, იმდენი მაინც უნდა მოუხერხებინა, რაიმე არ დაეშავებინა, თავისი დამომარებისათვის არაფერი ევენო ისეთი, რასაც მერე ვეღარ გამოასწორებდა. უპირველესად გონება უნდა დავასვენოთ, ასე იფიქრა. მერე ყველაფერს ახლიდან ანონ-დანონიდა და რაღაც გამოსაყვას გამოძებნიდა. გონების დასვენებას, რალა თქმა უნდა, სიმყუდროვე ესაჭიროებოდა. სად უნდა ებოვა აქ მყუდრო ადგილი პატარა ადამიანს?

მესამე სართული ბევრად ხმაურიანი იყო მეორეზე. მესამე სართულზე იყო განთავსებული დანესებულების ადმინისტრაცია, მაგრამ მოუხედავად ამისა, პატარა ადამიანი მაინც იქითაკენ გაეპარათა. საქვრ ის არის, რომ მეორე სართულის სიღრმისკენ მიმავალი ერთადერთი დერეფანი სწორედ იმ ჯგუფს გადაეხერგა, რომელთა ლაზღანდარობამ ჯერ კიდევ პირველ სართულზე შეაკრთო ჩვენი გმირი. გზა რომ გავგრძელებინა, მათ შორის უნდა გაეყო, ამას კი ძალზე ვრიდებოდა, — ჯგუფში ხომ ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალციკ ერია... და აი, მძიმედ შეუდგა ჩვენი გმირი მესამე სართულის გზას. რამდენიმე საფეხური რომ მოიქცოვა უკან, მაშინდა გაიაზრა, საით ეჭირა გეზი — იქ, ზევით, ხომ ბევრად უარეს დღეში აღმოჩნდებოდა! და ნაშში თვალწინ წარმოუდგა მესამე სართულთან დაკავშირებული მისთვის მიუღებელი, ყოვლად გიჟური სცენები — ქა-ჯეები და დღეები აქ იყვნენ თუ იყვნენ. სხეულში ჭრუანტელად დაუარა ისე ბასრმა და მკერდებმა სიცივემ, რომ ლამის ნონასწორება დაკარგა და კიბეზე გაიმხლართა. ზედა სართულზე გამოჩენილა უთოვრე მისი სასტიკი და სამუდამო დამარცხებით დაბოლოვდებოდა. ასე თავგზაურული ვერ მოახერხებდა თანამშრომლებს ნინამზე ხეირიანად თავის დაჭერას და რაღაც ისეთ შეცდომას დაუშვებდა, რომ დასაქმელადაც მნიშვნა! არათუ სათქმელად, ამაზე ფაფიქრებაც კი სახიფათო იყო ჩვენი გმირისთვის! თუმცა უკვე არც უკან დასაბრუნებელი გზა ჰქონდა საბრალოს — მეორე სართულზე თანამშრომელთა ჯგუფის გვერდით ხელახლა ჩაელაგა ცოცხალი თავით ვერ მოახერხებდა. ვერ მოახერხებდა, რადგან შიშობდა, ამ წინ და უკან სარწმუნო მათი ყურადღება არ მიექცია. ყველაზე მეტად იმას შიშობდა, გარეგნული აშლილობა შინაგანი აშლილობის გამოაშკარავების საბაბი არ გამხდარიყო. ეს კატასტროფა იქნებოდა პატარა ადამიანისათვის — არავის უნდა ენახა იგი ისეთი უშნეო და უსუსური, როგორც სინამდვილეში იყო! ესე იგი, ისევ წინ, მესამე სართულისაკენ — უკან არ არის გზა! წინ კი ჯერ კიდევ მანძილია...

პატარა ადამიანმა კიბის კიდევ რამდენიმე საფეხური მოიტოვა უკან. მესამე სართული სულ უფრო ახლოვდებოდა. აჩქარება დაუშვებელი

იყო და არც ჩქარობდა, რამდენადაც შეეძლო, იმდენად წელავდა ნაბიჯს... მიუხედავად ამისა, მესამე სართულამდე დარჩენილი მანძილი დაუნდობლად მცირდებოდა. აი, გველეშაპთა ციხის მთავარი სართულიდან ბუნდოვანი ხმები ჩაესმა ყურში და...

არა, მეტის ვაძლევა აღარ შეიძლებოდა! და რამდენიმე წამის უკან ნაფიქრი ყოველი აზრი პატარა ადამიანს თავში სულ სხვაგვარად ულაგდებდა: დაუშვებლად მიჩნეული უკან დაბრუნება უკვე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსაყვად ეჩვენება — და მართლაც, რატომ უნდა ნიშნავდეს შუა გზიდან უკან დაბრუნება დამარცხებას ან რაღაც აშკარას? რა, არ შეიძლება, ადამიანს გზად რაიმე გადაიწყვეტილი გაახსენდეს და უკან გაბრუნდეს? საერთოდ, ყველაფერი შესაძლებელი და დასაშვებია, რასაც კი ადამიანი ჩვეულებრივად, თავისუფლად შიშობქმედებს! და საფეხურებზე თანდათან შეჩერებული პატარა ადამიანი უბემი არაფერს (შო, ისევ არაფერს!) ეძებს და ვითომ რაღაც გადაიწყვეტის გასხენებით უკან მიტრიალებას აპირებს, რომ უცერად, ზურგს უკან, მეორე სართულის ბაქანზე მდგომი თანამშრომელთა ჯგუფის სიცილი ჩაესმის ყურში — ახალგაზრდა ქალის ხმა განსაკუთრებით გამოირჩევა... რა თქმა უნდა, ჩვენი გმირის უჩვეულო და აშკარადროს სრულიად ჩვეულებრივი საქციელის გამო არ იცინოდნენ, უბრალო დამთხვევა იყო ეს და სხვათა შორის, ჩვენი გმირიც მიხვდა ამას, მაგრამ ტანში მაინც ციციმა დაუპროლა — ისევ ვერ შეძლო უკან ჩასვლა.

როგორც უნდა ემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, ისე ესე კი არა, ისე არისო, თავს ზევით ძალს მაინც ვერ პოულობდა და კიბეზე მტკირვით რომ არ დაყუდებულყო, ისევ ზედა სართულისკენ გააგრძელა გზა.

კიდევ ერთი უკან მოტოვებული საფეხური, ორი, სამი... მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება(!), ლამისა იყვიროს პატარა ადამიანმა. ყველაფერი უარესობისაკენ მიდის! თვითონვე გაიფუჭა საქმე. ამჯერად უკან დაბრუნება გამოირცხლება — კიბეზე მეორედ შეჩერების შემდეგ ხომ ვერ ჩაუყვება უკან საფეხურთა ნყობას! ამით ხომ მართლა გასვლის ყურადღებას მიექცევს — თვითონვე ყველცემს თავის თავს!

მაგრამ... მაგრამ არაფერი აღარ იცის პატარა ადამიანმა. აღარ იცის და მაინც ზევით მიდის. მიდის მხოლოდ იმიტომდა, რომ ერთი წამის უკანაც ასე მიდიოდა და რამის შეცვლის უნარი აღარ გააჩნია — ადამიანები ხომ სახრჩობელაზეც თავისი ფეხით ადიან...

მეოთხე, მეხუთე, მეექვსე საფეხური უკან მოტოვებულია... ლამის გული დაუსკვდა პატარა ადამიანს და სწორედ ამ დროს, თითქოს რასაც განიცდიდა საქმარისი არ იყო, ახალი თავსატეხი დაემატა: მესამე სართულიდან, კიბეზე, ვიღაც ჩამოდიოდა. კიბე ხვეული იყო

და ჩამომავალს ჯერ ვერ ხედავდა, მაგრამ მაღალტუსლიანი ფეხსაცმლის პაკაპუკით არ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ მისკენ ქალი მოეშურებოდა. ქალის ყოველ ახალ, თანმიმდევრულად ჭერად ნაბიჯში რაღაც გამოზომილი შეყოვნება იგრძნობოდა — რაც, ალბათ, მისი სიმკვირცხლემოკლებული რჩევით თუ იქნებოდა გამოწვეული, ხანში შესასვლელად შემზადებულთ რომ შეეპარებოთ ხოლმე. ქვის კიბიდან ასხლებილი მკვეთრი ხმა ყოველ ახალ საფეხურზე ფეხის სწრაფსა და ენერგიულ დამკვირვებზე მითითებდა — ეს კი ქალის არცთუ ისე პაეროვნების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო და ამასთან, ჩვენი გმირის აზრით, ეს სწრაფი, ენერგიული ნაბიჯები იმ ქალის სუფთა ქალურ, მდვიდურობისა თუ თავაშეკებულობის გავლენით შექმნილ სრულად უკომპლექსო ხასიათზეც მიანიშნებდა — რაშიც, რაღა თქმა უნდა, ცხოვრებისაგან მიღებული დიდი გამოცდილების ხარჯზე გამოიმუშავებულ სიმკაცრე და საერთოდ, სიმკაცრისადმი მისი სიმაჟათაც გამოსჭვიოდა. ეს ხმა დანესებულეებში კადრების განყოფილების უფროსის, ვენებიანი, ეშმაკებით გაცდური ქალის ნაბიჯს წაავადდა! ამის შემდეგ მოვლენები კატასტროფული სისწრაფით განვითარდა. კადრების უფროსს ქალს ჯერ ისევე კიბის კიდე ფარავდა. პატარა ადამიანს თაღის დაუღდა მისი კაცობრივი, უღერესად მომაკვდინებელი მზერა. თითქოს ხმაც კი ჩაესმა ამ ქალის, მისი უსაშველოდ ერთფეროვანი საყვდურნარევი სიტყვები: „Ну вот, наконец-то явилась!“ (აი, როგორც იქნა გამოჩნდა! (რუს.)). ეს ქალი რატომღაც უშეტყესად რუსულად ლაპარაკობდა: — „Где ты до сих пор, знаешь ли какой час!“ (სადა ხარ აქამდე?! იცი რომელი საათია?! (რუს.)) — ეს კი უკვე მეტისმეტი იყო! პატარა ადამიანი გაშრა, გაძმდა. მხოლოდ თვლებსა აცეცებდა აქეთ-იქით. არ არსებობს სიტყვები პატარა ადამიანის მდგომარეობის გამოსაცემად!

შემდგომი მოვლენები ისე რომ განვითარებულ იყო, როგორც ეს პატარა ადამიანმა წამიერად იგრძნო, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მოსათხოვრობი აღარაფერი დაგერჩებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი სხვაგვარად აენყო — ჩვენმა გმირმა თურმე ყველაფერი გააზნა: ზემოდან ჩამომავალი ქალი არ ყოფილა ის, ვინც პატარა ადამიანს ეგონა. მართალია, იმ ქალის სახეს (და ტანსაც, ნეოვნებს გარდა) ვერ კიდე კიბის კუთხე ფარავდა, მაგრამ შეუძლებელია, ჩვენი გმირი შემეცდარიყო. ან როგორ შეეცდებოდა, როდესაც კადრების განყოფილების უფროსის მარტო იმ მაღალი, ლამაზად თლილი წვივებით კი არა, ალბათ, ცალი თითის ფრჩხილითაც ნებისმიერ დროსა და გარემოებაში ამოიცნობდა. უბრალოდ, როგორც ყოველთვის, ადვლეების გამო ნინათგობობამ უშტყუა.

პატარა ადამიანი მოსულეირდა. კიბის ზედა

მხრიდან სამიშროება აღარ ელოდა, მაგრამ ახლა ქვედა მხარე რჩებოდა საეჭვოდ — იქ ხომ ძველებურად იდგნენ „გველეშაპები“... ვინ იცის, შესაძლოა, ჩვენი გმირის უცნაურმა ქვევამ მათ საჭორაო საბაბი მისცა — პატარა ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ ისინი აკვირდებოდნენ. გულმა აღარ მოუთმინა და მზერა ქვევით, გველეშაპთა თავგრილობისაკენ გააპარა — ის დედალი გველეშაპიც მათ შორის იდგა, მაგრამ შოი საოცრებაც, არც იქაურობას გაუმართლებია ჩვენი გმირის მსუთავი ვჭვთ — იქ, დაბლა, ყველა ერთმანეთით იყო გაერთული და პატარა ადამიანისათვის არაფის სცხელოდან! ეს გარემოება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენი გმირისთვის, რომ გონება ლამის ხელახლა აებნა, გაუჭირდა ამდენი სასიკეთო რამის ერთდროულად გადამშრავება და დეცხვებულმა, თვალის ხომ არ მატყუებდო, კიდეც ერთხელ ახედა ჯერ ზემოდან ჩამომავალ ქალს, შემდეგ ქვევით თანამშრომელთა ჯგუფიც გადაამოწმა. ყველგან მშვიდობა იყო. მშვიდობა იყო და სანაც კიდეც რაღაც სხვა უელოდნარი აზრი დაუტრიალდებოდა თავში, რისი სამიშროებაც თვითონაც იგრძნო, უკანმოუხედავად მოკურცლა პატარა ადამიანმა. სასწრაფოდ უნდა გასულიყო აქედან — იქვე, მისი სამსახურის მახლობლად მდებარე მსუდრო სკვერი ხომ მის მოლოდინში იყო...

ჩაქინდრული თავი პირველ სართულზე, გასასვლელ კართან მიახლოებისასა და ასწრა და გასვლის ნაცვლად, თავისდა მოულოდნელად, ხელმარტხნაც, ტუალეტისკენ გადაუხვიო. საქმე ის იყო, რომ ხალხისთვის თვალის არიდების ინსტიქტმა აიძულა, მორიდებოდა იმ ორ, სრულყოფილ უცნობ ადამიანს, რომლებიც ის-ის იყო დანესებულეებში შემოდინდნენ. მოულოდნელობამ და ამით გამონეგულმა დაბნეულობამ პატარა ადამიანს საფეთქლებში სისხლი აუღულა. ერთადერთ გამოსავალს აქაურობის მიტოვებაშილა ხედავდა და ესეც ვერ მოახერხა. ყველაფერი ერთდროულად მონაცა ყელში, ლამის გულიც აერია.

რობოტივით მიაბიჯებდა არაფრით განადგურებული პატარა ადამიანი და მალე ტუალეტის ნინკარში აღმოჩნდა. ერთ ალავას შედგა და დაბნეული თვალისკენ დაეცქირდა: მოთეთრო, ნესტიანი კედლები, ხელსაბანი და კაბინებისკენ მიმავალი ნახევრად ღია, ჩამაყვებული კარი ცივი სიჩუმით შემოკურებდა. ირგვლივ კაცინილის ჭაჭანება არ იყო, მაგრამ... ეს სად მოხვდა ჩვენი გმირი? იქ რა უნდოდა? საით გადამოსიროლა ცხოვრების ნიაგმა? სინძრის ცრემლი მოადგა თვალზე. თუმცა საკმარის ბუნდოვნად რაღაც შევებისმავგვარიც გამოწნო, რადგან ირგვლივ აბსოლუტური სიმყუდროვე სუფევდა. გონებით კი ესწრაფა, რომ ძალიან ცუდად აქონდა საქმე, მაგრამ ისე მწყვეედ აღარ განიცადა — სიმყუდროვე თავისი შნა. პატარა

ადამიანი მიხვდა, რომ სიმყუდროვე იყო სწორედ ის, რაც ახლა ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა. ის ტკივილი, წამის წინ თვალზე ცრემლი რომ მოჰყვარა, როგორღაც გაუქარვდა. საკმაოდ ამოუხსნელი, არაცნობიერი მდგომარეობა იყო ეს პატარა ადამიანისათვის და იმის შიშით არ შემომიფეხანტოსო, აღარ უცდია ამ მდგომარეობის დეტალურად გამოკვლევა — აღმოჩნდა ტულატიში? ესე იგი, ასე ყოფილა საჭირო! კედელს მიეყრდნო, გაიანბა და ასე განაბულმა დაჰყო რამდენიმე ხანს, იქამდე, სანამ მისმა ამ უცნაურმა მდგომარეობამ თუ განწყობამ თავისთავად არ განიცადა სახეცვლილება, ნელ-ნელა განელდა იგი. სამავიგროდ, ამასობაში შედარებით დამშვიდდა, უკვე აზრიც დაატანა თავის მდგომარეობას. სცადა სიღრმისეულად გარკვევა იმისა, რა გახადდა თავს და საერთოდ, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

საკეო ხანი გავიდა. პატარა ადამიანს ისევ სევდანარევი ფორიაქი შემოაწავა — ტულატიში უსასრულოდ გაჩერება აღარ შეიძლებოდა! მართალია, აქ სიმყუდროვე იყო, მაგრამ ეს ხომ, ბოლოს და ბოლოს, ტულატი იყო, ესე იგი, უქმად დგომისთვის მიუღებელი ადგილი! პატარა ადამიანს სასწრაფოდ უნდა ელონა რაიმე! სასწრაფოდ? ოჰ, ჯანდაბა! ჩვენი გმირი ვერც აქაურობას მიატოვებს და ვერც უქმად დადგება — მორჩა და გაათავდა! სულიერად დაღლილსა და დაქანცულს აღარც კი ეგონა, თუ კიდევ შეძლებდა საკუთარი თავისთვის რაღაც მოთხოვნების წაყენებას, მაგრამ ფაქტია, თავის თავთან უთავბოლო მსჯელობაზე დროულად ნერტილის დასმით საკუთარი თავიც ვაკვირდება და მგონი, იქაურობაც. ამის მერე, ცოტა არ იყოს, გული მიეცა — არ მიუტოვებია იქაურობა და არც უქმად დაყრდნობულა — ონკანს მიუახლოვდა, წყალი მოუშვა, საგულდაგულოდ დაიბანა ხელები, შემდეგ ცხვირსახოცი შეიმშრალა. მერე წამით შეყონდა და ამის შემდეგ ისევ დაიბანა, ისევ შეიმშრალა... ბოლოს, ონკანის გადაკეტვის შემდეგ, როგორც ვანზრახული ჰქონდა, თავის ურთულეს მდგომარეობაში კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ გარკვევა სცადა. გონება დაძაბა, მაგრამ არც ამჯერად გამოუვიდა რაიმე. როგორც ჩანს, ვერც ისე საკმაოდ იყო აბნეული. არა, ვერ დაწყნარება საჭირო! უნდა დაწყნარდეს, ესე იგი, არაფერზე არ უნდა იფიქროს, მაგრამ ადგილსამყოფლით გამოჩვეული უხერხულობის გრძნობა რომ არ აძლევს განტვირთვის, არაფერზე ფიქრის საშუალებას. ეგვეც არ იყოს, ვინმემ რომ შემოუხსნროს და ნახოს ასე უქმად მდგომი? სწორედ ამ დროს გარედან რაღაც ხმაური შემოესმა და დამფრთხალმა, ვიღაც აქეთ მოედისო, ტულატიც კაბინაში ამოყო თავი. იქ, მართალია, მთლიანად იზოლირებული იყო გარე სამყაროსგან, მაგრამ უხერხულობის გრძნობა მაინც ერთი-ათად გაუძლიერდა — წინკარისაგან განსხვავებით, აქ

ხომ სრულიად სხვა დანადგარები იდგა!

არა, კაბინაში გაჩერება ნამდვილად შეუძლებელი იყო — სასწრაფოდ ისევ წინკარში, წინკარში სჯობია! ბოლოს და ბოლოს, კიდევ ერთხელ დაიბანა ხელებს. და ის იყო კაბინიდან გასვლა დააპირა, რომ უეცრად კარის ფახუნი შემოესმა — ვიღაც შემოვიდა! დამფრთხალმა პატარა ადამიანმა მისდა უნებურად შარვლის ლილეო გაიხსნა. საბედნიეროდ, არასასურველი სტუმარი მხოლოდ წინკარის მომსახურებას დასჯერდა. როგორც ჩანს, მხოლოდ ხელების დაბანა სურდა და ისე დატოვა იქაურობა, კაბინაში შებრძანებით არც თავი შეუნუხებია და არც იქ დამალული ჩვენი გმირი.

პატარა ადამიანმა შუბლიდან ცივი ოფლი მოინმინდა. შუბით ამოისუნთქა. ახლა ერთი რამ სურდა — როგორმე ნასულიყო აქედან! და აი, წინკარში გამოეყრდნო კარის სახელურს ეცა, მაგრამ ხელი მიეყინა, კარის გამოსაღებად ძალა აღარ ეყო — წინ, კარის იქით, პირველი სართულის ფოიეში, ვინ იცის, რა ელოდებოდა იქნებ კადრების განყოფილების უფროსიც შეპყრფითობდა. ამის გაფიქრებამ კიდევ გარკვეული ხნით დაათმობინა ტულატიდან გასვლის განზრახვა. კიდევ ერთხელ დაიბანა ხელები. იბანდა ნელა, ნაზად, საგულდაგულოდ, დიდხანს. წყალი ალერსიანად, ნაზად ეფერებოდა პატარა ადამიანის ხელებს და ირგვლივ სიჩუმე და სიმყუდროვე სუფევდა. პატარა ადამიანს წამით მოეჩვენა, რომ ეს დაუსრულებლად გაგრძელდებოდა — დაუსრულებლად. თითქოს სასიამოვნო ჟრუანტილმაც დაუარა ტანში ჩვენს გმირს, მაგრამ ამ დროს ფოიეში ვიღაცის ძახილი მოესმა. ვის უხმობდა ის ხმა, არ აფიქრებდა, უფრო ის აინტერესებდა, მართლა იმ კაცს ეკუთვნოდა თუ არა ხმა, ვისზეც იფიქრა. კიდევ ერთხელ მაყურადა და — ჰო, ის არისო, სისხარული ლამის იყვირა. ხმა ერთ მოს თანამშრომელ ბიჭს ეკუთვნოდა, რომელსაც ჩვენ დაუსწრებლად ვიცნობთ და ერთხელ პატარა ადამიანის მფარველიც კი ეუნოფეთ. ამ ხმამ ჩვენს გმირს ყველაფერი გადააფინყა — კეთილი ონკანის ამავიც კი, მისი სითბო. ისე მოსწყდა იქაურობას, არც კი გადაუკეტავს საბრლო ონკანს, მაგრამ არა უშხმა, რუ დაფარახავთ პატარა ადამიანის ამისთვის... და ონკანსაც, იმედია, არ ეტკინება გული. თუმცა გული არცა სტკენია, უბრალოდ, დარჩა თავისთვის, მარტოდმარტო, სევდიანად მოჩრიალუ და მასზე ზურგმინაცვევ ადამიანს კამკამა ნეთების სახით ცრემლი გააკვალა.

ტულატიდან სველი ხელების სამოსზე მშრალბით გამოეყრდნო პატარა ადამიანი გიჟივით მოჰყვა ყოველი კუთხე-კუნჭულის თვალთერებას — სადღაც მახლობლად უნდა

ყოფილიყო მისი მფარველი, მისი უკანასკნელი იმედი. არადა, საესევეთ უბრალო, ჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო. ერთი სული ჰქონდა, ეპოვა, რაიმე თბილი სიტყვა ეთქვა მისთვის, მოფერებოდა და მერე გულიც გადაეშალა, თავისი სატყევერი შეეჩვილა — ის გაუფებდა! მხარში ამოუდგებოდა! არ მიატოვებდა! სხვა ვინ გაუფებდა ჩვენი გმირს, თუ არა მისი მფარველი! გაუფებდა და გადაარჩენდა კიდევ! გადაარჩენდა იმ თავისი შინაგანი უბრალოებით, რომელსაც ჩვენი გმირი ხედავდა ამ ადამიანში. არადა, წარსულში თავისი უმართავი ხასიათის გამო ამ კეთილ ადამიანთანაც უჭირდა ურთიერთობა — ეს რომ არა, აქამდე იმაზე მეტად დასაზოგბული უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე ამჟამად, მაგრამ არა უმჯავს, პატარა ადამიანი დღეიდან ამასაც გამოასჯინებს — ასე ფიქრობს თვითონ.

მეგობრის ძებნაში პატარა ადამიანს უკვე ფორცი ნახევარი გაეველო — ხან აქნებ აწყდებოდა, ხან იქით. განწყობა იმდენად გამოკვეთბოდა, რომ ახლა კადრების განყოფილების უფროსიც რომ გადააპყროდა, ვეღარა დააკლავდა. ძალიან ჩქარობდა პატარა ადამიანი, არც ერთი წამის დაკარგვა არ შეიძლებოდა — ახლავდ უნდა ეპოვა ალაღებდებუ გამოჩენილი მეგობარი. თუ ვერ იპოვიდა, შესაძლოა, მისი გზა-კვალისთვის ვეღარ მიეგნო.

ძალიან დაუდევარი ბუნებისა იყო ის ბიჭი. პატარა ადამიანისთვის რომ გეკითხათ, არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი დონუჯანი იყო — ოკეანეში მცურავი გემივით თავისუფალი გოგოებით საესე ხან რომელი ოთახში ჩაუშვებდა დღუზას და ხანაც — რომელში. ამ ბიჭის თვისებები ხიზლავდა პატარა ადამიანს — ენამოს-ნრებული, მოლაზღანდარე, სპორტული აღნაგობის, მუშაობის დროსაც კი გამოჩენილი და კობხად დავარცხნილი. აი, ასეთი ყოჩაღი ბიჭი იყო პატარა ადამიანის მეგობარი. ძალიან უყვარდა მისი სასიყვარულო თავგადასავლების მოსმენა და ბიჭსაც სიამოვნებას გვირდა პატარა ადამიანთან საუბარი, რადგან მასზე უკეთესი მსმენელი ქვეყნად არავინ ეგულებოდა.

ფორე რომ მოიარა, პატარა ადამიანი შიშმა შეიპყრო — ვერ აღმოაჩინა ის, ვისაც ეძებდა. გაბანსროო, იფიქრა და მამოხეც, როგორც ეს მოხალოდნელი იყო, გუნება მოეშაბა. ერთხანს ხსნად ისევე აქაურობისგან ვაცლა ეჩვენა, რაშიც ხელს უკვე აღდარაფერი უძლიდა და რამდენიმე წაბიჯის გადადგმის შემდეგ პატარა ადამიანი შენობიდან ქუჩაში გასხლტა — იქ, გარეთ, ბევრად უფრო მსუბუქად შეძლო სუნთქვა. პირი სკვერისკენ იბრუნა, მაგრამ შეცრად შედგა — გული მოულოდნელი სიხარულით აევსო — ქუჩაში, პირდაპირ დასესებულების მძიმე კართან თავისი მეგობარი შემოეფთა, ის, რომელსაც ეძებდა. საოცრება

ის არის, რომ მეგობარი მარტო არ ყოფილა — მის გვერდით მათივე თანამშრომელი, ისიც მათსავეთ დამხმარე მუშაა. ჩვენი გმირისგან თავის მფარველზე არცთუ ნაკლებდაფასებული, დაბალი ტანის შავგვერდანი ბიჭი დონუჯანის გვერდით, ტროტუარზე ჩაცუცქულიყო. ისინი ხის მოზრდილ ყუთს დარაჯობდნენ, რომლითაც დაწესებულების სახელზე რაღაც ინვენტარი მოსულიყო და ამათ, როგორც დამხმარე მუშებს, მესამე სართულზე უნდა აეტანათ. პატარა ადამიანმა ხედ სულზე მიუსწრო, რადგან ყუთი საკაშად მძიმე ჩანდა და ორი კაცისათვის მწელი იქნებოდა მისი მესამე სართულამდე ატანა — სამნი ამას უფრო იოლად მოახერხებდნენ.

ბიჭები ჩვეულებრივსაემბერ თბილად შეხედნენ. აი, პატარა ადამიანმა კი ოდნავ გადააჭარბა — ჯერ ერთს გადაეხვია, მერე კი მეორეს. პირი რომ დაალო, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კი ხანს აღარ გაიჩრებულა — რას ყვებოდა, თვითონაც არ იცოდა, რაღაც-რაღაცები რამდენიმეჯერაც ვაიმეორა, მერე, როგორც ექნა, დაწყნარდა, გონი მოკირბა. ბიჭებს მისი საქციელით განცვივრება არ გამოუხატავდა. რომც გამოეხატათ, ჩვენი გმირი ისე იყო აღგზნებული, ამას მაინც ვერ შეამჩნევდა. საკმაო ხანი გაევიდა. ამასობაში აინდინ ცოტათი შეიცვალა, წვიმამ წამოყინულა და ყუთი სასწრაფოდ შენობაში შესატანი გახდა. აბა, წავიდეოო... — თვეს და სამი ვაჟაც კი ყუთს შეეჭიდა! ამ ყუთს მარტო პატარა ადამიანიც მოუგრებდა ურჩ კისერს! დიას, ეს გაზვიადება არ არის — პატარა ადამიანს ასე სჯეროდა. მეგობრებთან შეხვედრით მოზღვავებული ძალა აძლევდა ასეთი რწმენის უფლებას. იქნებ რაღაც კი გადაებრუნებინა — უბრალოდ, საქოროებას ვერ ხედავდა ამისას... და მთაც, ალბათ, მისგან შემინებულ, იქ ახლომახლო არსად ჩანდა. ასეთი უზარმაზარი ძალი პატრონს ახლა თავმდაბლობაც მართებდა და პატარა ადამიანი არც მთას უბრაოდებდა თვალს და არც ხეებს, ყუთზე ჰქონდა მთელი გულისყური გადატანილი. ლამის გულამდე აეტაცა და ზვეთი ექაჩებოდა, გვეგონებოდათ, ცაში უნდა აისროლოსო. დაუზოგავად ხარჯავდა ძალას, წარმოუდგენლად იძაბებოდა, ილაჯას ისყვებდა და რატომღაც მაინც არ იყო თავისი თავით კმაყოფილი. "მეტი მეტი!" — იმეორებდა გულში და მარტოც, ვინ იცის, რა მარაგიდან, მეტსა და მეტს დასაბამებდა. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ დაღლას ვერ გრძობდა. პირიქით, რაც უფრო ანეებოდა მის მკლავებს ტვირთი, მით მეტად ემატებოდა ენერჯია, მით უფრო ცოცხლად მიიხედავდა წინ — მესამე სართულსაკენ!

გავრძელება იქნება



თამარ

სენეტიძე

**სრულიად საპატრიარქოს
კათოლიკოს-პატრიარქს,
სწინდელსა და სწებარეს ილია II-ს**

ვუმზერ უწმინდესს და უნეტარესს,
თან სიყვარულის შარბათით ვთვრები,
თითქოს თაკარა მზე აზის მხრებზე
და მის ნაბოძებ სხივებით ვთბები.

რეკენ ხარები, ზანზალაკები,
ვუმზერ უწმინდესს გულწრფელი მზერით,
ვგრძნობ სულიერად როგორ ვმალდები,
ვგრძნობ — თითქოს უფრო ძლიერი ვხდები.

რალაც საოცარ სიმშვიდეს ეპოვებ
გალობით — ღვთისგან მირონცხებულის,
ვისმენ საოცარ მის ეპისტოლეს
საღვთო სიყვარულს ზიარებულს.

ირგვლივ სიკეთე დაქრის, ნავარდობს,
მე კი ამაყი და ბედნიერი,
ვუმზერ პატრიარქს, გული მკარნახობს
— რა ნეტარია ქართველი ერი.

იხარათი ჩემი

მზითგამძლარი ოქტომბერი იდგა,
მოქარგული, მარჯუნისფერი კაბით,
იმერეთში სიყვარული წვიმდა
და ბავშვივით ბურჭალობდა ქარი.

ნიფის გვირაბს შევატოვე დარდი,
ბუყბუყს ვისმენ საპალნიან ჭურის,
ვერ ვენევი, უცნაურად გარბის
საგულედან ამომხტარი გული.

ხის ტოტებზე შემორჩენილ ხურმებს,
ქალწულლივით ათქვირებულ მკერდით,
გუშინდელი ყმანვილივით ვუმზერ
და უზომო სიყვარულით ვთვრები.

ტანწერწეტა ჩალის კონებს ვითვლი,
ჩაბჭირებულს შემოდგომის ცრემლით,
მეგებება ძველებური ხიბლით,
იმერეთი, იმერეთი ჩემი.

გულისტკივილი

ლალიძის წყლებთან იდგა ჭადარი
მრავლის მომსწრე და მრავალის მთქმელი,
თბილისელების მესაიდუმლე,
მოსიყვარულე, მომფერებელი.

ამ ჭადრის ჩრდილში გულს იგრილებდნენ,
ვინ ჩამოვთვალო, რომელი ერთი,
აქ იყო დიდი მგოსნების ბუდე,
თუ საბაასო, თუ სამუზეთი.

...

ვერ შეეგუა გული ფორიაქს,
დღეს ნაჭადრალზე გუბეა ცრემლის,
ველარ დაემშვიდდი, ასე მგონია,
რომ ჩემს ბავშვობას გამოჭრეს ყელი.

პვილიზვილავს

მსურს იცოდეთ, თქვენ ხართ ჩემი,
უდიდესი ნეტარება,
მომლიმარნი როცა მხედებით
თითო წელი მემატება.

დღე იწყება თქვენზე ფიქრით,
თქვენზე ფიქრით — დღე მთავრდება,
ღმერთო ჩემო, აღარ ვიცი
რა სიგაჟე მემართება.

ხშირად გხედავთ, სახე თქვენი
ნატვრით, მაინც მენატრება,

შემომეფცევენ ნღები, თუმცა
ჯერაც ბევრი მევალება.

სიყვარული გახლავთ, ალბათ,
ის სიმდიდრე, რაც კი მრჩება,
დაგიტოვებთ, გაიყავით,
როგორც და-ძმას ეკადრება.

პიცნი და მჯერა

გიორგის

არ მომბეზრდება თვალთბილი მზერა,
ეხედავ თანდათან რომ ვაჟკაცდები,
მზეც შენსკენაა, ვიცო და მჯერა
დიდ სიყვარულში გაჭაღარვდები.

დაემსგავსები ალგეთის ლეკვებს,
შენი მამულის მცველი გახდები,
ღმერთი დაგლოცავს სიკეთის მთესველს,
მერე მხრებს გაშლი და გალადღები.

ერთი გახსოვდეს, — ცხოვრების გზაზე
ბევრი შეგვხვდება ეკალ-ბარდები,
ძირში მოცულე, არ გადგე განზე,
ნუ შეშინდები და ნუ დაფრთხები.

იყავ მართალი, სიცოცხლით საესემ
თამამად რომ თქვა შენი საოქმელი,
ისიც გახსოვდეს, — მდიდარის სახელს,
მუდამ გერჩივნოს კაცის სახელი.

იყავ ერთგული, თორემ იცრემლებ,
მჯერა სიყვარულს მიეძალები,
ჭარგებს, ხანდახან თუ გაიხსენებ,
რომ ჩემი სისხლიც გინჩქვებს ძარღვებში.

თუ არ იქნება

თუ არ იქნება ძველი უბნები,
თუ კი სახლები სახეს იცვლიან,
თუ არ ითქმება სიტყვა უბნელი,
მაშინ თბილისი რა თბილისია!
თუ სასწაულად გაღრუბლიანდა
ღმომილიანი მზერა ქალაქში,
თუ არ იქნება მეფაიტონე,
ანდა მეარღნე ორთაჭალაში,
თუ არ იქნება სინდის ნამუსი,
ან ვერ ვიზილავთ ქუჩებს რიყიანს,
თუ არ იქნება ყოჩი თბილისში,
მაშინ თბილისი რა თბილისია!
თუ არ იქნება აბანოები,
თუნდაც გოგირდის სუნის ტრიალი,
ან სილაპაზე ძველი მადნის,

ან რუსთაველზე ჭადრის შრიალი,
ან მეზობლობა მჯიღად შეკრული,
სტუმართ მიღება მამა-პაპური,
თბილისის მკვიდრი სიტყვა შემკული,
უმცროს-უფროსის ყადრი დაცული,
თუ ქალაქელი ძილშიც არ ფიქრობს
მისი ქალაქი რისი ღირსია,
თუკი თბილისმა დაკარგა სითბო,
მაშინ თბილისი რა თბილისია!

ფუნიკულიორიდან


ეგდაეარ ამაყი,
მხრებგადაშლილი,
მთანმინდის სიო
ცხელ გულს მიგრილებს.
ეტკნები თბილისით
გამრუებული,
ღმილით ეხედები
ათას ღმილიებს.
ვილაც უცნობი
„თბილისოს“ მღერის,
ვილაც თბილისზე
ტკბილად ღლინებს.
და მე, თბილისის
მკვიდრმა ბელურამ
თავი არნივად
წარმოვიდგინე.

ჩამეი ფთქაპს გაზაფსული

დავალ ნღებით დაზურგული,
ჯანით ჯერაც არუძღური,
არა შური, ალად გულით,
სიკეთის ქმნით დაზუნძული.
ქირში კი არ დაკარგული,
შეებად, — კართან ატუზული,
ღხინში — სახეგაბადრული
და სიამით გატრუნული.
არც უნაკლო, ზოგჯერ რთულიც,
ათ მცნებაზე მონათლული;
დავალ ზოგჯერ დაზაფრული,
ხან მშვილდივით მომართული,
გულზე მზისხივდაქარგული,
შავ ღრუბლებთან გაბუტული...
ჩემში ფთქავს გაზაფხული
სიყვარულით გაღუმუჭული.

ნატვრა

ღმერთო, მასწავლე ირაო,
როგორც სჩვევიათ არნივებს,
ღრუბლებს, რომ ჩაეუნის კარტო
და სიყვარული განვიმდეს.
...
ღმერთო, მასწავლე ირაო.



ვასილ
კურუნი

ხსენების მხატვარი

(პიასა ორ მოქმედადა)

მეორე მოქმედაა

მხსენი სტენა

პეტრობრაღი. რსდგპ ცენტრალური კომიტეტის რეზიდენცია. ოთახში სხადან იოსებ ჯულაშვილი და ფელიქს ძეგინსკი. დრო: 1917 წლის აპრილი.

იოსებ ჯულაშვილი: ფელიქს ედმუნდოვიჩი! ხედავ, რას ბოდავს ვლადიმერ ილიჩი! რა ემართება ამ ხალხს, არ ვიცი. ლენინმა დაამტკიცა, რომ ვერ მიხვდა, რა მოხდა რუსეთში 1917 წლის თებერვალ-მარტში; ვერ მიხვდა,

დასაწყისი ნ. №3,4,5,6-2008

რომ ახლა 1905 წელი აღარაა; ვერ მიხვდა, რომ რუსეთი ჩაბმულია მსოფლიო ომში და აგებს ამ ომს, რომ აღარ არსებობს არმია; და ბოლოს, ვერ მიხვდა, რომ ომისგან განანამებ რუს მუშას და გლეხს, რუს ინტელიგენტს ფეხებზე პკიდია ყველა პოლიტიკური პარტია და სულაც არ აინტერესებს, რას ლაყბობენ ამ პარტიათა ლიდერები! ხალხს უნდა მშვიდობა და მისთვის გაუგებარია, რა განსხვავებაა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის, რას ნიშნავს რევოლუციის მომნიფება და კიდევ ათასი სისულელე! სწორია პლენაროვი, ლენინის გამოსვლებს ბოდავს რომ უწოდებს. გამოთავყანებული ტროცკიც! რალაცას მიედ-მოედება. ლენინმა და ტროცკიმ ვერ მოიშალეს გაუთავებელი ზოგადეთორიული ლაყბობა. მომწყინდა ამდენი სისულელის მოსმენა!

ფელიქს ძეგინსკი: ლენინსა და ტროცკის ჩვევად ექცათ ერთმანეთის საწინააღმდეგოს მტკიცება, ერთმანეთის ლანძღვა. ისინი ვერ შერიგდებიან.

იოსებ ჯულაშვილი: არ შერიგდებიან! ფელიქს ძეგინსკი: სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა. არ გეჩვენება, რომ გრიგორი ზინოვიევი, ლევ კამენევი და ნიკოლაი ბუხარინი ძალზე გალიზიანდნენ ლენინისა და ტროცკის თავხედობით? ვფიქრობ, ისინი ცალკე ნავლენ.

იოსებ ჯულაშვილი: ასე იქნება. ლენინსა და ტროცკის ვერაინ აიტანს. ლენინის ატანა კიდევ უფრო შეუძლებელი გახდება. ნელან სამი საათი ვესაუბრე, ცხრაჯერ გაუწემორე ერთი და იგივე, მეგონა, დავარწმუნე, რომ ცდება და ბოლოს იგივე სისულელე გაიმეორა, რითაც დაიწყო.

ფელიქს ძეგინსკი: ზინოვიევს, კამენევსა და ბუხარინს თუ შეხვდი?

იოსებ ჯულაშვილი (ხელს ჩაიქნევს): რა აზრი აქვს? ზინოვიევი ნაძირალაა და, ამავე დროს, უნიგნური; კამენევს პოლიტიკისა არა გაეგება რა, მონოდებით კანტორის მოხელეა; ბუხარინი მეოცნებეა, ნებისმიერ დროს შეუძლია დიდი სისულელე ჩაიდინოს. ამათ რომ ვუყურებ, გული მერევა. ნეტავ დავრჩენილიყავი ციმაბირში, მყუდრო ცხოვრება მაინც მქონდა!

ფელიქს ძეგინსკი (იცინის): დაბრუნდი მერე, ვინ გიპლის? ან შენს მშობლიურ საქართველოს მიაშურე!

იოსებ ჯულაშვილი: და ნოე ფორდანიასთან პოლემიკაში გაეატარო დარჩენილი ცხოვრება, არა?

ფელიქს ძეგინსკი: პო, მართლა! კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. რა აზრისა ხარ მათზე?

იოსებ ფულაშვილი: როგორ ამბობს ნიკოლაი გოგოლი? იქ ყველაზე პატიოსანი კაცი პროკურორია, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ისიც დიდი ღორია! აი, ასეა საქმე. ჩხვიძე და ნერეთელი გამოცდილი პოლიტიკოსები, ნიჭიერი ხალხია, ლენინი მათთან შედარებით არაა რაობაა, მაგრამ როდემდე აიტანენ ქართველებს რუსები?

ფელიქს ძერჟინსკი: მე კი ასეთ კითხვას დავსვამდი: როდემდე აიტანენ რუსები იოსებ ფულაშვილსა და ფელიქს ძერჟინსკის?

იოსებ ფულაშვილი: ჭკვიანი კაცი ხარ, ფელიქს ედმუნდოვიჩ! მიხედა არა, რისთვისაც ნამოვიწყე ეს საუბარი?

ფელიქს ძერჟინსკი: დაახლოებით!

იოსებ ფულაშვილი (ხმას დაუწევს): ფელიქს! რომანოვებმა რუსეთს ვერ უპატრონენ, დალაშქრეს ქვეყანა. ვერც რევოლუციამ გაუჩინა რუსეთს პატრონი. არც ერთი პოლიტიკური პარტია რეალურ ძალას არ წარმოადგენს, არმია აღარ არსებობს, გენერალიტეტი არმიის გარეშე არარაობად იქცა. ერთი სიტყვით, შენც ატყობ, სრული ქაოსია, უპატრონოდ დარჩა ქვეყანა! გერმანელებს შეუძლიათ ერთ თვეში დაიკაონ პეტროგრადიც და მოსკოვიც, თუ ეს მოინდომეს. ყური დაგივადე, ლენინის ჭკუაზე მოყვანა შეუძლებელია. სწორედ მაგაზეა ნათქვამი: გიყი დაჭკვიანდებ, სულელს არა ეშველება რაო! ამოვიდა ყელში მისი უაზრო ფრაზები: „რევოლუციის მომხრეება“, „რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი პერიოდი“, „მასების მხარდაჭერა“. ფელიქს! არავითარი რევოლუცია, არავითარი მასების მხარდაჭერა! რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება და ძალაუფლება ვიგდოთ ხელთ! რუსეთს პატრონი სჭირდება და არა მოლაყბე პარლამენტი და უსუსური მთავრობა. ახალი რევოლუცია არაფერს მოიტანს, არაფერს გააჩვენებს. რუსეთის ხსნა სახელმწიფო გადატრიალებასია! ძლიერი, მკაცრი, დაუნდობელი ხელისუფლება იხსნის რუსეთს! ამ საქმეს ძლიერი და ნიჭიერი წინამძღოლი, ბელადი სჭირდება. დღეს არც ერთ პარტიას ასეთი ბელადი არა ჰყავს, ესეც რუსეთის ტრაგედიაა!

ფელიქს ძერჟინსკი: მაშ, რა გვეშველება, გამოსავალს რაში ხედავ?

იოსებ ფულაშვილი: როცა წამდელი, ღირსეული ბელადი არ ჩანს, მაშინ ასპარეზზე გაიშვას ცრუ ბელადი, თვითმარქვია. იყოს ლენინი ცრუ ბელადი, იყოს მისი კონკურენტი, ცრუ ბელადი — ტროცკიც. ეს საქმეს ხელს არ შეუშლის. იყვნენ პატარა ცრუ ბელადები: ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი. ესენიც ვერ შეუშლიან ხელს საქმეს. დაე, ისუღელონ ამ ჯამბაზებმა, ჩვენ კი ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ!

ფელიქს ძერჟინსკი (ცოტა დაბნეული, გაოცებულად): რა საქმე, ვერ გავიგე?

იოსებ ფულაშვილი: სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოვანყოთ, ძალაუფლება უნდა ჩავეცილოთ ხელში, რუსეთი უნდა ვიხსნათ!

ფელიქს ძერჟინსკი (ჩაფიქრებული): ძნელი საქმეა, არ ვიცი როგორ ვაპირებ, მე და შენ რა ძალას წარმოვადგინო, შენ — ქართველი, მე — პოლონელი, შეგვჭამენ!

იოსებ ფულაშვილი: ამიტომ ყველაფერი ცრუ ბელადის ლენინისა და თუნდაც იმ ნაძირალა ტროცკის სახელით უნდა გაკეთდეს, ჩვენ არ უნდა გამოვჩნდეთ.

ფელიქს ძერჟინსკი: როგორ?

იოსებ ფულაშვილი: აი, როგორ: რამდენიმე კვირაში რუსეთში დიდი პოლიტიკური კრიზისია მოსალოდნელი. ლენინი და ტროცკი უნდა დავარწმუნოთ, რომ თუ სახელმწიფო გადატრიალებას არ განცხადობენ, სამხედროები აიღებენ ძალაუფლებას და ყველას გაგვუჭავენ. ლენინი შეშინდება და ვიქრობ დაგვეთანხმება. ან უნდა დაგვეთანხმოს, ან სახრამობელაზე ასახლება მოემზადოს. სამხედროები ლენინს გერმანიის გენერალურ შტაბთან თანამშრომლობას არ აპატიებენ, პირველივე ბოძზე ჩამოკიდებენ. ეს ლენინმა კარგად იცის, ამიტომაც ეწინაა სამხედროების, ამიტომ უნდა, ისედაც დაშლილი არმია სულ მთლად დაშალოს. არც ტროცკია დიდი ვაჟაკი, ისიც შეშინდება.

ფელიქს ძერჟინსკი: კი მაგრამ გადატრიალება ადვილი საქმე ხომ არ არის!

იოსებ ფულაშვილი: ცდები! არც ისე ძნელია. ორი-სამი ათასი ჯარისკაცი და მეზღვაური საქმარისია. ამას გარდა, ოთხი-ხუთი ათასი მუშა თუ მივიხვეთ, დროებით მთავრობა გაქცევასაც ვერ მოასწრებს. მთავარია პეტროგრადსა და მოსკოვში მივაღწიოთ წარმატებას, დანარჩენი რუსეთი მზარს დაგვიჭერს. ქვეყანაში, რომელსაც არმია არა ჰყავს, სადაც უანდამერია და პოლიცია დარბეულია, ხელისუფლების დაპყრობა არც ისე ძნელია, შენ რომ გეჩვენება. თუ გენერალიტეტმა არმიიში წესრიგი აღადგინა, აი, მაშინ კი ფიქრიც აღარ შეიძლება სახელმწიფო გადატრიალებაზე, ყველაფერი დამთავრდება, სამხედროები არავის დაინდობენ!

ფელიქს ძერჟინსკი: მე რა უნდა ვაკეთებ?

იოსებ ფულაშვილი: ჯერჯერობით ერთი რამე: საიმედო ხალხს უნდა მოუყარო თავი, კონკრეტულად არავის არაფერი გაანდო! და კიდევ ერთი (იცინის): ჩვენ ლენინის მომხრეები ვართ და ველოდებით, როდის მომხრედება რევოლუცია, როდის გვეტყვიან სოცია-

ლიზმზე შეყვარებული მუშები: მობრძანდით, ძალაუფლება აიღეთო! (ორივენი საუბრით გადაიან)

მეექვსე სცენა

პეტრობრაფი. პეტრობრაფის მუშათა, ზარისკაცთა და მატროსთა დავუბრუნებასა და საბჭოს რეჟიმის დაცვა. საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში მამბრასთან ზის კარლო ჩხეიძე. დრო: 1917 წლის მაისი.

(კაბინეტში შემოდის იოსებ ჯულაშვილი).

იოსებ ჯულაშვილი: გამარჯობა, კარლო! **კარლო ჩხეიძე** (აშკარად არ ესიამოვნა იოსებ ჯულაშვილის დანახვას): გაგიმარჯოს, დაბრძანდით!

იოსებ ჯულაშვილი (სავარძელში ჩაეშვება): ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა მოგვლა-პარაკო, გცალია? თუ დაკავებული ხარ, მერე შემოგივლი.

კარლო ჩხეიძე: არა, არა, გისმენთ!

იოსებ ჯულაშვილი: მგონი, დამეთანხმები, რომ 1917 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებს, რევოლუციას, არც მენშევიკები და არც ბოლშევიკები არ ველოდით, ჩვენი ჩარევის გარეშე მოხდა!

კარლო ჩხეიძე: კობა, შენ დიდი ხნის განვლოდაში გადასახლებულ იყავი, ისევე, როგორც ირაკლი წერეთელი, კარგად არ იცი, რა ხდებოდა რუსეთში 1914-1917 წლებში. მე ვიცნობ ყველა შენს წერილს, რომელიც გადასახლებულ დანაბრუნების შემდეგ დაბეჭდვით გამოვიწერე, მაგრამ გვერდს უღიბი საკითხს — როგორ მივედით 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე. ჩვენ, მენშევიკები, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავით, სათათბირო იყო ოპოზიციური მოძრაობის ცენტრი. ჩვენ ველოდით რევოლუციას, ვიცოდით, რაც მოხდებოდა!

იოსებ ჯულაშვილი (ოდნავ გაბრაზებული): კარლო! მე მენშევიკების და ბოლშევიკების დავის გასარკვევად არ მოვსულვარ. ძალიან ბევრს ნუ აიღებ შენს თავზე, ნუ დაგავიწყდება, რომ რევოლუციას ამზადებდნენ კადეტებიცა და ესერებიც, საერთოდ, ოპოზიციური ძალები! იმას ვამბობ, რომ რევოლუცია მოულოდნელად მოხდა, ყველასათვის მოულოდნელად!

კარლო ჩხეიძე: ამას არავინ უარყოფს, არც მე, არც ირაკლი წერეთელი!

იოსებ ჯულაშვილი: ძალიან კარგი!

კარლო ჩხეიძე: კობა! შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მებრძოლი, უშიშარი, კალამი გიჭირს, ამიტო-

მაც ვერ გამიგია, რა გესაქმება ლენინთან, გერმანიის გენერალური შტაბის მიერ მოსყიდულ აგენტთან? გუშინ ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან და ერთბაშად აღედგროა მოინდომა, არავის არაფერად აგდებს. შუბლზე-ლია ასეთ ადამიანთან თანამშრომლობა!

იოსებ ჯულაშვილი: მე ლენინის ადუკატი არა ვარ! ჩემი მრწამსი, ჩემი მიზანი მაქვს. გარდა ამისა, შენ არ შეიძლება არ იცოდე, რომ კადეტებზეც და ოკტიანოვისტებზეც ამბობენ, ინგლისის აგენტები არიანო. მილიუკოვი და გუჩკოვი ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების დაკვეთას ასრულებენ... ყველაზე რაღაცას ამბობენ.

კარლო ჩხეიძე: ჩემზე რას ამბობენ?

იოსებ ჯულაშვილი (იცინის): პატიოსანი და ჭკვიანი კაცია, ამიტომ მალე ჩამოაცილებენ ხელისუფლებას, გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის აგენტები ვერ აიტანენო!

კარლო ჩხეიძე: შენ ჩემთან ამის სათქმელად არ მოხვიდოდი!

იოსებ ჯულაშვილი: ხომ გითხარი, ასე ამბობენ, კარლო ჩხეიძე ჭკვიანი და პატიოსანი კაციაო!

კარლო ჩხეიძე: კობა, ჩქარა მითხარი, საბჭოს სხდომა იწყება!

იოსებ ჯულაშვილი (სერიოზულ სახეს მიიღებს): კარლო! მალე რუსეთში სერიოზული პოლიტიკური კრიზისი დაიწყება, რაც შეიძლება სამხედრო დიქტატურის დამყარებით დამთავრდეს. თუ ეს მოხდა, სოციალ-დემოკრატიები, კადეტები და ესერები, უკეთეს შემთხვევაში, ციხეში აღმოჩნდებიან. შეიძლება მოხდეს უარესი: რუსეთი გერმანიამ დაიპყროს. არმია აღარ არსებობს, ფრონტს ვერ შევაკავებთ. ჩვენი საქმე ამ შემთხვევაშიც წასულა.

კარლო ჩხეიძე: მზად ვართ დავიცვათ რევოლუციის მონაპოვარი, ჩვენ ვერც სამხედროები შეგვამინებენ და ვერც გერმანელები!

იოსებ ჯულაშვილი: კარლო! არმია დაიშალა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა უზარმაზარი მასა უშართავ ძალად იქცა. ვისი იმედი გაქვს?

კარლო ჩხეიძე: რევოლუციური მუშებისა და მეზღვაურების, ხალხის!

იოსებ ჯულაშვილი: გერმანიის ხუთი დივიზია საკმარისია პეტროგრადისა და მოსკოვის დასაკავებლად. დამიჯერე, რევოლუციური მუშები და მეზღვაურები არ წარმოადგენენ იმ ძალას, რეგულარული არმიის შეტევას რომ შეაჩერებს. შეიძლება ყველაფერი ძალიან სწრაფად, რამდენიმე დღეში გადაწყდეს!

კარლო ჩხეიძე: კობა!...

იოსებ ჯულაშვილი (ანწყვეტინებს): დამაცა-

დე, მათქმევინე! პირველ რიგში, სერიოზული საფრთხე გენერალიტეტიდან, სამხედროებიდან გველის. როგორ ფიქრობ, ამდენი გენერალი, ამდენი ოფიცერი ვულვუ დაიკრფეს ხელს და მაკურებლის როლში დარჩება? თუ გიფიქრია იმაზე, რამდენი ათასი ოფიცერია რუსეთში, თუ გიფიქრია იმაზე, რომ ისინი ჩვენს დაუძინებელი მტრები არიან. კარლო! გენერლები გონს მოვლენ და დაინყებენ საიმედო სამხედრო ნაწილების თავმოყრას, კახეთა ჯარი მათი დასაყრდენი გახდება. ეს დიდი ძალაა, ჩვენ რა შეგვიძლია დავეპირისპიროთ?

კარლო ჩხეიძე (დაფიქრებით): რევოლუციის დაცვა საჭიროდება, არ გეკამათები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ დავიცავთ რევოლუციას!

იოსებ ჯულაშვილი: ვერ დავიცავთ! **კარლო ჩხეიძე:** მაშ, რა ვქნათ?

იოსებ ჯულაშვილი: კარლო! ახლა რაც უნდა გითხრა, მაინც შენს აზრზე დარჩები. მოიცადოთ რამდენიმე კვირა, როცა საფრთხე რეალური გახდება, მიხედები, რომ მართალი ვარ. ხომ იცის: მიშს დიდი თვალები აქვს! (ილიმება) აი, რომ შეგვმინდება, შემდეგ ვისაუბრო, რალაც მაქვს მოუტირებელი, გეტყვი, აუცილებლად გეტყვი!

კარლო ჩხეიძე: ახლა მითხარი! თქმას რა უდგას ნინ?

იოსებ ჯულაშვილი: კარლო! ახლა შენ გვონა, რომ მთავარია ის მგზნებარე, რევოლუციური პათოსით გაფლენილი სიტყვა, პეტროგრადის საბჭოზე რომ იტყვი. დარწმუნებული ვარ, ტაშაც დაგიკრავენ. მგზნებარე სიტყვებითა და ტაშით ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებთ. ის ხალხი, დღეს შენ რომ ტაშს დაგიკრავს, ხვალ სხვას დაუკრავს ტაშს, სხვას დაუჭერს მხარს, არ გესწავლება ეს ჩემგან. ნუ გეცნება იმ ხალხის იმედი, თავს ნუ მოიტყუებ! კარგად დაფიქრდი, ნუ აჩქარდები, კიდევ შემოგივლი (იოსებ ჯულაშვილი ადგება, კარლო ჩხეიძეს ხელს ჩამოართმევს და გადის).

მეშვიდე სცენა

პატრონბრადი. რსფპ კონსპირაციული ბინა. ოთახში სხედან იოსებ ჯულაშვილი და ფელიქს კერენსკი. დრო: 1917 წლის აპრილის 10.

იოსებ ჯულაშვილი: ფელიქს ედმუნდოვიჩ! სანამ ეს გამოტყინებული ლენინი, ტროცკი და მათი კამპანია უქმად კარგავს დროს, გენერალმა ლავრ კორნილოვმა მთავრობის

თავმჯდომარესთან ალექსანდრე კერენსკისთან მოლაპარაკება დაიწყო. გენერალ კორნილოვის უკან სერიოზული ძალა დგას: გენერლები დენიკინი, ლუკომსკი, ალექსეევი და სხვები. კორნილოვი კერენსკი სამხედრო დიქტატურის დამყარებას სთავაზობს. როგორც მაცნობეს, კერენსკი მერყეობს, გერაფერი გადანყიბა, მეორე შეხვედრა დანიშნულია. თუ კორნილოვმა კერენსკი დაათმობს, ყველაფერი დამთავრდა — ბოლშევიკები ხელისუფლებას ველარასოდეს ვეღირებენ.

ფელიქს ძერჟინსკი: რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ?

იოსებ ჯულაშვილი: მდგომარეობის ხსნა შეიძლება! ამისათვის საჭიროა ალექსანდრე კერენსკი დაგარნმუნოთ, რომ შორს დაიჭიროს თავი გენერალ კორნილოვისაგან. უნდა შევამზინოთ, რომ სამხედრო დიქტატურის შემთხვევაში სახრჩობელაზე პირველი მას აიყვანენ.

ფელიქს ძერჟინსკი: ვინ გააკეთებს ამას, ვერც შენ და ვერც მე ზამთრის სასახლეში ვერ გამოვჩნდებით, რომც გამოვჩნდეთ, კერენსკი ჩვენ არ გვენდობა.

იოსებ ჯულაშვილი: სწორი ხარ. ამ მისიის შესრულება მე კარლო ჩხეიძეს ვთხოვე. არ ველოდი, ისე სწრაფად დამეთანხმა, ესაუბრა კიდევ კერენსკის.

ფელიქს ძერჟინსკი: მერე? დაარწმუნა?

იოსებ ჯულაშვილი: ვერ ერთი, კერენსკი მშიშარაა; მეორეც, კერენსკისათვის კარლო ჩხეიძე დიდი ავტორიტეტია. კერენსკის ისე შემინებია, რომ კარლოსათვის უთქვამს: თუ კორნილოვის მოთხოვნამ ულტიმატუმის ხასიათი მიიღო, მეამბოხედ გამოვაცხადებ და მისი დაპატიმრების განკარგულებას გავცემო!

ფელიქს ძერჟინსკი (იციინის): ეს იმას ნიშნავს, რომ პეტროგრადში პარადი კვლავ ქართველებს მიეყვით!

იოსებ ჯულაშვილი: ფელიქს! ახლა შენი ჯერია. ლენინი უნდა დაარწმუნო, რომ თუ სახელმწიფო გადატრიალებას არ მოვახდენთ, შეიძლება სამხედროებმა კერენსკი გადაგდონ და დიქტატურა დაამყარონ. პირდაპირ უთხარი: რუსი გენერლები, კორნილოვი იქნება ეს თუ ალექსეევი, ლენინს გერმანიის გენერალურ შტაბთან თანამშრომლობას არ აპატიებენ და ჩამოახრჩობენ. ერთი სიტყვით, მაგრად შეამინე!

ფელიქს ძერჟინსკი: არ უნდა იყოს ძნელი საქმე. ერთხელ ამის თაობაზე სიტყვა გადავუკარი და ფერი დაკარგა, ეშინია!

იოსებ ჯულაშვილი: გადატრიალების შემთხვევაში რამდენი კაცის მხარდაჭერის იმედი უნდა გექონდეს?

ფელიქს ძერჟინსკი: ხუთი-შვიდი ათასი მეზღვაურის, ორი-სამი ათასი ჯარისკაცის და ოთხი-ხუთი ათასი მუშისა.

იოსებ ჯულაშვილი: საკმარისია. უნდა ვივარაუდო, რომ გადატრიალების წინა დღეს ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდება.

ფელიქს ძერჟინსკი: მეც ასე ვფიქრობ! **იოსებ ჯულაშვილი** (იცინის): აბა, გასანი და ვლადიმერ ილიჩს ანგელოზები დაუფრთხე! (ფელიქს ძერჟინსკი დაემშვიდობება და გადის).

იოსებ ჯულაშვილი (მარტო დარჩენილი): აი, რუსეთის ტრაგედია! რევოლუციამ რომა-ნოვების დინასტია დაამხო, მაგრამ საშუელი მაინც არაა. ვინ ცდილობს რუსეთის ბედის გადაწყვეტას: მშისპრა კერენსკი, მოლაყ-ბე მელიუკოვი, მანიაკი ლენინი, მედროვე ტროცკი, ვიგინდარა ზინოვიევი! ვის ეგონა, რომ რუსი გენერლები ასე უსუსურები გამოდგებოდნენ! რუსეთის ხსნა ახლა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებას შეუძლია! რუსეთს მკაცრი, დაუნდობელი, საქმიანი მთავრობა სჭირდება. ამ ვიგინდარების დრო უნდა დამთავრდეს! (ჩაფიქრდება).

მერვე სცენა

პეტროგრადი. მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოს რაზმიდინცია. პესტიმიზმული დობანან კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. დრო: 1917 წლის 24 ოქტომბრის დილა.

(შემოდის იოსებ ჯულაშვილი, თითქოს კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს ვერც ამჩნევს).

კარლო ჩხეიძე: კობა! აქეთ მოგვხედეთ, საქმე გვაქვს შენთან!

იოსებ ჯულაშვილი (მიუახლოვდება): გამარჯობათ! (ორივეს ხელს ჩამოართმევს). აი, რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების პარადოქსი. კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი განზე დგანან და შეპყრებენ, როგორ ლუპავს ქვეყანას ეს იდიოტი კერენსკი!

ირაკლი წერეთელი: ვითომ გენადლეება ეს შენ? მე რომ მიწისტრობიდან გადამაყენეს, აღფრთოვანებით არ წერდი ერთ გაზეთში: "მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია ნავიდესო!"

იოსებ ჯულაშვილი (ვითომც ვერ მიხვდა ნათქვამის ხარს): რადგან გაზეთი ახსენე, მეც გაზეთის თაობაზე მინდა გითხრათ.

კარლო ჩხეიძე: რა გაზეთის?

იოსებ ჯულაშვილი: ვუძინ ლამით, თუ დღეს გამთენიისას მთავრობის განკარგულებით

დაუხურავთ გაზეთები "რაბოჩი პრესა" და "სოლდატ". რატომ აკეთებს ამას კერენსკი, რა უნდა ბოლშევიკებისაგან? ხომ დევებმართე კორნილოვის ამბოხების ჩახშობაში!

კარლო ჩხეიძე: კობა! ხმები დადის, რომ ბოლშევიკები ამბოხებას ამზადებთ. სწორია?

იოსებ ჯულაშვილი: ასეთი ხმები დადიოდა 1917 წლის ივლისში, აგვისტოში და სექტემბერშიც. გახსოვთ?

ირაკლი წერეთელი: გვახსოვს, მაგრამ ახლა დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეს მარტო ხმები, ჭორები არაა.

იოსებ ჯულაშვილი: კერენსკი სულ ბოლშევიკების ამბოხებაზე ლაგობს და კინაღამ გენერალმა კორნილოვმა გადააყენა! ახლაც ასეა: შიშს დიდი თვალები აქვს, ეშინია კერენსკის, ეშინია და ამბოხება ელანდება. მიკვირს, თქვენ რატომ ყვებით ამ ჭორებს?

კარლო ჩხეიძე: კობა! ჩვენ კერენსკის არ ვიცავთ, რუსეთის რევოლუციის მონაპოვარს ვიცავთ, გეშინია, ქვეყანა უფსკრულში არ გადაიჩეხოს!

იოსებ ჯულაშვილი: აბა, დაფიქრდით: ზინოვიევი, კამენევი და ბუხარინი სასტიკი წინააღმდეგი არიან ყოველგვარი შეიარაღებული აჯანყებისა, გაიგებდით ალბათ! ტროცკი თავს იკლავს, ხელისუფლების საკითხი ქუჩაში კი არ უნდა გაირკვეს, არამედ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაზეო, რომელიც ხვალ იხსნება! მაშ, ვინ ამზადებს ამბოხებას? იქნებ ფიქრობთ, რომ მე? არა, ბატონებო! ამ დილით იმიტომ გეახელით, რომ მთავრობის მიერ დახურული გაზეთების გამოცემის ნებართვის მიღებაში დამეხმაროთ. ორივე ნომრის კლიშეები და ანაბეჭდები ამოღებულია, გაზეთი დღეს ვეღარ გამოვა, იქნებ ხვალ დილით მაინც გამოვიდეს. თუ დამეხმარებით, ნებართვისათვის საღამოს შემოგივლით.

კარლო ჩხეიძე: ვეცდებით, ხუთი საათისთვის შემოვივარე, ან მე მნახე ან ირაკლი; კერენსკის არ დაეხახო, ცუდად ნაუა შენი საქმე, იცოდე! (იცინის).

იოსებ ჯულაშვილი: არც ვპაირობ. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, საღამოს შემოგივლით (დაემშვიდობება და გადის).

კარლო ჩხეიძე: ირაკლი! აჯანყება რომ მზადდებოდეს, იოსებ ჯულაშვილი ქუჩაში არ დაიწყებდა ხეტიალს, ხომ იცი, ეგეთი საქმე მაგის გარეშე არ მოხდება. აჯანყება რომ მზადდებოდეს, ჯულაშვილი ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან იქნებოდა!

ირაკლი წერეთელი: კარლო! მე მაინც მგონია, რომ ჯულაშვილი სიმართლეს არ ამბობს, მაგისი ნდობა როგორ შეიძლება, გაზეთების ამბავიც მოგონილი მგონია!

კარლო ჩხეიძე: გაზეთები ნამდვილად დასურეს!

ირაკლი ნერეთელი: გაზეთები კი დასურეს, მაგრამ რა ჯულაშვილის საქმეა მათი გამოცემის განახლების ნებართვაზე ზრუნვა! მგონი, ჩვენს შეცდომაში შეყვანას ცდილობს, ამიტომ მოზრძანდა აქ!

კარლო ჩხეიძე (დაფიქრებით): აბა, არ მოვახსენო კერენსკის ჯულაშვილის ვიზიტის ამბავი?

ირაკლი ნერეთელი: არ ვიცი, როგორც გინდა! დიდი ხანია ჯულაშვილისა არაფერი მნამს! ჯერ ატყობ, ლენინს თავის ჭკუაზე ატარებს, სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ლენინს ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და ბუხარინი! თანაც ჩუმ-ჩუმად დასციინს ლენინს, გერმანიის აგენტს უწოდებს. ერთი სიტყვით, სულ გამოაშტერა ის საცოდავი, სადღაც ჰყავს ვადამალული, გარეთ ცხვირს არ აყოფინებს. ამბობენ, ლენინის კონსპირაციული ბინის მისამართი მარტო ჯულაშვილმა იცისო!

კარლო ჩხეიძე: წაველ, კერენსკის ვნახავ, ჯულაშვილის ვიზიტის ამბავს მოვუყვები, დასკვნები თვითონ გააკეთოს! (ორივენი გადაიან).

მეცხრა სცენა

პეტრობრადი. სმოლნი. კაპინეტში ზის იოსებ ჯულაშვილი და რაბაცას ქიშხულუგს. დრო: 1917 წლის 26 ოქტომბრის ღამე.

(კაპინეტში შემოდის გამოუძინებელი, გადაქანცული ფელიქს ძერჟინსკი. იოსებ ჯულაშვილი თავს აიღებს, მასაც დალილობა ეტყობა).

იოსებ ჯულაშვილი: რა ამბავი მოიტანე? რა მდგომარეობაა ზამთრის სასახლეში?

ფელიქს ძერჟინსკი: ცოტა ხნის წინ, 2 საათსა და 40 წუთზე ზამთრის სასახლე დაიკავეთ. მთავრობა დაპატიმრებულია. ალექსანდრე კერენსკიმ გაქცევა მოახერხა.

იოსებ ჯულაშვილი: ჯანდაბამდე გზა შქონია მაგ ლემს! ქალაქში რა მდგომარეობაა?

ფელიქს ძერჟინსკი: ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზის ვაგზლები, საზღვაო ვაგზალი, ხიდები, არსენალი ჩვენს ხელთაა, მეზღვეურთა და მუშათა რაზმები იცავენ, კაზაკები ყაზარმებში არიან, გარეთ არ გამოდიან. მოსახლეობა სიმშვიდეს ინარჩუნებს, არ აქტიურობს.

იოსებ ჯულაშვილი: რამდენი კაცი დევკარგეთ?

ფელიქს ძერჟინსკი: მოგიკლეს ექვსი, რამდენიმე ათეული დაიჭრა!

იოსებ ჯულაშვილი: ახლა თუ მაინც გაიგებენ ლენინი და ტროცკი, რომ ხელისუფლების დასაპყრობად მასები და რევოლუცია სულაც არ არის საქირო. ამ იდიოტებმა ვერაფერი ისწავლეს ისტორიიდან!


ფელიქს ძერჟინსკი: ჰო, სად არიან ლენინი და ტროცკი?

იოსებ ჯულაშვილი: ჯანდაბაში! ეს ორი ტაკიმახარა, რუსეთის ეს ორი დიდი სირცხვილი, ალბათ, გამარჯვებული ბელადის მანტიას ირგებენ და ხვალ დამშეულ ხალხს მსოფლიო რევოლუციისკენ მოუწოდებენ! ჯანდაბამდე გზა შქონიათ!

ფელიქს ძერჟინსკი: ესე იგი, რევოლუციის ბელადებად ისინი შეირაცხებიან? ხელისუფლება ხომ თქვენი გეგმის წყალობით ავიღეთ?

იოსებ ჯულაშვილი (ფეხზე წამოდგება): ასეა! მე ვერ ცრუ ბელადების ჩრდილში უნდა დავარჩე. რუსეთის ისტორია თავისი კანონზომიერებებით ვითარდება, ჩვენ მას ვერ შეცვლით! ყველა ცრუ ბელადი ადრე თუ გვიან ცუდად ამთავრებს. ცუდად დაამთავრებენ: ლენინი, ტროცკი და კიდევ მრავალი პატარა ცრუ ბელადი. მანამდე კი რუსეთის პატრონი არ ეყოლება. ესაა რუსეთის ბედისწერა! რუსეთი მზრძანებულს ელოდება, ეს მზრძანებული მე ვიქნები! დადგება ჩემი ეპოქა — სტალინის ეპოქა! (იოსებ ჯულაშვილი რამდენიმე წამით დაძაბული უყურებს კედელზე გაკრულ რუსეთის იმპერიის რუკას, რომლის თეთრი ფერი თანდათან წითელში გადადის. შემდეგ ფურცელს აიღებს, დოკუმენტს სწრაფად ჩაიკითხავს და ნერვიული მოძრაობით ფურცლის ბოლოს ხელს მოაწერს).

ფარდა
(**პიესის დასასრული**)



შეუღ
სკნონი

ჯიჩი და მისი ნაყოფი

საავადმყოფოში მუშაობას რომ შეეუდეთ ერთი ქერათმიანი მონყალეების და შვებამჩნიე, რომელიც ყველას უყვარდა და ყველა ქებით იხსენიებდა. მისი ფეხის ხმის გაგონებაზე ავადმყოფები სანოლებიდან წამოიწევენ ხოლმე, ხელებს მისკენ ისე იწევიდნენ, როგორც დედისერთები სწადიან დედების და-ნახვისას, და ეძახოდნენ: — დაო, აქეთ, ჩემთან მოდიო. იმათაც კი, მუდამ უკმაყოფილონი რომ იყვნენ და ყველაფერი აბრაზებდათ, მისი დანახვისას სახეზე ნაოჭები უსწორდებოდათ, რისხვა უქრებოდათ და გოგონას ბრძანებებს სწრაფად ასრულებდნენ. მას კი ბრძანებაც არ შეეძლო, ბაგეზე აღბეჭდილი ღიმილით ყველას იმორჩილებდა. უფრო მეტი ძალა კი მის შავში გადასულ მოლურჯო ფერის თვალებს ჰქონდა. ვინც მასში ჩაიხედავდა, თავს ქვეყნის თვალად წარმოიდგენდა. ერთხელ მეც ჩამხედა თვალებში, ისევე მომწუსხა, როგორც სხვა ავადმყოფები, თუმ-

ცა რამე განზრახვა არა ჰქონია რა, და მაშინ ვკითხე საკუთარ თავს — საიდან მოდიოდა ის ძალა, რითაც ყველას ატყვევებდა. ეს ღიმილი, შავში გადასული თვალების სილურჯე უფრო მომთხონენ იყო, ვიდრე მისი ბაგიდან ნათქვამი სიტყვა. ყველას უყვარდა და ყველა მეგობრულად ეპყრობოდა, მონყალეების უფროსი დაც კი, ორმოც წელს მიტანებული ქალბატონი, კარგი გვარიშვილი, გამზდარი და ფერმიხდილი, ყველა რომ სძულდა, ექიმიცა და ავადმყოფიც, ყველა, შავი ყავის, მარილიანი ნამცხვრის და თავისი საყვარელი ძაღლის ხიკას გარდა. ყველა კეთილი მზერით უყურებდა — ექიმთა საზოგადოებას რომ თავი დაეხანებოთ, ჩვენი მოხუცი პროფესორიც წოლითი რეჟიმის დაცვას არც ითხოვდა, თუ სანოლები ლამაზად იყო განყოფილი. ეს კეთილი მოხუცი, რომელმაც მრავალი ადამიანი დააყენა ფეხზე, საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა: მისი ნაციისტი უფროსი ყოველდღე შეურაცხოვას აყენებდა. ერთხელ დანოლა უბრძანა, მერე ადექიო, მიაყოლა, მოხუცმა მალევე წამოდგომა ვერ შეძლო. გაშმაგებული ნაციისტი ჩექმებით შესდგა და თითები დაუჩქრქვა. მოხუცს სისხლი მოეწამლა და გარდაიცვალა. კიდევ რა ვთქვა? დიახ, ეს გოგო მეც ისევე მომწონდა, როგორც ყველას, მაგრამ სხეებზე ვერაფერი გაუბედეს, მე კი გაუუბედე და... ცოლად მოვიყვანე.

2.

ერთხელ, შუადღეს, სასადილო ოთახიდან გამოსვლისას დინა შემხვდა და ვკითხე, — თავისუფალია თუ არა მონყალეების და? მიპასუხა, — არა ვარ დაკავებულიო. — ასეთი რა დღეა-მეთქი? — დღეს მთელი დღე თავისუფალი ვარ საავადმყოფოდანაო. — როგორ აპირებ გამოსასვლელი დღის გატარებას? — ამაზე არც მიფიქრიაო. — თუ ნებას მომცემ, ერთ რჩევას მოგცემ. — თქვენი ნებაა, ბატონო ექიმოო. ვკითხე, — რას მივიღებ რჩევის სანაცვლოდ, ამ საუკუნეში საჩუქარს ტყუილუბრალოდ ხომ აღარავინ იძლევა? შემომხედა და მოტყდა. ვუთხარი, — ერთ რჩევას კი არა ორს მიგცემ: ერთი, ნავიდეთ პრატერში და მეორე — ოპერაში, და თუ ვიჩქარებთ, კაფეში შესვლასაც მოვასწარებთ. თანახმა ხარ? თავი დამიქნია მეგობრულად.

ვკითხე, — როდის ნავიდეთ? მიპასუხა, — გაფიცები, როცა ნახვალთ ნამოყვებიო. — გადავდებ ჩემს საქმეებს და მოუდევარ-მეთქი. — როგორც კი გამოხვალ და შემხვდები, მზად ვიქნები და ნამოყვებიო. ის ოთახში შევიდა, მე კი ჩემი საქმეების მოსაწესრიგებლად წავიდი. ერთი საათის შემდეგ მასთან შევედი და ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი დამხვდა.

უცერად სხვა თვალით, ახლებურად დაეინახე და ამ სიახლემ გამიორკეცა ის მოწონება, რასაც აქამდე, სამედიცინო ფორმაში რომ იყო გამოწყობილი, მისდამი განვიციდი, და ეს ყველაფერი ამ ახალმა ტანსაცმელმა გამოიწვია. ვიჯექი მის ოთახში და ვუტყვიერდი ვინრო სანოლთან მდგარ მაგიდაზე დალაგებულ ყვავილებს. შევეკითხე, იცი თუ არა, რა ჰქვია ამ ყვავილებს და თითოეული ყვავილის სახელი გვიჩანსულად, ლათინურად წარმოვთქვი, თან შიში დამეფუფლა, ვაითუ, ამ დროს მძიმე ავადმყოფი მოიყვანოს და დამიძახონ-მეთქი, ავდეი სკამიდან და ვთქვი, — წასვლას დავუჩქაროთ. ჩანდა, რაღაცაზე ნუხუნ. ვკითხე, — რაზე სნუხხარ? მიპასუხა, — მეგონა, ბატონი რამეს მიირთმევდა. — ახლა ნავიდეთ და თუ ასე შეგტყვია ჩემზე გული, როცა დავბრუნდებით, შენთან მოვალ, ვისიამოვნებ ყველაფრით, რასაც კი შემომთავაზებ.

საავადმყოფოს ეზოდან გამოსვლისას მეთვალყურე გუშავს ვუთხარი, — შეხედე ამ მეუღლას, აქედან მიმყავს. მეთვალყურემ ლამაზ თვალებში ჩახედა და თქვა, — ღმერთი გვარავდეთ, ბატონო ექიმო, შენ და დინასო.

მივდიოთ ტრამევის გაჩერებასთან. მოვიდა ერთი ტრამევი, ავედიოთ ვაგონში, მძლოლმა მითხრა, — ყველა ადგილი დაკავებულიაო. ჩამოვიდეთ და შემდეგს დაველოდეთ, იმავე წუთს ვთქვი ის, რასაც ამ დროს ამბობენ: ტრამევიმ და ქალიშვილმა ჩაიარეს და ნუ ისუხებთ, რადგან მალევე ჩავივლიან სხვებიც. ქალიშვილზე რაც ითქმის, — ვანა მოიძებნება მსგავსი? ტრამევის რაც შეეხება, უნუხი, რომ იგვიანებდა.

შემდეგ მოვიდა საგარეუბნო ტრამევი, ახალი ვაგონებით, შიგ ხალხთობაც მეტი იყო. შევიდით. მალევე, ანუ თუ საათს ვენდობით, ერთი საათის შემდეგ, იგი თავისი დანიშნულების ადგილზე მივიდა და ჩვენ ლამაზ, ბალებით სავსე, მცირედ დასახლებულ ადგილზე აღმოვჩინდით.

გავიარეთ ქუჩა, თან საავადმყოფოზე ვსაუბრობდით, ავადმყოფებზე, უფროს მოწყალეების დაზე, ექიმებსა და პორფესორზე, რომელმაც დაადგინა, თირკმელებით დაავადებულებს კვირამი ერთ დღეს ეუმიშობათ, რადგან ერთმა, რომელიც შიშობდა თავისი თირკმელების გამო და იმარხულა "იომ ქიფურით"-ს (განკითხვის დღის) დროს, თავის შარდში ცილა ვეღარ აღმოაჩინა. ამის შემდეგ გავისხენეთ ყველა ხეობარი, ვინც კი ომმა დაასახიჩრა და კმაყოფილები დავრჩით, სადაც ვსერირობდით, ხეობრები არ ჩანდნენ. ერთბაშად ხელები გავითავისუფლეთ და უუთხარი, — მოდი, თავი დავანებოთ საავადმყოფოს,

დასახიჩრებულებს და მხიარულ ამბებზე ვისაუბროთ-მეთქი. დამეთანხმა. თუმცა მისი სახის გამომეტყველებით ჩანდა, ეწინოდა, ამ ჩვენს საუბარს რაიმე არ მოჰყოლოდა.

იქვე პატარა ბავშვები თამაშობდნენ, დავინახეს და ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს. დინას ვკითხე — იცის ჩემმა ქალბატონმა, რაზე ლაპარაკობენ ბავშვები? ისინი ჩვენზე ლაპარაკობენ. მიპასუხა, — შესაძლებელია და ვუთხარი, — იცი, რას ამბობენ? სასიძო და სადედოფლო არიანო. ვანიოლდა და მიპასუხა, — შესაძლებელია, რომ ამას ამბობდნენო.

ვუთხარი, — ამაზე ნუთუ არაფერს მეტყვი? შემეკითხა, — რაზეო? — ბავშვების საუბარზე-მეთქი. — მე რა მანაღვლებსო. — ეს რომ, მართლაც ასე იყოს, რას იტყოდი-მეთქი? — რას გულისხმობს ბატონო? ვამბუდაობა მოვიკრიბე და ვუთხარი, — მართალი რომ იყოს, რასაც ბავშვები ამბობენ ჩვენზე, — ნეფე-დედოფალი არიანო? გაეცინა და შემომხედა, ხელზე ხელი მოვიკიდე და ვთხოვე, — მეორე ხელიც მომეცი. გამომიწოდა, დავიხარე, ორივე ხელი დაფუკოცნე და შევხედე-ახლა უფრო მეტმა სინითლემ გადასურბინა სახეზე. ვუთხარი, — ხალხი ამბობს: სიმართლე ბავშვებსა და სულელებში ეძიეთო. რაც ბავშვებსა თქვეს, გავიგონეთ, ახლა კი მოისმინე, რასაც ის სულელი, მე რომ ვახლავარ, გეტყვის, — ჩემი გული სიბრძნით ივსება.

ენა მეებოდა, მაინც ვლულულულებდი, — მისმინე დინა... ვერ ვაგებდეთ, შენთვის მეთქვა ის, რაც ჩემს გულშია, მანამდე, ვიდრე ჩემი თავი, უბედნიერეს ადამიანად არ ვპოვებ.

3.

ჩემთვის ისეთი კარგი დღეები, როგორიც ნიშნობიდან ქორწინებამდე იყო, ჯერ არ ყოფილა. თავიდანვე ვიცოდი, ქორწინება სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ კაცს ქალი სჭირდება და ქალს კაცი. იმავე დღეებში თანდათან ისიც გავიგე, თუ რას გრძობდნენ პოეტები სატრფილო ლექსების შეთხზვისას, მიუხედავად იმისა, რომ მე პატივს არ ვცემ მათ პოეტურ ქმნილებებს, რადგან ისინი უმღერიან ვეღარ სხვა ქალს და არა დინას. ბევრიჯერ ვმჯდარვარ და გამკვირვებია, თუ რამდენი მონყალების და საავადმყოფოში, რამდენი ქალია ამქვეყნად და მათზე არც მიფიქრია, ვარდა ამ ქალიშვილისა, და რომ ბიჭური ჩემი აზრები მისდამია მიმართული. ამიტომაც დაებრუნდი საავადმყოფოში, ენახე და ვუთხარი, რომ მე ის ადამიანი აღარ ვარ, რომელიც გონებაში მის სხვა ქალებისგან არ არჩევდა. სამწუხაროდ, მისი თვალის მოლურჯო-სი-

შავე კიდევ უფრო ჩამოქვდა. თითქოს საავ-
დრო ღრუბელი ცრემლის ღვრისთვის ემზა-
დებო. მან მზერა მომაპყრო და მითხრა, —
შენ არ იცი, რა ძვირფასი ხარ ჩემთვის, რა
ძლიერ მიყვარხარო და მსუხარე ღმილი მო-
ცილია მის ბაგეს. ის ღმილი, რომელმაც გა-
მაგოვა თავისი სიტკბოების სიმბურვალით და
სევდის სიშმაგით.

ჩემს თავს ვკითხვ, — თუ ვუყვარვარ, რა-
ღაზე წუხს? იქნებ, მისი ოჯახის წევრები ღა-
რბები არიან? — შეძლებულები არიანო. ვინ-
მე სხვას ხომ არ შეჰპირდა, რომ ცოლად გაჰ-
ყვებოდა — თავისუფალი ვახლავარო. უფრო
შევუწინდი, ტრფიალი ვაგუორკეცი, რაც მას
ახალისებდა.

მაინც გადავწყვიტე, გამეკითხა მისი ახ-
ლობების შესახებ. ის მდიდრები ხომ არ
იყვნენ ქონება რომ დაკარგეს და მათზე არ
ნაცდობდა? ვაგივე, მათი ნაწილი მდიდარ-
ი მრენველები იყვნენ, ნაწილი სხვადასხვა
პროფესიის გამორჩენილი ადამიანები. შემო-
სავალიც რიგიანი ჰქონდათ. გული სიამაყით
აშვსო. მე ერთი ხელმოკლე კაცი ვახლდით,
ერთი გაჭირვებული მეთუნეულის შვილი, ჩაც-
მა-ღაბურვის წესების მიმართ სიზუსტის
მოყვარული და თუმცა ის ჩაცმა-ღაბურვას
არაფრად ავადებდა, მაინც ვთხოვე, რომ მის-
თვის თვალყური ედევნებინა. ჩემი სიყვარუ-
ლი გავაორკეცი, ძნელი წარმოსადგენია კია,
რომ მთელი ჩემი გრძნობები მხოლოდ მის-
დამი იყო მიმართული. ისიც ჩემდამი მთლად
სიყვარულად იღვწებებოდა, მაგრამ მისი
გრძნობა სევდანარევი იყო, რაც ჩემს სიხა-
რულში სიმწრის წვეთებს ურევდა.

ამ წვეთებმა მთელ ორგანიზმში შეაღწია
და თავს ვიმტვრევდი, საიდან იყო ეს სევდა
და საიდან მოდიოდა ჩემდამი სიყვარული?
კიდევ უფრო მეტად შევუწინდი, რომ გაემ-
ჟღავნებინა რაში იყო საქმე. შემპირდა და მეც
თავი დავანებე. მერე დაპირება შევახსენე.
ხელი ხელში ჩამავლო და მითხრა, — გაიხა-
რე, ჩემო მეგობარო, და ნუ შევწყვეტთ ჩვენს
სიხარულსო. შემდეგ ისე ამოიკენესა, შეე-
ძრწუნდი, — თითქოს სული ამოაყოლაო. შე-
ვეკითხე, — დინამ რატომ ამოიკენესა-მეთ-
ქი. გაიღიმა და აცრემლვებულმა მიპასუხა, —
იყურე, ჩემო მეგობარო. გაეჩუმდა და მეტად
აღარც მიკითხავს, მაგრამ ჩემი გონება არ
დანყნარებულა. იმედი მქონდა, ყველაფრის
მიზეზს გამიმხებდა.

4.

ერთ ნაშუადღევს ვესტუმრე. იმხნად ავად-
მყოფობისგან თავისუფალი იყო, იჯდა თა-
ვის ოთახში და ახალ კაბას იკერავდა. კაბის

კალთას ხელი გადავუსვი და თვალი მივაპყა-
რი. იმანაც თვალბში შემომხედა და მითხრა,
— სასიყვარულო თავგადასავალი მქონდა
სხვასთანო. შემატყო, ბოლომდე არ მოვუს-
მენდი, შეწყვიტა თხრობა. როცა ყველაფერი
ამისხნა, გული ცუდად გამიხდა, სიცივემ და-
მიარა, გავჩუმდი და არაფერი მოთქვამს. შემ-
დეგ ვუთხარი, — მსგავსი ამბავი აზრადაც
არ მომივიდოდა-მეთქი. და ვიჯექი გოცე-
ბული ჩემი სიმშვიდით და იმით ვაკვირვებუ-
ლი, თუ რა ჩაიდინა ისეთი, რომელიც მას არ
ეკადრებოდა. მიუხედავად ამისა, თავი ისე-
ვე დავიჭირე, როგორც გუშინ და გუშინწინ,
თითქოს ცუდი არაფერი შემთხვევადეს. მარ-
თლაც, იმ წუთში ჩემს თვალში არაფერი და-
უკარგავს და ისევე მომწონდა, როგორც —
პირველად. ეს იმანაც შენიშნა და ბაგე კვლავ
ღმილიმა დაუშშვენა, მაგრამ თვალები და-
ხუჭული ჰქონდა იმ ადამიანივით, ვინც სიბ-
ნელეში ხელის ცეცებით დაეხეტება. ვკითხე,
ვინ არის ის კაცი, რომელმაც მიგატოვა და
ცოლად არ მოგიყვანა? პასუხის გაცემას თა-
ვი არადა. ვკითხე, — ხომ ხედავ, შენზე ნაწყ-
ენი არა ვარ, მხოლოდ ცნობისმოყვარეობას
მივყავარ ამ კითხვასთან. მითხარი, ვინ არის
ის, ჩემო ძვირფასო-მეთქი. — შენ რა განად-
ვლებს, რა ჰქვიაო? — მაინც? მისი სახელი
მითხრა. ვკითხე დოცენტი იყო, თუ პროფეს-
ორი. — მოხელეაო. გულში გავიფიქვე, დიდი
მოხელეები თუ მუშაობენ მის ახლობლებთან:
ჭკვიანები, განსწავლულები, გამომკონებლე-
ბი და, ალბათ, ერთ დიდ ვინმეს თუ მიუძღვნა
თავისი გული-მეთქი. მართლაცადა, განა ჩემ-
თვის სულერთი არ არის, ვინ არის ის, ვისაც
ამ ქალმა, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს
ამქვეყნად, უძღვნა თავისი სიყვარული? მი-
უხედავად ამისა, პატივმოყვარეობა რომ და-
მეკმაყოფილებინა, მაინც ვკითხე, — ალბათ,
ვინმე დიდი კაცია, თავის დანარჩენი კოლე-
გებისგან განსხვავებული. რა მოხელეა? —
საქმის მწარმოებელია საკანონმდებლო კრე-
ბაშიო. — გოცებუელი ვარ, რომ უზრალო მო-
ხელე, საქმის მწარმოებელი დაეუფლა შენს
გულს და მიგატოვა. ეს იმაზე მეტყველებს,
ის თავიდანვე არ ყოფილა შენი ღირსი-მეთქი.
თვალული დახარა და გაჩუმდა. აქედან მოყო-
ლებული მისთვის აღარ შემისხენებია ნარსუ-
ლი, ისევე, როგორც არ მახსოვდა, თუ რა კაბა
ეცვა გუშინ და თუ გაეიხსენებდი, ცვდილობ-
დი, გულიდან გადაამეგდო ფიქრები, ვიდრე
ბალდახინში არ შევაბიჯე.

5.

ბალდახინში შევაბიჯეთ ჩვენი თაობის ადა-
მიანების უმრავლესობის მსგავსად, ჩუმად

და უზნაუროდ. მე ახლობლები არცა მყავს. ის კი იმ დღიდან, რაც მე დამიახლოვდა, თავის ახლობლებს დაშორდა. არ იყო მიღებული ქეივი და მხიარულება. ძველი მმართველობა შეიცვალა. ახალი მმართველობა მოვიდა და იყო ერთი უნესრიგობა, არეულობა, გააფთორება და დამარცხება. ადამიანები, რომლებიც გუშინ მართავდნენ, ციხეებში ისხდნენ, ანდა საზღვარგარეთ იმალებოდნენ. ამგვარად, შეუდევართ ბალდახინში ახლობლების გარეშე რამდენიმე დაქირავებული სტუმართან, გაჭირვებულ ადამიანთან ერთად, რომლებსაც ერთი-ორი საათის წინ გასვენებაზეც დაუძახეს. აქ კი საქორწინო ცერემონიისთვის მოიწვიეს. რა უბადრაცი ტანსაცმელი ეცვათ მოწვეულებს, რა სასურველი ზემოთ აწონილი ცილინდრები ეხურათ, რა თავბედური, გაუმადლარი თვალებით იყურებოდნენ იმის მოლოდინში, როდის მორჩებოდნენ ქორწინების ცერემონიას და შევიდოდნენ სამიკიტნოში იმ ფულით, ჩემგან რომ მიიღებდნენ. მშვენიერი განწყობა დამეფულა და თუ რამ განსხვავებული თვალშისაცემი იყო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ზეგები ბალდახინში ცნობილი და ფულიანი მოწმეების თანდასწრებით შედიან, მე კი მოწმეებად ღარიბები მყავდნენ, რომლებსაც ლუქიპაურის ფასად ქირაობდნენ. შეილები რომ მეყოლებიან, ისევე არ შემეკითხებიან, ვინ გყავდა, მანა, ბალდახინში შესვლისას, როგორც მე არ მიკითხავს მამაჩემისთვის. ხელი ჩავიყავი ვიბში, რამდენიმე შლინივი ამოვიღე და მივეცი მოსამსახურეს, რომელმაც მათ დამატებითი გასამრჯელოს სახით გაუნაწილა. მეგონა, მოვლენ გვირგვინსაც დაგვადგამდნენ და ქება-დიდებასაც შეგვასხამდნენ. იმის სათქმელადაც კი ვემზადებოდი, ნუ სწუხართ-მეთქი, მაგრამ არავინ მოსულა. ერთი ვილაც თავის ჯოხს დაეყრდნო, გაიჯგობა, უფრო მაღალი რომ გამოჩენილიყო და უტიფრად შეაქცქერდა სარძლოს. იმ დროს, როდესაც ბალდახინში ვიმყოფებოდი, გამახსენდა ერთი კაცის თავდადასავალი, რომელიც საყვარელმა აიძულა იგი ცოლად მოეყვანა. ადრე ამ კაცმა ერთად შეკრიბა საცოლის ყველა საყვარელი, რომელიც კი ამ ქალთან ადრე წოლილა, რათა მისთვის მისი სამარცხვინო ქცევა გაეხსენებინა და საკუთარ თავზე შური ეძია, რომ იგი ცოლად მოჰყავდა. რა სულიერად მახინჯი ვინმეა ეს კაცი და რა საზიზღრად მოიქცა, მაგრამ იმხანად ისიც მომწონდა და მისი საქციელიც ლამაზად მეჩვენებოდა. და როცა რაბი ცალამთი წერილს კითხულობდა, შეეცქეროდა მოწმეებს, ნათლად დავინახე, როგორი იყვნენ ის კაცი და მისი საყვარელი იმ

ნუთებში, როცა ჩემმა საცოლემ თითი გაინდინა საქორწინო ბეჭედის მისაღებად, როცა ვუთხარი, ჩემი მეუღლე გახდი-მეთქი უკვე, ისევე ის ქალი დამიდეგა თვალწინ იმავე ნუთებში.

6.
 საქორწინო ცერემონიის შემდეგ, ამ დღის აღსანიშნავად, ერთ სოფელში გავემგზავრეთ. აღარ მოგიყვებით რა დადაგვხვდა თავს გზაში, სადგურში, მატარებელში და მით უმეტეს დაწვრილებით არ აღმინერთ ყველა მთასა და ბორცვს, გზაში რომ ვიხილეთ, ან იმ ნაკადულსა და წყაროს, რომლებიც ბორცვებსა და მთებში მოედინება, იმ მრავალრიცხოვან მონათხრობების მსგავსად, როდესაც უნდათ, ნუფე-დედოფლის საქორწინო მოგზაურობაზე მოყვენ. რა თქმა უნდა, იქ იყო მთებიც და ბორცვებიც, წყაროებიც და ნაკადულებიც, და ცოტა რამ კიდევაც გადაგვხვდა თავს გზაში, მაგრამ ყველაფერი უფერულდება და დაივიწყება იმის წინაშე, რაც პირველ ღამეს მოხდა. ხომ არ დაიღალეთ კიდევ მოუყვეთ?
 მივადით სოფელში, შევედით პატარა სასტუმროში, რომელიც ბალებში იყო ჩაფლული და გარს მთები და ნაკადულები ერტყა. ვიჯახმეთ და ავედით ოთახში, რომელიც საქორწინო ცერემონიის წინ დემპით დავუკეთეთ. ჩემმა ცოლმა მოათვალა იქაურობა და მზერა იქვე მდგარ წითელ შროშანებზე შეაჩერა. ვიხუმრე, — ვინ არის ის საყვარელი ადამიანი, რომელმაც ასეთი ღამის შროშანები გამოგვიგზავნა-მეთქი. ვინა? — კითხვითვე მიპასუხა გოცბებულმა ცოლმა, თითქოს ხედებოდა, რომ აქ სასტუმროს მოსამსახურეების გარდა, იმყოფება ადამიანი, რომელმაც იცის ჩენს შესახებ, ყოველი შემთხვევისთვის ავიღებ, მათი სუნი არ დაგაძინებს, თუ სჯობს, დაეტოვოთ დევანდელი დღის პატისაცემად-მეთქი? — ჰო, ჰო, — მიპასუხა ცოლმა შეყვინებით და იმ ადამიანის ხმით, რომელმაც არც კი იცის, რას ლაპარაკობს. ვკითხე — გინდა დავიტოვო? მიპასუხა, — დიახ, მიწდაო. დაავინყდა და არც კი დასუნა ისინი. ეს გულმანეინყობა სულაც არ მიესადაგებოდა დინას, რომელსაც ყვავილები უყვარდა. შევახსენე, ყვავილები ჯერ არ დაგიყნოსია-მეთქი და მან თავი დახარა ყვავილებსაკენ. მერე ვუთხარა, თითქოს უცხო რამ მოესმაო. მოლურჯოსიმავე მთლად გაუმუქდა და თითქოს მსაყვედურბოდა, მიპასუხა, — დაკვირვებული ადამიანი ყოფილხარ, ჩემო სიხარულო. მერე დიდხანს ვკოცნიდი, დაუინებით დავაქვრდი და ვუთხარი, ახლა მარტო ვართ-მეთქი.

იდგა, კაბას ისიღდა ზედმეტად აუჩქარებ-
ლად და თმებს ისწორებდა. როდესაც მორჩა,
დაჯდა და სკამს მიაშტერდა. თავი დაეხარა,
რომ დაამენახა რას სჩადიოდა და ასე რატომ
აგვიანებდა. შევნიშნე, ისეთივე პატარა ბრო-
შურას კითხულობდა, როგორსაც მიგდებულ
სოფელში ნახავთ და რომლის ერთ ნაწილშიც
წაიკითხათ: ელოდეთ, ჩვენი უფალი ნების-
მიერ დროს გამოცხადდება.

ხელი მოვკიდე ნიკაპში და ვუთხარი, —
შენი ბატონი უკვე მოსულია. ნუთუ უნდა
ალოდინო? და ვაკოცე. ამომანათა სეველიანი
თვალები და ხელი გაუშვა ბროშურას. ხელში
აფეყანე, სანოლზე დაეაწვინე და სანათურს
დაეუნე.

ყვავილების სუნმა სასიამოვნო სიმშვი-
დე მომგვარა. უეცრად, მეზობელ ოთახში
ფეხის ხმა შემომესმა. არაფრად ჩავაგდე და
ყურადღებაც არ მიმიქცევია. ანდა რა მნიშ-
ვნელობა აქონდა ჩემთვის, ვინმე იყო თუ არა
იქ. მე მას არ ვიცნობდი და ის მე არ მიცნობ-
და. ნაცნობი კიდევაც რომ ყოფილიყო, ჩვენ
ხომ უკვე შევედით ბალდაჩინში და კანონიერ
ცოლ-ქმარი გავხდით. დიდი სიყვარულით
მოვხვებოდი ჩემს ცოლს, მიხაროდა, რომ ის ახ-
ლა უკვე ჩემი იყო.

იმ დროს, როცა ის ჩემს მკლავებში იმყო-
ვებოდა, ყური ვეჭვიტე, ხომ არ შეწყდა იმ
კაცის ფეხის ხმა-მეთქი და მომესმა ისევ და-
დიოდა გაუჩერებლად.

ფეხის ხმა ჭკუიდან მშლიდა და თავში გა-
ნდებოდა, რომ იგი ის საქმისმწარმოებელი უნ-
და ყოფილიყო, რომელსაც ჩემი ცოლი ადრე
იცნობდა ქორწინებამდე. გულმა რეზხი მიყო
და ტუჩზე ვიკბინე, რათა პირიდან რაიმე უნ-
მანური არ ნამომცდენოდა.

იგრძნო ეს ჩემმა ცოლმა და მკითხა, — რა
დაგემართა, ჩემო ძვირფასო?

— არაფერი, არაფერი, — ვუპასუხე.

— ვხედავ, რაღაც გტანჯავსო.

— ხომ გიპასუხე უკვე.

— თუ ასეა, შევმცდარვარო.

ჭკუიდან გადავედი და ვუთხარი, — არა, არ
შემცდარხარ-მეთქი.

მკითხა, — მაშინ რაღააო?

კვლავ შევეპასუხე.

აქვითინდა.

— რა გატირებს-მეთქი?

თავი შეიკავა, ცრემლი მოინმინდა და
მითხრა, — გააღე კარები, ფანჯარა და მთელ
ქვეყანას შეატყობინე ჩემი სისაძაგლის შესა-
ხებო.

შემრცხვა ჩემი საქციელის და დამშვიდება
დავუნყე, დანყნარდა და შემირიდგა.

7.

იმ დღიდან მოყოლებული ის ვაჟბატო-
ნი არც მე მიხილავს და არც ჩემს ცოლს. თუ
განმარტოებით ვიჯექი ჩემთვის, მასზე ვფიქ-
რობდი, თუ ცოლთან ვსაუბრობდი, მას შე-
ვახსენებდი. თუ სადმე ყვავილს ენახავდი,
ვიგონებდი წითელ შროშანებს და თუ ვნახავ-
დი წითელ შროშანებს, იქვე ვიხსენებდი, იმა-
ვე ჯიშისა თუ იყვნენ ჩემი ცოლისთვის მიძლ-
ენილებიც, იმ პირველ ღამეს რომ შერცხვა
დაესუნა ქმრის თანდასწრებით. ის ტიროდა.
მე ვამშვიდებდი, მაგრამ, როცა დასამშვი-
დებლად ვკოცნიდი, მაშინვე სხვა ადამიანის
კოცნის ხმა მესმოდა.

განათლებული ადამიანები ვართ, თანა-
მედროვეები, ჩვენთვის და ყველა ადამიან-
ისთვის თავისუფლების მოვითხოვთ, ცუდი
საქციელის გამო კი ძველ ადათ-წესებს ვეჭი-
დებით.

ასე გაიარა ჩემთვის პირველმა წელმა. მიწ-
დოდა გამეხარა ჩემს ცოლთან ერთად, მაგრამ
გამახსენდებოდა, რასაც ვამოთხდი სიხარუ-
ლის დროს და მოვიწყენდი; თუ მას უხაროდა
ჩემს თავს ვეკითხებოდი, — რაზე იყო გახა-
რებული, — ის გათახსირებული ხომ არ გა-
იხსენა და ის უხარია-მეთქი. როგორც კი მას
ცოლის თანდასწრებით ვახსენებდი, ტირილს
გააბამდა. ვეკითხებოდი რაზე ტირი, ალბათ,
იმაზე, რომ ძნელია შენთვის მოისმინო უნა-
მუსო ადამიანის ძაგება-მეთქი. მეგონა, უკვე
ამოიღე გულიდან და დაივიწყე, ალბათ, მისმა
ზედმეტმა თავხეობამ და შენმა თავქარიან-
ობამ გამოიწვია ის, რომ სწრაფად თავს ვერ
მოერიე. მაგრამ გარემოების გაცნობიერებამ
ვერ მომგვარა სულიერი სიმშვიდე. მსურ-
და გამეგო, რა იყო მასში ისეთი, რითაც მან
ახალგაზრდა, კარგი შთამომავლობის, მოკ-
რძალეული ქალიშვილის გული დაიპყრო.
დავიწყე ნიგნებში ფათური, იქნებ იქ ამ კაცის
წერილის ნაგლეჯს ნაეწყდომოდი, რადგან
დინას ნესად ჰქონდა, თავისი წერილები ნიგ-
ნში მონიშნულ ადგილზე ჩაედო. ვერ მივაგე-
ნი, ვიფიქრე, იქნებ სადმე საიდუმლო ადგილ-
ზე მიშალა-მეთქი. გამბედაობა არ მეყო, მისი
სამალავი ადგილები მეძებნა, და იმან კიდევ
უფრო გამაბრაზე, რომ თავი წესიერ ადამიან-
ად მიმეჩინდა და ამ დროს საძაგელი აზრები
მომდიოდა თავში. მოვჩიანებოდი, ვინმე უცხო
ადამიანთან რომ არ განმესაჯა მისი საქცი-
ელი, თუვდაპირველად დავიწყე სასიყვარუ-
ლო ნიგნების კითხვა, რათა ჩვენცდომოდი
ადამიანის ხასიათს. ხელთ მოხაყნეთი სასიყ-
ვარულო რომანები მომხვდა, მივმართე კრი-
მინალისტურ დოკუმენტებს — ჩემი მეგობ-
რები, მესუმრებოდნენ — ალბათ, სამძებრო

პოლიციაში გასურს იმუშაო. მეორე წელიწადამდე არ მოგვიტანა შეება. თუ დღე ისე გავიდოდა, მას არ გავიხსენებდი, მეორე დღეს უფრო მეტს ვსაუბრობდი მასზე. ჩემს ცოლს ვაწყენინე, ის ავად გახდა, ვემკურნალობდი. მძინე ავადმყოფობა მას თავისით არ დაემართებოდა, თუ არა ის, ვინც მისი ცხოვრება დაანგრიდა. ახლა ის სხვა ქალებთან ცოდავს, მე კი ავადმყოფი და მოსაველელი ცოლი შემჩრა. ათასჯერ ენანობდი ამგვარი საუბრის გამო და ათასჯერვე კვლავ იგივეს ვუბრუნებოდი. იმ დღეებში დავინყე ცოლთან ერთად სტუმრად სიარული რამდენიმე მის ნათესავენადი. უკვე გითხარით, რომ დინა კარგა ოჯახშივლი გახლდათ. ის და მისი ნათესავეები გამორჩეულ ადამიანებს მიეკუთვნებოდნენ და მათ და მათმა ქალიშვილებმა გუნება გამომიკეთეს, ცოლის პატივისცემა დავინყე მისი ახლობლების გამო. ეს ადამიანები იმ გეტოებიდან გამოსულენი შთამომავლები არიან, რომლებმაც სიმდიდრე და სახელი მოიხვეჭს. სიმდიდრე მათი ღირსების დამამყენებელია, ღირსება კი მათ სიმდიდრეს ამშვენებს, ომიანობის დროს, როცა მრავალმა "ძლიერმა ამა ქვეყნისამ" სიმდიდრე მოიხვეჭს სხვების ჯანმრთელობის ხარჯზე, მათ უარი თქვეს სხვათა ტანჯვით გამოიდრებაზე და არ გამსკდარან ზედმეტი სმა-ჭამით. იმათი შთამომავლები არიან ისინი, რომელთაც ნარმოვისახავთ ხოლმე და მათთვის თვალის არ მოუვსკრავს. მათი უმრავლესობა ქალბატონია. არ იცნობთ დინას და რომ იცნობდეთ, მაშინ გეცოდინებოდათ ის ებრაელობა, რომლებზეც სხვები ენას მატარებდნენ. თუ ოდესმე წილად გხვდებოდა მათზე ღაკვირება ისევე, როგორც მე ვაკვირდებოდი მათ, ყველანი პირში წყალს ჩაიგუბებთ.

დროსა მსგელობაში შევნიშნე, რომ ჩემს ცოლს ნათესავეები არად აგდებდნენ, თითქოს მე ვიყავი მათი ნათესავი და არა იგი. რამდენჯერ გამივილია გულში, რა მოხდებოდა, რომ მათ იმ უბედურების შესახებ შეეტყოთ, რაც მე მას დავმართე. მზადაც ვიყავი, პირი გაემხსნა და გული გადამეშალა მათთვის, როცა შევიტყვე, ვიტანჯებოდი, დავმორდი მათ და, რა თქმა უნდა, ისინიც ჩამომეცალნენ. ქალაქი დიდია, ადამიანები კი მოცლოლები არიან, თუ რომელიმე მეგობარს ყურადღებას მოაკლებს, მაშინვე დაკარგავ მას.

მესამე წელს ჩემმა ცოლმა სხვა ხერხს მიმართა: თუ მას იმ კაცს შევხსენებდი, ცდილობდა, გვერდი აეველო; როცა მის სახელს ვახსენებდი დუმდა და არაფერს მმასუბობდა. გაებრაზდი და საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ყველაფრისადმი უგრძნობი, ცუდი ცოლი მყავდა.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს საღამოს ბინდში ვისხედით და ვვახშობდით. რამდენიმე დღე იყო, რაც ერთი ნეეთიც არ ჩამოვარდნილა ციდან და ქალაქი სიცხისაგან ინყოდა, დუნაის მწველი ფერი დავადო და ქალაქიდან სუსტი სუნი ვრცელდებოდა. ჩვენი მომინული აივნის ფანჯრები სიცხით ვარვარებდა, რაც ერთნაირად თენთავდა სულსა და ხორცს. გუშინდელი დღიდან ბეტქები მტკიოდა და დღეს სხვა ტკივილებიც დამემატა, თავი დამიმძიმდა და თმა გამიუხებდა. თმაზე ხელი გადავისვი და ჩემს თავს ვუთხარი, საქიროა თმის გაკრეფა-მეთქი. თვალის შევავლე ჩემს ცოლს და შევნიშნე, თმას იზრდიდა. გულში გავიფიქრე: — ჩემს თავს მოკლე თმაც ვერ აუტანია, ეს კი იზრდის ფარშევანგით, ისე, არც უკითხავს, კარგია თუ არა. მართლაც, ღამაზი თმა ჰქონდა, მაგრამ მე ცუდ ხასიათზე ვიყავი, მაგიდიდან ნამოხენი, თითქოს მშოიდა, პური მოვიტყენე, ღვჭვა დავინყე. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ის არ მიხსენებია და არც მას უთქვამს რამე. იმ დღეებში მასთან კამათს მოუვუკელი და თუ ვსაუბრობდი, ისე, რომ არ მენწყენინებია.

უცერად ვუთხარი, — ერთმა აზრმა გამიბინა თავში-მეთქი.

თავი დამიქნია და მითხრა, — ჰო, ეს ასეა, მეც ამას ვფიქრობ. ვკითხე, — ნუთუ იცი, რა საიდუმლო მაქვს დამაბული გულის კუნჭულში და თუ ასეა ჩქარა მითხარი. ნაიწურწულა, — გაყრაო.

იმ წუთში, როცა მან ეს თქვა, თავი ასწია და სევდიანად შემომხედა. გული საგულედან ამომივარდა. საკუთარ თავს ვუთხარი, — შენ ის უმადური კაცი არა ხარ, რომელმაც შენი საქციელით ცოლი გააუბედურე? ჩუმი ხმით ვკითხე, — საიდან იცი, რას ვფიქრობდი?

მიპასუხა, — განა სხვას რას ვაკეთებ, მთელ დღეს ვზივარ და შენზე ვფიქრობ, ჩემო მეგობაროო.

— ასე რომ იყოს, შენც თანახმა ხარ? თვალები მომაპყრო და მიპასუხა, — რას გულისხმობ, გაყრასო.

თავი დაუწქნი თანხმობის ნიშნად. მითხრა, — რაც კი რამ შემოიქნია ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ ტანჯვა შეგიმსუბუქო.

— გაყრის გზითაც კი?
— გაყრის გზითაცო.

ვიცოდი, რა ბედნიერებასაც ვკარგავდი, მაგრამ სიტყვა უკვე ნათქვამი იყო და იმის სურვილმა, დამეპოლოებინა, რისხვით აღმავსო, მუშტი გავიქნიე და გაბრაზებით ნამოვიძახე, — მშენებრია, კარგი-მეთქი.

რამდენიმე დღე გავიდა და მასთან სიტყ-

ვაც არ დამცდენია არც გაყარაზე და არც იმაზე, რამაც უბედურება მოგვტანა, ჩემს თავს ვუმოკრებდი — უკვე სამი წელია, რაც ის ცოლად მოვიყვანე, ხომ არ მოვიდა დრო, ეს ამბავი გულიდან ამოვიღო?

რადგან დანაყვეტილი მქონდა, ეს აზრი გამეტარებინა, ყოველდღე თავს ვირწმუნებდი, რომ იგი დაეტანა და პირობა დაედევ ცოლს კარგად მოვეტყობოდი. იმ დღეებში ახალმშობლებად გარდავისახე და ვიგრძენი, როგორ იღვიძებდა სიყვარული იმ დღეების მსგავსად, როდესაც მას ვეცნობოდი. უკვე ვიცოდი, რომ ყველაფერი ადამიანის ნება-სურვილზეა დამოკიდებული; თუ სურს — სულსა და გულს ბრაზით, სიძულვილით და შურით აღივსება; თუ სურს, ყველაფერს მშვიდად მიუღვება. და თუ ასეა, მაშ რაღა აზრი აქვს განვრისხდე და ამით ჩემს თავს ზიანი მივაყურო. განა ჩვენ არ გვიჩნდა, რომ საკუთარ გზას დავადგეთ და მსუხარება სიხარულით შევიცვალოთ? ასე ვფიქრობდი, ვიდრე თავს ერთი ამბავი არ გადამხდა, რამაც ნარსულისკენ შემომაბრუნა.

9.

რა მოხდა? ერთხელ საავადმყოფოში ავადმყოფი მოვიყვანეს. გავსინჯე და მოწყალეობის დებს ჩავებარე. მათ იგი დაბანეს და საწოლზე დაანინეს. საღამოს ავადმყოფების სანახავად შევიარე, მიუხლოვდი მის საწოლს, ზემოთ მითავსებულ დაფაზე მისი სახელი შევნიშნე, ახლა უკვე ვიცოდი, ვინც იყო.

რა უნდა მექნა? ექიმი გახლავართ და ვმკურნალობდი, შეიძლება ითქვას, მთელ ძალ-ღონეს მას ვაღებდი. ყველა ავადმყოფი შურითაც კი ამბობდა, ექიმის საყვარელი პაციენტია. და, მართლაც, ასე გახლდათ, მისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. მოწყალეობის დებს ვუთხარი, რომ ავადმყოფობა გამორკვეული არ იყო, თვითონ მსურდა დამედგინა და ყოველგვარი ჩვენება დამეზუსტებინა. ვუბრძანებ, მისთვის ჩრეულ საჭმელი მიეცათ და ზოგჯერ ჭიქა ღვინო დაემატებინათ, რათა საავადმყოფოში თავი კმაყოფილად ეგრძნო. ვითხოვე, გული არ მოსვლოდათ, თუ იგი თავს თავისუფლების ნებას მისცემდა და საავადმყოფო ყველა განანეს არ დაემორჩილებოდა.

ინა საავადმყოფოში, საჭმელ-სასმელით და სხვა ნუგბარი კერძებით განებივრებული, არც სხვა სიამოვნება აკლდა. მასთან შევედი, გავსინჯე, ხელმეორედ გავსინჯე და ვკითხე, თუ სიამოვნება, რასაც აძლევდნენ და საჭმელი თუ ჰყოფნიდა. გამოვუნერე ნამლები და არც მიფიქრია, ისეთი რამ მეთქვა,

თავი დამცირებულად ეგრძნო; ისიც ვუთხარი, რომ მაგარი სხეული ჰქონდა, დიდხანს იცოცხლებდა. ის მისმენდა, სიამოვნებდა და ტკბებოდა. დაფუმატი — თუ მიჩვეული ხარ ნევას, ნება დართული გაქვს, მოსინე, მე თავად არ ვენევი და თუ მკითხავ, კარგია თუ ცუდი მონება, გიპასუხებ, — ცუდი და საზიანოა ორგანიზმისათვის, მაგრამ თუ ჩვევად გაქვს, არ დაგოშილ-მეთუი. ამგვარად, რამდენიმე შეღავათი მივეცი იმისათვის, რომ თავი კმაყოფილად და კარგად ეგრძნო.

თავდაპირველად ეს ამბავი ჩემს ცოლს დაეუმაღე, მაგრამ მერე ნაბომცდა და მის შესახებ მოვუყვიე. ცოლმა მომისინა და არც დანტერესდა. ეს ამბავი თითქოს ჩემთვის სასურველი იყო, მაგრამ არ დავეკმაყოფილდი, თუმცა ვიცოდი, სხვანაირად რომ მოქცეულიყო, რა თქმა უნდა, მაინც უკმაყოფილო დავგრძობდი.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოჯანმრთელდა და დადგა მისი საავადმყოფოდან გასვლის საათი. კიდევ ერთი-ორი დღე დავიტოვე და მოწყალეობის დებს ვუთხოვე, — მისდამი კეთილგანწყობილი ყოფილიყვნენ, რათა ნასვლა არ მოეფიქრებინა. იმ დროს ომი ახლოვდებოდა, ჭირდა ავადმყოფების შენახვა, მას ყველაფერს ვაძლევდი, რაც ჩემთან გლენებს მოჰქონდათ, იჯდა, ჭამდა, სვამდა, მზიარულობდა, გაზეთებს კითხულობდა, ბაღში სეირნობდა, ავადმყოფებთან თამაშობდა, მოწყალეობის დებთან ერთობოდა. მოიკვთა, ყველა ავადმყოფზე ჯანმრთელი ბრძანდებოდა და უკვე შეუძლებელი იყო მისი დიდხანს გაჩერება საავადმყოფოში. ვბრძანე, მისთვის გამოსამშვიდობებელი სადილი მოეწყობა, და შემდეგ გავენერე.

სადილის შემდეგ ის ჩემთან მოვიდა და სამშვიდობებლად შევხედე ლაბაბზე, მსუქანი ნიკაპიდან ეშვებოდა, თვალები საძაგელი ჰქონდა, როგორც იმ ქალს, რომელსაც ჭამა-სმის გარდა არაფერი ახსოვს. ვიდეკი ჩემი მავალი ნინ და ვიქექებოდი ქალაქებში, თითქოს რაღაც დამეკარგოს. პატარა სასმელი მილი ავიღე, რათა კიდევ ერთხელ მომესმინა მისთვის და ვუთხარი, შენ მე არ მიცნობ, მე კი ვიცი, ვინ ხარ. შენ ის ხარ, ვინც მე და ჩემი ცოლი გააუბედურე. დღედა მომერია და ისე განვირისხდი, თვალებიდან ველარ ვიფურებოდი.

მან მორჩილების ნიშნად ხელი გამომიწოდა და ენის ბორძიკით წარმოთქვა მადლობის სიტყვები. უდიერად და შეურაცხყოფილად ჩამოვართვი ხელი და იმნამსვე ხალათზე შევიწმინდე, თითქოს მკვდარ ქვეწარმავალს შევხებოდი. თავი შევღაბურე მისგან,

როგორც საზიზლარი რამისგან და ნავედი. ვგრძნობდი, მოწყალეების დები მიყურებდნენ და ხედებოდნენ, რაც იყო ჩემი საქციელის მიზეზი. დაახლოებით ერთ საათში დავბრუნდი სამუშაოზე, თავგზაბნულს გული საგულეში არა მქონდა. ავედი კანცელარიიში და ვითხოვე, ვინმეს დროებით შევეცვალე. განვაცხადე, სასამართლოში ვარ დაბარებული, სასამართლო ჩვენება რომ მივცე ერთი დამნაშავის თაობაზე-მეთქი. მოვიდა მოწყალეების და და მკითხა, ტაქსი ხომ არ გამოვიძახო. თანხმობა ვუთხარი, ვიდრე ის სატელეფონო ბიუროში წავიდოდა, სადავამყოფოდან შემლივით გამოვევარი.

გზად ტრაქტორში შევიარე, მინდოდა, ჩემი დარდი, როგორც დამსუხრებლები იტყვიან ხოლმე, სასმელში ჩაამხმო. ვანბა ცოტათი დამამშვიდდა და საკუთარ თავს გამოვცხადე: ყოველი უბედურება ქრება და ჩემი გაჭირვებაც გაივლის. მაგრამ გონება ვერ დაიწყნარდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ამემღვრა. დაფინყე ხეტიალი. ერთი თუ ორი საათის შემდეგ შევჩერდი და შევნიშნე, ერთსა და იმავე ადგილს ვუვლიდი გარს.

10.

სახლში მოვედი და ყველაფერი ცოლს ვუამბე. მომიხინა და სიტყვაც არ დასცდენია. გული ბრაზით ამევსო იმის გამო, რომ თავისთვის იჯდა და დუმდა, ვითომც არაფერი მომხდარაო. თავი მკერდისკენ დავხარე, როგორც იმ კაცმა გააკეთა იმ წუთში, როცა ჩემს წინ იდგა მადლობის სათქმელად, — იმანაც ხომ თავი დახარა, ჩემი ხმა მისას მივამსვავსე და ნარმოვთქვი: "მადლობას გიხდით, ბატონო ექიმო, რომ სიკვდილისგან გადამარჩინეთ და სიცოცხლე დამიბრუნეთ". ჩემს ცოლს მისი ხმით ვუამბე, როგორ იდგა იგი ჩემს წინაშე, რათა მისთვის მერვენიზინა რაოდენ ზიზლის მომგვრელი იყო, რომ ეს ადამიანი მაწავლობინა და თავისი გული მიუძღვნა, ვიდრე მე გამიცნობდა. ისე შემომხედა ცოლმა, თითქოს ეს ხმა სულაც არ ანაღვლებდა. ვიდექი მის წინ, მზერა მის სახეზე გადავიტანე, თითქოს შევნიშნე კიდევ სიხარულის ნიშანი იმ უღირსი ადამიანის გამო, რომელიც გამოჯანმრთელდა; სიხარულის ის ნიშანი, რომელიც ვერ შევნიშნე ადრე, სიხარულისა და ნუხილის ნიშანი, როდესაც ვუთხარი, რომ ის ავად იყო. სამი წლის შემდეგ გადატანილი თანდათან მიყურდა. ვუვლიდი ავადმყოფებს, ვემუსაიფებოდი მოწყალეების დებს და სამუშაოს შემდეგ დაუყოვნებლივ ვბრუნდებოდი შინ, ჩემს ცოლთან. ხდებოდა ხოლმე, რომ ვთხოვდი, შევხვედროდი მისი საპირიკმა-

ხეროს წინ. იგი თავს მიქნევდა და მეტყობა, კარგი, წინ იყოსო. მე კი ვიფიქრი, შევცქეროდი და გულში ვიმიერებდი, ეს ის სახეა, რომელსაც ვინც უყურებს, სახეზე სიამოვნებისგან ნაოჭები უსწორდება და, რაც უნდა ბრაზი მქონდეს, უქრება-მეთქი. სახეზე სიამოვნებით ხელს მოვიცამდი და მას ვუცქერდი. ზოგჯერ ვინვევდიო მეტობას ყავაზე ან სავანებში და ვსაუბროდიო იმაზე, რაზეც საუბრობენ ადამიანები და კვლავ ნაცნობი ხდებოდა ჩემთვის, რომ ამქვეყნად ადამიანების უბედურებათა გარდა სხვა რამეებიც არსებობს, ბევრჯერ ნამომდგარვარ სანოლიდან კარგ ხასიათზე და დაეშვიდებულვარ.

ერთ ღამეს, ის ვაჟბატონი სიზმრად გამოემცხადა, ცოტა ავადმყოფური გამოემტყვევებით, — ცოტა, სიმპათიურიც. შერმცხვა, რომ მასზე ცუდი აზრის გახლავართ და თავს ვუთხარი, — ნულარ გაუჯავრდები-მეთქი. დაიხარა და მკითხა, რა გინდა ჩემვან?

მეორე დღეს, საღამო უამს, ჩვენს ნაცნობ ცოლ-ქმართან ერთად ვვახშობოდი, რომლებიც ჩვენთვის სასურველი ადამიანები გახლდნენ. ქმარი თავისი კეთილი თვისებების და ქალი თავისი მოელვარე ცისფერი თვალები-სა და მაღალი შუბლის გამო, თვალებს მცდარ დიდი სიბრძნის გამომეტყველებას რომ ანიჭებდა, ზუჭუჭი ოქროსფერი თისთვისაც, რომელიც ღამაში თავის ირგვლივ საამურად ირბოდა და უმთავრესად კი იმიტომ, რომ ქალური მომხიბვლელობით სანატრელ სურვილებს აღძრავდა. დაახლოებით სამი საათი ვისხედით და ვერ ვგრძნობდით დროს. კაცი ყვებოდა საინტერესო ამბებს, ქალს კი თავისი მოელვარე თვალები მისკენ მივპყრო. როცა ერთმანეთს დავბოროდი. — სიზმარს მოგიყვები-მეთქი ვუთხარი ცოლს. სიზმარს, რა სიზმარს? — ნამოიძახა ვაოცებულმა და მომამპყრო სევდიანი თვალები, შემდეგ ჩურჩულით გაიმეორა: — სიზმარი, არა გჩვევია სიზმრების მოყოლა და ვგონებ, მთელი ამ წლების განმავლობაში სიზმარი არც გინახავს.

ჩემს სიზმარს ვუყვებოდი, ვუყვებოდი და გული საგულეში არ მეტყოდა. ჩამოვჯდა ჩემი ცოლი, თვალები მომამპყრო. მე კი ვიდექი და ვყვებოდი.

მთელი სხული შემეძრა, მხრები ამიკანკალდა. მან ხელები გამოიწინოდა უეცრად კისერზე შემომაჭლო და ჩამეტუტა. მეც ჩავეხუტე და ასე ვიდექით ჩახუტებულეთი სიყვარულის, მეგობრობის და თანაგრძნობის გრძნობით აღვსილეთი. მთელი ამ დროის მანძილზე ის კაცი თვალიდან არ მომიცილებია, მესმოდა, როგორ მეუბნებოდა, — ჩემზე იმიტომ ძალადობ, რომ ჩემი მუღლვე გსურს.

მოვიშორე კისრიდან ცოლის ხელები და ახლა სევდა შემომანვა გულზე. ნამოვინიე საწოლიდან და ფეიქრობდი ყველაფერზე, რაც გადამხდა, მშვიდად, წყნარად, ვიდრე არ ჩავთვლიმე და ძილმა არ წამიღო.

შორე დღეს ავდევქით სანოლიდან და ვისაუბრეთ. შეგხედე ჩემს ცოლს და მივხვდი, ყველაფერი ისევე დარჩენილიყო, როგორც გუშინ და გუშინწინ იყო. გულში მადლობა გადავუხადე გუშინდელი დღის გამო, გულში რომ არ ჩაიდო. იმავე წელს გამახსენდა ყველა ის წყენა და გულისცეცილი, რაც მისთვის შეუღლების დღიდან მიმიყენებია — ყოველ წელსა და წაშს რომ ცრემლს ვაღვრევივინებდი, შურაცხულოვას ვაყენებდი, ის კი ყველაფერს დუმილით ურიგდებოდა. გული კვლავ სიყვარულით, სიბრალულით და თანაგრძნობით აღმევსო იმის გამო, რომ ჩემგან ასე ძლიერ გაიტანა. თავს პირობა მივეცი, მეტად აღარ შემეწუხებინა და თანაც კარგად მოვპყრობოდი. ასე ვიქცეოდი რამდენიმე დღე.

11.

უკვე მეგონა, რომ ყველაფერი გამოსწორების გზაზე იდგა. სინამდვილეში კი, არაფერს ეშველა. იმავე დღეს, როცა სული დავიწყნარე, სიმშვიდე სხვა რამემ დამირღვია. ცოლი ისე მემყრობოდა, როგორც უცხო ადამიანს ექვეყიან. მაგრამ რასაც ვცდილობდი, ყველაფერი მის სასიკეთოდ მსურდა.

ერთ დღეს მითხრა: — რა კარგი იქნება, რომ მოვკვდე.

— რატომ?

— რატომ? შენ მეკითხები? — და ბაგეზე ისეთმა დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა, გულმა ბაგაბუჯი დამიწყო.

ამოიოხრა და მითხრა: — ვაი, რომ სულელი არ ვარ, ჩემო მეგობარო.

— მაშინ მე ვყოფილვარ სულელი-მეთქი.

— არც შენ ხარ სულელიო.

ხმა ავიმადლე და ისევე ვკითხე, — თუ ასეა, ჩემგან რლას ითხოვ?

— რას ვითხოვ? იმას ვითხოვ, რაც შენ გსურსო.

გავიქნიე ხელი და ვთქვი, — არაფერიც არ მსურს-მეთქი.

სახეზე დამაცქერდა და მითხრა, — არაფერი გსურს? თუ მართლაც ასეა — კეთილი და პატიოსანი.

— კეთილი და პატიოსანი? — დაცინვით გამოვეპასუხე.

— ეს დაცინვა არ მომწონს.

— მაშ, რა ვქნა?

— ის გააკეთე, რის გაკეთებასაც შენ ითხოვო.

— რას გულისხმობ?

რისთვის გავიმეორო ის, რაც შენთვის კარგად ნაცნობიაო.

— არ ვიცი, რაზე მელაპარაკები, მაგრამ თუ შენთვის ის ცნობილია, მეც მითხარი-მეთქი.

ჩურჩულით წარმოთქვა, — განქორწინებაო.

ხმას აუშმაღლე და ვუთხარი, — გინდა, მაიძულო, რომ გაგეყარო-მეთქი.

თავი გააქანა და მითხრა, — თუ შენ მიგაჩნია და სასიამოვნოც კია შენთვის საუბარი იმაზე, რომ მე მსურს შენ გაიძულო, დაე, ესეც იყოლო.

შევეკითხე, რას გულისხმობ-მეთქი.

მიპასუხა, — რისთვის დაფუბრუნდეთ იმ საკითხს, რომლის საჭიროებაც არ არის. უკვე ყველაფერი თადაყირა დგასო.

გამეცინა და გაბრაზებულმა ვუთხარი: "აი, შენ ზევით ცაა გამშლილი და შენ უწყი, რაც მასზე სწერია. მე ექიმი ვარ და ჩემს წინ სხვა არაფერია, თუ ჩემი თვალით არ ვხედავ. შენ კი ქალბატონი ბრძანდები და იცი, რა წერია ცარჭალებზე; ვინ გაგანდო შენ ეს სიბრძნე, ნუთუ იმ უნამუსომ?"

დინამ მითხრა — გაჩუმდი, ძალიან გთხოვო.

— ასე არ უნდა გაბრაზდე, განა ამას არ გეუბნებოდი?

აღგა, სხვა ოთახისკენ გაემართა და ცხვირწინ კარი მომიჯახუნა.

კარებისკენ გავემართე და ვთხოვე, გაეღო, მაგრამ არ გაეღო. ვუთხარი, — აი, მივდივარ და სახლში მარტო რჩები, ნუ ჩაიკეტები-მეთქი. რომ არ მიპასუხა, შემეშინდა, ძილის წამალი არ მიიღოს და ღმერთმა დაგვიფაროს, თავი არ მოინამლოს-მეთქი. დაფუსყე ხეგნა-ვედრება, კარი გაეღო, მაგრამ ამაოდ. შევიჭვრიტე კარის საკეტის ქუჭურტანაში და გულმა ისეთი რეჩხი მიყო, თითქოს მკვლელს შიგ დანა ჩაეცეს. ასე ვიდევქი დაკეტილი კარის წინ, ვიდრე არ დაბნელდა და ცის სილურჯე სიშავით არ შეიცვალა.

დაბნელდა თუ არა, თავისი ოთახიდან მომაკვდავივით გაფითრებული გამოვიდა. ხელები დაუჭირე, მინდოდა გამეთბო და მიცვალებულის სიცვიემ ხელები გამიყინა. ხელები უკან არ წაუღია, თითქოს მათში არაფრის გრძნობა აღარ ჰქონდა.

დავანეინე სანოლზე, მიეცი დასამშვიდებელი წამალი და ვიდრე არ ჩათვლიმა არ მოვცილებივარ. მერე შეგხედე მის წყნარ, უხალო სახეს და ჩემს თავს გამოვუტყდი — რა მშვენიერია ეს ქვეყანა, რადგან მასში ეს ქალი არის და რა ძნელი და რთულია ჩვენი ცხოვე-



რების გზა. დავიხარე, რომ მეოცნა მისთვის — უარის ნიშნად თავი გაიქნია. შევეკითხე, — ხომ არაფერი მითხარი-მეთქი? მიპასუხა, არაო და არც ვიცი, გრძობდა ამას, თუ სიზმარში წარმოთქვა. გონებამ იმარჯვა და მოვუცლიდი, თუმცა მთელი ღამე იქვე, მის გვერდით ვიჯექი.

მეორე დღეს სამუშაოზე წავედი და უკან შუადღეს დაბრუნდი. არ ვიცი, ჭკუამ მიკარნახა, თუ რა, გუმინდელი დღე არც მიხსენებია. ასე იყო მეორე და მესამე დღესაც. მეგონა, ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდიოდა.

იმ დღეებში სახე გამოუცოცხლდა და სხვაგვარადაც იქცეოდა. ჩვევად ქონდა, სადარბაზოს წინ შემხვედროდა. აღარ მხვდებოდა. ზოგჯერ მიმატოვებდა და თავისთვის დადიოდა, ვეძებდი და ვერ ვპოულობდი.

ჩვენი ქორწინების აღსანიშნავი დღეც დადგა: ვთხოვე, მოდი, ეს დღე კარგად გავატაროთ და იმ ადგილზე გავემგზავროთ, სადაც თავდაპირველად წავედი-მეთქი. მიპასუხა, — შეუძლებელიაო, — რატომ? — იმიტომ, რომ სხვა ადგილზე ვარ წასასვლელიო. — შენი ნებაა. საით მიდიხარ? — ერთი ავადმყოფი მყავს და მას ვუვლიო. გამიკვირდა, — როგორ მოხდა ეს ასე მოულოდნელად-მეთქი? — ყველაფერი, რასაც ადამიანი სწადის, მოულოდნელად ხდებაო. ცოტა ხნის წინ მომივიდა აზრად, რომ საქირთა ვიმუშაო და რაღაც ვაგაქეთოო. — წუთუ არ გყოფნის ის, რასაც მე ვმუშაობ-მეთქი?

— წარსულში საკმარისი იყო და ამჟამად, არ არის საკმარისიო. — რატომ? — ვერ გაგვიგია, რომ საკუთარი თავი მევე მინდა ვუზრუნველყო.

— წუთუ არ გყოფნის ის, რაც გაქვს? — დღეს უზრუნველყოფილი კი ვარ, მაგრამ ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო. — ეს უეცრად მოხდა?

მიპასუხა, — უკვე გითხარი, რომ უეცრად არაფერი არ ხდება. — ვერაფერი გავიგე, შენ რასაც ამბობ. — კი გაიგე ყველაფერი, მაგრამ გასრულ თავი ისე მომჩაჩვენო, თითქოს არაფერი გესმოდესო. თავი დაფუქნიე უიმედოდ და წარმოეთქი — დაე, ასე იყოს-მეთქი. გაეჭუმდეთ, შენი საქმე აკეთე და მე ჩემსას ვაკეთებო. — რასაც ვაკეთებ, მე ვიცი, მაგრამ რის გაკეთებასაც შენ ითხოვ, ვერ გავიგე-მეთქი. — თუ დღეს ვერ გაიგე, ხვალ გაიგებო.

მაგრამ საქმეში ხელი მოეცარა, ან თუ გაუმართლდა, გროშიც არ უშოვია. ერთ დამბლით დაავადებულ გოგონას უვლიდა, გაჭირვებულ ქვრივს ქალიშვილის მოვლაში გასამრჯელოს არ ართმევდა. ფულითაც ეხმარებოდა და ყვავილებიც მიჰქონდა მისთვის. იმ დღეებში

ავადმყოფობამ დაასუსტა ლურჯთვალემა დინა და სხვისთვის ემატრონა კი არა, იძულებული გახდა, საკუთარი თავისთვის მიეხედა. ერთხელ ვკითხე, — როდემდე უნდა მოუწირო ავადმყოფს-მეთქი? მომპაპრო მზერა და მიპასუხა, — შენ თავს შეეკითხე, როგორც ექიმსო. — რა განსხვავებაა, როგორც ექიმი შეგეკითხები, თუ როგორც ქმარი-მეთქი? — თუ შეგეკითხები, როგორც ექიმი, არ ვიცი, რა პასუხი გაცეც, მაგრამ თუ სხვა აზრით მკითხავ, ვერ ვხედავ პასუხის გაცემის საჭიროებასო. თავი ისე დაეჭირე, თითქოს ყველაფერი ხუმრობად მივიღე და გავიციე. შეატრიალა სახე ჩემგან, თავი მიმანება და წავიდა თავისთვის, იმ წუთშივე შეენყვიტე სიცხილი და გაცივება აღარც მიცხია.

საკუთარ თავს ვუთხარი, ეს განწყობილება წარმავლია და მას დავეძლევი. ამასთანავე, ვიცოდი, რომ შეგელი ახალი იმედი ამაო იყო. გამახსენდა ის დრო, როდესაც პირველად ვილაპარკეთ ვაყრაზე და მითხრა, — კმაყოფილი ვიქნები გავაყეთო ყველაფერი, რასაც მთხოვ, რათა შევიმსუბუქო ტანვავა, თუნდაც განქორწინების გზითო. ახლა კი, მსურს თუ არა, გარდაუვალაა განქორწინება-მეთქი, გავიფიქრე. ამ ფიქრმა გამიძლევა თუ არა, იმ-ნამსვე იგი ისე მოვიცილე, როგორც იპილბის თავიდან ადამიანი მძიმე რამეს, მაგრამ დინა მართალი იყო, როდესაც თქვა, რომ ჩვენ ყველაფერი თავდაყობი დავაყენეთ, — არ გავუვლია დიდხანს, რომ დავინახე და გავიგე ის, რის დანახვაც და გავცეცე ვერ შევძელი თავიდან. იმ წუთშივე ჩემს თავს დავეკითხე და გადავწყვიტე, გავყროდი დინას. შვილები ჩვენ არ გვყავდა, იმისი არ შემეშინდებოდა, რომ რომელიმე მათგანი იმ კაცს დაემსგავსებოდა. მოვანუსრიტე ჩვენი საქმეები და განქორწინდი.

ასე განსაკუთრებულად დაეცილდით ჩვენ ერთმანეთს: მაგრამ ჩემს გულს, ჩემო მეგობარო, შემორჩა მის ბავუზე აღუქმელი ღიმილი და მისი თვლების ის მოლურჯო სიმაღე, რაც მე პირველ დღეს ვიხილე. ზოგჯერ დამით წამოვიწევი ჩემი სანალიდან, ისევე როგორც ის ავადმყოფები, რომლებსაც ის უვლიდა, ვინცდი ხელს და ისე ვეძახი მას, — დაო, მომიხლოვდი.

თარგმნა
თამაზ ღვარამია



მზის

ამირიძე

ნიხაბუძე

ვუძღვნი ჩემს მშობლებს...
აგრეთვე ჩემს სწორებს,
„დაკარგული თაობის“ შვილებს...

- არაგველებოო!!
- არაგველებო, უუუ!!
- თქვე ბეჩაეებო, არ გესმითა ჩემი ძახილი?!
- იქნება, რა მინდა გითხრათ, თქვე კაი ხალხო, იქნებ, რატომ გეძახით, არ გინდათ გაიგოთ?
- თუ იქ არა ვდგავარ, საიდანაც ხმას მოგანვდენთ?
- „დავითოს გორაზე“ ვდგავარ, თეთრ და შავ არაგვს ერთად გავცქერი და ისე გეძახით!
- მაშ, საიდან გინდათ, რომ გელაპარაკოთ?
- კრწანისშიც ხომ ჩამოგაკითხეთ, 95-ში.

ვალეკო ამირიძემ აიჩემა, იქ უნდა ჩავიდეთ სუფევლანი, საკლავიც იქ უნდა დავუკლათ და მოვიგონოთო. აყარა ხალხი, ლამის მთელი ქართალხანდოგუდამყარფასანაური და 11 სექტემბერს იქაც გითხარით შენდობა.

შესანდობი თქვენ რა ვაქვთ, თქვე მაგრებო, ჩვენ ვიკითხოთ, ბეჩაეთა.

კაცი ერთხელ იზადება და ერთხელ კვდებაო, ისე გეტყვიან მითუღეთში, თითქოს მაგათ ამოუხსნიათ ამ ცხოვრების მთავარი ამოცანა.

ერთხელ გამეცინა, თქვენ რომ ყური გიგდოთ კაცმა, მალე იმასაც იტყვიან, ისტორიაა შუმერში კი არა, ფასანაურში დანგებულა-მეთქი.

შენ რა, არდასაბადებული ან ცხოვრებაში მოსიარულე მკვედარი არ გინახავსო, ისე უბრალოდ მეკითხებიან, თითქოს გუშინდელ ამინდზე მელაპარაკებოდნენ. კაცი რომ ღამე არ დაიძინებს, გზაზედ წყალს დაასხამს, გაიყინება, ხვალე მგზავრი მოცურდება, დაიმტვრევა, საშველად ისევე მე მომადგება და ფულს ვიმოვინო, ცოცხალია? — შემომცქერიან თვალებში.

ხო კარგით, კარგით, აბა, თქვენა ჰყოფილხართ-მეთქი.

მზიავ, ჩვენ მარტო ერთი რამე ვერ ვისწავლეთ ვერაფრით, აბა, თუ იცი რას ვერ შევწვდითო, მეკითხებიან და გამომცდელად მიყურებენ (თუ მაგარი ხარ, ეს გამოიცან, ჩვენო ქალო).

ვიცი, თქვე ბეჩაეებო, როგორ არ ვიცი, ოღონდ თქვენ რომ გგონიათ, ცოტა იმაზე მეტი ვიცი.

საიდან?

ჯერ ვიკითხე, რისი ნაკითხვაც შეიძლება, ნავიკითხე.

მერე ამ ცხოვრებას, ადამიანებს ვაკვირდებოდი.

ეხლა ისეთ ასაკში ვარ („იქითკენ“ რომ პქვია), ვფიქრობ.

მარტო თქვენ კი არა, ამ ცოფილ დედამინაზედ ვერსად უსწავლია ვაჭრობა და კიდევ ისა, „დიპლომატია“ რომ პქვია, მთის ხალხს.

ადამიანი რომ ვაიცნო, თავის ადგილზე უნდა გაჰყვე. იქ უნდა უნახო, სადაც გაიზარდა, თავის ფესვებზედ.

აბა, რა ვაჭრები თქვენა ხართ, თქვე საწყლებო, ხუთი მთიული და ხუთი გუდამაყრელი რომ გამოხვიდოდით ბაზარზე, თქვენ-თქვენ ერბო-ყველს ზოგი ერთ მანეთად ჰყიდდით და ზოგი ათად, ვისაც რამდენი გჭირდებოდათ. შეგევაჭრებოდათ ვინმე და, რამდენიც ვაგამეტება, იმდენი მამეციო, მოუჭრიდით მოკლედ. თქვენს ვაჭრობას თავ-ბოლო რომ ვერ გაუგეს, აკი ამიტომაც დგარქვეს ფასარულ-ფასანეურ-ფასანაური ბარელებმა.

დიპლომატიისაც ვერარა ვაგვიგიათ-რა.

ევე, აბა, რისთვის მაღაპარაკებთ ამდენსა. აბა, თუ მაგრები იყავით, ის რატომ არა სთქვით, რისთვის ჩაიკაფენით ჩაბარუხის ვინ-როლებში, როცა გეგონათ, რო ქვეყნის გადაარჩენა მარტო თქვენ შეგეძლოთ.

ის როგორ არა სთქვით, რატომ გასწყდით ისე ერთიანად კრწანისში იმ თქვენი ერთი სიმართლისთვის, ღმერთივით ერთი როა ამ ქვეყანაზედ.

ბევრი რამე არ ვიცი-მეთქი, ხო გითხარით. არ ვიცი, როგორ მიგებალო და მოეფეროთ თქვენს ხსოვნას, როგორ მოეუშუშო საარაგვოს იარები, როგორ მოვიხადო ვალი იმ ჩვენი წინაპრების წინაშე, თავიანთი ერთი სიმართლითა და ძლიერი მკლავით რო გაანგრეის დარიალი და ყიზლარისკენ გაიკვლიეს გზა.

აქამდე სულ მეგონა, რომ სხეები, ჩემზე ბევრად უკეთესნი გაბედავდნენ, უფრო ლამაზად და კარვად იტყოდნენ არაგველები სათქმელს, შოთას, გოდერძის, მანანას ველოდებოდე. ბოლოს თედის იმედი მქონდა, ამ ობოლი ბიჭისა, თავის ბეჩავ დედას ქალაქიდან წერილს რო დაუწერდა და ბოლოში მიანერდა ხოლმე:

«დიდი მოკითხვა
ჩვენი სოფლის ოღრი-ჩოდროებს,
არაგვის შრიალს,
და მამაჩემის
სურათიდან მაქქერალ მხერას»

გაიგონეთ, ხალხო?
სურათზე თვალები მომიკითხეო, ეგეთი რამე გაეგიათ?

სადმე ვინმეს გაუგია ეგეთი მონატრება? ბევრი ვიკითხე-მეთქი, ხო უკვე გითხარით. კოლეოსთან ვარ განჩრებულა და იმისთვისაც მოვიცლი-მეთქი, ამას ეხლა გეუბნებით. იქ და იმის აქეთ თუა მსგავსი რამე, არ ვიცი. იქამდე რო არ არის, ვიცი.

ხო, იტყოდნენ-მეთქი, ველოდებოდი-მეთქი. არა, იმათთან კამათს კი არ ველოდი, ვაჟამ რო დასჭყვილა, თქვენ ჯამებს ჩასცქერთ და საქვეყნოდ არ გამასდგებოთა, მართალ სიტყვას ველოდი, ჩვენ დღევანდელებს ამ გაუგონარს და გაუსაძლის ყოფაში იმ ერთი სიმართლის არსებობას კიდევ რო შეახსენებდა.

თურმე არა სდომებოდათ შესხენება. სცოდნიათ და როგორ კარვად სცოდნიათ. თუ დამცალდა, აუცილებლად გაიმძობთ იმ ბიჭებზედ, ზღვა რომ თვალთ არ ენახათ, მაგრამ სამშობლოს უჭირსო, ისე გაცვივდნენ აფხაზეთში, ოჯახებმა მერელა გაიგეს. დღუშეთში, ერთ პატარა ქუჩაზედ ცხრა მიცვალებული ჩამოუსვენებიათ. ცურვა რომ სცოდნოდათ, გადარჩებოდნენო.

აბა, აქ ვინმემ გაბედოს და თქვას, თუ ცურვა არ იცოდნენ, იქ რას მიდიოდნენო. სადღაც ვილაცა იტყვის.

ქვეყანა ჭრელია-მეთქი, ხომ გეუბნებოდით. აქ არ იტყვიან.

აქ მარტო ერთი სიმართლეა. ფიქრის ასაკში ვარ-მეთქი, ხო უკვე გითხარით.

მეც ჩემი ნილი ჯვარი მიტარებია-მეთქი, ამას ეხლა გეუბნებით.

ბევრჯერ ისიც მგონებია, რომ დარდი და სასონარკვეთა გამსრესდა, როგორც ერთს ჭი-აყვლე თავანას, მაგრამ აიმი ყველგანმყოფელ-ყოელისმცოდნეს გადმოუხედავს და მოეუბრუნებოდარ «აქეთ».

აღბათ, რალაცის გამო. იმას ჩემს დროს «დანიშნულება» ერქვა. ეხლა «მოტივაცია» ჰქვია. რაც უნდათ, ის დაარქვან. აღბათ, რალაცა მეც უნდა გაეაკეთო და იმიტომ.

ხო, ბევრი რამე არ ვიცი-მეთქი, სხეებს ველოდებოდი-მეთქი, იმას გეუბნებოდით. ის თუ არ იცი, შე დალოცვილო, ესენი ხო იციო, მისაყვედურეს ამწინებზედ. მე ამ არაგველებზედ უნდა ვთქვა.

მე იმ არაგველებზედ უნდა ვთქვა, ვისაც, თქვენ რო დაგაჯეროთ კაცმა, ქვეყანა იცნობს.

არა, ჩემო კარგებო, ეს მანდ, თქვენ იცით მარტო, რომ საარაგვოში ისეც არიან იმ ერთი სიმართლის მიმყოლი კაცები (და ქალები) რომლებმაც იციან, რომ სიცოცხლე ისე უნდა დახარჯონ, იმათმა შეილებმა თავანულებმა იარონ ამ ქვეყანაზედ.

ბევრი რამე მინდა ვთქვა. ისიც მინდა გავისხენო, რა ვთქვი 92-ში და რასაც დღესაც ისე მოვანერედი ხელს, ერთ სიტყვასაც არ შეეცვლიდა.

კიტოხში ვაზრდილი იმ ბიჭზედ ვიტყვი, თბილისში რომ ბევრს ათქმევინა, სანამ მალხაზი ქავთარაძეს გაეცნობდი, ვაჟკაცობა ცარიელი სიტყვა მეგონაო.

ეს ის კაცია, რომელიც ყოველთვის და ყველგან შეძლებდა თავისი ოჯახის გაძლოლას, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, სხეების დახმარება რომ ვეღარ შეძლო, იმიტომ გადაიხვეწა ამერიკაში.

ხოდა, აი ეს ჩვენი «ძია» ერთხელ, გათენებისას მოსულა სახლში მსუბუქად ფეხარეულ-კაიხასიათზედმყოფი სასტუმრო «ცენტრის» პიშნის ლიფთითა («თუაგრე ტურფა იყავი...»). ეზოში ხელები გადაუბანია და სახლში უნდა შევიდეს. ხმაურზე ნანას (ნეტაყველაჩემიან-სმისცაგეთი) გამოუხედავს და დაუნყია, რასაც ნებისმიერი ოჯახის ქალი დაინყებდა:

— არ არის, მალხაზო, აქამდე... ამის თქმა კი მოუსწრია, ეს ჩვენი მალხაზი გატრიალებულა და ნასულა. აი, მერე, როცა მოსულა, დაუსვამს ჩვენი ნა-ნა და «დაუმოდღარა».

— კაცი რო დაგვიანებით მოვა ოჯახში, გახარებული უნდა მიეგებო, და — მოხვედრი, გენაცუალო, როგორა ხარო, ხო არაფერი გიჭირსო, ჯერ ესენი უნდა გამოჰკითხო და აი, ისენი, ყველა ქალბა რო ზუბირად იცით, მერე უნდა მიაყოლოო. სასურველია, თუ მეორე დღემდე შეინახავო. მე ეგეთი ოჯახი მინდაო.

აქვს კიდევ.
ზაზაზედაც ვიამბობთ, ხეობის დიდ იმედზედ, რომლის აქ დასმული დიაგნოზი არსად, არც ერთ უახლესი ტექნიკით აღჭურვილ კლინიკას ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

კიდევ, ნიკო ქაეთარაძეზედ უნდა ვიამბოთ, ნახევარ საუკუნეზედ მეტი თავისი ლოცვით რომ ათბობს და ამარტებს მთიულეთ-გუდამაყარს. კაცზე, სხვისი სიხარული ალაღად რო უხარის და ყველას ტკივილი რო სტიკვა. ეს ის კაცია, რომელიც „დიდი სტალინის“ სადღეგრძელოს ისე ჩამოგყალიბებთ და ისე დაგალევიებთ, საკამათოდ პირსაც ვერ გააღებთ. არა გჯერა?

ნამო,
— ნამყე ფასანაურისკენ,
საარაგვოს მიევახლოთ,
ერთხელ ნამყე, მერე სულაც იქნება
იქ დაეხახლო.
ცადაზიდულ მათაა შუა ედემი
რამ გაპოვინო,
იქ რომ სიტყვა გაგაგონონ,
გულს მალამოდ დაგეფინოს.
სხვა ვემო აქვს იქ ყველაფერს,
სხვაა ტრფობაც და აღერსიც,
არაგველებს ხშირად სტუმრობს
არდილი დიდ ერეკლესი.
იქ სანთელი სულ ანთია,
ხელს ვინვავს და ვახს ვინათებს,
მადლს რომ სავზლად წამოიღებ,
მთელ ცხოვრებას თან იახლებ.
ერთხელ ნამყე, მერე იქნება
სამუდამოდ დაეხახლო,
ეს, აქამდე სად ვიყავო,
არც ამის თქმა დაიზარო.

ეს მაშინ, მეღექსეობის სახადი რომ მჭირდა
გალაკტიონის მოტივებზე მივახლაფორთ-
მოვახლაფორთ, მამატიის მისმა სულმა.

იმ მოსულ კაცზეც უნდა ვთქვა, ნათელში
იყოს ნაუმი ჭავჭავინძის სული, ცოდნის წყა-
როს რომ დაანაფა თაობები და ერთხელ
გვითხრა:

— „მე არ მიანტერესებს, რას იტყვით ჩემზე
დღეს. მე ვიცი, რას იტყვით ჩემზე ზვალ“.

იმ კაცზეც ვიამბობთ, სკოლა რომ ვერცხლის
მედალზე დაამთავრა. ოქროსი არ მისცეს, „მი-
აპკი ზნაკები“ ეჯავრებაო.

მაშინ ეგრე იყო.
ორფურცლიან თემაში მაინც რომ გამო-
ჩენია ერთი „მიაპკი ზნაკი“, 11-ს დარბილება

გავიგე, მაგრამ 11 თუ უნდათ დაწერონ იმ და-
ლოცვილებმა, M-სა და ამ უბედურებას რას
გადაჰკიდებიანო, დაუყრია ნაწერები და წა-
ნოსულა.

წამოვლო და მიუკრიათ ოთხიანი.
მაშინ ეგრე იყო.

ისენი მერე იყო, აბა, შენი ჭირიმე, ჩემი შვი-
ლი მედალზე გადის და მიშველე, ნიშნები არ
გაუფუჭო, ოღონდ ეს საქმე გამიკეთე და
ჩემზე იყოსო, ეს იმისი შვილიაო, ამისი ძმის-
შვილიაო, მასწავლებლის შვილიაო, ყვაფი-
ჩხიკვი-მამიდის შვილიაო...

ხო, „მიაპკი ზნაკები“ კი იხივაც ეჯავრება,
მაგრამ ჯერ ხომ ნარგავებით გააესო ხეობა,
მერე კი შუქლებელიც შექლო და ამდენი თა-
ვისინათქვამა მთიულ-ჭარბილ-გუდამაყარე-
ლი ერთი იდით გააერთიანა: ამდგარან და
„დიდ ომში“ წასულები გაუხსენებიათ და ფა-
სანაურის ცენტრში შემორიალიც დაუდგამთ.
მოსულ კაცზედ მოგვიყვებით-მეთქი, შეგ-
პირდიაო.

სკოლის დირექტორი იყო და გეოგრაფიას
გვასწავლიდა.

მთელი ცხოვრება განათლების სისტემაში
ვიმუშავე.

მეტ-ნაკლებად ვიცნობ გერმანულ-რუსულ-
ქართული განათლების მესვეურთა შრომებ-
საც.

დღემდე არ ვიცი, რა ჰქვია ან რა ერქვა აღ-
ზრდა-განათლების მეთოდების იმ ერთობლი-
ობას, იმ სკოლაში რომ იყო.

გაკვეთილის ხარისხზე, წესრიგზე, ბიბლიო-
თეკაზე, სკოლის ნაკვეთზე, ლიტერატურულ
გასამართლებებზე ხომ არაფერს ვამბობ.

მთელ სკოლაში რომ ისე კრიალებდა ყველა-
ფერი, ვერ მიხვდებოდი, გაკვეთილები ინყ-
ებოდა თუ მთავრდებოდა, ამაზეც არაფერს
ვამბობ.

ესლა დამიგდეთ ყური

გაკვეთილების შემდეგ, კვირის გარდა, ქუ-
ჩაში მოსწავლე არ უნდა გაჭაჭანებულიყო.
დირექტორი სულ გარეთ იყო, სულ დადიო-
და, ხან ფეხით, ხან მანქანით. მე შენ გეტყვი
და ერთი თვალს მოგკარგავა და ვერ გიცნობ-
და. არა ჰქონდა მნიშვნელობა, გაგაგზავნეს
თუ გამოგაგზავნეს, იმიტომ და ამიტომ... თუ
მოგწავდებოდა, განუსყრელი ნეკელა ხომ (რო-
გორც ამბობდნენ, საკმაოდ მწარეც) გამო-
წერილი გქონდა, „შავ სიაში“ რომ იქნებოდი
მეორე დღეს და ყველა საგანში რომ გამოვი-
ძახებდნენ, წყალი ხომ არ გაუვიდოდა, აი, თუ
მშობელმა გაგაგზავნა, იმასაც ხომ დარიგება
არ ასცდებოდა,

— თუ თქვენი თავისთვის და შვილებისთვის
კარგი გინდათ, დააცადეთ, ისწავლიანო.
ბერძენულ ამტკიცნია გული.
ყოველთვის მეგონა და დღესაც მჯერა, რომ

ქვეყნის ძლიერებაც და მომავალიც პედაგოგ-გებზეა დამოკიდებული.

გული მტკიოდა, როდესაც ხეივანედი უამრავ უსამართლობას, რასაც ბავშვები უკეთესად ამჩნევდნენ და იმათ პატარა გულბებში უმწირობისა და უსამართლობის შეგრძნებებს ბადებდა.

სკოლის დირექტორობაც შემოუთავაზებთ. მე დღეს ვუხედი ბოდიშს ჩემს კოლეგებს, რომლებთანაც ვგონათ, რომ რაღაცის შეცვლა შემეძლო.

პატივი დავინახე და პატივისა შემეშინდა? არა, არ შემეშინებია.

მე მხოლოდ ერთი რამის მეშინია და ამაზე მეტე.

ურალოდ, ვიცოდი, რომ შინ და გარეთ, ორ ფრონტზე მომინედა ბრძოლა და ამისათვის ფიზიკურად არ მყოფოდა ძალა.

მე ვიცი, ხელე ჩემზე რას იტყვითო, გვიტხრა-მეთქი ერთხელ.

ხელე მე მხოლოდ ერთი სათქმელი მაქვს — ნეტავი ჩემს შვილებსაც ისეთ სკოლაში ესწავლათ.

ესეთი ადამიანი მეორეც შემხვდა ამ ცოფვა-ბრალთი სავსე დედამინაზე.

ეს მამინ, როცა ჩემი გოგონა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ხერთვისში“ მივიყვანე.

ეს კაცი ჯემალ სამხარაული იყო. ამაზე მეტე.

„ხელე კი „მთის არნიეზე“ გიამბობთ. ზაფხული იყო.

კარიულიების აივანზე მოხუცები მზეს ეფიცებოდნენ.

მერაბა დავითურმა გამოიარა.

მე ხელი ამინია, როგორა ხარ, დისწულოო, გადმომძახა (დედაჩემის კლასელია).

ბებრებს რო გაუსწორდა, ეკეკა და მარცხენა წარბი ერთად ასინია და „ქურდებს სალაშიო“ — დასჭეჭა.

აბა, იქ ამბავი ატყდაა...

— რაო, რაო, რა გვითხრაო?

— ქურდები ხართო, ქალო, ქურდებიო.

— ქურდებიო?! რა შეგიჭამეთ, რა მოგპარეთ, შე არგასახარებელიო?!

— აი, შენამც გამეფრევი სწორებშია!

— შენამც აღარ გაგთენდება ხვალინდელი დღე!

— აი, შენ არ მაიყარე ჩვენის ხნისა!

— აგრემც გაგინყრება ლომისის წმინდა გიორგი!

წამოვიდა და რა წამოვიდა...

როცა ვაკიდება მოიფიქრეს, აღარა სჩანდა, პეტროვიჩიანთ ორლობეში ჩაფარებულიყო.

მერე ტირილი დაიწყეს...

— ეს რა გვითხრა, ქალო, ქურდებიო, ვაი ჩვენს დღესა და წუთისოფელსა, ვისთვის რა მოგვიპარავს, ქალო...

— კარგი, ხალხო, რა მოგვიდათ, ისე გითხრაოთ კაცმა, გაგეხუმრათ, ვაწყნარებ და სათითაოდ ვალერიანის წვეთებარეულ წყალს ვასმევი, — ისე გითხრაო, რა ქურდები, ისე ქურდები, ცკედები სიცლით.

— შვილო, ისე თქმა რა არი, შვილო, სიტყვით კაცი როგორ უნდა მოჰკლას, შვილო... — შემომტყვიან და ჭიქას აკანკალებული ხელებით მარტოვენ.

აი, ამ მერაბასა გვიქვიან „მთის არნიე“.

ლაშის მთელი ვაჭა ზეპირად იცის.

აეს კაცი ქუჩაში უსაქმურად მდგომას რო დაინახავდა (ახლებურად ბირვის კედლისთვის მხარმეშველებულსა), ნაიყვანდა სახლში, თუ რამ საქმელ-სასმელი ეხვდა, გაუმასპინძლებოდა, მერე ვაჭას გადაუშლიდა და აბა, კი ბიჭი იყო და არ ნაიკითხავდა, რასაც იტყვოდა.

არ დაიჯერეთ? მიჰყვებოდნენ.

ეხლა გაჰყვება ვინმე? მე მგონი, თავსაც გაუხეთქავენ.

ის თავმომწონე, ამაყი და ვაჭაკი ბიჭები კი, ფიპიტარუს ხანდახან მარტო მჭავე ვაშლს რო აყოლებდნენ, კითხულობდნენ ვეფას... ეს ხანდახან იყო.

უფრო ხშირად კი, ხინკალზედ არაყს ხო აყოლებდნენ, არაყზედ ლუღსაც ხო უბერავდნენ, მკლავზედაც ხო იყურებოდნენ, ვაჭამ დამასანრო, თორე „კაი ყმა“ მე უნდა დამენერაო, ხო იქაჩებოდნენ, რუსულსაც უშეცდომოდ ხო ლაპარაკობდნენ, ტენისსაც ძალიან მაგრად ხო თამაშობდნენ, არაგეზედ კამერეებითაც ხო ეშვებოდნენ, ტურნაზაში თავდავნიკებამდეც ხო ცეკვავდნენ და თავგზასაც ხო აპარგვინებდნენ საიდან აღარ ჩამოსულ გოგოებს.

იქაურები კი, აი ისინი, უმშვენიერესი გოგოები (ირინა ონაშვილის დედის სწორები და წარები) ლამაზებდნენ ქუჩებს და ნელ-ნელა შორს მიფრინავდნენ.

ერთ-ერთ ქორნილოში პატარძლის შემხედვარე მაყარს ვერ მოუთმინია და, აქაურ ბიჭებს თვალები არა გაქვითო, ხნამალა უკითხავს.

უხერხულად ანურულან ესენი, თქმითაც ვერაფერი უთქვამთ და ვერც ის მოუფიქრებიათ, რო ცეცმეო, რაზე ცეცმეო...

აი, თქვე ბეჩაებო, რამდენი ნასულხართ უკვე, გისხენებთ და ველარ გითვლით... მოსულზედ ვამბობდი.

უცხომ კი არა, მშვენიერი თინიკო ყველაი-ძე, თემურის დაჯ „შორს“ რომ გათხოვდა, მეც დავიჯერე, რო მართლა ჰქონდა მთელს ხეობას მხედველობის პრობლემა.

ძალიან მაგრად ცეკვავდნენ-მეთქი, ხო ვთქვი, განსაკუთრებით ჭართლები.

ბარემ ცეკვავდაც ვიტყვი.

კარგა ხნის წინ, გვარს არ დავასახელებ და, ამ ჩვენ „ულვაშა“ „კოლმეურნეობის თავმჯდომარეს“ შეეხვიდა გავლითა.

ის არ მიცნობს, მე — ტელევიზორიდან ვიცნობ.

ვეთ რამეს ვეუბნები:

— ამ ჩვენს „მთიულურს“ თუკი სადმე ორი ქართული ერთად არის, ხო ყველა ცეკვავეს-მეთქი.

— კიო.

— ხოდა, მოდი, ერთი მაგარი ფესტივალი გავმართოთ, „მთიულური“ მთიულეთში“ და-ვარქვათ და სუყველანი გაეაჯიბროთ-მეთქი. ის დიდი კაცი ხო იძახდა, ყველა ერთ ვერ იცეკვებს ქართულს, რასაა არ ეყოფათო, ამათაც ქვეყანას დაანახონ, ჯიში ვის სადამდე გასწვდება-მეთქი; იქნება ტრისტან ჩიტაურსზედ და ნუგზარ ჯიჭურსზედ მაგარი ბიჭები დღეს არაიან-მეთქი. ოლონდ, შენთან კი არა, ან დღუშეთში, აქ, ამ მიწაზედ იცეკვონ-მეთქი.

ნერა რომ ავიტანს ზოგჯერ კაცსა და ვეღარ გაჩაშდები, თორემ რა გალაპარაკებს, გაჩაშდი და დაეგდე შენთვის. ამ ნანიკომ ხომ სულ გამომავლიჯა გვერდი, გეყოფა, დეო.

ეს სერასატანილი კი მშვიდად ვაგრძელებ, რომ, რაც დავოსია იმ დღესდენიერქვეყნისთვის, გული მეუბნება, 7-მ წელიწადში ფასანაურის ცხ იქნება ამ ჩვენი დღესმშობიარე ქვეყნისთვის-მეთქი.

იმან მე გამომხედაააა...

...ეტყობა, კარგად ვერ ვუთხარ.

ისე, მაინც ხშირად ადი-ჩადის ჩვენს გზაზედ და ჩვენებთან რომ შეირბენდეს, ეტყოდნენ, მე რო გული რამეს მიგრძნობს, როგორა აქვთ დაცდილო.

ადი-ჩადიმ მოხვედები გამახსენა და ორი სიტყვა მაგათზეც რომ არა ვთქვა, არ გამოვა, კარის მეზობლები გვიქვიან და ეწყინებათ.

მაგათ, მძინარეებსაც იმის ჯავრი ჰკლავთ, მთიულეებს როგორ გაეკაიფონ.

ხოდა, მიჰქრის თურმე ერთი აწყვეტილი მოხვეე თავისი „ლენდკრუზირითა“ თუ „ლენდროვერითა“. გვერძეც აიმათიანი უზის, მთიულს რომ შეხვდა მეზობელი ქალაქში და ეკითხება, ეგ ქალი შენი ცოლია თუ... იმან რომ არ დაეცადა და „თუ არა, თუო“.

ორგზაში „სტოლბას“ ლერი მიჰყუდება, აქეთ-იქიდანაც ორი გაუპარსავაუკრეჭავახალგაღვიძებულჯერმეახემელიაზედვერგამოსული ჩაცუტყულა.

იმას ვამბობდი, მოჰქრის ეს ჩვენი (ისაც ჩვენია, კაცო) მოხვეე, ცალი ხელი რულზედ უდევს, ცალიც ორმთაშუა ყურყულალობს. დაუნახანია ესენი და მაგათ რომ ჩვენზედ მაგრები ჰგონიათ თავები, ეს ხო უკუე ვითხარით.

— მიიტა, მაყიდე ორივე, მივდივარ და ბარემ ნავახსამო, — შეუღლებია და გადმოუძახია დალაღებულს ლერისთვისა.

— ჩვენ გაცვლაზედ მოვირგდით, ვადმოსვი დროზეო, — მისწვდა თურმე აიმ „თუ“-ს კარებს ეს ჩვენი ლერი...

გული მეუბნება, ყაზბეგამდე ხმას აღარ ამაილებდა...

რეზოზედ უნდა მეთქვა.

სამ ობოლზედ რო ვიტყვი, ერთი ეს არი. ძლიერი ეკონომისტი იყო (და არის) და იმდროისთვის დიდი საქმეც ებარა (ეხლა სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი აბარია).

პატარა ბავშვივით კეთილი გული ჰქონდა (და აქვს), მაგრამ აემ მთებივით ამაყი იყო (და არის).

ერთხელ, ერთმა „პარტიულმა“ ქალმა, თავი დიდი რო ეგონა, დაურეკა და ფუხსაცემელი სთხოვა, თანაც მოწყალებ დაყოლა, იმედია გეცოდინებათ, რა ზომისა ვიცვამო.

არა სცოდნია, ვის ელაპარაკებოდა.

ნეტაი იმ ყურშილს როგორ არ შერცხება და როგორ გაატარა, იმით რო ლოცვა-კურთხევა ნასულა...

ნასულა და მისულა...

იმ დღეს პარასკევი ყოფილა.

ორმბათსა, სამსაბურშიმისულისთვის, გათავისუფლების ბრძანება დაუხვედრებიათ.

აი, ეგრე-

ამას წინათ ჩემმა ძმამ წამყიყანა ფასანაურში.

რო ჩავედით, კოსტანთ ვალიკოს სახლი გაუყვდიათო, დანანებით მითხრა.

გული მომწუნრა.

დედაჩემის მოგვარე იყო.

ჩემს ბავშვობაში სამხედრო გზაზე ხშირად შეხვედებოდით ციგნების ბანაკებს.

მიმოდირდნენ შვისგან დამწვარი, ნახევრად-შემგელი ბავშვებით სავსე ფურგონებით.

— მოდი, დისწულო, ვიამბო, როგორ გაფერადი ციგნების „ბრიკას“ და როგორ მივიყვანე ვალიკოსთან და რუსიკოსთან, — მეძახის.

— აბა, შე ციგნებისბრიკასგავარდნილო, დღეს რიანი მოგაქვს სკოლიდან, ჰა? —

კედება სიცილით.

მე რა მაკინებს.

„ბრიკის“ ხმს როგორც ვავიგებ, ღობესა ვარ აკრული.

ქერთიანი და მომწვანოთვალეობა ციგნებს ვეძებ.

ყველა შავია და ხუჭუჭა.

— რა გინდოდა, რატო მიმწარებდი ბავშვობას-მეთქი, ვუსაყვედურე დიდობაში.

— ეეე, შე მართლა დიდო ბალო, „ბრიკას“ რომ გაავარდნილო, ამირიქებთან რატო მივიყვანდი, მე ვერ გაგზრდიდიო, — იცინის.

...ორივენი ვიციინით.

ჩემს მშობლებს ორი გავოს მერე ნანატრი ვაჟი დაეუღმათ.

მე თორმეტის ვიყავი, ლეილა — ცხრის.

გვეგონა, ცხოვრება დამთავრდა.

ჩვენს სახლში სინათლე აღარ ინთებოდა.

დაემუნჯადით.

დავყრუვდით.

ქვეყანა იქით დარჩა, ჩვენ — აქეთ.
არ მახსოვს, რამდენი დღე გავიდა.
ერთ საღამოს კოსტანთ ვალიკომ დაიძახა.
გვიანობამდე ისხდნენ ისა და მამაჩემი.
მამინ ამოიღო ხმა მამაჩემმა.
მამინ შემოგვხედა და დაგვიჩანა დედაჩემ-

მა...
...სხვანაირი სიყვარული და პატივისცემა
მქონდა ამ კაცისა.

ფასანაურისთავიდანბოლოშიმომინიანათხ-

ოვება.
თუ ბოლოდან თავში, დღემდე ვერ გავვირ-

კვევია.

როგორც არი.

— ევკ, შეილა, — მითხრა იმ ცხონებულმა,

— ყველაზე შორს აფრენილი შენ მეგობარა და

თურმე აქვე არა ჰყოფილხარო.

უკანასკნელ გზაზე ვერ გავაცილდე.

სახლის გაყიდვა რო გავიგე, ჩემთვის ეხლა

მოკვდა.

ნათელში იყოს.

სეთურიძეები და ბურდულები გამორჩევით

მიყვარან.

სეთურიძეებზედ სხვაგან.

ეხლა ბურდულებზე ვიტყვი.

ბებია მყოლია ბურდული, არახვეთელი, პა-

ტარა ტანის, კოხტა და ლამაზი ქალი, მართა.

მთასავით კაცი იყო სანდრო, ჩემი პაპა.

ამ ჩვენს მიშას რო ეჯავრება, იმხელა ღიბი

ჰქონდა და "ლიპანდარა პაპას" ვეძახდი.

მართა მთაში გაცივებულია და სულ ახალგაზ-

რდა გარდაცვლილა.

ამირთასადამოსახლებულადემისი, ნაზლ-

აიძიანთ ქალი, სიძესთან და სამ ობოლთან.

შუშქრია მთელი ნათესავ-მეზობლობა.

საცოლე უძებნია სიძისათვის.

ნლისთავი რო გადაუხდიათ, ჩქარედვე დაუ-

ნიშნია სიძე, ოჯახი პატარძლისთვის ჩაუბარე-

ბია და გაბრუნებულა არახვეთში თავის დარ-

დიან-ტკივილიანად.

ნათელში იყოს.

ფასანაურს შვიდი ზურიკო აკლია.

სუყველა ისეთ ასაკში წავიდა, მთაში ჯერ კი-

დევე ბაღლი რო გვიქვიან.

პირველი ზურიკო პატაშური წავიდა, 17

წლის, ალალი და კეთილი ბიჭი.

პაპამისი ბანაკის დარაჯი იყო.

აი, იმისი, რუსებს რო აუშენებიათ სასტუმ-

რავიც უზარმაზარი კაკლებს ძირში დიდ-

გამდა სკამს.

კაი დედის შვილი იყავი და ბანაკს მოუახლოვ-

დებოდი.

ისევე ზურიკომ მოძებნა გამოსავალი.

შემოვიღოდა კაკალი და დაინყებოდა:

— პაპი, ბაბომა, გადმოვიდესო...

— პაპი, თბილისიდან ვილენა ჩამოვიდა და

სახლში გელოდებო (ვილენა ბანაკის ღირექ-

ტორი იყო, ურჩხულსა ჰყავდა)

— პაპი, ძალი კვდება და რამე ვუშველო-

თო...

იმათი გასვლა იყო და ატყდებოდა, რა ატყდე-

ბოდა:

ჯოხი, ფიცარი, ქვა მიფრინავდა ზემოთ და

კაკალი ქვემოთ ხულით მოდიოდა. ვიყრიდით

უბებში, ჯიბეებში, ვიღაცა შარვალს იხდიდა

და ტოტებსა ჰკრავდა... მერე გავბრდი

გაღმა და მიდიოდა ჭამა-მტკერევა.

— აბა, იქნება მე აღარაფერი დამტოვოთ,

— ქოთქოთით გამორბის ხიდზე ზურიკო,

...თუ ბევრია, იმასაც შეხვდება, თუ ცოტაა,

— შენ სახლში ჭამეო, — ჩააფარებს ბაყილა

თავში.

ნათელში იყოს.

კვირას, ხუთ საათზე, თბილისის ავტობუსი

გამოდიოდა.

მთელი სტუდენტობა ამ ავტობუსით ვმგზავ-

რობდით.

უბნის კაცები ქეიფობდნენ.

ჯერ გაა და ნანა მიადგნენ სანდრო ძიას კვი-

რის სამყოფი თუმან-თუმანისთვის (თამრიკო

ფერი გამორჩევით უყვარდა ბაბუღლია კობიაშვილს.

როცა გინდა მისულიყავი, ვარდის მურაბა სულ ჰქონდა.

— ჩი ვარდის მურაბით! — ისე გამოცხადებდა, თითქოს მეჯლისის დანყების ბრძანება გასცაო.

მერე ტილოს ქათქათა ხელსახოცებს გაშლიდა, მუხლებზე ლამაზად გადაიფენდა და მიდიოდა ტყუილ-მართალი...

ნამოსვლისას "ომი და მშვიდობას" გადმოშლიდა და ამისთანა ჯერ არაფერი დანერილოდა, ისე მეტყოდა, აზრი არა ჰქონდა იმის თქმას, რო წაკითხული გქონდა, ლამის ზეპირად რო იცოდი, და სიზმარში ნატაშას პირველი ბალიც რო გესიზმრებოდა.

"გოგო თუ გვეყოლება, ნატაშა დაარქეო". — დააყოლებდა ბოლოს.

...ჩემს გოგონას ნანიკო ჰქვია.

ვარდებზე მომაგონდა.

დედაჩემი ყვავილების "ფანია".

ულამაზესი ეზო გვექონდა და გვაქვს.

სახლში მე და ლელია ვიყავით.

უცხო ბიჭებმა დაიძახეს.

— ძმაკაცის შეყვარებულის დაბადების დღეზე ჩამოვედით, უსაჩუქროდ გვერიდება მისცე და იქნებ ყვავილები მოგვაკრეფინოთო.

ჩენ ისინი შევეცოდინენ...

— კი, ბატონო, მობრძანდით, ბატონო! — გავიგოეთ თავები, — რომელი გირჩევინათ, ბატონო!

ეზოში ულამაზესი ხაშხაშები ჰყვავოდა, იმებზე გვანიშნეს.

ისენი ხო სულ გავეკრიფეთ, კიბის ვარდებიც ხო ზედ მივყავოლეთ, შუა-შუა პიონის ფოთლებიც ხო ულამაზად ჩავულაგეთ და როდის-როდისღა გავიგეთ, ვარდებზე ნუ ნუხდებით, აი, ეს ყაყაროებიც გვეყოფაო, ნარა-მარა რატომ გვეძახდნენ.

ჩემი, ჩემი შვილებიც სულ ბალზე ეჭვიანობენ, ჩვენზე მეტად გიყვარსო.

მეც სულ უფრო ხშირად ვფიქრობ-ხოლმე, ნეტავი მამაჩემის კვალს გავყოლოდი-მეთქი, მაგრამ რაღა დროსია.

როგორც არის.

თავში, ვალიკო ამირიძემ კრწანისში ჩავგიყვანა-მეთქი, ხო გითხარით.

"მიპაჰი ზნაკები" არ უყვარდა-მეთქი, ისაც ხო გითხარით.

მამაჩემია-მეთქი, ამას ეხლა გეუბნებით.

ხოდა, ამ კაცზე რომ ვფიქრობ, თვალწინ აის კაცები დამიდგებიან-ხოლმე, ფიზიკურად შეიძლება მასზე ახოვნებიც, მხარბუჭიანებიც, მაგრამ მენტალურად ჩამორჩენილები, აის ერთი სიმაართლე რო ვერ უშოვიათ, ცხოვრების ათასგვარ ქარტუხილში ისე რო გვატარებს, არ გაისერებო.

ერთხელ მამაჩემმა (მეტყევემ) თავისი სოფლისბოლოზედტიტველიფერდობისგანაშენიანება გადაწყვიტა, სოფელსაც შეუთანხმდა, კაკლისა და ფიჭვის საუკეთესო ნერგებიც მიიწარაგა და საქმეც წავიდა.

თავზე კაკლები გადაატარეს, დანარჩენზე ფიჭვი გაუშვეს.

საქმეს რო მორჩნენ, საკლავიც დაკლეს და კარგადაც მოიღბნინეს.

როგორ დაჰკანკალებდა იმ ნერგებს, ეს ხო მარტო ჩვენ ვიცით.

მერე რა მოხდა, ის კი ბევრმა იცის.

ერთ დღესაც ისეთი მოვიდა "დანაპირსარუნსნიდა" რო ჰქვია.

ვილაცა დასდგომიყო და განედლებული ნერგებისთვის თავები გადაეწრინა, ზოგი მოემტვრია (ფიჭვი ადვილად ტყდება), ზოგიც ისევ ზედ იყო ჩამოკონწიალებული (კაკლისები).

მერე იჯდა და ფიქრობდა.

მერე ისხდნენ და ფიქრობდნენ.

მერე ხელახლა დარგეს, ამჯერად "უიმი-სოდ".

განიპირეს, არაფერი კი არ უთხრეს.

აი, ეს მავალითი ხშირად გამხსნეგებია და მიცდია, ერთი დარდინან-ტკვილიანი კითხვისთვის გამეცა პასუხი — როგორ უნდა მოიქცეს კაცი, როცა უსამართლოდ დიდ ტკივილს აყენებენ, ან ცილს სწამებენ, ან უკადრისს აკადრებენ?

დღემდე ვერ მიპოვია ამ კითხვის პასუხი. ეგ კია, რომ ყოველთვის გაცლას ვამჯობინებდი, იმას თავისი უბედურებაც ეყოფა, მეტი რო არ ესმის-მეთქი.

მაგრამ, რაღა დროსია და ეხლა სხვანაირი ფიქრები დამიტრიალდა თავში, იქნებ სხვაგვარად სჯობდა-მეთქი, იქნება ყოველთვის ძირისძირიდანვე უნდა ჩაჰყვე ყველაფერს და ჰქექო-მეთქი.

არ ვიცი.

ერთხელ ერთმა ჭკვიანმა კაცმა (მამინ ჯერ ფიქრის ასაკის არ ვიყავი) — ყველაზე ძალიან ჩემი თავისი მემშინაო, მითხრა.

მამინ გამეცინა.

(ზემოთ რო გითხარით, ერთი რამის მემშინა-მეთქი, ეხლა დამიგდეთ ყური).

სხვა რო გულს მატკენს, სულ დავკარგავ, მაგრამ, მე როცა ვიცი, მიმეშალა და აქ, შიგნით გულ-მუცელი რომ მეგლიჯება, ამას რა ეუყოლო...

ფიქრის ასაკში ეხლა ვარ-მეთქი, ხო უკვე გითხარით.

ბევრ გონიერ კაცს (და ქალს) შემახვედრად განგებამ-მეთქი, ესაც, მე მგონია, გითხარით.

მოსმენა ყოველთვის მიყვარდა-მეთქი, ამას ეხლა გეუბნებით.

— რატომ სიტყვი, რატომ გააკეთე, როგორ უნდა უსაყვედურო კაცსაო, — მითხრა მეო-

რემ, პირველზედ ჭკვიანმა, — უნდოდა და თქვა, მოინდომა და გააკეთა. გული რასაც ეტყვის და გონება სადამდეც გასწვდება, ყველა ისე იქცევიო.

ესენი იმათ მითხრეს-მეთქი.

აი, წერაქმში დაბადებულმა დიდმა კაცმა, დღემდე ყველაზე დიდი რომ მგონია ამ ჩვენს ეზო-კარში, ბედი მდევარი ურმით დასდევს ყველას, შენ თუ ვერ მოგისწრო, შენს შვილს მაინც წამოენება და ღირსეულს მიუზღავსო რომ თქვა, ვერ კიდევ ბაღმა ნავიკითხე და კარგად დავიმახსოვრე.

ეებს, არაგველებო!

სულ თქვენი ბრალია.

აი, სადამდე მიმიყვანა იმ თქვენი ერთი სი-მართლის დევნამ.

რეები გამახსენეთ.

ბავშვობაში ქუჩაში ქართული, რუსული და გერმანული ერთად რო გვესმოდა, ამაზედაც ეიტყვი.

აიმ გაგანია ლობისიქეთ-ღობისაქეთობაში ჩვენთან საერთაშორისო მნიშვნელობის "ინტურისტი" და ჩაქუჩ-ნამგალოსნების "ტურბაზა" მუშაობდა.

ზამთარ-ზაფხულ სასეც ხო იყო ორივე.

მიდიმოდიოდნენ გერმანელები, აესტრიელები, ჩაქუჩ-ნამგალოსნები და ედებოდნენ ტყე-ღრეს, ჭალა-რიყვს. დილით რო ჩანჩქერისკენ გარბოდნენ, შუადღიდან არაგვისპირზედ ირუჯებოდნენ და ეშურებოდნენ აქაურ მშეს და წყალს.

იმხელა საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, მუსიკალური სკოლა, ბიბლიოთეკა რო მუშაობდა, ხო გვახსოვს.

თერთი ქარაენის მადლმა და ბარაქამ რო ააშენა ახალი სახლები, ხო გვახსოვს.

მერე ერთად რო ჩამოგვეგნრა თავზე ყველას ყველაფერი, ეგაც ხო ვიცით.

აი, მერე იყო რო მოსწყდით ქვეყანას, ისევე აემ მთა-ტყეს შუაჩერდით და ვინაც ვერსად გარბიქვით, თქვენს ნაჭუჭში გამოიქვით.

ხო, ისხედით და იძახებთ "სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგანაო..."

...ამასობაში იქ, სხვებმა, ნანგრევებზედ ახლის შენება დაიწყეს...

ერთ "პატარა" კაცს ისიც კი გამოუფრინდა პირიდან, — მაგათ ახალი ცხოვრება რად უნდათ, რაცა აქვთ, ისიც მეტია მაგ ...ისტებ-ზუო.

თქვენ კი მოგიკვდათ ჩემი თავი.

რომელი "ისტები" და "ესტები" თქვენა მყავხართ, თქვე ქვეყნისტებო და ჯაფისტებო.

ვაჟამ თქვაო, რო დაიწყებ, რაც გინდა მოაყოლო, წყალი რო არ გაუვა, იქ ყველამ იცის.

ვაჟამ ხო თქვა, დგანან და ელიანო.

თქვენ გახსოვთ, თუ გახსოვთ.

ისივაც ვკითხულობ-მეთქი, ხო გითხარით.

ჭკვიანი კაცების ყურისგდება მიყვარს-მეთქი, ესაც ხო გითხარით.

ხოდა, აიმათგან ვიცი, რო ერსაც, ბერსაც, ქვეყანასაც, გზასაც, მთასაც ამქვეყნად თავისი ისტორიული ფუნქცია აქვს.

(ვისაც უნდა, მოტივაცია დაარქვას, სულ არ მაინტერესებს).

გადის დრო და ერთ დღესაც, შეიძლება ეს ფუნქცია დაიკარგოს. ზოგჯერ ის ერი, ბერი, ქვეყანა, გზა, მთა, სხვა ფუნქციანზედ გადაერთება, ხანაც სულ უფუნქციოდ რჩება.

ორასი წელი სამხედრო გზაზედ ვინ და რა აღარ მიდი-მოდიოდა-მეთქი, ხო უკვე ეთქვი.

ამ გზას, ქვას, წყალს თვით დიდი ილია ახ-ხოვს. ისე, ვახსოვთ რასა წერდა ვაჟა ილიას 1907-ში?

„ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს, თავზედ დაგვიჩხავის ყორანი. გაღმა გასვლისა მსურველთა უკულმა მიგვეყვას ბორანი. გაგვიბატონდა, მგოსანო, სირევენე შეუწონარი“.

რაც ვი ვიფიქრე, თქვენც ხომ ის გაიფიქრეთ?

ისევე ჩვენს საქმეს დაფურბუნდეთ.

ხუთიოდ წელიწადში აღარც ევროპაში და აღარც ჩაქუჩნამგალოსნებში აღარ იქნება ის თაობა, რომელსაც ბრენდი "ფასანარი" ემახსოვრება.

აი, მერე ყველაფერი სულ თავიდან, საძირკველიდან დასაწყები გახდება.

ვისხედეთ და ველოდეთ?

ვისაც სიარული შეგვიძლია, "გადვიკარგნეთ"?

წელ-წელა ჩაილიენენ არაგველებიო, მემატინანეს დავუტოვოთ?

...ამეებს უკვე თქვენ გეკითხებით.

...ისევე თავები ჩაულუნით ჩემს პირხმელ მეზობელნათესაგნაცნობუცნობ მოკეთებებს, ჯოხებით მინაზედ რალაცეებს ხაზვენ და მელოდებიან, იმასაც როდის ვიტყვი.

ეებს, თქვენ მოგიკვდათ ჩემი თავი.

ამდენი მალაპარაკეთ და გგონიათ, მაგეებს გულში დავიტოვებ?

— ეგებიც იცი, მზიავ? აბა, ჩემო ქალოო, უცებ გამოცოცხდნენ და ისევე თვალბში შემომიქვქირნენ.

— ღმერთი ხო სამოხით არის-მეთქი, ვინყებ შორიდან.

აიმ მესამემ, იმ ორზედ უფრო ჭკვიანმა კაცმა ისაც მასწავლა, რო თქმას ყოველთვის აქვს აზრო, თუ თავის დროზედ და თავის ადგილზედ თქვი, ის ნათქვამი ნოყიერ მინაში ჩავარდნილი საღი თესლივით ხო ამოფეთქდებაო, თუ თავის დროზედ და თავის ადგილზედ ვერ "გაართყი", აის მაინც აღარ დაგტანჯავს სი-

ცოცხლის ბოლომდე, პირველმა ჭკვიანმა რი გასწავლაო.

აი, ეგრე.

ეს უკვე იქაც ესეა და აქაც.

ენლა კი ჭკვაზედ უნდა დაგარიგოთ.

ხო უხედავთ, რო ქვეყნის სათათბიროში თუ ვინმემ, ისაც ბეჩავმა ჩვენებურმა გაბედა და თქვა, მთას უჭირსო; ქვეყნის სიდიდით მეორე ნყალსაცადიდან ხუთით კილომეტრში კორპუსებში ონკანი რისთვისაა, დაავინყდათო; გაზის მაგისტრალზე, როგორც ასაფეთქებად გამზადებულს ყუმბარაზედ, ისე დაგვსხეს და ჩვენ გაზს არ გვაძლევინო, აიმ კაცმა, "მაიპ-კი ზნაკები" რო ევაჯრება, ჩაქურნამგალოსნებს სატრანზიტო გზა გამოპგლიჯა, რომელც დაუმთავრებლობით იშლებაო, ამხელა ხეობაზედ ერთი საავადმყოფო არა გვაქვსო, ესაო და ისაო, — ხო ისე უყურებენ, როგორც იქვეყნიდან მოსულს მოჩვენებასა.

ისე, აიმ კორპუსებზე რომ მიქარგულ-მოქარგულის ენით მოლაპარაკის სრულიად არაადექვატური პასუხი მოვისმინე, დარწმუნებული ვიყავი, რომ მაშინვე აიმ ახალნაოპერაციეზე კაცს (ღმერთმა ჩვენებური ჯანი მოსცეს) მიუბრუნებოდა და — კორპუსებო? ხედაე, კორპუსებიც არა ჰქონიათ ამ ...ისტებს, ეტყოდან. (ВОТ ВАМ ЕЩЕ ДВА МЕСТА-О)

ასიკი, ღმერთი არ გაგინყრეთ და არ ნამოცდეთ, სინათლეც არა გვაქვს-ხოლმეო, თორენ ვი თქვენნი ბრალი.

აი მაშინ კი, ის მიქარგულ-მოქარგულის ენით მოლაპარაკე ქალბატონი მოგიტრიალდებათ და აღარ გახსოვთ, ვაჟა რო ცეცხლის ალზედ წერდაო, უყურე ამათ, ეს რეები მოინდომესო, თქვენც "ვეფხისტყაოსნის" გაგრძელება არა გრჩებოდეთ დასამთავრებელით, შუქი და გაზი გუდაურში ჩვენ რო სულ გვაქვს, საკმარისი არ არისო? — დატუქუსავთ და მელასავით ცბიერადაც ჩაიცინებს.

რა, არ არის მართალი თუ?

აბა, ისიცაც დამიგდეთ ყური.

„ზევი მთას ჰმონებს, მთა — ზეცას, წყალნი ტყეს, ტყენი — მდინარეთ, ყვავილნი — მიწას და მიწა თავის ალზრდილთა მდინარეთ. და მე ხომ ყველას მიწა ვარ, პირზედ ოფლ-გადამდინარე“

აეს უშუქუნყალუვაზოდ და სამსახურულუქმაპურის ძიებაში ხო დაინერა. აბა, ეხლა მითხარით, კლამოეჩამორთმეულ სასახლეში რო გამაიჭიმოთ შუქიანგაზიანწყლიანსმსახურსასმელსაჭმელმაამერფარშევანგებეიანად, ესეთს რამეს დასწერეთ?

ამიტომ გუუბნებოდით, ჩვენზედ ჭკვიანია და უნდა დაეუჯეროთ-მეთქი. ისე, ეს ნანყვეტი რო გადაეიკითხე, იქ, შიგნით, მუსიკის ხმა გავიგონე და ერთი დიდი კაცის (კომპოზიტორ-

რის) მეორე დიდ კაცზედ (პოეტზედ) ნათქვამი გამახსენდა — „მე მაგის ლექსებზე მუსიკის დანერას როგორ გავბედავ, მის პოეზიაში ისეთი მელოდია ხმაინოზოსო“.

ის ერთი დიდი კაცი (კომპოზიტორი) რევაზ ლალიძეა.

მეორე დიდი კაცი (პოეტი) ვალაკტიონი.

ისე, თუ ამ ნანყვეტს თქვენც რამდენჯერმე გულსიყურით გადაიკითხავთ, აუცილებლად მოისმენთ საოცარ მელოდias.

ეს ისე.

ხო, გაჩუმდით-მეთქი, არაფერი ნამოცდეთ-მეთქი, იმას გუუბნებოდით.

თუმაინც არ გასჩუმდებით და იქნება, საარაგვო ტურიზმის ვანვითარების ქვეყნის ერთიან ჯაჭვში ავეიკინძოთო, მაინც გაუბედავთ, აი, მაშინ კი ველარაფერი გიშველით, აის მოგიტრიალდებათ, ჩემო აემ ერთ მუჭა მიწასა და კომბალთოსსახრესთან ჭიდილში დაღეულ მოყვებო, რომლისგანაც ათი თქვენნარი მაინც გამაიჭრება და ისე შორს გვაგზავნიო, უკან გზას უშუბერ ლეჟავასთან ერთადაც ხო ველო გამაიგნებთ.

აი ეგრე

P.S. როცა და როგორც მინდოდა, ხომ ვთქვი. როცა და როგორც ჩავთვლი საჭიროდ, კიდევაც ვიტყვი.

არაადექვატურზე ხომ გაამბეთ.

ეხლა ადექვატურებმა დამიგდეთ ყური.

ხომ დაინახეთ, როგორები ყოფილან არაგველები.

ხოდა, არ დაუჯეროთ აი იმ არადექვატურებს და არ შეგეშინდეთ ...ისტი მთიულეებისა.

გადადეთ ერთი დღე, აუყვეთ არაგვის ხეობას ერთი საათის სავალზე, ჯერ ანანურის სილამაზით დატკბით, მერე შეეფარეთ ულამაზესი ჩანჩქერის შხეფებს, თვალი მიადევნეთ კალმახების ნავარდს ჩაბარხის ხევიში, დაუნანი თქვენს რჩეულს უტურფესი გვირილებისგან გვირგვინი, სალამოს ხინკალ-ფიპიტაურსაც შემოუსხედით, უყურეთ, როგორ ამოვლან მთავარ მთიულეთ-გულაშაყრის ქედზე და მერე იქნე ისეთ ხასიათზე დადგეთ, რომ ჩემსავით "დავითოს გორაზედაც" გახვიდეთ და საუკუნეებს გასძახოთ:

— არაგველებო, უუუ!!!

— სადა ხართ, თქვე მაგრებო?!!

— მიყვარხართ, არაგველებოოო!!!

ავვისტო, 2007



სოციალ
საბჭო

ბისიან აბიძის

ჯანსოგი ნაშრომები

აკაკი წერეთელი (1840—1915) ამ ეპოქის უთვალსაზიროესი პოეტია. აკაკი წერეთელი წარმოშობით წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოდანაა. თავის მხატვრულ ავტობიოგრაფიაში მან აღწერა გარემო, რომელშიაც დაიბადა და იზრდებოდა. გარდა ავტობიოგრაფიული ინტერესისა, ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანია 40-იანი წლების საქართველოს ფეოდალური ყოფის გასაცნობად და იძენს მნიშვნელოვან ლიტერატურული დოკუმენტის ხასიათს.

ქართველ ფეოდალებში მიღებული ჩვევის მიხედვით, მათი შვილები ცხრა წლის ასაკამდე იზრდებოდნენ გლეხებთან. აკაკი წერეთელი ასევე მისცეს აღსაზრდელად ერთი გლეხის ოჯახს. პოეტი შემდეგ აღიარებდა, რომ თუ სოციალისტების ბოლომდე შეინარჩუნა დემოკრა-

დასაწყისი იხ. №3,4,5,6-2008

ტიული პრინციპები და ზოგადსაკაცობრიო იდეალები, ამაში იგი დავალებული იყო გამოჩნეულად ადრეული ბავშვობის მთაბეჭდილებებიდან, რომლებიც მან უბრალო გლეხის ოჯახში მიიღო. შემდეგ გადმოცემულია გიმნაზიაში მონაწილეობისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებული წლების ამბები, რომელიც მან 60-იან წლებში დაამთავრა. პოეტი ცოცხალი საღებავებით აღადგენს ეპოქას და იძლევა თავის თანამედროვეების შთამბეჭდავ დახასიათებას. გამოთქმის სისადავე და განცდათა გულწრფელობა, რაც წარმოადგენს აკაკი წერეთლის შემოქმედების მთავარ თვისებას, აქ სრულყოფილებამდეა მისული.

აკაკი წერეთლის დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან მნიშვნელოვანი ენა დაუახლოვა ხალხურს, განაახლა სინტაქსურად და გახადა მუსიკალური. მისი ლექსები აქამდე იმდერება ხალხში. ისინი იმდენად ხალხურნი არიან, რომ ზოგჯერ ლიტერატურის დახელოვნებულ ისტორიკოსს აერევა ხალხურ ლექსებში. სტილის განახლება და ხალხურობა აკაკი წერეთლისა სრულიადაც არ არის გაუცნობიერებელი ფაქტი. იგი მხურვალედ იბრძოდა ენის რეფორმირებისათვის, შეგნებულად მოუწოდებდა ხალხური პირველწყაროებისაკენ და სახეების ხალხური ფანტაზიის ამოუწურავი სავანძურდინ ამოკრებისაკენ.

თავიდანვე აკაკი წერეთელი მიემხრო რეფორმატორთა ახალგაზრდა თაობას, სიცოცხლის ბოლომდე შეურიგებელი დარჩა არქაისტებთან ბრძოლაში, მაგრამ იგი ყოველთვის თავს არიდებდა წრეობანას, განზე იდგა და ბრძოლაში ჩარევისას არ ფიქრობდა მეთაურობაზე, ერჩივნა ობიექტური დარწმუნოებით. შეიძლება ამაშია საქართველოში საზოგადოების ყველა ფენაში მისი უჩვეულო პოპულარობის მიზეზი. ღრმა სიბერეშიაც შეინარჩუნა მან ახალგაზრდული მგზნებარება და უყოყმანოდ მიემხრო საზოგადოებრივი აზრის ყველაზე მემარცხენე დინებებს. სახელმწიფო დუმაში არჩევნების დროს მის კანდიდატურას მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები. მისი 50 წლის ოთხივე 1908 წელს საქართველოში მანამდე არნახულ საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაიქცა, ხოლო სიკვდილმა 1915 წელს საყოველთაო გლოვა გამოიწვია. საქართველოს ყველაზე ყრუ პროვინციებიდან ჩამოდიოდა თბილისში მუშათა და გლეხთა დემუტაციები, რათა უშუალო მონაწილეობა მიეღოთ შეიშში, შემდეგ კი უსაყვარლესი პოეტის დაკრძალვაში. სიყვარული აკაკი წერეთლისადმი ქართველი ხალხისაგან ამიერკავკასიის ყველა ხალხებს გადაეცა. მისი ოთხივე და დაკრძალვა ამიერკავკასიის პროგრესული ძალების დემონსტრაცია იყო, რასაც წარსულში უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ნაციონალური ანტაგონიზმი და შოუნიზმი სულს უხუთავდა, აზრობდა ამ ხალხებს.

აკაკი წერეთელი უპირატესად ლირიკოსია. ბარათაშვილის შემდეგ მან ლირიკაში კიდევ მეტი ახალი შესაძლებლობანი გამოავლინა. ლექსი განაღდა ვირტუოზული და საოცრად მუსიკალური.

ხალხური ელემენტებისა და დემოკრატიული იდეების შეხამებით მან გააფართოვა პოეზიის ზემოქმედების სრე და პირველად დააკავშირა მასთან ფართო სახალხო მასობა.

მშობლიური ენის სახელმძღვანელოები და ქრესტომათიები საესეა აკაკი წერეთლის ნაწარმოებებით. მან პირველმა დაიწყო საბავშვო ლექსების წერა და ამ სფეროში განსაკუთრებული ოსტატობა გამოავლინა. კრილოვის იგავების მისუული თარგმანები შეიძლება ორიგინალურ ნაწარმოებებად ჩაითვალოს, იმდენად ორიგინალურად გადააკეთა ისინი და შესადავა გაქართული სიტყვა.

აკაკი წერეთლის პირველი ლირიკული ლექსები უცილობლად შეიცავდა ქალაქური ლირიკის კვალს, მაგრამ მუხამბაზების საზოგადოება და ფორმის შენარჩუნებით მან განახალა ლექსის შინაარსი და აქტიურ პოლიტიკურ მოტივებზე გადაართო, „თაფო ჩემო“ და „აღმართ-აღმართ“ მუხამბაზის ფორმითაა დაწერილი, მაგრამ ისინი პატრიოტული ლირიკის შემდგურებია.

ქალი, აღმოსავლური სენსუალობით აღბეჭდილი სპარსული მოტივები მან სამშობლოთი შეცვალა. ყველაზე გამოცდილი სკუპტიკოსიც კი ვერ განარჩევს ამ ლექსებში სად მთავრდება ქალი და სად იწყება სამშობლო.

გარდა პატრიოტული ელემენტებისა აკაკი წერეთლის ლირიკა აღსაესეა მოქალაქობრივი მუხბითი. აკაკი წერეთელმა ქართულ ლიტერატურაში გარკვეულწილად ნერასოვის გავლენითა და ნაშინა აქტიური პოლიტიკური საკითხები და აქცია ისინი პოეზიის საგნად. ამ შირიე აკაკი წერეთელმა შეძლო რამდენიმე შედევრის შექმნა, „იავნანა“, სადაც აღწერილია დედის განცდები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, „სიმღერა მკის დროს“, სადაც მოცემულია მომკვლეთა მუშაობის პროცესი, ამ რიგის ლექსები სრულიად განსაკუთრებულია.

აკაკი წერეთელმა პირველად შემოიტანა ქართულ პოეზიაში პოლიტიკური სატურა. მისი იუვენალისებური ლექსები ამათრახებს მაშინდელი საზოგადოების ყველა მანკიერებას. იგი არ ინდობს არც თავის თანამედროვეებს, სიტყვით რევოლუციონერებს. ამ სატურებში პოეტი დასცინის ჩინოფიკებს, ბიუროკრატებს, მექრთამეებს, სამშობლოს მოლაღატებს, პირფერებს, სულგაყიდულ ჟურნალისტებს, ცრუმოღვანეებს, ახალი ტიპის ქართველ ქალს, ევროპულობის გარეგანი ბრწყინვალეების გადმომღებს, მშობლიურ ენას რომ ამახინჯებს, შეიღებს რომ ზრდის კარიერისტებისადმი მარამებლობითა და მლიქვნელობით, გაღატაკებულ და გლეხობის გამღატაკებულ აზნაურებად. ამ ლექსებში პოეტი ზშირად მალდებდა ბრწყინვალეობამდე, მისი სიტყვა იძებს არაჩვეულებრივ გამომსახველო-

ბას და ნალარასავით გაისმის. ამ ლექსებმა განსაკუთრებით შეუნყო ხელი მის პოპულარობას. ეპიგრამები და სატურები იმდენად ამქარად გამოხატავდნენ სინამდვილეს, რომ იოლად გაიკაფეს გზა ხალხში და რუსთაველის ამალღებული დიდაქტიკური ლექსების თანაბრად ანდაზებად იქცნენ. ამასთანავე აკაკი წერეთელი წერდა ბევრს და ყველა შემთხვევის გამო. ყველა მოვლენა მშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა იქცოდა მისი შემოქმედების ობიექტად. ზშირად იგი აქვეყნებდა მახელიგონიერულ ფელეტონებს ლექსად და მაშინ ჟურნალ-გაზეთების იმ ნომრებს პირდაპირ იტავებდნენ.

აკაკი წერეთლის მონაწილეობა ნებისმიერ პერიოდულ ორგანოში უზრუნველყოფდა დიდ ტირაჟსა და წარმატებას და აკაკი წერეთლის ლექსის დაბეჭდვიდან რამდენიმე დღის შემდეგ უკვე მღეროდნენ ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში, როგორც ბერანესეს ლექსს, რომელსაც იგი ბევრს და მშენიერად თარგმნიდა.

გარდა სატორული ლექსებისა და ფელეტონებისა აკაკი წერეთელი წერდა კომედიებს, კომედიები იგი აგრძელებს გიორგი ერისთავის ქაქუცის და ფართოებს რეალისტური თეატრის ბაზას. კომედიები დაწერილია ცოცხალი ხალხური ენით, ზოგჯერ ლექსად. განსაკუთრებით კარგია იმერლებისა და ქალაქელი ყირაჩოღელების ტიპები.

ისტორიულ დრამებში „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“ აკაკი წერეთელი საქართველოს ისტორიის დიდ ცოდნას ავლენს. მისი პიესები დიდხანს შერჩა სცენას როგორც თბილისში, ისე პროვინციაში სოფეტის სირთულით, ხასიათის დახვეწილობით და წერის ოსტატობით ეს პიესები მოგვაგონებს სტენდალის იტალიურ ქრონიკებს.

ასეთივე ოსტატობით და ისტორიული სიმართლის დაცვითაა დაწერილი აკაკი წერეთლის პოემები „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ბაგრატი დიდი“ „ვახტანგ გორგასალი“ და სხვა.

მთელი ისტორიული საქართველო ჩაიღლის პოეტის თვალწინ. განსასახიერებლად იგი იღებს ნაციონალური ცხოვრების ყველაზე ძნელ მომენტებს: მონღოლების, სპარსელების, არაბების, ბიზანტიელების შემოსევები. აღწერილია ცალკეულ ისტორიულ პირთა და ხალხის მასების გმირობა. ამითგან ცალკეული ნაწილები ხალხურ სიმღერებში გადაიდა. გარდა ისტორიული სიუჟეტებისა აკაკი წერეთელმა პოემებში ჩააქსოვა ხალხური რწმენა-წარმოდგენები და გადმოცემები. ამ პოემებიდან მნიშვნელოვანია „წმინდა გიორგი და ნშინდა ილია“. საყოფაცხოვრებო პოემებიდან საუკეთესოა „გამზრდელი“.

აკაკი წერეთელი წერდა პროზასაც. გარდა ავტობიოგრაფიული „ჩემი თავგადასავლისა“ მას აქვს მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. მოთხრობა დაწერილია ისტორიულ თემაზე, მაგრამ ამ მოთხრობის როლი ქართულ ლიტერატურაში ანალოგიურია პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილს“.

ლისა". მოთხრობა დანერილია ხალხური ენით, მასში აღწერილია XVII ს. ისტორიული საქართველოს ადამ-ნების და ყოფა. საბა-სულხან ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისას" და "კალმასობის" შემდეგ "ბაში-აჩუკი" ქმნის ეპოქას ქართული პროზის განვითარებაში და წარმოადგენს რეალისტური რომანის დასაწყისს, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის პროზა.

აკაკი წერეთლის პოეზიის გავლენა შემდგომ პოეტებზე უზარმაზარია. მან შექმნა თავისი სკოლა, მაგრამ ეპიგონებს არასოდეს მიუღწევით მასწავლებლის ოსტატობამდე.

როგორც ინგლისში არსებობდნენ "ტბის სკოლის" პოეტები ასევე საქართველოში არსებობდა მთის პოეტების სკოლა. მთავარი ბირთვი სკოლისა არიან რაფიელ ერისთავი, სანდრო ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. ქართული ლიტერატურის ზოგი ისტორიკოსი ამ სკოლის მამამთავრად ასახელებს ილია ჭავჭავაძეს. მან ადრეულ ნაწარმოებში "მგზავრის წერილები" აღწერა მგზავრობა ფოსტის "პოვოსკით" რუსეთიდან საქართველოში დარიალის ხეობის გამოვლით საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც გამოიყვანა მთიელი თავისი დიალექტის შენარჩუნებით. მოკლე დიალოგებში ილია ჭავჭავაძემ შეძლო მთიელის ხასიათისა და ბუნების ასახვა ისე, რომ ტიპი დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მთიელის საუბარი საქართველოს ბედზე შემდგომ სხვადასხვა ვარიანტით მეორდება ლიტერატურაში, რაც იძლევა კიდევაც იმის საბაბს, რომ ილია ჭავჭავაძე მთის პოეტთა სკოლის დამწყობად ჩაითვალოს.

მთის თემა ეპიზოდურია ილია ჭავჭავაძესთან, ერისთავთან, ხოლო ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველასთან გადახდილია გრანდიოზული სურათები. მათ შეძლეს, ყველა მხრიდან ერეხეხინათ მთიელთა ყოფა, ადამი-ტრადიციული და რწმენა-წარმოდგენები, ასევე მათი ისტორიული ბედ-ილბალი.

რაფიელ ერისთავი (1824-1901) პირველი პოეტია, რომელიც გადმოგვცემს ხალხის ნამდვილ ცხოვრებას. თავისი შემოქმედების დასაწყისში არც მან უღალატა რომანტიკული სკოლის ტრადიციებს. პირველი მისი ლექსები უმღერის ბუღბუღის ბაღის სევდას.

შემდეგ მომრიგებელ შუამავლად მრავალწლიანმა სამსახურმა იგი უშუალოდ დააკავშირა ხალხთან. სოფლის ახალი დაყოფა ფენებში მასში თავის შეისტორიეს პოულობს. პოეტმა მამნივე შეიცვალა მიმართულება და რომანტიკოსიდან აქტიურ ხალხთანად გადაიქცა.

ბი-იანელი ასაკით, იგი როგორც პოეტს, გვიან მოწიფდა. საუკეთესო ლექსები ხანდაზმულობის წლებში შექმნა. ამით მკვეთრად გამოირჩა ქართული მწერალთა იმ რიგებიდან, რომელთა საუკეთესო ნაწარმოებები მოდის შემოქმედების ადრეულ პერიოდზე.

სოფლური ლირიკის იდილიური სურათების მისხაზით რ. ერისთავი წვედება ახალი სოფლის ეკონომიკურ ურთიერთობათა არსს. ამათრავს

სებს მევახშეებსა და კულაკებს, სოფლის წურბელებს, ასევე ჩინოვნიკებსა და მებატონეებს, ვლევური შრომის ექსპლოატატორებს. მას იოლად ეხერხება მუშაობის პროცესის ლექსად გადმოცემა. ზოგიერთი ამ ლექსთაგანი გასაცარია სისრულითა და უბრალოებით. ყველა ეს ლექსი შევიდა ქრესტომათიებში, მათზე თაობები იზრდებოდა.

რაფიელ ერისთავმა, აკაკი წერეთლის შემდეგ, მთელი რიგი საბავშვო ლექსების შექმნა. ამ ლექსებში მოცემულია წელიწადის დროთა, სოფლის დღესასწაულებისა და საბავშვო თამაშობების სურათები. ლექსები დანერილია უბრალო ხალხური ენით, სავსეა კონკრეტული სახეებით, ამ ყველაფერმა პოეტს უზრმაზარია პოპულარობა შეუქმნა.

რაფიელ ერისთავის საუკეთესო ნაწარმოებები, ნ. ბარათაშვილის "მერანის" ტოლფასი, არის "სამშობლო ხევსურისა". ეს ლექსი ფასდებოდა როგორც ხალხისნების სარწმუნოებრივი სიმბოლო. აქედან იღებს სათავეს ე. წ. "მთის პოეტების" სკოლა.

რაფიელ ერისთავის ორმოცდაათი წლისთავის ოუბლეზე, რომელიც პოეტს მოუწყვეს, ამ სკოლის დეკლარირება მოახდინა ვაჟა-ფშაველას უმცროსმა ძმამ — ბაჩანამ, ოუბლიარისადმი მიძღვნილ ლექსში.

ლექსში "სამშობლო ხევსურისა" რ. ერისთავმა გამოხატა თავისი ხალხის იმედიანობა. ლექსი აგებულია როგორც ორგევსული ჰიმნი სამშობლოსა და მთებისადმი.

რაფიელ ერისთავმა თავი დრამატურგაშიაც ცადა. მისი პირველი არც ისე სუსტია, მაგრამ ლექსებს მაინც ეწერ შეედება.

ხალხური ყოფის შესწავლის მრავალწლიანი გამოცდილებით რ. ერისთავმა გამოიყვანა თავის ეთნოგრაფიულ და მუღბლიკურ წერილებში. პირველად მან აღწერა რუსულ ენაზე მთიელთა წეს-ჩვეულებები და ყოფა. ამ მხრივ ფასეულია მისი მონოგრაფია ხევსურებზე. მან ასევე აღწერა იმერეთი, სამეგრელო და სვანეთი.

რ. ერისთავის მეცნიერულ დამსახურებას წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქტირება და ქართული, რუსულ და ლათინურ ენებზე დამოუკიდებელი საბუნებისმეტყველო ლექსიკონის შედგენა.

ქართულ პოეზიაში სრულად განცალკევებით დგას ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) (1861-1915). ქართული ლიტერატურაში მხოლოდ უკანასკნელ ხანს დამკვიდრდა მისი დიდი სახელი. მისი კანონიზაცია მიმდინარეობს არა რომელიმე ლიტერატურული სკოლის კამრიზების მიხედვით, არამედ სტიქიურად, ხალხის მასების შუაგულამდე მისვლით.

XIX საუკუნის ქართულ პოეტთაგანი ვაჟა-ფშაველა ყველაზე ხალხური და გამათვინებელი იყო საქართველოს მთიანი პროვინციის ფშავის მკვიდრი, დიდხანს კამათობდნენ მის ნაციონალურ ბუნებაზე.

პირველად ვაფა-ფშაველა ლიტერატურაში შენიშნა ილია ჭავჭავაძემ. ი. ჭავჭავაძე, როგორც პუბლიკისათვის დროზე, იყო კანონიზებული პოეტებისა. ვაფა-ფშაველას უზარმაზარმა მოვლინებამ მასშივე განაცვიფრა ილია ჭავჭავაძე. მან იგი ნიკო ბარათაშვილის გვერდით დააყენა, რაც იმ დროს ყველაზე დიდ შექმნად ითვლებოდა. თავად ილია ჭავჭავაძემ დახარა თავისი დიქტატორული თავი ახალი ვიგანტის ნინაშე და შეწყვიტა ლექსების წერა.

ვაფა-ფშაველას შემოქმედების ზენიტში ყოფნისას ლიტერატურა არ ფარავდა პოლიტიკას. თუ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ხალხის სულიერი ნინაშეძლიებელი იყვნენ და თავიანთი სახელებით აღავსებდნენ საუკუნეს, ეს წარსულში იყო. ვაფა-ფშაველას დროს საზოგადოებრივი აზრი საქართველოში იმდენად მომწიფდა, რომ განდგნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ქვეყნის მმართველობის უფლებას. 90-იან წლებში პოეზია უკვე აღარ თამაშობდა დიდ როლს. პოლიტიკური ლოზუნგები პროზაში უკეთ თავსდება. ჩნდება ხალხოსნობა, შემდეგ მარქსიზმი. ხალხოსური იდეები და განწყობილებები გვხვდება ვაფა-ფშაველასთან, მაგრამ მისი სიმღერების ძირები ხალხურ შემოქმედებაშია ნასული, რაც ქმნიდა წარმოადგენას, თითქოს ვაფა-ფშაველა ჩამორჩა თანამედროვეობასო, თუმცა მისი შემოქმედების ანალიზი საპირისპიროს გვიჩვენებს.

საქართველოში კრიტიკა ყოველთვის ჩამორჩებოდა და, რასაკვირველია, უცტებ ვერ გაერკვა ვაფა-ფშაველას მოვლენაში. კრიტიკოსებს ქონდათ მზა სქემები და ფორმულები, რომლებშიც, ჭირდა პოეტის თვითმყოფადი ნიჭის ჩატევა. ამიტომაც მას უწოდებდნენ ხან არქაისტს, ხან სიმბოლისტს. რასაკვირველია, შემოქმედების სხვადასხვა მხრით ვაფა-ფშაველა თანხლებდა რომანტიზმსაც, რეალიზმსაც, სიმბოლიზმსაც, მაგრამ მთლიანად მისი მიკუთვნება რომელიმე ჯგუფისადმი შეუძლებელია.

რომ ჩავენდეთ ვაფა-ფშაველას, აუცილებელია მთელითა ხალხური ეპოსის შესწავლა. ვაფა-ფშაველა მთლიანად ამ ხალხური სათავეებიდან მომდინარეობს.

ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში პოეტის მტრებსა და არაკეთილმოსურნებს უკვირდათ მისი უზარმაზარი ნაყოფიერება და შექმნეს ლეგენდა, თითქოს მას ხურჯინით ჩამოაქონდა ხალხური ლექსები და თავისად ასაღებდა. ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეგნებულად იყენებდა ხალხურ გადმოცემას. მისი პოემების სოფლებში განგებ არის ნახვებები ხალხური გადმოცემებით, მაგრამ ამას იგი შეგნებულად აკეთებდა. ამასი იყო მისი წყდომის საიდუმლო.

ბრწყინვალე პროზასა და ზოგიერთ ლირიკულ ლექსში იგი კრავებს ფშაურ დიალექტს და ეს ქმნილება არ ჩამოუვარდება პირველი პერიოდის საუკეთესო ნაწარმოებებს.

ვაფა-ფშაველას ლექსი ნაქვია და ყველაზე

მადლიანი საგმირო ეპოსისათვის... იგი იძლევა სიტყვიერ ექვივალენტებს მთის მდინარეთა ადიდებისათვის, მშფოთვარე ნიაღვრებისათვის, ვეფხვის ნახტომისათვის, ცხარე ბროძისა და იარაღის ტლარენისათვის. გასაძვირია მისი შინაგანი ალიტერაციები. გერმანული სწავლული არტურ ლისტე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა ქართულ ლიტერატურას, ამბობს, რომ მსოფლიო პოეზიაში არ არსებობს პოეტი, ვინც ისე გამოსახავდა და შეიგრძნობდა მთებს, როგორც ვაფა-ფშაველა.

რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში ეპოსი არ აღორძინებულა. პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, ურიცხვ მტერთა შემოსევები, კულტურის კრერბის გადაადგილება, ხელს უშლიდა ხალხის როგორც მთლიანობის, ერთიანობის შექმნას. ეს ობიექტური პირობები XIX საუკუნესაც გადმოჰყვა.

თითქოს ყველა დიდმა ქართველმა პოეტმა, როგორებიც იყვნენ ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ა. წერეთელი, ა. ჭავჭავაძე, სცადა ეპიკური პოემის აღორძინება, მაგრამ მათ აკლდა მთავარი დასაყრდენი — ორგანული ხალხური ყოფა. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ამ საფუძვლის პოემა სცადეს ისტორიულ წარსულში. ისინი თავიანთი პოემების სოუვეტებს იღებდნენ მატიაწევიდან, "ქართლის ცხოვრებიდან", რომელიც სიტყვამ მოიტანა და უნდა თქვას, დანერვილია როგორც პოემა და წარმოადგენს ლიტერატურული შემოქმედების იშვიათ დოკუმენტს. აქედანაა მომეხი "თორნიკე ერისთავი", "ნათელა", "ბაგრატი დიდი" აკაკი წერეთლისა და "დედა და შვილი" ("ქართლის დედა") და "მეფე დიმიტრი თავდადებული" ილია ჭავჭავაძისა. მაგრამ ყველა ეს პოემა ატარებს შექმნის ნაკლოვანებებს. აქ პათოსი გადატანილია წარსულში. არ არსებობს პირდაპირი ხილვა და შეგრძობა საგნებისა.

მარტო სანდრო ყაზბეგმა შექმნა პროზაში ეპიკური რომანი შამლის ეპოპეის გამოყენებით.

ეპიკური პოემის აღორძინება ნილად ხედა ვაფა-ფშაველას. მთებში, სადაც ის ცხოვრობდა, ხელუხლებლად შემორჩა საქართველოს ისტორიული ყოფა და ვაფა-ფშაველა სწორედ ამ პირველწყაროს დასაყრდენად. მან აღმოაჩინა სრულიად ახალი სამყარო სავსე ხალხური ფანტაზიით შექმნილი დევემირებით. ეს სამყარო სავსეა კოლიზიებით, სინამდვილე ებრძვის ადამისა და ტრაგიდიისა და აქედან უითარდება დრამა. ამ სამყაროში შეინარჩუნა გადმონათობები ჯვაროსანთა მორალისა, ომი ითვლება ერთადერთ სათნოებდა. აქედან გულადობისა და გმირობის განდობება. ამ ფონზე იმლება ვაფა-ფშაველას ეპიკური შემოქმედება.

მისი პოემაში არ შევამჩნიებთ მთლიანად, მაგრამ შეკრებილი არიან ერთიანი უკეთესი მონტაჟით, როგორც პიტალო მთათა ქედებია გადაჯაჭვული. პოეტის ფანტაზია აქ მოულობს ფართო გასაქანს. ხანგრძლივი ობიექტი გათამამებულია

ლექსი უფრო აწყვეტილია და სწრაფი. მთავარი პოემებია "ზახტრიონი", "გველისმჭამელი", "გოგოთურ და აფშინა", "ეთერი", "ალუდა ქეთელური".

უმთავრესად ვაჟა-ფშაველას ეხერხება მითებს და ბრძოლის სურათების ასახვა. იგი აცოცხლებს ბუნებასა და გადმოგვცემს მის თრთოლას. ნისლი "ფიქრია თებებისა", არავგს "პირი უცინის, ტანი უშვენის ხმლიანი" და ა.შ. პანთეისტური პოეზია ვერ დაასახელებდა უკეთეს პოეტს, რომელსაც შეიძლო გადმოეცა ეს შინაგანი გრძობა ბუნებისა და ადამიანის თანაყოფისა. ამ აზრით პროლოგი პოემა "ზახტრიონისა" გაისმის, როგორც კოსმოსური ჰიმნი.

განსაკუთრებული ადგილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უკავია პროზას. ყველა ეჭვი პოეტის ოსტატობასთან დაკავშირებით იფანტება მისი პროზის შესწავლისას. აქ შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ მისი წერის მანერა რეალისტურია. არც ერთი დალექტური გამოთქმა. მისი ენა მოგვაგონებს კლასიკოსთა საუკეთესო სტრიქონებს.

მოზიბიველი მოთხრობა "შუღს წუკრის ნაამბობი" იწყება დაობლებული შუღის წუკრის მონოლოგით. ისეთი სინაზითა მოცემული მისი ცხოვრების მორთოლვარე ამბავი, რომ აღბათ ვერაზი ნაიკითხავს ამ მოთხრობას ისე, ცრემლი არ მოერიოს. ბუნების მოვლენათა წვდომის ხელოვნება აქ სრულყოფილებამდეა მისული. არც ერთი ზედმეტი სტრიქონი, ზედმეტი სიტყვა. თხრობა მიედინება შეუფერხებლად.

ლექსების ციკლში პროზად "ია", "კურდღელი", "მთის წყარო", "ფესვები", "მთანი შალაღი" გადმოცემულია სიცოცხლის მაჯისცემა. ვაჟა-ფშაველა შეიგრძნობს "მთების გულში მოლოდინის ზღვას, რომელსაც არა აქვს ბოლო, როგორც ღვთაებას".

ეს ქმნილებები შეიძლება შევედაროთ ეფგარ პოს ოფორტებს, მოდერნის პატარა პოემებს და ტურგენევის ლექსებს პროზად. ქართულ მწერლობაში სიტყვის შესანიშნავ ოფორტისტს საბა-სულხან ორბელიანს, "სიბრძნე რიცხუის" ავტორს, სადაც ეკონომია სიტყვისა უკიდურესობამდე დაყვანილი.

ვაჟა-ფშაველა მარტო ბუნების საიდუმლოს კი არ წედება. მის მოთხრობებში ცოცხლდება მისი თანადროული ფშაური სოფელიც. აქ წარმოდგებიან სოფლის მოთავეები, მისი წერბელები და დამლუპველებიც. ზოგი გამრჯევა და ოფლისმღერელი, მაგრამ არიან ზარმაცები და მსუნჯანიც, "ხატებს სანთლებსა კპარავენ". აღწერილია სოფლის კეთილი მასწავლებელი, აღსავსე სოფელზე რუსუნი, დასანერი უნდა დაანერიოს, უფასოდ, საკითხავი ექნება, პკითხოს. ბოქაულთან და მამასახლისთან უთანხმოება მოსდის. ორი სიტყვით ახასიათებს მამასახლისს: "ცხვარიეთი ბიჭი იყო და ამიტომ ამოირჩიეს, როცა უჯარი დაჰკიდეს ყელზე, მერე გამოიცვალა" და აღწერილია მისი ოინება: "—აი, თქვე "ბუნტოვჩიკებო", აი, თქვე მენ-შევიკებო, დამაცადეთ, მე თქვენ სეირს გაიწე-

ნებთ, თუ ჩემი ნაწალნიკი ცოცხალი მეყოლება." შემდეგ აღწერილია ქარაფშუტა მებატონე, რომელიც მხოლოდ იმითაა დაკავებული, ვის რა შეანეროს, ვინ გაროზგოს, ვის რა მავაღჯოს ან რით დააჯარიმოს და "რომ აუნყოს სოფელს თავისი ციხე-დარბაზში მობრძანება, დაუნყენს ვარსკვლავებს თოფისა და დამბაჩის სროლას".

აქვე მოცემულია ვაჭრის ტიპი, რომელიც მშვიდი მგელივით დასცემია სოფელს და თავგამოდებით ყვლეფს გლეხობას. ეს ოფორტე შემდეგ გადაიზრდება დიდ ტილოში და მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა ცოცხს წერდა პროზაში, მისი მოთხრობები უფრო მეტად გადმოგვცემს სოფლის ყოფას, ვიდრე, გაჭიმული ტენდენციური მოთხრობები ორთოდოქსი ხალხისწინაა.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის არაჩვეულებრივი ძალა, რა თქმა უნდა, აიხსნება მისი სიახლოვით ხალხურ ძირებთან. მან ამოიცნო ხალხური შემოქმედება, რაც მანამდე შოფრს წარმოადგენდა. ამაში იგი რუსთაველზე ორგანულია, რომელსაც ადარებენ მას, ერთადერთს ქართულ პოეზიაში.


ჩვეულებრივ ისეთი პოეტები, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, ხალხს უწინდება საზოგადოებრივი ცხოვრების გარიჟრაჟზე და მნიშვნობრის დაწყებისთანავე, როგორც კომეროსი და ვირგილიუსი, მითებისა და რელიგიით შთაგონებული პოეტები. ხალხი მათი შემოვლით ქმნის თავის კოსმოგონიას. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა ისეთი ნიჭის განქრის ფაქტი, როგორიცაა ვაჟა-ფშაველა XIX საუკუნის ბოლოს იმ ხალხში, რომელშიც დამწერლობა ქრისტიანობამდე ექნება. თავად ვაჟა-ფშაველამ გაიარა თავისი საუკუნის პოეზიის შესაბამის გზა, შესანიშნავად თარგმნა რა ეფგარ პოს "ყორანი", მაგრამ მასში მაინც სძლია უშუალო პოეტურმა ინტუიციამ და გაუნა ხალხში, იგრძნო რა მამობლოური ფესვების სიმაგრე, ამღერდა თანამედროვეთათვის უჩვეულო მითი.

სინდღე მისი პოეზიისა არ არის შეზღუდული რომელიმე სკოლის ხანმოკლეობით, რომელიც დღისით იბადება, საღამოს რომ მოკვდეს და შემდეგ აღარ აღდგეს.

ვაჟა-ფშაველას ენით თავად ხალხი ამღერდა ათასი ხმით. ამ აზრით, იგი ყველაზე სახალხო პოეტია საქართველოში. თვითონ ვაჟა-ფშაველა შესანიშნავად გრძობდა, თუ რაში იყო მისი პოეზიის ძალა, ამიტომ გაისარჯა, რომ შეეკობა ფშავის ხალხური ლექსები და დაენერა შესანიშნავი მონოგრაფია "ფშაველები", სადაც წარმოდგენილია ფშაველა ნეს-ჩვევები, რწმენანარმოდგენები და ყოფა-ცხოვრება. ამ ნიშან უზარმაზარი ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, მას გვერდს ვერ ავლდის სამხარეთმცოდნეობო მცენიერება.

თარგმნა
თემურ ჯავაღნიშვილმა

გაგრძელება იქნება



გურამ

ქავთასნიძე

შვილიათასნიანი

შუშარაგის და ქართველების
ერთიანობის მოწამეა

მე მინდა მკითხველს გავაგებინო, რომ რა სახელებიც არსებობდა შუმერში ათასწლეულების წინ, ის სახელებია საქართველოში დღეს იმავე შინაარსით. უფრო მეტიც, მილიონი წლების კი არა მილიონი საუკუნეების წინ, რასაც ეძახდნენ შუმერები, იგივე სახელებია დღეს საქართველოში.

მსოფლიო შუმეროლოგების კოორტამ — ფრანსუა ტიურო-დანტენმა, არნო პიობელმა, ადამ ფოლკენშტიკინმა, სემიუელ ნოას კრამერმა — ბრწყინვალე კვლევები დაამთავრეს შუმერებზე და წიგნს დააწერეს "ისტორია იწყება შუმერიდან", რადგანაც დედამიწაზე პირველები იყვნენ შუმერები, ვინც წერა-კითხვა იცოდა — ისტორიასაც ის ხალხი წერს.

აი, შუმერებისგან დატოვილი საოცარი ისტორია: "სამყაროს წარმოშობა". აი, რას წერენ შუმერები თავიანთ თიხის წიგნზე — ეს ის დროა დედამიწა ახალი დაბადებულია, წყლითაა დაფარული და წყლიდან ამოდის მინა — ხმელეთი ჩნდება. დიახ, დიდი ხნის ისტორიაა ძალიან დიდი ხნის.

აი, ეს ისტორიაც: — "ადამიანის სახის მქონე ღმერთმა — ანმა — (მთვარემ — იგივე ცამ) და ქალღმერთმა — ქი-მ (მინამ) შეეს ჰაერის ღმერთი — ენ ლილი, ჰაერის ღმერთმა ენ ლილმა ერთმანეთს განაშორა ცა და დედამიწა, იმ დროს როცა ანმა ასწია (წაიღო) — ცა, ენ ლილმა ძირს დაუშვა მინა — თავისი დედა — ენ ლილისა და ენ ქის ერთად ყოფნამ მისცა დასაბამი მსოფლიოს მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანს და ცივილიზაცია. შუმერი მოაზროვნეებისათვის სამყაროს მთავარი ელემენტები იყო მთვარე — იგივე ცა და მინა, ამიტომ უწოდებდნენ ისინი სამყაროს "ან-ქი-ს", რაც მთვარეს, იგივე ცას და მინას ნიშნავდა."

აი, შუმერების დანერღ "სამყაროს წარმოშობაში" მონაწილე ღვთაებები და ერთნაირობის მოწმეები დღევანდელ საქართველოდან:

ანი — შუმერულად მთვარის სახელია. მონმე ანბანიდან: ანი-ანბანში მთვარის ასონიშანია და მთვარეა. — ანი!

ქი — შუმერულად მინაა. მონმე ანბანიდან: ქი — მგოცდაოთხე ასონიშანია ანბანში და მინას ნიშნავს!

ენ — შუმერულად უფალს ნიშნავს. მონმე ანბანიდან: ენ — ანბანში მეხუთე ასონიშანია და ანბანის მიხედვით უფალია.

ან-ქი — შუმერულად სამყაროს ნიშნავს, სიტყვასიტყვით მთვარეს და მინას.

ქი-ანა — მეგრულად ქვეყანას ნიშნავს. სიტყვასიტყვით მინას და მთვარეს!

ლილ — შუმერულად ნიშნავს ჰაერს, ნიავს, სულს.

მონმე სვანეთიდან: ლილე — სვანურად ნიშნავს ჰაერს, ნიავს, სულს! ენლილი- ენქი — უფალი ჰაერი, უფალი მინა — ასე მიმართავდნენ შუმერები ჰაერს და მინას.

აი, რა მონმეები ჰყავს შუმერების როდის დანერღ ისტორიას, დღევანდელ საქართველოში ანბანით, სამეგრელოთი და სვანეთით. მეტი არა ქნას შუმერულ ქართველმა ერთნაირობამ.

აი, სადა აქვს სათავე, ძირი და ფეხები ჩვენ ამ დალოცვილ ენას — ანბანს, მეგრულს და სვანურს — ხმელეთის დაბადებასთან!

შუშარული "სამყაროს წარმოშობის" ისტორიის დიდი მოწევა სპარტეველში

საოცარია, მაგრამ ფაქტია: შუშარებმა დედამიწის ისტორია "სამყაროს წარმოშობა" დანერგეს, როცა დედამიწაზე ჩამობრძანდნენ ძვ.წ. 5604 წელს და შეიდიათასი (7000) წლის შემდეგ საქართველოში მეორდება ამბავი სამყაროს წარმოშობაზე, ჩვენი წელთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნეში. აი, შუშარების ეს მოწმევე საქართველოდან — კაცობრიობის გენიოსი:

შოთა რუსთაველი
"რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა ზეგარდმო არსნი სულითა, ყვნა ზეცით მონაბერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა".
დახს, სამყაროს წარმოშობის ამ ხიდობაზე, ანი, მსოფლიოს მეცნიერებმა იფიქროსი ძვ.წ. 5000 (ხუთიათასი) წლის "სამყაროს წარმოშობის" შუშარული თიხა და ამ თიხაზე არსებული ქართველი მოწმევეები ანბანში 24, (ლა-ნი=700

მიულად გალაკტიკების შუაგულის, უფლის, სამყაროს წარმოშობის, სამყაროს შემოქმედის ხატებაა — ეს ხატებაც დედამიწაზე მარტო ჩვენმა ანბანმა იცის და როგორც მშობელი შეიღოს ისე გადაფარებული ახლად დაბადებულ დედამიწაზე, მსოფლიოს მეცნიერებს და მკვლევარებს ვერ გაუერთიანებიათ შუშარების თიხაზე დანერგულ "სამყაროს წარმოშობა" და ძვ.წ.5000 (ხუთიათასი)წლის შუშარულ თიხაზე დახატული "სამყაროს წარმოშობის შინაარსი, რომ დანერგილი და დახატული ისტორია აბსოლუტურად ერთი და იგივეა.

საოცრად დიდი ხნის ამბავია აღწერილი შუშარებისგან დანერგილ და დახატულ თიხაზე, რა თვალის სამყაროს რა ნაწილია, რომ იციან სამყაროს წარმოშობა, ნერენ და ხატებენ ამ მილიონობით წლის ისტორიას. საიდან? როგორ? რანაირად? ასევე იმსახურებს გაკვირვებას ჩვენი ანბანის სამყაროს ცივილიზაციით შექმნაც, საიდან? როგორ? რანაირად? ამას კი ცივილიზებული მსოფლიო უნდა სწავლობდეს და არკვევდეს!

დედამიწის სიმბოლური ასონიზა-ნი შუშარულ ქართულ ასომთავრულ ანბანში. კაცობრიობის პირველი ჯჷპარი



ლანის ძვ.წ.აღ. 5000 წლის თიხის ფირფიტა. თვალხილული დიდი ღმერთი არავინ არ იცის შუშარების ანბანის გარდა.



2. ქანის ძვ.წ.აღ. 5000 წლის შუშარული თიხის ფირფიტა. კაცობრიობის პირველი კალენდარი, რომელზედაც გამოსახულია სიცოცხლის ოთხი დედა — შაერი, წყალი, შინა და მზე — ოთხი ღრო, ოთხი მზარე, თორმეტი თვე.

ასონიზან ლანის შუშარული თიხა, სადაც აღწერილია პირველქმნილი ოკეანიდან ხმელეთის დაბადება.

აი, სამი ქართველი მოწმე ასომთავრული ანბანიდან:

— ასონიზანი ლანი დიდი ღმერთის — სამყაროს შემქმნელის, სამყაროს შემოქმედის ანბანისეული ხატება!

— ასონიზან ქის ანბანისეული დედამიწის ხატება. ამ შემთხვევაში შუშარულ თიხაზე მინის ამოსვლას აცხადებს პირველქმნილი ოკეანიდან.

— ანბანისეული ასონიზანი ხანი — ქის თებრუნებული ნიშანია. აი, ასეთი — ამ შებრუნებულ ნიშნებს თავისი აზრი და შინაარსი აქვს ანბანში (იხილე წიგნი შუშარების ანბანი). ქართული ანბანიდან სამი ასონიზანია ძვ.წ. 5000(ხუთიათასი) წლის ერთ თიხის ფირფიტაზე — სამი ქართველი მოწმეა "სამყაროს წარმოშობის" დახატულ თიხის ფირფიტაზე და მეტი რა ქნას მოწმევება.

ასონიზან ლანის, შუშარულ თიხის ფირფიტაზე, ანბანურად დიდი ღმერთის ასტრონო-

კაცობრიობის პირველი მზისა და მთვარის კალენდარი. დიდი ღმერთის ასული, დედა ღვთაება. სიცოცხლის დედა ქართული ანბანის ასონიზნის ხატება ძვ.წ. 5000 (ხუთიათასი) წლის შუშარულ თიხაზე ანბანში 24. — ქი=600.

ქი — შუშარები მინას ეძახიან, ანბანში კი — ქი მეოცდაოთხე ნიშანია და ანბანურადაც მინაა. მინობას ადასტურებს მისი რიგითი რიცხვი 24 — ი, რაც ოცდაოთხე საათს დედამიწის ერთ შემობრუნებას ნიშნავს თავისი ღმრძის ირგვლივ, როგორც მოძრაობს დედამიწა სამყაროში, მზის სისტემაში.

პირველი: რიცხვი ოთხი დედამიწისათვის მზის სისტემის რიცხვია, მზის სისტემის ნიშანია და მზის სისტემას ნიშნავს. რადგანაც შუშარების ანბანი — იგივე ქართული ასომთავრული დედამიწისეულისათვის მზის სისტემის ათვლას მთვარით იწყებს და მთვარიდან მზე ასტრონომიულად მეოთხე ადგილზეა.

მეორე: შუმერებს მიაჩნდათ რომ ჰყავდათ ოთხი შემოქმედი ღვთაება, ოთხი შემოქმედი უფალი, ოთხი სიცოცხლის დედა — მინა, ნყალი, შაერი და მზე, რამაც დასაბამი მისცა დედამიწაზე სიცოცხლეს მცენარეებისას, ცხოველებისას, ადამიანისას და ცივილიზაციისას. აი, ეს არის კაცობრიობის პირველი ჯგერო ოთხი სიცოცხლის დედა ღვთაებით, ენქი უფალი მინა, ენლილი-უფალი შაერი, ნყალი და მზე, ამიტომაც დიდი ღმერთის ასული, — დედამინა — დედაღვთაებაა — სიცოცხლეების დედაა სამყაროს ეს მწვანეში ჩასული ჩვენი უღამაზესი პლანეტა.

შენიშვნა: გაპოლიტიკებულია ისეთი ხალხის რელიგია ჯვარს რომ ვერ იტანს, თითქოს ჰაერს არ სუნთქავდნენ, ნყალს არა სვამდნენ, მინაზე არ დადიოდნენ და მზეს ყოველდღე არ უყურებდნენ. აი, ეს არის დედამინაზე სიმბოლური ანბანისეული ასონიშანი კლასიკური ფორმა სიცოცხლეების დედის უაზროთა პოლიტიკურმა მოდგმამ სიქვედილის ნიშნად რომ გადააქცია.

აი, ეს ასონიშანი ქი-კი კლასიკური ფორმა და ქალების გაშლილთმებთან ნიშანია, ცაცობრიობის დედა ჯვარი.



ძველი ნელთარციხვის 3000 (სამიათასი) წლისაა. მცხეთაში ნაპოვნი ინახებოდა სვეტიცხოველის ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმში, მეორე სართულზე შესასვლელში მარჯვნივ, დახანყისძივე ქოთანზე დახატული.

მზისა და მთვარის კალენდარი ამ ფირფიტაზეა შუმერების ანბანისეული კალენდარი მზისა და მთვარის.



მზის კალენდარი ოცდაათდღიანია თორმეტი თვით თავისი გასასწორებელი დღეებით. მთვარის კალენდარი კი ცამეტთვიანია, თვე 28 დღით.

რაზეც მეტყველებს თიხაზე გამოსახული თორმეტი ადამიანის სხეული და თორმეტობას ადასტურებს დედათა გაშლილი თმები სამ-სამი ნაწილით, რაც ნელინადის ოთხი დროის სამ-სამი თვეა გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომასა და ზამთარის.

შენიშვნა: შუმერებისთვის და ანბანისთვის, რადგანაც სამყარო ცოცხალი არსებაა მზისა და მთვარის კალენდარი, იგივე დედამინის წრის ათვლა მზის ირგვლივ არც გეომეტრიული წრით შეიძლება და არც რიცხვებით, ამიტომ შუმერებზე და ანბანზეც მზის ირგვლივ წრეს არეგულირებს დროის ჯვრით და ანბანური კალენდარი ნამებების სიზუსტით ანგარიშობს ნელინადის ოთხ დროს და ანბან-

ნური შუმერების კალენდარი ისეთი ზუსტია თანამედროვე კაცობრიობამ არ იცა. (იხ. დიდი ნიგნი) და (ანბანური კალენდარი).

აი, ყველაზე დიდი მონმეების დაუმარცხებელი ლაშქარი, სამყაროს უფლის, დიდი ღმერთის შვილები, დედამინის ოცდაათთმეტი სარდალი, როგორებიც გაწნდნენ დედამინაზე 7000(შვიდათასი) წლის წინათ, როგორებიც მოავლინა უფალმა, ისეთებია დღესაც, ახლა, ამ წუთში და ასეთები იქნებიან, მანამ დედამინა იარსებებს. დედამინის დაბადებიდან მოდის და ასეთივე იქნება მისი არსებობის მანძილზე.

⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒
⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒
⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒
⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒	⌒

აი, ოცდაათთმეტი მონმე შუმერი-ქართველი, რომლებსაც შუმერულ-ქართული სახელი ჰქვია ოცდაათთმეტივეს. აი, პირველი ასონიშანი — პირველი ქართველი!

1. ⌒ = პირველი მონმე ასონიშანი ანი, რომელიც იწყებს ანბანს და ენას ქართულს, მეგრულს, სვანურს. ეს ასონიშანი ქართველების დედა ენაა, მთვარეს ნიშნავს შუმერულად და ქართულად.

აი, მეოცდაათთმეტი მონმე:

34. ⌒ - ხ ა რ ი = 7000

შუმერულადაც და ქართულადაც ხარია — ხარია! დედამინის საერთო სახელი ხარია, როგორც მთვარეს მთვარე ჰქვია, მზეს-მზე ასევე დედამინის სახელი ხარია. დედამინის არც ერთმა ხალხმა არ იცის ეს სახელი დედამინის, გარდა ჩემმა ხარეზმა ნიქარამ და ნიკორამ ჩემმა ბრძენმა ხალხმა ასეთი ლექსი დაუნერა ხარებს ნიქარას, ნიკორას და დედამინას:

«**რომშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა, ადამიანის შენახვა ვერავინ იღვა თავზედა. ხარმა თქვა, იმ პირნათელმა, მე დამანერეთ მხარზედა, მოცივდნენ ანგელოზები, დაკოცნეს ორთავ თვალზედა. ჩამოქნეს წმინდა სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა, ნადი, ხარო იმუშავე ექესი დღე მთას და ხარზედა.**»

ვინც მეშვიდე დღე დაგაბას,
ხელი შეახმეს მხარზედა,
ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთახედა,
ხენათესვა, ზიდვა სარჩოს
ვერაჟინ იდგა თავზედა.
ხარმა თქვა იმ პირნათელმა
მე დამანერეთ მხარზედა.

**მონაქაბი სვანათილან
თიემურაზ მიხეჟანის ჯარის
კაცები და სალოცავები:**

სალოცავები: შუმერული და სვანური სუნ-
დუქ, აია, შამაშ, ლილე, ბარ-ბარ, ლამარი, ტა-
რუ(თარი), ფუსტი, — ზუსტად ერთნაირია.
ჯარის კაცები: გილგამეში — ქ. ურუქის
ლევანდარული მეფე, მეომარი, გმირი სვანუ-
რი მონმე გილგა შამაშკაცის სახელია და სვა-
ნურად "მეშიალ" მეომარს ნიშნავს. ქალაქი
შუმერში - ური, სვანურად ნიშნავს მკვახეს.
შუმერულად კაცი მარ, სვანურად — მარე,
შუმერულად ხელი შუ, სვანურად - ში. შუ-
მერულად ალი მელამ, სვანურად — მელამ,
შუმერულად მდაბიო გურუმ, სვანურად —
გურუმ, შუმერულად წართხალი ნიცირი, სვა-
ნურად — ნეცირი, შუმერულად ვილაცა —
იერი, სვანურად — იერი, და ა.შ. ბატონ თე-
იმურაზს მონმეების მთელი ლაშქარი ჰყავს!
ხოლო მონმეები სამეგრელოდან ჯერ ხელუ-
ბლებლია.

ამდენმა მონმეებმა მე და ბატონი თიემუ-
რაზი გაგვაგზავნეს დედამინის მეისტორიე-
ებთან და წავედით აი, ამ წერილით.

**მ ი მ ა რ თ ვ ა მსოფლიოს ყველა აღმო-
საველეთმცოდნეებს, მეცნიერებს, მკვლევარ-
ებს, შუმეროლოგებს, ჩიკავის უნივერსი-
ტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტი-
ტუტს, პენსილვანიის უნივერსიტეტს, აღ-
მოსავლეთის კვლევის ამერიკულ სკოლას,
იენის უნივერსიტეტს, ინგლისს, ირანს,
სადრანგეთის, რუსეთის, ურალის, თურქე-
თის, სირიის, არაბეთის, ხმელთაშუა ზღვის
შემოგარენ ყველა სახელმწიფოს მეცნიე-
რებს, მკვლევარებს, იუნესკოს.**

აღმოჩენილია შუმერების ანბანი.
დედამინაზე, სამყაროსეული ცივილიზა-
ციის პირველი მკვიდრი.

აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციათა
სათავე.

აღმოჩენილია ანბანის რიცხვიერი ფორმუ-
ლა, რომელიც საოცარი სიზუსტით განაგებს
ასოთა მოხაზულობას, რიცხვებს, მათემატი-
კას, გეომეტრიას, ასტრონომიას.

ანბანშია სამყაროსეული ღვთაებთა პან-
თეონი-საკრებულო, რომლისგანაც შეიქმნა
დედამინაზე კაცთა მოდემის ყველა რელიგი-
ური მიმდინარეობა.

აღმოჩენილია უძველესი ლურსმნული ნე-
რის რეგულები და მისი ხაზობრივი სისტემა.

ამოცნობილია, მსოფლიოს შუმეროლოგე-
ბისათვის უცნობი, ძველი ნელთალიტვის
5000 წლის შუმერული თიხის ფირფიტები და
ბექტები.

ანბანი ქართული-ასომთავრული — შუმე-
რების ანბანია. რადგანაც ოცდათხუთმეტევე
ასონიშანს შუმერული სახელით აქვთ.

ჩვენი აღმოჩენები საოცარი სიზუსტით
ეულდება უდიდესი ამერიკელი მეცნიერის
სემიუელ ნ. კრამერის კვლევას, წიგნით —
"ისტორია ინყება შუმერიდან".

ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ანბანი ინყება შუ-
მერიდან, და დღემდე ვერც ერთმა მეცნიერ-
მა მსოფლიოში ვერ შეძლო დაემტკიცებინა
ეს, იმიტომ, რომ ქართული ასომთავრულით
— იგივე შუმერების ანბანით, არავის, არა-
სოლდის, არ გაულედა შუმერთა სიძველეებში,
მათ მინაზე გაჩენისთანავე ჩამოყვია ანბა-
ნი, იმ რკინასავით, რომელიც დედამინაზე არ
მოიპოვება, სამყაროსეული ლითონია და სა-
ხელად ამუთუმ ჰქვია, 5-ჯერ ძვირი ოქროზე
და 40-ჯერ ვერცხლზე.

შუმერების ანბანი, უნდა აღმდგარიყო, და
აღდგა, იმ ხაზობრივი ფორმულით, რომელიც
კავკასიონის მთებში შეინახა და ხეთების უძ-
ველესმა ფრანდმა თიხამ, რომელიც ინახება
ანკარის სიძველეთა მუზეუმში, ინგლისელი
მეცნიერის მელარტის მიერ დათარიღებული
ძველი ნელთალიტვის 6500 და 5600 წლე-
ბით. ათასი წლით ასწრებს ჩვენს თარიღს
5600 წელს, მაგრამ ეს ჩვენს მიგნებას უფრო
აძლიერებს, ხოლო 5600 ზუსტად ემთხვევა.

მსოფლიოს მეცნიერთაგან ხაზობრივ და
ასაკობრივ ასეთ დამთხვევას ვერავინ დაიტ-
რამბავს.

უძველეს თავდაპირველ სიტყვებს, საოცარ-
ი სიზუსტით ხსნის საქართველოში შემონა-
ხული ენები: სვანური, მეგრული, უდური და
თავად ქართული.

ეს ენები და ხალხი მკვდარი და ნაშლილი
რომ ჰგონიათ მსოფლიოს მეცნიერებს, აქ სა-
ქართველოში შემონახულია და ცოცხალია.
ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, სულ სხვა
სახეს იღებს მსოფლიოს ხალხთა ანბანური
გავრცელების ცხრილი.

ანბანში რომ სამყაროსეული ცივილიზა-
ციაა, ამას ანბანი თავისივე მზისა და მთე-
რის კალენდარით ამტკიცებს, რომელიც
დედამინის ოთხ დროს, ნამების სიზუსტით

ანგარიშობს — ოთხი დრო ასე ზუსტად განანილებული, როგორც ანბანისეულ მზისა და მთვარის კალენდარშია, თანამედროვე კაცობრიობამ არ იცის.

შუმერების — იგივე ქართული ასომთავრული ანბანის გაცნობა მსოფლიოს აღმოსავლეთმცოდნეებს აძლევს საშუალებას, ახსნან ის დასაბამისეული სიძველეები და საიდუმლოებები, რომლებიც დღემდე არაა გარკვეული. ეს აღმოჩენები კი სულ სხვა გზაზე აყენებს კაცობრიობის აზროვნებას და ისტორიას.

ზურაბ ქავთაძის, მსოფლიო ანბანური კვლევის სამეცნიერო ცენტრის "შუმერის" პრეზიდენტი.

თეიმურაზ მიხაიანი მსოფლიო ანბანური "შუმერის" კვლევის სამეცნიერო ცენტრის ვიცე პრეზიდენტი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეს აღმოჩენები კი სულ სხვა გზაზე აყენებს კაცობრიობის აზროვნებას და ისტორიას.

რა იყო, რა მოხდა თვალწინ გიდევეს და ვერ უყურებ?



ასომთავრულის აი ანბანში 24.⚡ — ქი — ქანი=600 ასონიშანი ქი-ქანი.

ამ ასონიშნის მონშეები საქართველოში=სვეტიცხოვლის სამხრეთ კედლის სარკმელზე=ძვ.წ. 3000 (სამიათასი) წლის მცხეთაში ნაპოვნ ქოთანზე=თრიალეთის დიდ ქოთანზეა — (საქართველოს მუზეუმში)=ვანის გათხრებშია=ბრილში ნაპოვნ ცულზეა ძვ.წ. 2000 წელი და უამრავ სიძველეებში გვხვდება.



მცხეთაში ნაპოვნია (ძვ.წ. 3000წ.)⚡ —ქი=ქანის ბეჭედი შუმერული და რაჭული აბსოლუტურად ერთნაირია იმიტომ, რომ ერთი ასონიშანისაა ყველა

— ასონიშანი —
ჭარი და მისი ბეჭედი მცხეთა ძვ.წ. 3000წ.

S აი, კალენდარი შუმერული ძვ.წ. 5000 წლის თიხის ფირფიტაზე და შუმერულ მცხეთურ, რაჭულ ბეჭედზე.



აი, ნანწავი თიხას და ბეჭედს სამ-სამი ჭედებო. კალენდარს კი მერე ასონიშნები გკარნახობს.



ასონიშანიღანი, დიდი ღმერთის, ცისა და ქვეყნის, სამყაროს გამორიგისა და გამგებლის სახე.

— დიდი ღმერთის ხატება ქართულ ასომთავრულში — იგივე შუმერების ანბანში დედამიწაზე დიდი ღმერთის ხატება არავეინ არ იცის ჩვენი ანბანის გარდა და დედამიწაზე თაღოვანი სისტემის არსებობა შუმერებიდან მოდის და ეს კი ჩვენია და მშობლიურია.



ღანის ძვ.წ.აღ. 5000 წლის თიხის ფირფიტა. თვალზილული დიდი ღმერთი არავეინ არ იცის შუმერების ანბანის გარდა.

ტება სვეტიცხოვლის ჩრდილო კედელზეა შვიდი თალი, შვიდი დიდი ღმერთის რიცხვია, ამიტომაცაა სვეტიცხოვლის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი თაღებით დაფარული, ამიტომაცაა სავესე სვეტიცხოველი თაღებით.

— აი, მცხეთაში ნაპოვნი უღამაზესი ქი-ს ხატება მთელი თავისი დედობის შინაარსით კლასიკური და ქალის თმებით. ძვ. წ. 3000 წელი. დიდო ღმერთო, დიდება შენი!!



ამაზეა ნათქვამი ჭიალაზე გავივლი ქვას არ დავანახავო და ასე ვერ უყურებენ ანბანის ამ ასონიშნებს. არ იციან დედა უნივერსიტეტის ამ დარგის მეცნიერებმა და პედაგოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა ეს უღამაზესი ადრე შუმერების და დღეს ქართველების ეს უდიდესი კულტურა ანბანი და შინაარსი. ბნელები და ყრუები! სანყალი ჩვენი ასომთავრული ანბანი ამთხელია. საკუთარი ანბანი არ იცოდეს ქვეყნის ამ დარგის მეცნიერებმა და მისი გავებაც არ უნდოდეს, ეს, აქ საქართველოში თუ მოხდება და ფაქტი სახეზეა. რაც აქ სურათებია პირმნიშნადა ქართული ასომთავრული ანბანისეულია, ქართულია და ჩვენია!

მინანერი: შუმერები აღარ არიან, ენა მკედარია და ხალხი გადაშენებული, ასე ეგონათ საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს მეცნიერებს, ასე ჰგონიათ დღესაც.

მსოფლიო ანბანური კვლევის სამეცნიერო ცენტრი "შუმერი" კი აცხადებს, რომ ცოცხალია შუმერული ენა, ხალხი, ქვეყანა, თავისი ანბანით და მთელი თავისი ცოცხალი შუმერული კულტურული მემკვიდრეობით. ეს კი საქართველოა თავისი, ენით, ანბანით, ხალხით და მთელი თავისი კულტურული მემკვიდრეობით.

შუმერები დედამიწას სამყაროდან მოეწვლინენ — ასე დანერგეს თავად შუმერებმა თავის თიხის წიგნებზე, ასე წაიკითხეს მსოფლიოს მეცნიერებმა და ამას ადასტურებს სვეტიცხოვლის აღმოსავლეთის კედელი ზეციდან მოვლენას — და თან ჩამოყვია ენაც, ანბანიც და მთელი თავისი კულტურული მემკვიდრეობა, ეს ყველაფერი კი სამყაროსეული ცივილიზაციაა, რომელიც მხოლოდ მათ


გააჩნიათ დედამიწაზე და ეს სამყაროსეული ცივილიზაცია ცოცხალია, რა ცივილიზაციაც ანბანში შეფარული საიდუმლოებებსა აქვთ შენახული.

ეს აღმოჩენა კი სულ სხვა გზაზე აყენებს კაცობრიობის აზროვნებას და ისტორიას.

ულამაზესად, სასწაული ერთნაირობით, იხილება შუმერების 7000 წლის წინანდელი დღევანდელ საქართველოს მთელი კულტურული მემკვიდრეობა წესი, ადათი, ჯიში, ჯილაგი ენა, ანბანი — ეს ყველაფერი ერთნაირია. ანბანისა და ენის ერთნაირობა კი ამთავრებს ყოველგვარ მეცნიერულ კვლევას და აცხადებს მამა შვილობა შეიძლება არც კაცობრიობას აწყობს, გასიებულ, გადაყვავილებულ, გადაბუმბერაზეულ ქვეყნებს დღეს დედამიწაზე — არც უნდათ რომ დედამიწის განმანათლებელი ხალხი, უპირატესი ყველა ხალხზე იცოდნენ!!!

ვის დარჩება ერაყი,
ბუდე ქალდეველების...
აქ კი შმაგი ულაყის
ფლოქქვეშ ქართლის ველები
კვნესენ, იდრიკებიან,
სისხლით განახელები
ნანილდება მსოფლიო...
დრო ძველ რუკებს გადახევეს...
რჩება ნუთისოფლიდან
შუმერების სამარხებს
რალაც იდუმალება,
ღრმა და ეზოთერული,
დიდ კულტურას გადათქერს
მერე ტომი ველური...
იქნებ ძველი შუმერი
ჩემი მისხის მისხია...
იქნებ ქართველთ ძარღვებში
ქალდეველთა სისხლია...
იქნებ სიბრძნეს წინაპრის
მაღავს ჭამი ვერაგი...
იბომბება ერაყი,
იბომბება ერაყი...

ვაჟა მთარაშვილი



გენო გელაშვილი

გუგუქს ბენძენიძე

„ილის ჯეჟის“ გზაჯიი (გენო გელაშვილი)

რა რჩება კაცისგან, როცა იგი სტოვებს სამზუნოს? კითხულობს ლაო-ძი და თავადვე პასუხობს: რჩება მხოლოდ მკრთალი მოგონება, უმნიშვნელო ფრაგმენტები გარდაცვლილის მინიერ ცხოვრებიდან. მზით განათებული პერანგის ნაოჭი, ანდა საფეთქელთან შევერცხლილი თმა, ან დაკარგულ დროში ჩამარხული მისი ღიმილი, მაგრამ ეს მცირე წვრილმანებიც საკმარისია იმისათვის, რომ იგი მკვდრეთით აღვადგინოთ. როცა გენოზე გაეფიქრებ ხოლმე, მას ხუბდავ ისეთს, როგორიც ცხოვრებაში იყო.

ერთ სკოლაში ესწავლობდით. მხატვრობის სიყვარულმა დაგვაიმეგობრა. ერთმანეთი გავიცანით სკოლის პატარა ბიბლიოთეკაში, როცა უფროსი კლასელის, ახლა უკვე ცნო-

ბილი ქართველი მხატვრის გურამ ქუთათელაძის ნამუშევრის წინაშე ვიდექით. ბიბლიოთეკის გამგემ მოხუცმა ქალმა, რომელსაც ყველა დეიდა ფაცის ეძახდა, გვკითხა, გიყვართ მხატვრობაო. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიეთ. შემდეგ თავის სახლში ნავიყვანა და ძველებურ, მოთქროულ ჩარჩოებში ჩასმული სურათები გვიჩვენა. ეს იყო ჩვენი პირველი ზიარება ხელოვნებასთან. მოზიბლული დაერჩით ფერწერული სურათებით. დეიდა ფაცია გვისხნიდა, რომ ეს სურათები ევროპულ მხატვრობას მიეკუთვნება და როცა მოგვედები საქართველოს მუზეუმს უნდა დავუტოვო. ახლა, როცა იმ სურათებს ვიხსენებ, პოლანდიური მხატვრობა უნდა ყოფილიყო. იმ დღიდან მე და გენო ერთმანეთს აღარ დავეშორებვართ, უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით. ერთადერთი წიგნი გავგვიჩნდა — იტალიური ხელოვნების მცირე ენციკლოპედია. ყოველ დღე, როცა გენოს დედა დაგვაპურებდა, გადმოვიღებდით ამ პატარა წიგნს, რომლის ყდაზე ტიციანის მწვანე კაბიანი ქალი იყო გამოსახული, და გაუნელბელი ინტერესით ვათვალიერებდით. უკვე ზეპირად ვიცოდით იტალიელ მხატვართა სახელები და გვარები.

ჩვენი ბედნიერების წყარო ეს პატარა წიგნი იყო. სხვა სიხარული არ ვიცოდით, და აი, ეს პატარა სიამოვნება შეგვიწყვიტა ომმა. შეწყდა ჩვენი მეგობრობაც, ჩვენ ერთმანეთი დავკარგეთ. მენატრებოდა გენო. იგი უარში წაეყვანათ, არ იცოდნენ სად იყო, რომელ მხარეს. სხვა მეგობარი არ მყავდა, სხვას არ აინტერესებდა მხატვრობა. მე ჩემს კლასელებთან ერთად, სატვირთო სადგურში ვმუშაობდი. ვაგონებიდან გადმოყრილ პარკეტს ვეზიდებოდი და გადახურულში ვალაგებდით. ერთი კვადრატული მეტრის დანყოფა სამი კაპიკი ღირდა. ცხოვრება საშინლად გაჭირდა. მალე ჩვენი ოჯახი სოფელში გადასახლდა. იქაც დიდი გაჭირვება იყო. ჩემთვის ერთადერთი ბედნიერება იყო გენოს მსუდრო სახლისა და ტიციანის მწვანე კაბიანი ქალის გახსენება. იმედს არ ვკარგავდი, რომ ერთ დღეს ისევ შევხვებოდით მე და გენო და მხატვრობის ენციკლოპედიას გადავშლიდით. ომი კი არა და არ მთავრდებოდა, ყველგან შიმშილი მძვინვარებდა. მალე სოფლიდან საცხოვრებლად ქობულეთში გადავედით. თუმცა ომი მიმდინარეობდა, მაგრამ ადამიანები მაინც ჩამოსულიყვნენ ზღვისპირად დასასვენებლად. მთელი დღეები ზღვაზე ვიყავი. მზის ამოსვლამდის გავდიოდით სანაპიროზე. დავედებოდი მარტო და უსახლგრო

სიერცეს გავსურებდი. აღმოსავლეთით თვა-
ლუნვდენ სიშორეში სანაპირო რკალი რძის-
ფერ ბურუსში იკარგებოდა. სისხამ დილით
სანაპირო უკაცრიელი იყო. თითო ოროლა
ყვავი თუ დაფრინავდა ქვიშაზე. ერთხელ კი
ჩვეულებრივად გარემო მარტოხელა მგზავრის გამო-
ჩენამ დაარღვია. ზღვა ღვლაღვდა. მტრედის-
ფერ ცას ვარდისფერი ეფინებოდა. თეთრად
ავრგინილი გრძელი ტალღები ნაპირისაკენ
მოისწრაფოდნენ. შორს, ცასა და მყარს შო-
რის შავი ნერტილი ამოძრავდა. შეუმჩნე-
ვლად, მაგრამ თანდათანობით დიდდებოდა,
ახლოვდებოდა. ზღვის ხმაურს შერთული, გა-
რე სამყაროსაგან გამოთიშული ვიჯექი ნეს-
ტიან ქვიშაზე და ვფიქრობდი. ერთადერთი
ხსნა ჩემი იმეამად სწორედ მარტოობა იყო.
არაფერი და არავინ მინდოდა. ვიყავი მარტო
და ვფიქრობდი ჩემს მეგობარზე, ერთად რომ
უნდა ჩაგვებარებინა სამხატვრო აკადემიაში,
დიდი და სახელოვანი მხატვრები რომ უნდა
გამოვსულიყავით, ნუთუ აღარასოდეს შევ-
ვდებოდა ერთმანეთს? ამასობაში მარტოხე-
ლა მგზავრი თანდათანობით მოახლოვდა.

უცდიდი, როდის ჩაივლიდა, შევტრიალდი
და შორიზონტს გახედე. სანაპიროზე კაცი-
ვილი არ ჩანდა. მხოლოდ ერთი ნაცრისფერი
ყვავი დახტოდა ქვიშაზე. აქაფებული ტალ-



ღები ხმაურით იშლებოდა. მე თვალი უცნო-
ბისაკენ გავაპარე. ახლა გარკვევით ვხედა-
დი უცნაურ სილუეტს. უკვე ახლოს იყო, უკვე
მომესმა ზღვის ხმაურს შერეული მისი ნაბი-
ჯების ხმა, კენჭების ხრაშინარუმი. ვფიქრობ-
დი, ჩაივლის და მერე ისევ განვაგრძობ-მათე
ოცნებას თუ სიმარტოვით ტკობას. მაგრამ
კენჭების ხრაშინარუმი შეწყდა, მე მალულად
მივიხედე იმ მხარეს და ჩემს წინ ქვიშაში ჩაფ-
ლული ჩექმები დავინახე, თვალი ავაყოლე
ჩექმებს და ჯარისკაცი შემერჩა. დგას უძრავ-
ად, მდუმარედ და უხმო სიცილით იმზირება,
ღიმილით მომჩერება. მე მისი სახელი აღმო-
ხდა, იმას ჩემი. გაოგნებული, სიტყვაგამწყდა-
რი ვუმზერდით ერთმანეთს, ზღვაც თითქოს
აღარ მხოლოდა უწინდელივით, მხოლოდ ერ-
თმანეთის გულისცემასლა ვგრძნობდით —
რა დაგემართათ? რა მორცხვი გოგოებით
უყურებთ ერთმანეთს! — გაისმა დედაჩემის
ხმა, — მიდით გადაეხვიეთ ერთმანეთს, —
გვიბრძანა და ჩვენ ერთმანეთს მოვეხვიეთ.
მერე დედაჩემმა ჩაიკრა გულში, მიხსუტა,
აკოცა და სიცილი და ცრემლები ნასკდა. —
აბა უკან დაინი, — უთხრა დედამ გენოს და,
როცა შორიდან შეავლო თვალი, ისევ სიცილი
აუტყვდა, ხმამალა იცინოდა და ცრემლებს
აფრქვევდა. შხით გარუჯული პატარა შავი
ბიჭი იდგა ქვიშაზე, ეცვა ნასხისარი დიდი
ხალათი და დიდი ზომის ჩქემები. ეს აცინებ-
და დედას და თან ებრალებოდა — რა დროს
ამის ჯარში ნაყვანააო. მერე მკლავში ხელი
ჩასჭიდა, წამო რამე ვჭამოთო. გენომ მტკი-
ცე უარი განაცხადა, აქ რომ თქვენი დამზა-
დებული ვიჯემო, იქ იმ საზიზრობას როგორ
გავსინჯავ, ხომ შიმშილით მოვეკვდები, ნახე-
ვარ საათში ადგილზე უნდა გამოვცხადდეო.
დედაჩემმა მარტო დაგვტოვა. ხმა ამოიღეთ,
ერთმანეთს ჰკითხეთ რამეო და შორიდან და-
იძახა, მოდი ხოლმე ჩვენთანო, გენო შეპირდა,
რომ ყოველდღე მოვიდოდა (ახლა ვიცი, რომ
მეორე დილით რუსეთში გაუმგზავრებიათ).
ჩვენ ველოდით ყოველ დილით. ომის დამთავ-
რებამდე გენო აღარ გვინახავს.

— გენო! — ვთქვი მე. — გენო, საიდან სად?
აქ საიდან გაჩნდი? მერე დავსხედით ქვიშაზე
და ის თავის გასაჭირს მიყვებოდა. ყვებოდა,
როგორ დაავლეს ხელი და როგორ ჩააცვეს
ფორმა. ახლა ქობულეთში მდგარან. სად გა-
დაგვიყვანენ აქედან, არ ვიცი. ველარ ვძლებ,
გაუბეზრდი. ლამის შევიშალო ისეთ რამეებს
ვხედავ ყოველდღე. შენ რომ ნახო თავს მოიკ-
ლავ, ვერ გაუძლებ! აღამიანი მხეცი ყოფილა.
ვდგები დილაადრიანად და ზღვის ნაპირს გა-
მოუწყებუ, დაედივარ და ისევ უკან ვბრუნდე-



ბი, არ მინდა იმათი დანახვა, მაგრამ რა ვქნა, სად გავიქცე არ ვიცი — ლაპარაკობდა, კი არ ჩიოდა, კი არ წუნუნებდა. მერე უეცრად გამიცინა: შენ, როგორა ხარ! — არაფერი მქონდა სათქმელი. გულის სიღრმეში ვნატრობდი მართო დარჩენას, მინდოდა მალე ნასულიყო, რალაც მტანჯავდა, რალაცის მრცხვენოდა. ახლა ვხვდები, რომ სინდისი მქენჯნიდა, მრცხვენოდა, გენო რომ ჯარში იყო, იტანჯებოდა და მე კი ზღვისპირას ვისვენებდი. ის კი თურმე ღერძზე ვარჯიშის დროს ცდილობდა ხელი გაეშვა ღერძისათვის, იქნებ ისე დანარცხებულყო მინაზე, რომ იქვე გათავებულყო. დამნაშავესავით ვიჯექი მის გვერდით. გენო ნამოდგა. გამომემშვიდობა და წავიდა. ისიც კი ვერ მოვიფიქრე, ცოტა მანძილზე მაინც გამეცილებინა. ერთ ადგილას ვიდექი და ვხედავდი, რაც უფრო მშორდებოდა, თანდათან როგორ პატარავდებოდა. ბოლოს კი ნერტილად იქცა და ჰორიზონტიდან გაჰქრა. მერე მზუც ამოინვერა და ყველაფერი ბუნდოვნად ბურუსში გაეხვია.

საუზმეზე ხმაგაკმენდილი ვიჯექი. ლუკმა არ ამიღია. დედა შემფოთებული მიმზერდა. ერთი შენიშვნაც არ მოუცია. მდუმარედ მითანაგრძობდა. ხვალ ისევ მოვა, ვთქვი, და გარეთ გამოვედი. იმ მხარეს გავიხედე, საითაც გენო წავიდა. აბორგენული ზღვა და

მოულოდნელი შესვდრა, აი ის, რაც გენოს გახსენებაზე დამიდგება ხოლმე თვალწინ. შემდეგ კი უთვალავი სურათი მიცოცხლდება ხოლმე, რომლებიც ჩემშია ჩაძირული, ისე როგორც გენო თავისი ღიმილით, ხმით, სიკეთითა და სათნოებით. მუდამ თან ახლავს და ვერავითარი საზუდამო განშორება მას ვერ გადაშლის.

მე უკვე აკადემიაში ვსწავლობდი, ომი რომ დამთავრდა. მესამე კურსზე ვიყავი, როცა ვილაქ ჟდანოვის მონოდეზის ნყალობით დასავლეთის თაყვანისმცემლებს დაერივნენ (მაშინ





ნარმოდგენა არ გქვონდა, რას ნიშნავდა ეს უაზრობა). მაგრამ გეგმის შესასრულებლად მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა აკადემიიდან გარიცხეს. მერე დაიწყო უაზრო ხეტილის პერიოდი. ამო ბრძოლა აღდგენისათვის. ისევ თავიდან მომინა მისაღებ გამოცდებზე გასვლა. ერთ დილით გენოს მოვკარი თვალი. გადავეხვიეთ ერთმანეთს. — აჰა, აღსრულდა ჩვენი ბავშვობის ოცნება, — ვუთხარი მე გენოს, — სულ ამას ვნატრობდი და აჰა, ძმაო, ორივე ერთად ვაბარებთ.

მერე ჩემი გასაჭირი მოვეუყვი. მან, როგორც სჩვეოდა, გულითადად მომისმინა და მითხრა, ნუ გეშინიან არა უშავს, უკეთესია.

აბა მაშინ მე რა უნდა ვთქვა, რა ამოდ გავაცდინე დრო, ან რაღას შევძლებ. შენ რაღაც მაინც შეიძინეო. ჩვენი მეგობრობა ისევ განახლდა. გენო ისეთივე უშუალო იყო, როგორც წინათ. შევეძლო მთელი არსებით აღტაცება. სხვისი ნიჭითა და მიღწევით აღფრთოვანება. მისთვის უცხო იყო შურის გრძნობა და მუდამ მზად იყო მეგობრების გულისთვის თავი დაედო. უანგარო სიყვარულითა და სიკეთით ემსახურებოდა ყველას. ჩვენ უკვე უამრავი მეგობარი გვაყვავდა და ყველანი ერთად გენოს ღარიბულ ქოხში ვიყრიდით ხოლმე თავს.

გენოს ოჯახი აბრეშუმის ფაბრიკის გადაღმა, მდინარის პირას იყო დასახლებული. ერთი ფარღალა სახლი ედგათ. იმჟამად ვერის პირას ასეთი ქოხბახები იყო. წვიმიან ამინდში მათ სახლამდე ვერც კი მიალწევდი, ისე ატალახდებოდა ხოლმე იქაურობა, ერთი ოთახი ჰქონდათ და პატარა სამზარეულო. იატაკის ფიცრები ისე იყო ერთმანეთს დაცილებული, რომ ვხედავდით ქვემო სართულზე მუზობლები სუფრას როგორ შემოუსხდებოდნენ. ხანდახან დაუბერავდა ქარი, სახლი აზანზარდებოდა, ქარი ამოიჭრებოდა ქვემოდან, ააფორიაქებდა სიმყუდროვეს და გარეთ გაიჭრებოდა. უსაზღვრო სიყვით და სიყვარული სუფევდა ამ ღარიბულ სახლში. აქ უკვე იმდენი მეგობარი იყრიდა თავს, რომ გვეშინოდა სახლი არ ნატყუულიყო, ან იატაკი არ ჩატყუულიყო. დრო გადიოდა, ასე ვიტყვით ხოლმე, მაგრამ მაშინ ვინ ამჩნევდა დროს ან დროის დინებას. ჩვენ ვცხოვრობდით, ვცხოვრობდით ხელოვნებით. ფერმწერლები, მოქანდაკეები, ყველა, ვისაც ხელოვნება უყვარდა გენოს სახლისაკენ ისწრაფოდა. ეს სახლი იქცა ჩვენი თავმჯერის ადგილად. გენო და მისი დები აღტაცებული ეგებებოდნენ ყველას. გენო სკამებს ისე ანაწილებდა, იატაკზე ისეთ ადგილებს არჩევდა, რომ სკამები სქელ ძელებზე დაედგა და იატაკი არ ჩაუარდნილიყო სიმძიმით. დაგვანაწილებდა ასე და იწყებოდა ხელოვნებაზე საუბარი, ცხარე კამათი.

მერე მუსიკას ვუსმენდით. გენოს კარგი ფორფიტები ჰქონდა. ვისმენდით ბეთჰოვენს, მერე ვაბერი აღმოვაჩინეთ. ახლა რომ ვიხსენებ იმ დღეებს, სიცოცხლე ვერ ვიკავებ. ფანერებით გამაგრებული კედლები, სახიფათო იატაკი, ქარისაგან შეზანზარებული სახლი და ამ ღარიბულ ქოხში გრგვინავს ბეთჰოვენის "ლეონორა". იატაკიდან ამოიჭრებოდა ქარი და ჩვენ გვეჩვენებოდა, თითქოს ბეთჰოვენის სული შემოიჭრაო. ჩვენს გარშემო იყო სილატაკე, ერთფეროვნება, ეზოში გაკედული ღარიბთა ძონძები. ამღერეული ვერეს წყალი

მიიქაროდა მტკვრისაკენ შესართავად. აბრეშუმის ფაბრიკიდან აღწევდა მყარალი სუნი, ქარი გადიოდა და გამოდიოდა ფარლალა ოთახში, მაგრამ ჰქუხდა ბეთჰოვენის გმირული სიმფონია.

“აღვიჭურვები მოთმინებით, რადგან ყოველი ბოროტება საბოლოოდ სიკეთეს მოიტანს, თუ, რა თქმა უნდა, სიკეთედ ჩავთვლით სიკვდილს. “ბეთჰოვენი”! ნამოძახებდა ხოლმე გენო, მერე ვაგნერის “ტანჰოიზერი” აჟღერდებოდა. მუსიკის მიღმა გაისმოდა საცერის ტყაბა-ტყუპი, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გენოს დები ფქვილს ცრიდნენ. ვაგნერის უწყვეტ მელოდის მიღმა ხინკალი უნდა ჩაყრილიყო დიდ ქვაბში. შიმშილობა იყო. სიღატაკე იყო. და მუსიკასთან ერთად მშვირ კუჭსაც ამოყვარავდით ხოლმე. რას იზამ, რუსთაველის ავთანდილსაც კი მოშივდა ადამთა ტომის წესითა. როცა ბინდი დაეშვებოდა, ჩვენ შარვლებს ავიცეცავდით და შინ ვბრუნდებოდით.

როცა გენო უკურნებელი სენით დაავადდა, მეგობრები ხშირად ვნახულობდით. სიკვდილის წინაშე აღმოჩენილი კაცი, მთელი არსებით გამოხატავს ხოლმე თავის ბუნებას. ეს უნებურად მჭლავნდება. ყველა თავისებურად ხვდება სიკვდილს. ზოგი ძილში იპარება, ზო-

გი მოთქმით ებლაუჭება სიცოცხლეს, გმობს გაჩენის დღეს, ზოგი საკუთარ სიკვდილს სხვებს აბრალებს და სიამოვნებით გაცვილიდა ადგილს, ოღონდ დარჩეს და იყოს, სხვა არ ენალეგება. ზოგი ვერასოდეს დაუშვებს იმას, რომ უნდა მოკვდეს. სიკვდილთან მიახლოება სასაზღვრო სიტუაციაა, წინასწარ არავინ არ იცის, ვინ როგორ მოიქცევა. გენომ იცოდა. იცოდა, რომ სტოვეტა ნუთისოფელს. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მარტონი აღმოჩნდით პალატაში.

— როგორა ხარ გენო? — ვკითხე მე და შემზარავად გამხდარ მუხლზე ხელი დავადდელოაინზე ნამომჯდარმა ასნია და შემომხედა — ვეცვლით.

— ოჰ, გაწუმდი, ნუ სულელობ! — ნამოვიძახე მე ნაძალადევი სიცილით, ისე, როგორც ყველა ნამოძახებდა იმ წუთში. მან კი ჩაიციინა და მშვიდად გაიმეორა — ვკვდები, ვიცი. აი, ხომ ხედავ? — და აიგნის კარზე მიმითითა, — ხედავ, რა მაგრად ჩაკეტეს, ეშინითა არ გადავხვტე და თავი არ მოვიკლა. არ იციან, რომ მე მაგას არ ვიზამ, ვინც დამბადა შეძლებაცა — ჩაილაპარაკა უღონოდ, მშვიდად. მე მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ ყოველი ჩემი სიტყვა სიყვალზედ გამოჩნდებოდა. ღმერთმა გამაჩინა, თქვა ღიმილით და ღმერთი ნამიყვანს. მე მწამს, რომ იქ, საითაც წავალ, სხვა საიდუმლო არსებობააო.

ვუსმენდი და ვფიქრობდი, ალბათ, ადამიანი გარდუვალობის ღრმა შეცნობით, თავდასაცავად ასეთ აზრებს მოიშველიებს-მეთქი.

— შენ არ გწამს, მაგრამ ამაში თავადაც უნდა დარწმუნდე, დღეს არა ხვალ, რა მნიშვნელობა აქვს, ვიცი, რომ აქაური ცხოვრება იქ უნდა გაგრძელდეს, აი, ეხლა ვიჯექი და ვფიქრობდი, სწორად ვიცხოვრე თუ არა, ალბათ, მეტი არ შემეძლო. რაც ვარ, ესა ვარ. ცუდ დროში დავიბადეთ. ჯარში ყოფნისას ბევრი რამ დავკარგე. ძნელია აღადგინო შენში ის, რაც ბუნებრივად იყო და გარემოებამ ჩაკლა. მაგრამ ერთი რამ კი ვიცი, რომ ყველაფერს ბედისწერა განსაზღვრავს.

მერე ხმადაბლა თქვა: «ვის ეძებთ, რას აქნევთ, ბეღია მაყინებელი”. მშვიდად საუბრობდა. მერე მნახველებმა შემოაღეს კარები, მე გამოვეშვიდობე, ვიცოდი, რომ უკანასკნელად ვართმევი ხელს, ხვალ აქა ვარ, ვთქვი, და გარეთ გამოვედი. დერეფანში ჩვენი მეგობრები იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ყველამ ცხადად იცოდა, რომ გენო აღარ გამოკეთდებოდა. ისინი იკონებდნენ გენოს სოფელში — სურამში გატარებულ ბედნიერ დღეებს, ყოველ წელს რთველ-



ში რომ მივიდოდით. ვიგონებდით იმ მზიან დღეებს — ყურძნის კრეფას, მზიარულეობას და ხალისს. პატარა ვენახი, მტყევენებით დახუნძილული ვაზი, ვაზის წითელი ფოთლები, ნამდვილი ვან-გოგის წითელი ვენახი. აი, შეივსო გოდორი ყურძნით. მოექცა ერთი ჩვენი მგვობარი გოდორს. ძვრა ვერ უქნა. მიეჭრა გენო, ამინიო, ეუბნება. მოიგდო ზურგზე სასესე გოდორი და მიჰქრის აღმართზე, მიიჩქარის სანახებელისაკენ; გენო არ მოჩანს, მოჩანს მხოლოდ ფეხები და ვეება გოდორი, ვენახში სიცილ-ხარხარი ისმის, გენო მარნიდან მორბის და ვაზის ძირთან დაცლილ გოდორს დგამს.

ვხედავ, ფეხშიშველი დგას ვაზის სიახლოვეს, მესმის მისი ხმა — "რამაკრიშნა მოდიოდა ერთხელ ბრინჯის ყანაში". თითქოს გუშინ იყო, რომ ვხალისობდით მზით გაბრწყინებულ ვენახში და დღეს იქ მარტო ზის და მშვი-



დად შეგუებია გარდუვალს.

გენოს რომ ბავშვობიდან ვიცნობდი, ის მათქმევენებს ქრისტიანად იბადებთან-მეთქი. ქრისტიანად გახდომა გამოგონილი ამბავია. ქრისტიანი გახდაო რომ იტყვიან, არ მჯერა, უფრო მნამს ანდაზა: მგლის თავზე სახარებას რომ კითხულობდნენ. "მგელი არ მამლის მგლობასა, არნივი არნივობასა, კაი ყმა მამაცობასა". არსთა გამრიგეს ყველაფერი სწორად განუწესებია ქვეყანაზე. მეომარი გულოვნობს, მუშა მუშაობს. ასე რომ, თუ ვინმე შობილა ქრისტიანად, გენოზე ითქმის. ვერავითარმა დროის ცვალებადობამ ის ვერ შეცვალა. ის იყო ის, რაც იყო. როგორც ღმერთმა გააჩინა, მუდამ მზად მყოფი მგობართა სამსახურისათვის — "ჯერ სხვა და მერე მე" — ამას ყოველთვის ჩუმად ასრულებდა. ამას ჩვენ ვგრძნობდით. ამას ახლა უფრო ცხადად ვხედავთ.

პერმან პესეს აქვს ერთი მოთხრობა "მოგზაურობა დილის ქვეყანაში", აქ ერთად შეყრილან ყველა დროის და ყველა ქვეყნის რჩეულნი — დიდი სულიერი მოღვაწენი, როგორც ისტორიულად არსებული პიროვნებები, ისევე წიგნებიდან გადმოსული სახელოვანი პერსონაჟები. სუყველანი საღარიბოდ მიემგზავრებიან დილის ქვეყანაში. დილა კი ბავშვობაა, სინმინდე და სათნოება, მოგზაურებს თან ახლავს მსახური ლეო. ის არაფერს აკლებს მოგზაურებს, კეთილად ემსახურება. მუდამ მათზე ზრუნავს და საკუთარი თავი დავიწყებია. მსახური მუდამ უკან მიჰყვება დილის ქვეყნისაკენ გამგზავრებულებს. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ეს მსახური ყოფილა მათი წინამძღოლი, ლეოს მიჰყავს ისინი დილის ქვეყნისაკენ.

ნუთუ მართლა ფრაგმენტები რჩება? მე ცოცხლად ვხედავ მას. ვსაუბრობთ. ვიცინით. ვხედავ ჩემს გვერდით. ხშირად მუზმანება ხარონს გადავყავარ ნავით სულეთში. მივდივარ, მივიქპარი მასთან შესახვედრად და უცრად ვჩერდები ელდანაკრავი, შიშით ვეკითხები თავს, შემიშვებენ კი იქ, სადაც იგია? რა რჩება კაცისაგან, როცა იგი სტოვეებს სამზეოს? ლაო-ძის შეკითხვას ვიმეორებ და პასუხად ვხედავ, ჩემსკენ მომავალ მგობარს. ის მტევანს სწყვეტს რქა-წითელ ვაზს და მიწვდის ღმირით.



ზურაბ

ოცნებელი

ნახმახება – სეზონის თანმძევი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კიდევე ერთი, — რიგით 156-ე სეზონი იქცა ისტორიის კუთვნილებად, ერთი თეატრალური წელიწადი, რომელიც არაერთი დაუვიწყარი, მნიშვნელოვანი მოვლენით აღიბეჭდა ქართულ თეატრალურ მატრიანში. უწინარესად, პრემიერებია აღსანიშნავი. მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მსოფლიო საბალეტო პრემიერები — ქორეოგრაფმა ალექსეი რატმანსკიმ ჟორჟ ბიზეს "ქრომატიულ ვარიაციებზე" დადგა ერთმოქმედებიანი ბალეტი "ვარიაციები" (დამდგმელი მხატვარი — მიხეილ მხაბარაძე); იური პოსოხოვმა კი ქართულ მუსიკაზე დადგა ერთმოქმედ-

ბიანი ბალეტი "საგალობელი" (დამდგმელი მხატვარი — ანა კალატოზიშვილი); ინგლისის სამეფო ბალეტმა ჩვენს საბალეტო დასს მისცა ფრედერიკ შტრონის რამდენიმე ბალეტისა და მინიატურის დადგმის უფლება, რომელთა პრემიერა 9 მაისს გაიმართა — ოთხი საბალეტო მინიატურა და ორი ერთმოქმედებიანი ბალეტი — "დღესასწაული" (ა. გლაზუნოვის მუსიკა, დამდგმელი ბალეტმასტერი ქრისტოფერ კარი) და "მარგარიტა და არმანი" (ფ. ლისტის სონატა სი მინორი, დამდგმელი ბალეტმასტერი გრანტ კოილი), საგულისხმოა, რომ ეს ბალეტი 1963 წელს სპეციალურად დაიდგა მარგო ფონტინისა და რუდოლფ ნურციევისთვის, მათ შემდეგ ის მხოლოდ სილია გილმა იცეკვა, ამჯერად კი, მისი შესრულების უფლება ნინო ანანიაშვილს მიენიჭა (დამდგმელი დირიჟორი დავით მუქერია).

გაიმართა საოპერო პრემიერაც — ჯუზეპე ვერდის "ატილა" (დამდგმელი დირიჟორი — ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორები — დავით საყვარელიძე და ჟან ლუი გრინდა, დამდგმელი მხატვრები — ჟან პიერ კაპეირონი და დავით მონავარდისაშვილი). ამ ოპერის დადგმა პაატა ბურჭულაძის თხოვნით იყო განპირობებული, ამიტომაც საპრემიერო სპექტაკლი სწორედ მან იმღერა და მისი მოწვევით თანამედროვე საოპერო ხელოვნების ვარსკვლავმა მიშელ კრაიფერმაც გაიბრწყინა "ატილას" პრემიერებში. "ატილა" ოპერის თეატრის რეპერტუარში ვერდის მეხუთე ოპერაა ("აიდა", "ტრუბადაური", „დონ კარლოსი“, "რიგოლეტო", ასევე რეკვიემი), ამიტომაც ამბობს ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი (ნახევრად ხუმრობით, თუმცა, არა უსაფუძვლოდ), სანამ მის ოცდაექვსივე ოპერას არ დაეფარება, არ შეეჩერდება.

156-ე სეზონის მანძილზე არაერთი წარმატებული კონცერტიც გამართა თეატრის კოლექტივმა — ძალზე ლამაზი იყო საახალწლო გალა-კონცერტი საოპერო და საბალეტო დასების მონაწილეობით, რითაც საფუძველი ჩაეყარა ასეთი ერთობლივი საახალწლო სიუმარიზების ტრადიციას.

გასული სეზონის პირველი აკორდი იყო 7 სექტემბერს გამართული ნორვეგიულ-ქართული გალა-კონცერტი ოსლოს ეროვნული საოპერო თეატრის სოლისტებისა (რინგვალდ სორენსენი, იტზიარ ვალდოსი, კეილ მინგუს სანდვე) და ჩვენი თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით (დირიჟორი კეილ სეიმი). მას შემდეგ არაერთი ჩინებული კონცერტი გაიმართა ოპერის



კოლექტივის მონაწილეობით — გამოჩენილი იყო გამოჩენილი მომღერლის თეიმურაზ გუგუშვილის შემოქმედებითი საღამო, მიძღვნილი მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი (დირიჟორები გოგი ქვიციანიძე, რეჟიზ ტაკიძე, რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე); მანვან ღირსეულად აღინიშნა დაუფინანსარი ზურაბ ანჯაფარიძის საოპერო 80 წლისთავი (დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი). პატივი მიეცო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის ხსოვნასაც — თეატრის ორკესტრმა, გუნდმა, სოლისტებმა (ნინო ჩაჩუა, ირინე ალექსიძე, ზაალ ხელაია, მამუკა ტყეშელაძე, გოჩა დათუსანი-ჯილაური) ეხატნა მაჭავარიანის დირიჟორობით მსმენელებს "ალექსი მაჭავარიანის პრემიერები" შესთავაზეს — პირველად შესრულდა ნაწყვეტები ოპერა "ჰამლეტი" პირველი მოქმედებიდან და მეშვიდე სიმფონია "გელათი"; დაზაფხულზე ორკესტრის მუსიკოსებმა აუდიტორიას გაააცნეს კომპოზიტორ ირაკლი ცინცაძის ახალი კამერული ქმნილებებიც.

თეატრის სცენაზე წლეულსაც არაერთხელ გაიბრწყინეს უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსებმა — პაატა ბურჭულაძემ, იანო-თამარ ალიბეგაშვილმა, ნანა ქავთარაშვილმა, ეკატერინე ბუგაიანიშვილმა, იყვნენ დირიჟორებიც — ვახტანგ მაჭავარიანი, გიორგი ბაზუაძე, დავით კინურაშვილი...

სიტყვა თეატრში გამართულ გასტროლებს შეეხო და არ შეიძლება არ გავისხენოთ ზოგიერთი მათგანი — დაუფინანსარი იყო ცოცხალი ლეგენდის მონსერატ კაბალიეს და მისი ქალიშვილის მონსერატ მარტის კონცერტი (დირიჟორი ხოსე კოლადო), რომელიც პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის "იავნანას" მეოხებით გაიმართა, წლეულსაც, ტრადიციულად აქტიური იყო ამ ფონდისა და თეატრის თანამშრომლობა. ვოკალური ხელოვნების კიდევ ერთმა ვარსკვლავმა — ხოსე კარერასმა მოხიბლა აუდიტორია — საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე სწორედ იგი

მღეროდა (იანო-თამარ ალიბეგაშვილთან და თეატრის სოლისტ ნინო ჩაჩუასთან ერთად; დირიჟორი საშა გიოცელი). ორივე კონცერტზე მომღერლებს სათანადო მაღალპროფესიული პარტნიორობა გაუწია თეატრის ორკესტრმა. თბილისელები ალაფრთოვანა ფლამენკოს ვარსკვლავის ხოაკინ კორტესის და ფლამენკოს თეატრის "ფეიერვერკულმა" საღამომ.

ქართველმა მსმენელებმა გაიცნეს დოლორა ზაჯიკის (მეცო-სოპრანო), ლეონარდო გრამენიას (ტენორი), დირიჟორების — რიხბერტ კოულის (აშშ), ხოსე კოლადოს (ესპანეთი), ფერნანდ კერიმოვის (აზერბაიჯანი), კელი სეიმის (ნორვეგია), დენ ეტირგერის (ისრაელი) ხელოვნება.

მასპინძლობას დიდი ხიბლი აქვს, მაგრამ სტუმრად ყოფნაც არ არის ნაკლებად მომხიბლავი, მით უფრო, ძალზე მნიშვნელოვანია ნარმატიული გასტროლები, რითაც ხდება ქართული სამუსეროებლო ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაცია. საგასტროლო სეზონი თეატრის ორკესტრის კამერულმა შემადგენლობამ "გახსნა" მოსკოვში ცნობილ რუს მუსიკოსებთან დიმიტრი კოვანთან (ვიოლინო) და ივან რუდინთან (ფორტეპიანო) ნოემბერში გამართული კონცერტით.

ქართველ მუსიკოსებს, — ამჯერად ზაზა აზმაიფარაშვილს, მომღერლებს ირინე რატინას და სულხან გველეხიანს, — რუსეთის დედაქალაქმა დეკემბერში უმასპინძლა, — მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში რუსეთის დიდ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მათ გამართეს კონცერტი სახელწოდებით "თაქთაქიშვილიდან ვერდიმდე".

თებერვალსა და მარტში საბალეტო დასს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოუხდა გამოსვლა სხვადასხვა პრესტიჟულ სცენებზე. ბერკლის, სანტა ბარბარას, ლოს ანჯელესის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, აიოვასა და მინესოტას საკონცერტო დარბაზებში დასმა 21 სპექტაკლი გამართა. საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო ორი კლასიკური ბალეტი — "ციზელი" და "დონ კიხოტი" და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა (ბალანჩინის "ჩაკონა", "უო ჩონცერტანტი", ალექსი რატმანსკის "ვარიაციები" და იური პოსოხოვის "საგალობელი"). გასტროლმა დიდი ნარმატებით ჩაიარა, რასაც მოწმობს ამერიკული პრესა, სადაც ფართოდ გაშუქდა დასის გამოსვლები. აი, ფრაგმენტი ერთ-ერთი რეცენზიიდან: "ამ დასს გააჩნია პოეტური სული და სითბო. საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ხასიათში,

ბალეტის ზუსტი ხელოვნება შენარჩუნებული და განვრცობილი უნდა იყოს ფანტაზიის გარეშე და მოაზრებული, როგორც მშვენიერი" (რობერტ გრემკოვიჩი, უოლ სთრით ჟურნალი). ავეისტომო საბალეტო დასი მონაწილეობას მიიღებს ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში; წამყვანი სოლისტები — ლალი კანდელაკი და ვასილ ახმეტელი სამეფო ბალეტთან ერთად ჩინეთში გამოვლენ ჩაიკოვსკის "გედების ტბაში".



შემოქმედებითი სტუმრობისას, როდესაც იგი ოპერის ორკესტრს, გუნდს და სოლისტებს — მიშელინა ქობალიანს, ელენა პუტილოვას, გიორგი მახარაძეს და ლეგი იმედაშვილს, — წარუძღვა ვერდის "რეკვიმის" შესრულებისას. კონცერტის შემდგომ გადაწყდა ამ სოლისტებისა და გუნდის (მთავარი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შარვაშიძე) მიწვევა რიშონ ლეციონის ორკესტრის იუბილეზე ვერდის "რეკვიმის" შესასრულებლად.

სასიამოვნო კონცერტებით ანებივრებს აუდიტორიას თეატრის სიმებიანი კვარტეტიც გიორგი ხაინდრავას, პაატა ჭანტურიშვილის, ირაკლი ჯაფარიძისა და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით. ნაყოფიერი შედეგიაჩინ ასეულობის ორი წლის მანძილზე ამ ანსამბლმა ქართულ მუსიკალურ-სამემსრულებლო სამყაროში ღირსეული დამკვიდრებისკენ სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, საკმაო პოპულარობაც მოიპოვა და ერთგული აუდიტორიაც შეიძინა, რაც ამ მუსიკოსების ნიჭიერებითა და ქვეშაობილი მაღალი პროფესიონალიზმით არის განპირობებული. ნლელს კვარტეტთან ერთად კონცერტებში სოლისტების ამპლუაში წარსდგნენ ახალგაზრდა მუსიკოსები — კლარნეტისტი შოთა გოგოძე, პიანისტები თამარ ლიჩელი და ირაკლი ოიკაშვილი.

წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას შარშან თეატრის ორკესტრის მუსიკოსებისგან შემდგარი კამერული ანსამბლი „ონ ლისონ“-იც, რომელიც მსმენელებს მუდამ ორიგინალური პროგრამების მაღალ დონეზე შესრულებით ანებივრებს, რაშიც დიდი წვლილი შეაქვს ანსამბლის თითოეულ წევრს, განსაკუთრებით კი, ანსამბლის სულისჩამდგმელსა და ხელმძღვანელს ლევან გოცირიძეს. „ონ ლისონ“-თან ნლელსაც აქტიურად თანამშრომლობდა ვერმანიაში მოღვაწე ცნობილი მუსიკოსი გიორგი ქობულაშვილი.

ზემოთ აღნიშნული კოლექტივების გარდა თეატრის წითელ დარბაზში კამერულ-ვოკა-

საკმაოდ აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთობა ჯერ კიდევ შარშან დაამყარა ოპერამ ისრაელთან. ეს ურთიერთობა 2008 წელსაც გაგრძელდა, — საგაბატროლო ტურნეით ისრაელში გაიცინეს თეატრის სოლისტებისგან შექმნილი კოლექტივი — ფოლკლორული ანსამბლი "სულიკო" (ხელმძღვანელი — ვანო ვალუაშვილი, ლობჯანი — კახა ონაშვილი). აპრილში ისრაელის რამდენიმე ქალაქი (იერუსალიმი, კვირიათ ჰაიმი, პერცელია, რიშონ ლეციონი) ლეონკავალოს "ჯამბაზებით" და გალა-კონცერტებით (დირიჟორები — ზაზა აზმაღარაშვილი, გოგი ჭიჭინაძე, რეჟისორი — დავით საყვარელიძე) კვლავ "დაიპყრო" ოპერის კოლექტივმა — ორკესტრმა, გუნდმა, სოლისტებმა — თეიმურაზ გუგუშვილმა, მყეველა ასპანიძემ, სულხან გველესიანმა, გიორგი ონიანმა, ირინე რატიანმა, გიორგი მახარაძემ, ზაალ ხელიაიამ, ელენა პუტილოვამ, ნინო ჩაჩუამ, ლეგი იმედაშვილმა, გოჩა დათუსანი-ჯილაურმა.

საგულისხმოა, რომ არასრული ერთი წლის მანძილზე თბილისის ოპერის თეატრისთვის ეს უკვე მესამე გასტროლი იყო ისრაელში, რაც უდავოდ მეტყველებს ქართული მუსიკალურ-სამემსრულებლო კულტურით დაინტერესებაზე, თბილისის ოპერის მაღალ სახელოვნებო დონეზე და იმ პერსპექტივაზე, რომელიც თეატრს უჩნდება საერთაშორისო ასპარეზზე.

სხვათა შორის, იგივე დადასტურდა 14 მაისსაც რიშონ ლეციონის სიმფონიური ორკესტრის მუსიკალური დირექტორისა და მთავარი დირიჟორის დენ ეტინგერის თბილისში



ლური მუსიკის მშვენიერი კონცერტები გამართეს თეატრის სოლისტებმა ელენა პუტინოვამ, ირინე რატიანამ, ლეგი იმედაშვილმა. კვლავაც წარმატებულია თეატრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "შეჯიბრი" (ხელმძღვანელი თამაზ გოგოტიშვილი).

24 აპრილს თეატრში გაიმართა ნინო ანანიავილისა და ფილბერ ალბერის საერთაშორისო პრემია "ვარსკვლავის" დაჯილდოების პირველი ცერემონიალი და გალა-კონცერტი. პრემია-ბალერინა ნინო ანანიავილი და ცნობილმა შვეიცარიელმა იუველიერმა ფილბერ ალბერმა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოცეკვავეებისათვის 2003 წელს დაანეს სპეციალური პრემია "ვარსკვლავი". (იუველიერმა თავისი ნაკეთობა საზღვაო ვარსკვლავის ფორმით დაამზადა, რადგან მას სურდა იგი ახლოს ყოფილიყო ბუნების მოვლენებთან. პრემია მაქმანისებურ ვარსკვლავს წარმოადგენს, რომელიც ვარდისფერი მარგალიტისაგანაა დამზადებული და შავ პოსტამენტზეა დამაგრებული).

პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ მარიას თეატრის (სანკტ-პეტერბურგი) საბალეტო დასის სოლისტი ევგენია ობრაზცოვა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ნამყვანი სოლისტი ლაშა ხოზაშვილი.

მისში ოპერის თეატრის ახალი ნაშრომების პრეზენტაცია შედგა, პროექტისა სახელწოდებით "ჯაზის კუთხე ოპერაში", რომლის ხორცშესხმაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ ჯაზმენს, კონტრაბასისტ თამაზ ყურაშვილს, მასთან ერთად კი მის ქართველ და რუს მეგობრებს — ზურაბ რამიშვილს, ალექსანდრე მაშინს, ანდრეი კრასილნიკოვს, პეტრე ვოსტოკოვს და 12 წლის ვირტუოზს — პიანისტ ბექა გოჩიაშვილს. კონცერტმა ნამდვილად ნასიამოვნები დატოვა მსმენელები. ჯაზური მუსიკის საღამოებს თეატრი მომავალშიც უმასპინძლებს და "ჯაზის კუთხე ოპერაში" უეჭველად დამკვიდრდება.

სეზონის მინურულს 29 ივნისს კიდევ ერთი ახალი კამერული ანსამბლი "შეიკრა" თეატრის



რის მუსიკოსებიდან — პიანისტი ზურაბ ხუციშვილი, მეგილონიები ლელა მჭედლიძე, პაატა ქანტურიშვილი და ვიოლონჩლისტი გიორგი ჯორჯაძე, ამიერიდან ერთად მუსიკოსებისას საზოგადოებას წარუდგებიან თეატრის კამერული ანსამბლის "ოვაციის" სახელით. ანსამბლის საპრეზენტაციო კონცერტში ამ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობდნენ თეატრის სოლისტები ნატალია ვოლჩენკო, ნინო ჩაჩუა და ირინე ალექსიძე. პირველივე კონცერტმა ცხადყო, რომ "ოვაციას" ოვაცია მომავალშიც არ მოაკლდება.

გასულ სეზონს კიდევ ერთი, ვფიქრობ, უმნიშვნელვანესი ფაქტი უკავშირდება — საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის "ქართუს" მეიხებით დასრულდა თეატრის ორკესტრის ახალი ინსტრუმენტებით აღჭურვის ესოდენ აუცილებელი პროცესი და ორკესტრის მუსიკოსებს საშუალება მიეცათ მსოფლიოს საუკეთესო ფორმებისა და ოსტატების მიერ საგანგებოდ, სახელობითად შექმნილი მუსიკალური საკრავებით გამოავლინონ საუკეთესო პროფესიული პოტენციალი.

მიუკერძოებლად აღსანიშნავია თეატრის ორკესტრის, გუნდის, საბალეტო დასის, სოლისტების პერმანენტული მალალი დონე, პროფესიონალიზმი, დაბევნილი საშემსრულებლო ოსტატობა, რისი ერთობლიობაც ქმნის თეატრის იერ-სახეს, რაც უმკვიდრებს ქართულ საოპერო და საბალეტო ხელოვნებას საუკეთესო რენომეს.

ვიმედოვნებ, რომ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მომავალშიც თქვენი ერთგული მეგობარი იქნება, ისევე როგორც მისთვის თქვენ.





ქეთი მატაბაული

ქეთი
მუსყაშვილი

ძველი თბილისის
სიყვანხანით

(ქეთი მატაბაული)

დედაქალაქის ძველი უბნები, ქუჩები და სარდაფები ჯერაც ინახავენ ტფილისური ბოჰემის უმშვენიერესი სახეების სიბოხს, ფერთა იდუმალ პარმონიას, პანგთა თუ სურნელებათა მაგიურ ვიბრაციას.

რიყე და ორთაჭალის ბალები, ქარვასლები და გაუთავებელი ბაზრობები, ტფილისის ბინადართა განუმოერებელი პლასტიკა, ერთი შეხედვით შეუთავსებელი კულტურული და ენობრივი კომპონენტების დაუსრულებელი ვარიაციები. ამ გასაოცარი კალეიდოსკოპის ფონზე ფანტაზიის ყველაზე გაბედული ზმანებაც კი ფერმკრთალი და უსახოა. ყოველივე ეს თითქოს უკვე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ბევრი თბილისელისათვის, წარსული როდია

უსულო, უსიცოცხლო, მით უფრო პოეტი-სათვის, მით უფრო მხატვრისათვის.

ტფილისი შებინდებისას და ალიონზე, ხან შუადღის მცხუნვარე სხივებში გახვეული, ხანაც მტკვრის ხეობაში ჩანოლილ ბურუსში ჩაფლული. ავლაბრის ხიდი, ბორანი... მინარეთი, თათრის მოედანს ესოდენ რომ ამშვენებდა, ფეთხანინი, სიონი. ყოველივე ეს ვითარცა სიზმარი, უამრავ ფერად წარმოჩენილი და უღამაზეს სამკაულად ქცეული წარმოგვიდგება ქეთი მატაბაულის ფერწერულ სერიაში ძველი თბილისი.

საღებავის ფერად ატლერება ფერმწერისათვის საშუალებაც არის და მიზანიც. ეს პროცესი თვითგამოხატვის აქტში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე იდუმალთაგანია, რადგან სამყაროს ფერადოვანი პარმონიის ინტუიტიური ნვდომის შედეგია.

ემოციური სიმძაფრის მისალწევეად ავტორი არ ზღუდავს პლასტიკური ხერხების დიაპაზონს. დაუგრუნტავი ტილოს ხორკლიან ზედაპირზე ოდნავა მონიშნული ნაგებობათა სილუეტი, ინტენსიურ ფერწერულ ლაქებს ენაცვლება უნაზესი ტონალური პარმონია, ხაზით, თავისებური ოსტატობითაა დაკონკრეტებული და გამაგრებული ესა თუ ის ემოცია. საბოლოოდ სურათის დომინანტი მინც ფერია, სიბრტყის თანაბარი დატვირთვის პრობლემა ფერის სიმძაფრითაა გადაჭრილი. ფერით დატვირთული სიბრტყეები კი ავლენენ ცისფერისა და სოსანისფერის, ვარდისფერისა და იასამნისფერის პარმონიებს. ამ ნატიფ გარემოში უხვადაა მიმოფანტული ოქრა.

ჩვენს წინაშე იშლება სახვითი ხერხებით გადმოცემული პოეტური პანორამა, რომელიც თემის ისეთ განუწყვეტელ ვარიაციად წარმოგვიდგება, რომელშიც ამაოა რაიმე კომპოზიციური დომინანტის გამოყოფა. სუ-





რათი სურათს ენაცვლება, თითქოს ერთი მეორის გაგრძელებაა, და ეს უკანასკნელი კი ახალი ემოციის აღსაქმელად გვაშაადებს. ზოგ კომპოზიციამი "ნაკრული" ხელნაწი, ანდა "ზერელედ" მონიშნული შრიფტით უბნის, ქუჩის თუ ადგილის დასახელებაა ჩართული. ამ გრაფიკულ აქცენტებს თავისუფალი პლასტიკური ფერადობა აქვს კომპოზიციურ ნყოფაში, ისინი სურათის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ და იმდროინდელი ქალაქის სპეციფიური კოლორიტის გამოვლენას უწყობენ ხელს.

სწორედ ამგვარი წვდომით, პალიტრის ინდივიდუალური განცდითაა წარმოჩენილი ძველი ტფილისის "სახეები". ნაწარმოებთა ამ ციკლში ძნელად თუ მოიძებნა ქალაქის ყოფის სახასიათო პერსონაჟები, აქ მხოლოდ ქუჩები, ეზოები და სხვადასხვა რაკურსით შემოთავაზებული ქალაქის პანორამაა. ავტორის ფუნჯის ზეგავლენით, ერთი შეხედვით ეთნოგრაფიული თემატიკა, ტრანსფორმირებულია უშუალო ფერწერულ განცდაში. ხშირ შემთხვევაში მხატვრის შთაგონების ამოსავალ წყაროს ძველი ფოტომასალები შეადგენენ, ისინი თითქოს "მიმართავენ" შემოქმედს გარკვეული განცდის რიტმში, მიაწინებენ კომპოზიციურ სტრუქტურას. ჩანს, "ეგზოტიკური ხედების ზეგავლენით იქმნება ფერწერის პალიტრაც — ძველი ფოტოსურათები იმ გარდასულ დღეთა ფერმკრთალი სახეებია, მაგრამ მათი ბუტაფორიულობა და უსიცოცხლობა მხატვრის უშუალო განცდაშია გარდატეხილი და წარმოგვიდგება, როგორც განსაკუთრებული ფერწერული რეალობა.


ქეთი მატაბელის შემოქმედებაში ტფილისური ბუნების სწორედ ზემოაღნიშნული ასპექტი იჩენს თავს, რაც სახვითისა და პირობითის, ცხოველბატულისა და დეკორაციულის ურთიერთდაპირისპირებაში ვლინდება. ტრადიციული მოტივები და თანამედროვე

მხატვრული ხერხები ერთმანეთის შემავსებელ ელემენტებად გვევლინებიან, რასაც მასალის (ზეთი, აკრილი, ალკიდი) სპეციფიკურად აქტიური ხასიათიც ამძაფრებს.

ძველი ქალაქი სულია დღევანდელი თბილისისა. ზოგი რამ წარსულიდან ახლაც ცოცხლობს, სხვა ფოტოზეცაა აღბეჭდილი, ზოგს კი მხატვარი აცოცხლებს. ამიტომაც იწვევს სიხარულს ძველის, ტრადიციულის ახლებურად დანახვისა და გააზრების ყოველი მცდელობა.

„ლიტერატურული სახეები მხატვრობაში“ (გამოფენის შესახებ)

მოგახსენებთ, ილუსტრაცია ის ბედნიერი ჟანრია, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ხიდს, ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ლიტერატურასა და მხატვრობას შორის. ჩვენს მუზეუმს აქვს ილუსტრაციების მდიდარი კოლექციები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, უჩა ჯაფარიძის, დევან ცუცქერიძის, ჟანი მემმარიანიშვილის და სხვა ოსტატთა ნამუშევრები. დღევანდელი გამოფენის თემა — „ლიტერატურული სახეები მხატვრობაში“. ავტორი გახლავთ ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი ქეთევან მატაბელი, რომელსაც თავისი ილუსტრაციებისათვის





შეურჩევია ერთგვარი სულისკვეთებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთნაირი სწრაფვისა და მიმართულების ოსტატები, რომელთაც სამყაროს ფრიად თავისებურ ძალაზე საინტერესო ხილვა ჰქონდათ. ისინი განსჭვრეტდნენ და ასახავდნენ სამყაროს რეალურისა და ირეალურის მიჯნაზე, ფანტასტიკური ჩვენებებისა და სიზმარეულის მიჯნაზე. აი აქ ნარმოდგენილია ძირითადად ჰოფმანისა და ბულგაკოვის ნანარმოებთა ილუსტრაციები, გალაკტიონის "ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია" და მარჯვედ შერჩეული ადგილები რუსთაველის ქმნილებიდან, ავთანდილის სიმღერა, ქაჯეთის ციხის აღება და უკანასკნელ ამოკენესასავეთ ნათქვამი "დასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა". რუსთაველი გენიალური რეალისტი იყო, მაგრამ მისთვის, როგორც ყველა გენიოსისათვის უჩვეულო როდი იყო ისეთი ფანტასტიკური ხილვები, როგორც "მზიანი ღამე" და ნესტანის წერილში აღწერილი ზენა სოფელია. ერთი სიტყვით, მხატვარს პოეზიის სამყაროში გადაეყვართ და ხელახლა განგვაცდევინებს იმ ესთეტიკურ სიხარულს, რომელსაც რუსთაველისა და გალაკტიონის, ჰოფმანისა და ბულგაკოვის ნიგუნების კითხვისას განვიცდიდით და მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა ოს-

ტატის ნამუშევრები ამ სიხარულს კვლავ განაცდევინებენ ამ გამოფენის მნახველებს.

გიორგი ნატროშვილი

"დროის რელიგია" (გამოფენის შესახებ)

რეზო ესაძე: — აქ ახლა ძალიან ჩუმი ხმაურია, რალაც დროის ხმაურია, კარგი ინტიმია... ქეთი მატაბელის ნამუშევრები სიმპათიას იწვევს. საგანსა და ჩემს შორის მყარდება ისეთი კონტაქტი, რომელიც მშობლიურია. აქ ხდება მნახველისა და ნანახის ბიოგრაფიული გაერთიანება. თითქოს დროს ეფერები, თუ დრო გეფერება... ამავე დროს, ეს მოდერნია, სადაც ჰარმონიულად არის შეთავსებული ერთმანეთთან შეუთავსებელი კატეგორიები. ავიღოთ თუნდაც კოლაჟები, სადაც ლენინის გვერდით ჩემთვის სრულიად მისაღები ადამიანები არიან წარმოჩენილნი, რაც იწვევს ფიქრს არა ლენინზე, არამედ დროზე, დროთა კავშირზე. დამნაშავე და უდანაშაულო აქ თანასწორია...

...დრო თვითონ არის რელიგია, დროის რელიგიაა აქ გამოხატული.



მარცხნიდან: სიმონ ჩიქოვანი, დავით კვიციანიძე და მამია ასათიანი,
1963 წელი, დეკემბერი, ქუთაისი.

მადლობა ბატონ ზაზა ასათიანს სურათის მოწოდებისთვის.

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვენიოთ!
ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას №42; ტელ: 37-61-53,
შპს „ინფო 2007“ გ. ცაბაძის №6; ტელ: 34-11-40 და „საქპრესა“ ტელ: 51-60-04;
„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში – 24-45-22; 24-45-12 სახალხო ფოსტა

3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამარ ქიტუაშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



ქუთაისი მანსაველი



ქველი თბილისი

699/26

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐՏԱԿԱՆ

